ENN VETEMAA

VÄIKE ROMAANIRAAMAT

Monument
Pillimees
Munad hiina moodi

Eesti keelest tõlkinud
AMIRAN KALADZE

KIRJASTUS „GANATHLEBA"
THBILISI — 1988

ენ ვეტემაა

ქვესხები ბილრაღ

ესტონურიდან თარგმნა
ამირან კალაძემ

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1988

84 ესტ — 44
ვ 421

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ცნობილი ესტონელი მწერლის ენ ვეტემაას სამი რომანი: „პილიმეესი", „მონუმენტი" და „კვერცხები ჩინურად".

პიროვნება და მისი ცხოვრებისეული პოზიცია, ინდივიდის თვითმყოფადობა და არჩევანის თავისუფლება, ზნეობრივ ფასეულობათა ანალიზი და წარმოსახვითი ზღვარი ბოროტებასა და სიკეთეს შორის — აი, მწერლის აქტიური კვლევის საგანი.

ენ ვეტემაას რომანების ერთი შეხედვით გულახდილი, სააღსარებოდ განწყობილი გმირები სინამდვილეში ძალზე რთული, მრავალმხრივი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პიროვნებები არიან.

მხატვარი ა. თოდრია

4702000000 — 381
В ————————321 — 88
М — 602(08) — 88

© „Eesti raamat", Tallinn, 1968

© ქართული თარგმანი
გამომცემლობა „განათლება", 1988

ISBN № 5 — 505 — 00597 — 7

ცნობილი ესტონელი მწერლის ენ ვეტემაას წიგნისათვის ამ მცირე წინასიტყვაობის დაწერა არც ისე იოლი გამოდგა. მისი მრავალწახნაგოვანი შემოქმედება და ცხოვრებისეული გზა იმდენად სიმბიოზურია, ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ ცალ-ცალკე განხილვას არ ექვემდებარება. დღეისათვის უკვე ცნობილმა მწერალმა საკუთარ თავთან ზუსტად იმდენი იომა და იდავიდარაბა, რამდენიც მის ასე საინტერესო მწერლად ჩამოყალიბებას სჭირდებოდა. თავად განსაჯეთ — ჯერ იყო და ცნობილი ტალინელი არქიტექტორის ოჯახში აღზრდილმა, პოეზიაზე შეყვარებულმა ჭაბუკმა ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ცელულოზის ქარხანას მიაშურა, რათა ინჟინერ-ქიმიკოსის ამპლუაში გამოეცადა თავი. მერე კი, როგორც იტყვიან. არც აცია და არც აცხელა — ტალინის კონსერვატორიაში ჩაირიცხა. ეს ის დროა, როცა მომავალი მწერალი ქიმიასა და პოეზიას ერთ ტაბულაში ვერ ათავსებს და გამოსავალს კომპოზიტორობაზე ოცნებაში ხედავს: კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ წერს რამდენიმე სიმღერას, კამერულ ნაწარმოებს, სიმფონიას... და აი, აქ დასრულდა კიდეც ენ ვეტემაას ბრძოლა საკუთარ თავთან! გადაწყდა — 60-იან წლებში სწორედ მისი ე. წ. მოკლე რომანებით უნდა გამდიდრებულიყო ესტონური პროზის ჯერაც კალამდაუკარებელი თაბახები. 1964 წლიდან მოყოლებული ზედიზედ გამოაქვეყნა „მონუმენტი“, „პილიმეესი“, „რექვიემი...“, „კვერცხები ჩინურად“ და სხვ. ასევე ნაყოფიერად გადააბიჯა 70-იან წლებშიც — სხვადასხვა თეატრში წარმატებით დაიდგა და ცალკე წიგნებად გამოიცა მისი ორიგინალური პიესები: „ვახშამი ხუთ სულზე“, „ისევ ვაი ჭკუისაგან“, „წმინდა სუზანა, ანუ სკოლა ოსტატთათვის“, „ვარდების ბაღი“.

სულ ახლახან კი მისი შეუდარებელი ნიჭი ახალი წახნაგით გამობრწყინდა და ზედიზედ გამოსცა მახვილგონივრულად დაწერილი ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „მაშ ასე..", „აბა როგორ!!!"...„ესტონელი ქალების სქესობრივი სარკვევი" და სხვ., რომლებშიც ძირითადად ცრუმეცნიერები და ცრუინტელექტუალებია პაროდირებული.

რაც შეეხება ენ ვეტემაას შემოქმედებისა და ცხოვრებისეული გზის სიმბიოზურ კავშირს, კრიტიკოსი იური ოკლიანსკი სამართლიანად შენიშნავს: „...ვეტემაა რომ პოეტი არ ყოფილიყო, შესაძლოა კომპოზიტორობაზეც არ ეოცნება... არც მისი რომანების ციკლი შეიქმნებოდა, კომპოზიტორობაზე ადრე ინჟინერ-ქიმიკოსობაში რომ არ გამოეცადა თავი..."

წინამდებარე კრებულში ენ ვეტემაას სამი რომანია წარმოდგენილი: „მონუმენტი", „პილიმეესი" და „კვერცხები ჩინურად". პიროვნება და მისი ცხოვრებისეული პოზიცია, ინდივიდის თვითმყოფადობა და არჩევანის თავისუფლება, ზნეობრივ ფასეულობათა ანალიზი და წარმოსახვითი ზღვარი ბოროტებასა და სიკეთეს შორის — აი, მწერლის აქტიური კვლევის საგანი.

აღსანიშნავია, რომ სამივე რომანის ერთი შეხედვით გულახდილი, საალსარებოდ განწყობილი გმირები სინამდვილეში ძალზე რთული, მრავალმხრივი, ერთმანეთისგან მკვეთრად გამსხვავებული პიროვნებები არიან.

„...შემგუებლობა გახლავთ ის საიმედო ნარაღი, რომელიც თქვენს ხელთაა."

„...მე ოღონდ ისეთ თემებზე მალაპარაკე, როგორიცაა პარტიულობა ხელოვნებაში, ბერლინის საკითხი, პიროვნების კულტი... და მთელი დღე რომ ვიყბედო, არ მომწყინდება. პირდაპირ ვირტუოზულ ერუდიციას ვამჟღავნებ, რომელსაც ორპირიანი, ჯარისკაცული დანა-ჩანგალივით ვიყენებ — მინდა შევჭამ, მინდა შევურჭობ!"

„...მე პარტიის წევრი ვარ! — აინი კი — არა... მაშ, რაღა მაინცდამაინც იმას მიანდეს მთავარი როლის შესრულება? ე. ი. მე სულ ტყუილად შევსულვარ პარტიაში, რახან მას ჩემთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია..."

აი, რა ფიქრები უტრიალებს თავში „მონუმენტის" ცენტრალურ პერსონაჟს ვოორეს.

სულ სხვაა „პილიმეესის" მთავარმოქმედი გმირის განსჯის საგანი:

„...კაცმა თუ ჭერზე თავი ჩამოიკონწიალა, ხელი უნდა გა-ამტყუნო — თოკი რად გადმოკიდაო? თვალი დაადანაშაულო — ლურსმანს რად მიაგნო და ტანიც — თოკი რად დაჭიმაო? ყველა ერთადაა დამნაშავე. ცალ-ცალკე კი არცერთი... ასე, რომ ხალხიც ერთადაა დამნაშავე..."

„...მეც მაქვს გული, ხნიერი გული. მისი ქსოვილოვანი პერანგი ისე შესქელებულია, ბევრი რამ ვეღარც შეაღწევს. ალაგ-ალაგ კი, პირიქით, ისეა გაცრეცილი, რომ გულის კარს ულებს ათასნაირ ზედმეტობას... გული ჩვენთვის მუშაობს. არც თვალები აქვს, არც გონება, არც უწყის — ვინაა მისი მფლობელი...

გულს არც სინდისი გააჩნია.

გული უგულოა!"

სევდამორეული ფიქრობს დაღლილი პოეტი რუბენ ილიმე. ეს ის ტრაგიკული პიროვნებაა, რომელსაც, ესტონელი კრიტიკოსის ი. ვიიდინგის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ახალგაზრდობაში ავბედითი მოვლენების შესაკავებლად არ ეყო ძალა, ხანდაზმულობაში კი აწ გარდასულის გადასატანად.

„მაინც რა ჰკვიანი ხალხი ყოფილან ის ჩინელები, მიწაში დაფლულ კვერცხებს რომ შეექცეოდნენ და ისედაც ვიწრო თვალებს სიამოვნებისაგან ჭუტავდნენ — ისინი ხომ თვით მძლეთამძლე დროით იტკბარუნებდნენ პირს!..." — სევდიანად ქირქილებს ახალგაზრდა ქიმიკოსი იაანი და ულმობელ დროს დუელში იწვევს.

თავის დროზე ესტონურ პროზასა და, კერძოდ, ენ ვეტემაას შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა ქართველმა კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა, და ეს იმ დროს, როცა „ლიტერატურნაია გაზეტას" მრგვალ მაგიდასთან ზოგიერთმა ლიტერატურისმცოდნემ 60-იანი წლების ესტონური ახალგაზრდული პროზა ლამის საეჭვო მიმდინარეობათა ანარეკლად მიიჩნია.

ქართველი მკითხველისათვის უთუოდ მრავლისმეტყველი იქნება თვით ენ ვეტემაას აზრი ზემოთ აღნიშნულ დებატებში გურამ ასათიანის მონაწილეობის შესახებ:

„სიამოვნებით ვიგონებ, თუ რა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენი ქართველი მეგობარი გურამ ასათიანი ესტონური პროზის მიმართ. მახსოვს მისი გონებამახვილური მოსაზრებანი „ლიტერატურნაია გაზეტას" მრგვალ მაგიდასთან. მაშინ გურამმა მისთვის შესაფერისი პრინციპულობით დააყენა საკითხი: „ზოგჯერ კრიტიკოსები აღნიშ-

ნავენ, ესტონური პროზა შედარებით ახალგაზრდაა... უფრო მეტიც — ლოკალური, ნერვული, გროტესკული, პატრიოტულ თემებს მოკლებული პროზაა... გაოცებული კითხულობენ, რატომაა ესტონური პროზა ასე ძალიან ესტონური და ა. შ. ჩემის აზრით, — დასძინა გურამმა, — საკითხის ასე დაყენება არ მგონია მართებული იყოს. მე სწორედ ის მხიბლავს, რომ ესტონური პროზა ესტონურია და პირველ რიგში სწორედ ამითაა იგი ჩემთვის საინტერესო...

გურამ ასათიანი მართლაც ამაღლებული სულის ადამიანი იყო. ეს დიდებული კაცი სიკვდილსაც ღირსეულად და არისტოკრატულად დაუხვდა".

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ენ ვეტემაას პროზა წმინდაწყლის ესტონური პროზაა. იგი, რა თქმა უნდა, გროტესკულიცაა, ნერვულიც და ლოკალურიც (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), ხოლო რაც შეეხება მწერლის პოზიციას, სტილსა და თემათა აქტუალობას, დაე ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

ამირან კალაძე



მისი უდიდებულესობის ტყეებში სეირნობისას ნადირის საკალ ბილიკებზე მახეებს ვაგებდი, ხოლო ტბის სანაპიროზე ნებივრობის ჟამს წყალში ანკესებს ვისროდი.

ა. დიუმა „სამი მუშკეტერი“

I

სიგარეტს მოვუკიდე, სავარძელში მოხერხებულად ჩავეფლე და ასე ნეტარებით მისვენებულმა თვალები მივლულე. მგონი, ხმამაღლაც ჩავილაპარაკე:

„და სძლია იეღოვამ იაკობს და აღაპყრნა იგი სხვათა თავსა ზედა. დიდება შენდა ყოვლისშემძლე იეღოვა! ამინ!...“

სიგარეტმა სასიამოვნოდ გამაბრუა, რადგან აგერ უკვე ორი საათია, სანამ ოთახში იატაკის მხეხავები ჩალიჩობდნენ, მე ბავშვური ჟინიანობით ვიკავებდი თავს მოწევისაგან. იმთავითვე გადავწყვიტე, რომ ჩემს ახალ ბინაში მხოლოდ მარტო დარჩენილს ჩამეყოლებინა გემო პირველი ნაფაზისათვის. ჰოდა, აკი ასეც მოვიქეცი.

ტორშერი გამოვრთე. ქუჩიდან შემოსული რეკლამის შუქი ფანჯრის ფარდებს ელაციცებოდა და ხან წითელღვინისფრად, ხანაც მწვანევაშლისფრად ანათებდა. ბოლოს და ბოლოს, რა ამ ფერების ბრალია, თუ ახლა ისინი არცთუ ისე პოეტურ მიზანს ემსახურებიან და ჩვენ, უკაცრავად და, ჩიტირეკიებს, დაჟინებით მოგვიწოდებენ, რათა გონს მოვუხმოთ და ფული შევინახოთ შემნახველ სალაროში!

ქვემოდან, თითქოს ნატვრაზეო, ხმადაბალი საცეკვაო მუსიკა მოისმოდა... თრთოდნენ საფორტეპიანო აკორდების მსუბუქი ჰორიზონტები! არ ვიცი, სიზარმაცით მოსდიოდა და არ ვიცი დაღლილი იყო — საქსაფონისტი ცნობილი ვალსის მელოდიას უხალისოდ, ჩახრინწული ხმით ადუდუნებდა. ჭერისკენ დაძ-

რული კვამლის რგოლები საღამოს ბინდბუნდში ირეოდნენ წითელღვინისფრად... მწვანეკამლისფრად... ფერთა ლიცლიცს მილულული თვალებით ვკვრეტდი და სწორედ რომ ბუხრის პირას მთვლემარე კატასავით ვნებივრობდი. არა, ღმერთმანი, დასანანია, რომ ამქვეყნიურ სიამოვნებათა სრულად განსაცდელად ჩემი შორეული წინაპრები საერთოდ არ იცნობდნენ კრუტუნის ხელოვნებას.

დიახ, გამოდის, რომ მე, ასე თუ ისე, მაინც მივაღწიე რაღაცას. შესარჩევი ტურები დასრულდა. დასრულდა წარმატებით! ყოველ შემთხვევაში მე ახლა ყველა უფლება მაქვს უზრუნველად წამოკოტრიალდე და ხმამაღლა განვაცხადო: მშვიდობით, ჩემო სტუდენტურო ცხოვრებავ, საერთო საცხოვრებლის ფეხმორღვეულო და ჭრაჭუნა საწოლებო! მშვიდობით, დახრუკულო ტაფის სუნო! მშვიდობით, საერთო ხელსაბანო და სტუდენტურო ღრიანცელო... შენც კარგად მეყოლე, ჩემო სამსაწოლიანო საასპირანტურო ოთახო და იაფფასიანო კარტოფილის პიურევ!

ო, რა საყვარელნი ხართ!... ოღონდ მოსაგონებლად, ოღონდ შორიდან, ჩემო ძვირფასებო... დღეიდან ჩემი ცხოვრება იღებს ახალ ტარტს „ნაცად ოსტატებთან“ საასპარეზოდ... ხოლო სასტარტო იმედები იმდენად ნათელია, რომ ძნელია მათი გამომზეურების ცდუნებას გაუძლოს კაცმა!

ვარ ოცდაათი წლის (არადა, რაც უნდა დამაკვირდეთ, ჰა და ჰა, ოცდახუთისა თუ მეთქმის).

ვარ დიპლომიანი მოქანდაკე... და რაც მთავარია, არქიტექტურის კანდიდატის წოდებით!

უკვე სამი წელია ვარ პარტიის წევრი...

ვცხოვრობ აი, აქ, მხატვართა ახალაშენებულ სახლში.

და მადლობა ღმერთს! — ვარ უცოლო.

ახლა კი უფრო მთავარზე გადავიდეთ: თქვენ ხომ არ გგონიათ, მე აქ იმიტომ დავბინავდი, რომ დილიდან საღამომდე ფერად-ფერადი რგოლები ვაბურაქო? არავითარ შემთხვევაში! ამ კედლებში უნდა დაიწყოს ჩემი ახალი ცხოვრება და მოღვაწეობა! დიახ, სწორედ აქ, აღორძინების ეპოქის ამაღლებულ სტილს თუ მოვიშველიებთ, ფრიად პატივცემული სტუმრები — **პატივი** და **დიდება** უნდა გვეახლონ!

ჰმ! „ნაცად ოსტატებთან ასპარეზობა...“ „ფრიად პატივცემული სტუმრები“... როგორია, ჰა? შეიძლება ახლა, ამ წუთში, ყველაფერი ეს უსუსურადაც კი ჟღერდეს. მაგრამ თვალშეუდგამ მწვერვალიდან რომ გადაიხედავ, უმალ ადიოტურად ლურჯი სურვილი გებადება, რათა დაიყვირო: „ოდეს ღრუბელთა სიმაღლიდან გავყურებ არეს...“ და ა. შ.

სახეზე უთუოდ ღიმილი დამთამაშებდა, როცა დღევანდელ გადმობარგებასთან დაკავშირებული აურზაურის შემდეგ დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, კარგა მაგრად ბნელოდა. საათის ფოსფორიანი ისრები ულვაშებივით გადაპრეხილიყვნენ, ანუ თერთმეტის ათი წუთის საკადრისად განლაგებულიყვნენ. სინათლე ჩავრთე და ოთახი კიდევ ერთხელ შევათვალიერე. ერიჰა! ჯერ სადა ხარ... ყველაფერი-ყველაფერი და ახალი ავეჯის შეძენა, უბრალოდ, აუცილებელია!

კედლიდან ფრაგონარის* „თავადის ასული“ მითვალთვალებდა. მის დანახვარზე ტანში თბილმა ერუანტელმა დამიარა და კარგი ვქენი, თან რომ წამოვიღე-მეთქი. გავიფიქრე. იქ, საერთო საცხოვრებლის ღრიანცელში ჩემზე უფრო, რა თქმა უნდა, ამ გალელ ასულს უკირდა გაძლება. როკოკოს მინაზებულ სტილში შესრულებული მისი ბუდუარული პორტრეტი მუდამ ჩემს თავთით ეკიდა. არადა, ამ რეპროდუქციის გადამკიდე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავმხდარვარ დაცინვისა და ქირქილის ობიექტი... აცვენილ ახალგაზრდა მხატვრებს ვერაფრით ვერ გაეგოთ, თუ მე, ასე თუ ისე ნორმალურ ტიპს, რით მაჯადოებდნენ ეს მაქმანები... მათ საწოლებთან მეტწილად შავი და წითელი ფერების მკვერმეტყველურ ნაზავში აყირავებული გალაქტიკები ინგრეოდნენ, უფრო ხშირად კი იმგვარი ვნებათაღელვანი ბობოქრობდნენ. ახალგაზრდა პოეტების თავისუფალ ლექსებში რომ ვხვდებით... ამგვარი სურათებით ხანდახან ვერთობი კიდეც. მართალია, ისინი ბაზრის ქოთქოთა ბებრუხანებივით გაბეზრებენ თავს (რაც ჩვეულებრივად ახალგაზრდებს აფრთხობს), მაგრამ საკმარისია მცირეოდენი მოთმინებით აღიკურვო, და უმალ თავისთავად დაცხრებიან. ბობოქრობას შეწყვეტენ. საკმაოდ სულელურად დადუმდებიან... ეს ჩემი „თავადის ასული“ კი ბევრად უფრო ეშმაკუნა ვინმე გახლავთ: მის ღიმილში ერთი შეხედვით გულღია კეკლუცობა კი გამოსკვივის. მაგრამ იმის მიღმა იმდენი რაღაცეებია!... მოითმინეთ, ყმაწვილო, მოითმინეთ! ახალგაზრდა საბჭოთა მხატვრის როკოკოთი აგრერიგად გატაცება ხომ, რბილად რომ ეთქვათ, მეტად უცნაურია! არა, რაც მართალია, მართალია, ამ დღეებში მშობლიურ — ჩრდილოურ სტილში შესრულებული რამდენიმე სურათიც უნდა დაიკიდოს კედელზე. თავი და თავი მაინც პირქუში გალწრფელობაა.

სრულიად მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჯერაც არ მივახშმია. სასწრაფოდ წამოვდექი და იმის იმედით, რომ სადმე წახემსებას კიდევ მოვასწრებდი ტანზე გადავიცვი.

ძველი ტალინის დაბინდულ ქუჩებს მივუყვებოდი და ცოტა არ იყოს უცნაური გრძნობები მეუფლებოდა. მე ხომ ემოციათა გონივრულად ხარჯვის მიზნით ჯერ კიდევ როდის გადავწყვიტე თავიდან ამომეგდო და გადამეტებული მნიშვნელობა არ მიმენიჭებინა რაციონალიზმის ეპოქისათვის შეუფერებელი იმ უსარგებლო ცნებისათვის, როგორიცაა „მშობლიური ქალაქი“ და მიუხედავად ამისა, მაინც ძირტკბილას სუნდაკრული შეგრძნება მეუფლებოდა ძეშეცდომილისა... რაც იქნება, იქნება! თუ სენტიმენტალობაა, სენტიმენტალობა იყოს, — გავიფიქრე და მშობლიური ზღვიდან მონაბერი ჰაერი ხარბად შევისუნთქე.

მოსკოვში გატარებული ბოლო შვიდი წლის შემდეგ ტალინის გვიანდროინდელი ტლანქი გოთიკა, რომელსაც ერთ დროს უსუსურ ცინიზმს არ ვაკლებდი, ახლა ისევ საყვარლად და მიმზიდველად გამოიყურებოდა... ეს ძველთაძველი, ხორკლიანი კედლები რაღაც სათუთს და ნაზს მაგონებდნენ. ლირიული განწყობილებით მავსებდნენ... რატომღაც ბეტი ალვერის** ლექსი მომაგონდა, რომელშიც ვირის მერხის უკან ეშმაკი ზის და გაბურძგნული წვე-

---

* ფრაგონარი — ფრანგი მხატვარი (1768 — 1830).

**ბეტი ალვერი — ესტონელი პოეტი ქალი.

რებზე თივამიყრილს ხელში შავი ლაქებით გათხვრილი ქაღალდი უჭირავს.

„გლორიას“ კარებზე აბრა გამოეკრათ: „თავისუფალი ადგილი არ არის!“ მკაცრად გვაუწყებდა წარწერა. კიბეზე სამი ნირწამხდარი ბიჭი იდგა. ბიჭები სწორედ იმ ასაკისანი ჩანდნენ, როცა თავს დაკაცებულად თვლიან, თუნდაც იმიტომ, რომ ამაზე საერთოდ აღარ ფიქრობენ (შენიშვნა: ვინ იცის, იქნებ ამ ფრაზაში სიბერის საწინააღმდეგო რეცეპტიც იმალებოდეს!) რესტორნის კარებზე გამოკრულ აბრას ბიჭები, რა თქმა უნდა, შორიდანვე შეამჩნევდნენ, მაგრამ უთუოდ იხტიბარი არ გაიტეხეს და ისეთი სიფათები მიიღეს, თითქოს ეს გაფრთხილება მათ გარდა ყველას ეხებოდა. ინსტინქტებს მინდობილი ბიჭები ციხე-სიმაგრის შემინულ კარებს ფორსირებული მარშით კი უტევდნენ, მაგრამ სწორედ რესტორნის კარი გახლავთ ის შეუცნობელი წინააღმდეგობა, რომლის წინაშეც ნიუტონის კანონი მასის, სიჩქარისა და ძალის შესახებ ერთბაშად წყვეტს ხოლმე თავის მოქმედებას!

ფიქრში წასულმა ნაბიჯი შევანელე, დღეს ხომ შაბათია, მაშასადამე, ყველგან ასეთი აბრები ექნებათ გამოკრული... სხვა გზა არ იყო, სასწრაფოდ თავდაჯერებული კაცის გამომეტყველება უნდა მიმეღო, რათა ბიჭების წინ მშვიდად გამევლო.

— თქვენ უკვე გელოდებიან! — მომახსენა კარისკაცმა და კარი თავაზიანად გამიღო.

მოყურადებული ბიჭები კიბეზე დაეშვნენ და ღამის ბინდში გაუჩინარდნენ. ამ მოტყუებულ სამეულთან ერთად, რატომღაც საკუთარი თავიც შემეცოდა.

იმათ თუ უარი სტკიცეს, მე რად გამიშვეს? არა, აქ მარტო ტანსაცმელში როდია საქმე. კარისკაცი იმასაც ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ მაინდამაინც „გლორიაში“ დასათრობად თავგამოდებული ამ ლაწირაკებისაგან უფრო მეტ გადასაკვრელ ფულს მიიღებდა, ვიდრე ჩემგან. და მაინც... ეტყობა, სწორედ წითელ-მწვანე ფერთა ლაციცმა და სავარძელში ნებივრობამ დამმუხტა იმგვარი ენერგიით, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიოს კარისკაცები დაყრიდნენ ფარ-ხმალს.

დაკვირვებული ვარ — კარისკაცებთან ურთიერთობისას წმინდაწყლის იდეალისტი ვხდები ხოლმე. ჩემი ღრმა რწმენით, ისინი სრულიად განსაკუთრებულ მეექვსე გრძნობას უნდა ფლობდნენ! ხანდახან კი ასეთი რამეებიც მეჩვენება: აი, თითქოს მე იმ უზარმაზარ მაგიდას ვუზივარ, სადაც საყოველთაო განკითხვის დღე უნდა დაინიშნოს... ხოლო ღვინით გატიალებული არბიტრი უბრალო კარისკაცის კი არა — ყოვლად უზენაესის თვალებით შემომყურებს! ჰოდა, რა გზა გვაქვს — მისი უნეტარესობის თანდასწრებით იმ თავდაცვითი ტირადების ამაოებაშიც ვრწმუნდებით, რაშიც ასე მაგრად გვეგონა საკუთარი პერსონა გამოქექილი. ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ჩვეულებრივად უამრავი დრო მიაქვს ზეციურ სამართალმცოდნეობაში! ვიმედოვნებ, უზენაესი არსთაგამრიგე მსგავს მოსაზრებებს ერეტიკოსობაში არ ჩამოგვართმევს, რამეთუ მისივე ალიკვალი მიწიერი განმგებელნიც არ იწვევენ ჩემში მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას.

რესტორანში ორი მაგიდა აღმოჩნდა თავისუფალი. რატომღაც ისევ წითელ-მწვანე კვამლის რგოლები გამახსენდა... ისევ ღიმილგარეული ფიქრი მი-

ვადევნე მოგონებას: **„და ცეცხლოვანი ასოებით მივაწერდი ცის კაბადონზე დაჰმორჩილდი, მოკვდავო, შენის წარმავალის დიდებითა რესტორნისა კარსა!“**

ცხარე საჭმელებზე თავის არიდების მიზნით „კოევური“ ქათმის კატლეტი მოვატანინე და გემრიელად გეახელით. მერე კი ყავაც შევუკვეთე. მაინც არსად არ მეჩქარებოდა და ვიფიქრე, თვალს წყალს დავალევინებ-მეთქი.

რა დასამალია და ჩვენ მართლაც ლაზათიანად გვეხერხება ხოლმე რესტორნების მოწყობა. მარტო კედელზე მიხატული მუსიკოსები რად ღირს — არქაული და ულტრათანამედროვე ინსტრუმენტების შეხმატკბილებით მშვენიერ რუნებს* რომ აღუღუნებენ, არადა, მათი დაელმებული თვალები იმასაც მეტყველებენ, რომ არც ესენი უნდა ღალატობდნენ ძველთაძველ ტრადიციებს ხშირ-ხშირად გადაკვრის დარგში. და ფრიად საეჭვოა ეს ტრადიცია რამემ შეცვალოს.. ამ მხრივ ჩვენ გამოუსწორებელი კონსერვატორები ვართ!

ჩემი ყურადღება იმ გრძელმა მაგიდამ მიიპყრო, რომელსაც მხოლოდ ქალები უსხდნენ. მგონი, რომელიღაც დაწესებულების იუბილეს აღნიშნავდნენ. დროგამოშვებით ქალებს გვარიანად შეზარხოშებული კაცები ეახლებოდნენ და შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულნი საცეკვაოდ იწვევდნენ. მობარბაცეთა თვალთვალში მშვენივრად ვერთობოდი... დიახ, ტემპერამენტისა და ნაკითხობის შესაფერის პოზაში დაჭერილ სახის ნაკვთებს უნდა წარმოეჩინა ახლა მათი მამაკაცური მომხიბვლელობა. ჩემი აზრით, ქალები, რომლებიც მამაკაცებს საკუთარი გარეგნობისადმი გულგრილობაში გვდებენ ბრალს, საკმარისია ახლა ამ მობარბაცე ჯენტლმენებს დაკვირვებოდნენ და თავიანთ ბრალდებას, ღმერთმანი, უკანვე წაიღებდნენ.

თანამეინახე ქალთა ნახევარზე მეტი ჩემკენ იჯდა. უმრავლესობას შუა ასაკის ფინიშამდე მიეღწია. მათი ჩაცმულობა და უალკოჰოლო მხიარულება კი იმის ნიშანი იყო, რომ ისინი სავსებით ზნეკეთილი მეოჯახე ქალები იყვნენ.

(ამათი ჰორაობა ხვალ უნდა გენახა: „მაგარი დრო გავატარეთ გუშინ, ჰა? ყველაფერი გადასარევად მიდიოდა, ბოლოში რომ კ-ს არ აერია!“)..

მხოლოდ სამნი გამოიყურებოდნენ ახალგაზრდულად. გვერდიგვერდ ჩამომსხდარი ეს ქალიშვილები საოცრად არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთ მათგანს მხოლოდ ცეკვებს შორის თუ მოჰკრავდი თვალს. ეს იყო მკვირცხლი, ლამაზი, შავგვრემანობის წყალობით ოდნავ მოიტალიურო ტიპი, რომელმაც თავისი გარეგნობის ყველა სიკეთე, რა თქმა უნდა, ხუთი თითივით იცოდა. ამნაირ ქალებზე რესტორნებში ჩვეულებრივად „დიდი მოთხოვნილებაა“. ცეკვებს არც მეორე იკლებდა, აი, ის, მარჯვნივ რომ იჯდა, ეს იყო ქერათმიანი, სიმონა სინიორეს მიხვრა-მოხვრის ქალიშვილი, რომელსაც სახეზე ხაზგასმული თავშეკავება აღბეჭდვოდა. ლილისფრად ამოღებილი მისი ქუთუთოები განსაკუთრებით ოფიცრებს ატყვევებდა. ცეკვის დროს იგი მოხერხებულად კი აეკვრებოდა პარტნიორს, მაგრამ მისი თვალები სადღაც შორს, დასაკარგავში იყურებოდნენ... და იყო ამაში რაღაც ტიპიური.

ჩემი ყველაზე დიდი დაკვირვების ობიექტი მათ შორის ჩამჯდარი ქალი-

---

* რუნები — ესტონურ-ფინური ხალხური სიმღერები ალიტერაციული ლექსით.

შვილი გახლდათ. ეს გაწრიპული გოგო. დიდი-დიდი, თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა.

პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს მისი ამაღელვებელი კუდაპრეხილი კიკინები და ტანზე გემოვნებით მორგებული კაბა იყო. მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი! მერე და მერე იმასაც ჩავხვდი, რომ ჩემ წინაშე ყოვლად გამოუსწორებელი კაცთმოძულე იჯდა... მართლა, მართლა! არადა, გული დაგწყდებოდათ, რომ მისი ბავშვური სახე, რომელსაც ზიზღის გამოსახატავად არც ერთი ნაკვთი არ ემორჩილებოდა, მაინცდამაინც საამისოდ ირჯებოდა. ამ გოგოს დაუნდობლად განმკითხველ თვალთაგან ახლა მთელი რესტორანი იყო მსჯავრდადებული! მისი რისხვა იფრქვეოდა ირგვლივ, ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად... ეს ვიღაცაა მაგარი ვინმე დადგება! ადვილი შესაძლებელია სულაც კოსმონავტი გახდეს!... აი, მომავალმა კოსმონავტმა უკვე მესამედ სტკიცა უარი ეგოისტ, ლაზღანდარა, მოდებილო და მდუღარე კუპრში ამოსაწყვეტ კაცებს! მობარბაცე ჯენტლმენებმაც სწორი დასკვნები გამოიტანეს, სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ და ეს ახალგამოჩეკილი ბრალმდებელი უკვე მოთმინებადაკარგული ელოდა ახალ მსხვერპლს. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთიორჯერ მეც კი გამომხედა. ეტყობა, მიხვდა, რომ აწი არავინ თხოვდა, მეცეკვეო. კაცების მოსაგერიებელ, ზიზღში ნალეს იარაღს უმოქმედობისაგან ჟანგი ეკიდებოდა.

ამ ქორფა დიანასთან ცეკვაში ახლა რას არ მივცემდი! წარმოდგენილი მაქვს, როგორ აეღურტულდებოდა... თუმცა ცდებისა და უპერსპექტივო ილუზიების დრო სადღა მქონდა! ავდექი და ისევ მისი ქერათმიანი მეზობელი გავიწვიე საცეკვაოდ.

ადამიანების შორიდან შეფასება რა ადვილია, არა? მე ხომ სტუდენტური წლები საკმაოდ ასკეტურად გავატარე... ხოლო ის პატარ-პატარა „ცოდვები", როცა შურით დამწვარი ბიჭები ოთახს მითმობდნენ, თვითონ კი ერთ ლოგინზე იძინებდნენ, აქ რა მოსატანია! მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი მარტოხელა გავხდი, სხვადასხვა მიწიერ პირობითობათა შორის, ჩემმა სულიერ-არისტოკრატულმა თავშეკავებამაც მოგჭამა ჭირი.

ჩემი აზრით, დიდი ცოდვაა კაცების ბუნებრივ ინსტინქტებს უბრალოდ პრიმიტიულს ვუწოდებდეთ! ქერათმიანი პარტნიორი პირველივე ცეკვის შემდეგ საოცრად ინტელიგენტურ არსებად მეჩვენა. მე უკვე მასში ღრმად მიჩქმალული მრავალი ღირსების აღმოჩენაც მოვასწარი... ცეკვას ხომ ნუ იკითხავთ! — ქერათმიანი მართლაც გადასარევად ცეკვავდა. სინდიოფალასავით მწყაზარი სახის ნორჩი კაცთმოძულე, რა თქმა უნდა, დაუფარავი ზიზღით გვითვალთვალებდა, მაგრამ ახლა იმისთვის ვის ეცალა!

ახალი ბინის ჭერქვეშ შემნახველი სალაროს ნეონური ნათება და ფრაგონარის პაწაწინა რეპროდუქცია, ეტყობა, ჩემზე დოპინგივით მოქმედებდა. ყოველ შემთხვევაში მათი გახსენებისთანავე ახალგაზრდულ ნაკრებში ახალჩარიცხული მოკრივის თავდაჯერება და სახელმოხვეჭილი კრიტიკოსის მჭევრმეტყველება მეუფლებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემი ქერაკულულებიანი პარტნიორი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ახალსახლობაზე მივიპატიჟე, აჰ, არაო... როგორ შეიძლებაო... გაინაზა, რა თქმა უნდა. ორი ცეკვის შემდეგ კი მხოლოდ ორიოდე წუთით შემოვლაზე დამყაბულდა... ეტყობა,

ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ გამოიღო სასურველი ზნეობრივი რეზონანსი „ნოორტე ჰეალში"* დაბეჭდილმა ისეთმა სტატიებმა, როგორიცაა: „სწორად მოიქცა იმბი?" ან „რამ დააყენა ფუქსავატობის გზაზე ლეა?"

მომტანს ერთი ბოთლი „პერნოსა" და შოკოლადის შეხვევა ვთხოვე. ამ კბილებდაკრეჭილმა ვირისოვამ, რასაკვირველია, ყველაზე ძვირიანი შემირჩია. მეც ავდექი და მაშინვე იაფფასიანი შოკოლადით შევაცვლევინე. ამით მომტანსა და ქერათმიანს ერთდროულად ვაგრძნობინე, რომ გამოუსელელ ხიხოსთან არ ჰქონდათ საქმე.

დარბაზიდან გამოსულები ქალთა საზოგადოების განმაქიქებელმა მზერამ გამოგვაცილა („მაგარი დრო გავატარეთ გუშინ, ჰა? ყველაფერი გადასარევად მიდიოდა, ბოლოში რომ კ-ს არ აერია!...")

II

ჩემი ქერაკულულებიანი სტუმარი დილის რვა საათამდე გაუჩინარდა. სხვა რა ჩარა იყო, ოთახში დარჩენილი სუნამოს მძაფრი სურნელება ხარბად შევისუნთქე („Белая ночь" — ფლაკონი 75 კაპ.). წავრგე თავი ბალიშებში და დამატებითი მამაპაპური ძილი გამოვაცხვე.

თერთმეტის ნახევარზე გვარიანად გამოძინებული წამოვდექი. გადავწყვიტე ახალ ბინაში გათეული პირველი ღამის აღსანიშნავად დილის გამამხნევებელი ვარჯიშები შემესრულებინა, ე. ი. გამეკეთებინა ის, რასაც მე ჩვეულებრივად მეორე დღისათვის გადავდებ ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდეგ საკუთარი ენერგიულობით აღფრთოვანებულმა აბაზანაში ნებივრობაც არ დავიკელი, რათა სადღეისო გეგმები სასიამოვნო განცხრომაში დამეწყო.

გადაწყდა! ტოონელტის ნახვას დღეს წყალი არ გაუვა. გუშინ არ იყო, ამ „ფესვდამწვარმა პროფესორმა" (ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ეგ სახელი თვითონ დაირქვა) ქუჩაში რომ შემაჩერა და აუცილებლად მესტუმრეო, მიბრძანა! რა უნდა ნეტავი? იქნებ სამუშაოც შემომთავაზოს, ა? კი ბატონო, რატომაც არა. ერთი სიტყვით, ტოონელთან კარგი ურთიერთობა უნდა დავამყარო. ჩემთვის ასე აჯობებს. ჰმ! მოდი და ნუ გაოცდები — ამდენი ხნის შემდეგ ისევ უნდა შევხვდე იმ ცოცხალ კლასიკოსს, ვისზედაც აქ უამრავ ანეკდოტს ჰყვებიან. უფრო სწორად, ეს იქნება ჩ[illegible] პირველი შეხვედრა პირისპირ! აბა ის როდის იყო — მაშინ ხომ ცხვირ[illegible]ცავი ღლაპი ვიყავი. ტოონელტი რომ ტალინის სამხატვრო ინსტიტუტში ლექციებს მიკითხავდა პირველ კურსზე... მერე მოსკოვში წასვლის ვარიანტიც გაიჩითა (რესპუბლიკის ლიმიტი!) და მშობლიური ქალაქიდან შვიდი წლით გავემგზავრე სასწავლებლად. სწორედ ამის გამო იყო, რომ ტოონელტს ძალზე იშვიათად ვხვდებოდი და ისიც სამეცნიერო სესიებზე, გამოფენებზე და ა. შ. ერთი-ერთზე კი არასოდეს შევხვედრივარ. ნეტავ რა შთაბეჭდილებას მოვახდენ მასზე? უნდა ვცადო! ამ კაცზე ხომ სამომავლოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული... თუ საჭიროებამ მოითხოვა, იმასაც უნდა მივმართო, რასაც ზოგჯერ „პადხალიმაჟს" ეძახიან. თანაც ისეთი

---

* ესტონური გაზეთი („ახალგაზრდობის ხმა")

კულტურული და დახვეწილი ფორმებით უნდა „ვიპადხალიმო“, რომელიც ჩვეულებრივი შემგუებლობის ჩარჩოებს არ გასცდება.

სასაცილოდ გაჩაჩხულ ფეხის თითებს ვაკვირდებოდი და შემგუებლობის პრობლემებზე ვფიქრობდი. კანტი არ იყო, რომ ამტკიცებდა, ინტელიგენტურობა სხვა არაფერია, თუ არა შემგუებლობის ნიჭიო?!... — მოდი და ნუ გაოცდები: კაცობრიობამ ხომ მრავალსაუკუნოვანი გარჯა მოანდომა მლიქვნელური შემგუებლობის დიდ ინტელექტუალურ ხელოვნებად გარდაქმნას და ახლა რა? — თავის პირმშოს ზიზღით უნდა მოეკიდოს?! ისე გამოდის, რომ გაბედულ რისკზე, ცინცხალ ფანტაზიასა და ღრმა განსწავლულობაზე დაფუძნებული ქცევის ნორმები თითქოს რამეში ჩამოუვარდებოდნენ არსებობისათვის ჩალიჩის სხვა ფორმებს. ამ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ის უფრო ემარჯვებათ, კონკურენტი ლამის ძვლებიანად და საზამთრო ქურქიანად შეახრამუნონ, ვიდრე დამაჯერებელი წარმატების გასანაღდებლად შედარებით მსუბუქსა და ჰუმანურ მეთოდებს მიმართონ. მაგალითად: მოხერხებულად იმპროვიზებულ გულაჩუყებას, ხბოს აღტაცებას, ენით გამოუთქმელი გულწრფელობის ფონზე საკუთარი თავის გამათრახების სეანსებსა და ა. შ. არა, მართლა შტერი უნდა იყო, ადამიანური სისუსტეები რომ ვერ გამოიყენო! ბოლოს და ბოლოს, კომუნიზმში კი არ ვცხოვრობთ! შემგუებლობას შეიძლება უკეთილშობილესი მიზნებიც ამოძრავებდეს! ერთი სიტყვით, შემგუებლობაა მეცნიერება, სპორტი და ხელოვნება ერთად აღებული...

თუ არ ვცდები, დაახლოებით ასე უნდა იწყებოდეს ერთი ჩემი ძველი ტრაქტატის ხელნაწერი. ჩვენ ხომ, გარკვეულ ასაკში, კაცობრიობის ჭკუათხელი ნაწილის ბეჭდვითი სიტყვით განათლებას ვისახავთ მიზნად! საკუთარი ტემპერამენტის საკადრისად ვწერთ ქალებზე (სადარბაზოში კოცნაობაზე... ხშირად ალიყურზეც, რომელიც უფრო დასამახსოვრებელია!) ანდა ასევე ბუნდოვან დროსა და სივრცეს ვაანალიზებთ, და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით ვიგონებ იმ დროს, როცა სრულიად ხელუხლებელი თემა აღმოვაჩინე! ავდექი და მლიქვნელური შემგუებლობა რამდენიმე სახეობად დავანაწილე. თანაც ამ საქმეს სრული სერიოზულობით, ანუ პატარა ფილოსოფოსისა და დიდი ბუღალტრის პედანტურობით მივუდექი.

ამ კლასიფიკაციაში შედიოდა: პარტნიორის სისუსტეთა მოსასინჯი „ანალიტიკური შემგუებლობა“, ხელსაყრელ მომენტში გამოსაყენებელი, შენი პიროვნების შეფასებაში თავგზის ამბნევი „მადეზორიენტირებელი შემგუებლობა“, ამას დავუმატოთ ე. წ. „სარკისებური შემგუებლობა“, ე. ი. როცა პარტნიორს შენივე ნებით „ეხსნები“, ოღონდ აგრძნობინებ, რომ ეს „გახსნა“ წინასწარაა გათვლილი. ამ დროს ორ გონიერ ადამიანს საშუალება ეძლევა ღირსეულად გაუგონ ერთმანეთს; შემდეგ მოდიოდა საკუთარი პერსონის გამამხიარულებელი, ე. წ. „ესთეტიზებული შემგუებლობა“ და ბოლოს მლიქვნელური შემგუებლობის ტექნიკის სავარჯიშო, საგანგებოდ დამუშავებული „სპორტული პოდხალიმაჟი“;

მთელი ეს კლასიფიკაცია, თუ არ ვცდები, ოც კატეგორიად მქონდა დაყოფილი და თითოეულ მათგანს შესაბამისი მაგალითებით დახუნძლული ცალკე ქვეთავი ეძღვნებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას ტრაქტატის შემაჯამებელი სტრიქონები, რითაც იმხანად დიდ ვინმედ მომქონდა თავი:

„...ასე და ამრიგად, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შემგუებლობა გახლავთ ის პრაქტიკული უხილავი და საიმედო იარაღი, რომელიც, ჯერ ერთი, მუდამ თქვენს ხელთაა და მეორეც — თავის ძლევამოსილებით ბევრად აღემატება ნებისმიერ სხვა იარაღს (ბაქტერიოლოგიურს, თერმობირთვულსა და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილოსოფიას სულაც არ ეხება, მაინც მინდა საბოლოო დასკვნის სახით შემოგთავაზოთ შემდეგი შეგონება: დაე, ვირტუოზ შემგუებელთან არ დაევიწყებინოთ ეთიკა, დაე, ისინიც მხოლოდ იქითკენ ისწრაფოდნენ, რომ კიდევ უფრო ბედნიერი და ლამაზი გახდეს ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე!“

მაგარია, ჰა? რას იტყვით!

მახსოვს, მაშინ შემგუებლობის შესწავლის მიზნით ამოცანების შედგენასაც მივყავი ხელი, მაგრამ ბოლოს სიკვდილის შემდგომ დიდებას მაინც დღევანდელი კვერცხი ვარჩიე და დაუმთავრებელი ხელნაწერი საწერი მაგიდის უჯრაში ჩავმალე.

დღეს, რა თქმა უნდა, ამის გახსენება სასაცილოა, მაგრამ მაშინდელ ნაცოდვილარს ტვინის ჭყლეტად სულაც არ ვთვლი.

ახლა კი დროა თეორიებიდან პრაქტიკაზე გადავიდეთ-მეთქი, გავიფიქრე და აბაზანიდან ამოსულმა ტანსაცმლის კარადას მივაშურე, რათა ჩემი ავლადიდებისათვის კიდევ ერთხელ გადამევლო თვალი. მერე რა, რომ ჩემი გარდერობი ჯერჯერობით ღარიბულად გამოიყურება; სამაგიეროდ, საპასუხისმგებლო ვიზიტებისათვის შესაფერისი შავი კოსტუმი გვაქვს! თუმცა, არა, ტოონელტმა რომ ასე გამოპრანჭული დამინახოს, ნაღდად გამამასხრებს. თიხით გათხვრილი სპეცტანისამოსით რომ ვეახლო? არა, ეს ნამეტანი გამჭვირვალე სვლა იქნება — ტოონელტი უმალ უსუსურად პრიმიტიულ მლიქვნელს დაინახავს ჩემში...

მაინც შავ კოსტუმში გამოვიპრანჭე და კოხტად დაკეცილი, არცთუ ისე ქათქათა ცხვირსახოცი პიჯაკის გულის ჯიბეში ჩავიკოკრე. ორიოდე წუთის შემდეგ სარკიდან სასიძოსავით გამოპრანჭული ჯენტლმენი შემომცქეროდა. ნამეტანი დენდის შთაბეჭდილება რომ არ დამეტოვებინა და პიჯაკის სამკლავეებზე ოდნავი ნაოჭები მაინც დამემჩნია, მხარმკლავის მოძრაობით სახელდახელო სეანსი ჩავიტარე. ბოლოს კი საკმაოდ მოძველებული ნაცრისფერი პალტო ჩავიცვი და სახლიდან გავედი. კი ბატონო, იქირქილოს ტოონელტმა, დამცინოს რამდენიც უნდა, იმხიარულოს... ძალიანაც კარგი! მლიქვნელობის ამგვარ კატეგორიას თავის დროზე, მგონი, „სასაჩუქრო შემგუებლობა“ დავარქვი. ერთობ ჰუმანური კატეგორიაა, ჩემმა მზემ!

უზარმაზარი მუხის კარის წინ ვიდექი და მიხაროდა, რომ ცოტა არ იყოს, მართლაც ვღელავდი: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ბოლოს და ბოლოს ამ კარს იქით ცხოვრობს ის კაცი, რომლის დონესაც მე ორი ათეული წლის შემდეგ თუ მივაღწიე, დიდი ვაჟკაცობა უნდა.

კარზე დავაკაკუნე.

— შემოდი, რისი გეშინია? — ეგრევე მომახალა თითქმის ორ მეტრზე აწოწილმა, სანახევროდ გახდილმა გიგანტმა. დათვივით გაბანჯგვლულ მკერდზე ოფლის მარგალიტები ასხდა, მომიახლოვდა, სავარჯიშო ორბირთულა ჰი-

ლობზე დააგორა და უზარმაზარი მარჯვენა ისე ღონივრად ჩამომართვა, გული შემიქანდა — ეს რა პაწაწინა ხელი მქონია-მეთქი. ღმერთო ჩემო. აი ნამდვილი სამსონი! რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემ წინაშე მთელი თავისი მონუმენტურობით იდგა ესტონური ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

— ვვარჯიშობ ცოტ-ცოტას... არ ვნებდები სიბერეს!

ჰმ! ტოონელტი და სიბერე? ჯერ ერთი ღერი თმაც არ გათეთრებია და სამი ჩემისთანაც ვერაფერს დააკლებს...

— საშა როგორ არის, საშა! შჩერბაკოვი... ხომ არის კენჭივით!...

პროფესორი შჩერბაკოვი კარგად ბრძანდება და... დიდ მოკითხვას ვიი.-ვლით-მეთქი, ავლუღლუღდი მე. ასეთი აქტიური მიღებით ნირწამხდარმა მეტის თქმა ვერც მოვახერხე.

— გადასარევი კაცია საშა, მაგრამ რად გინდა! — როგორც მოქანდაკე. ღორს რომ უყვარს, იმნაირია... — თქვა და ოდნავ მომწვანო, უცნაურად მოციმციმე ბუს თვალებით (რაღაცით პანსოს* თვალებს რომ მოგაგონებდა) თავით ფეხამდე შემათვალიერა. დაფანჩულ წარბებქვეშ წამით მაცდური ღიმილისნაირი რაღაც გაუკრთა.

ჩემი კოსტუმისადმი დამოკიდებულება ტოონელტს გადაკრულადაც არ გამოუხატავს. ერთბაშად იმის გაფიქრებამაც კი შემაკრთო, რომ ამ კაცის თვალისათვის ჩემში არაფერი არ იყო დაფარული.

— რა, არ მეთანხმებით, თუ?

რა უნდა მეპასუხა. ხმა არ დამიძრავს.

— მართალს ვამბობ, მაშ! კაცი რომ ორბირთულებით არ ივარჯიშებს, სათევზაოდ არ ივლის და თავის დღეში თოფს არ გაისვრის, ის რა მოქანდაკე უნდა იყოს! — თქვა და დათვივით გაბანჯგვლული მკერდიდან გულიანად ამოიხარხარა.

— ერთი წუთით გავალ და რამეს გადავიცვამ, თორემ, ვინ იცის, სოფლელ ტეტიადაც მომნათლოთ. აჰა, ჩემს მოსვლამდე აგერ წიგნებით გაერთე, — მითხრა და კედელზე ჩამოშვებული ფარდა გადახსნა... ოო, აქ მუხის უზარმაზარი თაროები ყოფილა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე, იატაკიდან ჭერამდე, ირგვლივ, ყველგან... მხატვრული ალბომები, ჟურნალები, წიგნები...

— აი ეს დაათვალიერე. გუშინ ვიშოვნე! — მითხრა და მაგიდაზე სქელტანიანი ჟურნალი მოისროლა. ფრანგული ალმანახი აღმოჩნდა... და მე, კაცი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ფრანგული ენის ცოდნას ვიკვეხნიდი, ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი გამოვმტყდარიყავი, რომ სურათებს კი ვხედავ, მაგრამ ნაწერს ვერ ვგებულობ-მეთქი...

— არა უშავს, სხვაცა მაქვს.

რამდენიმე წამიც და ჩემს ხელში იმავე ალბომის იტალიური კამოცემა აღმოჩნდა! ხმა არ გამიღია... მრავალრიცხოვან გრიფებს, სფინქსებსა და კენტავრებს დავყურებდი და ზოგი მათგანი ალბომის პატრონს მაგონებდა...

ტოონელტი ჩასაცმელად გავიდა. თქმა არ უნდა, ამით სულის მოთქმის საშუალება მომცა. საოცარი კაცია ტოონელტი! საკმარისია ერთი შემოგხედოს და თავს გასრესილ მუმლად წარმოიდგენ... ოო, ამასთან თვალთმაქცობი-

* ვოლდემარ პანსო — ცნობილი ესტონელი რეჟისორი.

საგან ღმერთმა დამიფაროს! აქ ისევ სიმორცხვეგარეული საქციელი დალოცოს ღმერთმა! მე შენ გეტყვი, ამის გათამაშება დაგჭირდება, თუ რა? თანაც, რახან სტუმრების მიღება მაინდამაინც ამგვარად ეხერხება — მორცხვები ჰყვარებია და ეგ არის!

— მოდი, აქ დავსხდეთ! — მომესმა ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთახიდან.

მომცრო, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში შევედი. ფანჯრებზე სქელი ფარდები ეკიდა. მაგიდაზე ძველებური წითელაბაჟურიანი ლამპა ციმციმებდა. მოჩუქურთმებულ, მაღალსაზურგიან სავარძელში ჩაფლულმა ტოონელტმა თერმოსს თავი მოხსნა და პაწაწკინტელა ფინჯნები ცხელი ყავით შეავსო. საშინაო, ლილისფერ ქურთუკში გამოწყობილი ტოონელტი ახლა ცბიერსა და ბრძენ აღმოსავლელ მბრძანებელს ჰგავდა. ოთახის მკრთალ განათებას თვალი შევაჩვიე თუ არა, კედლებზე გამოკიდებული ფრინველთა ფიტულები შევნიშნე. ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა: ფიტულების ზუშის თვალები ისეთი იდუმალებით ციმციმებდნენ, თავს ძალად ხომ არ იმკვდარუნებენ-მეთქი, გავიფიქრე. ვაითუ ყველაფერი მშვენივრად ესმით და ჩემი სიტყვების დამახსოვრებას ცდილობენ-მეთქი....

...და ფიტულების ჩუმად თვალთვალში,
ვით მზიან დარში მეხის გავარდნა,
ო, რა საშინლად თავზარდამცემი
მეწვია ფიქრი დაუკითხავად; —
გრძნეულთა ხელით გამოშიგნულ
ამ ფრინველებში
ვაითუ კაცნი იყვნენ-მეთქი
გამომწყვდეულნი,
მაგიის ძალით
სამუდამოდ დატყვევებულნი!...

გამახსენდა სტრიქონები „Atta Troll"-იდან და ამ პარალელის მოხელთებამ, რა თქმა უნდა, ღიმილი მომგვარა.

ყავა მოვსვი. მწარე იყო და სურნელოვანი. ტოონელტი ისევ ქვეშქვეშად მითვალთვალებდა, რის გამოც დირექტორის კაბინეტში გამოძახებულ მოსწავლესავით ვგრძნობდი თავს. ბუხრის თაროზე ძვლისაგან გამოთლილი ფიგურები შევნიშნე... აქაურობა და ორბირთულები ახლა დიდ კონტრასტში იყვნენ ერთმანეთთან. ჩემდაუნებურად ტოონელტის ქანდაკებები გამახსენდა, რომელთაც არა მარტო ათეული წლების წინათ, სამწუხაროდ, აგერ ახლაც, ორმოცდაათიან წლებშიც კი, ფსევდოხალხურად მოიხსენიებდნენ. „სოფლური სიუხვეშე და უბრალოება კი ის ნიღაბია, რომლის მიღმაც პოსტიმპრესიონიზმის შიდა ემიგრანტი იმალება!" — სრული სერიოზულობით წერდა იმ დროს ერთი გაწიწმატებული და სხვათა შორის არცთუ ისე დოყლაპია ხელოვნებისმცოდნე. მაშინ ხომ სიტყვა „იმპრესიონისტი" „რეციდივისტზე" საშინლად ჟღერდა. მიუხედავად ამისა, ტოონელტის წამოკიდება არც ისე იოლი გახლდათ: იგი ჯერ კიდევ ოციან წლებში გახდა კომუნისტი. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ „ყოვ-

ლისშემძლესთან“ დაახლოებულმა ერთმა კაცმა მას ბაღის სამი ქანდაკება შეუკვეთა.

როგორც ამბობენ, თურმე ერთ უსაშველოდ გამოტვინებულ, მაგრამ იმ დროისათვის საკმაოდ ავტორიტეტულ მოსკოველ კრიტიკოსს ჩვენს სამხატვრო ინსტიტუტში რაღაც სკანდალი მოუწყვია. ეს ჩვენი ტოონელტიც ამდგარა და, არც მეტი და არც ნაკლები, ასე მიუხლია:

„ჯერჯერობით კრემლს მეეზოვის საშუალებით ჩემთან მოლაპარაკება არ უცდიათ... კრემლის მეეზოვე უნდა ელაპარაკოს ჩვენი ინსტიტუტის მეეზოვეს! მორჩა და გათავდა!“

ასეთივე შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნია მოსკოვშიც, აი იმ სამი ქანდაკების დამკვეთის სახელზე, და როგორ გგონიათ?! — მრავალრიცხოვან მოშურნეთა გულის გასახეთქად ყურებზე ხახვიც ვერ დაუჭრიათ!

— ასე შეჭირვებულად რატომ გამოიყურებით? ჩემმა ორბირთულებმა ხომ არ დაგაფრთხოთ?... — ღიმილით მკითხა ისევ „თქვენობით“ ფორმაზე გადასულმა ტოონელტმა, — საოცარი ბედი აქვთ მხატვრებს: საკმარისია რომელიმე მათგანმა ცხოვრება ნორმალურად ააწყოს, რომ ხალხი მაშინვე გაოცებული შეაჩერდება... ზოგი, ჩემო ბატონო, სამ ცოლს არ კმარობს, წვერს მწვანედ იღებავს და დრამთეატრის ირგვლივ გალეშილი დაფოფხავს, მაგრამ შენც არ მომიკვდე, — არავინ ყურადღებას არ აქცევს!... მე კი საკმარისია დილ-დილობით მაწონი ვიყიდო და საკუთარ ბაღში ხუთიოდე წუთით წავივარჯიშო, რომ მაშინვე აქირქილდებიან — დახეთ, ჩვენი პროფესორი ჭკუიდან აიწია, იაფფასიანი ეფექტებით პოზიორობსო... თუმცა ჯანდაბას მაგათი თავი! უმჯობესია თქვენს სამომავლო გეგმებზე ვისაუბროთ.

მე გულახდილად ვაღიარე, რომ თუ რამდენიმე ჩანაფიქრსა და თემას სათვალავში არ ჩავთვლით, ჯერ განსაკუთრებული გეგმები არ დამისახავს, ვფიქრობ, სათანადო შემზადებაც მაკლია-მეთქი...

— აგერ ახლა სამხატვრო ინსტიტუტში დამპირდნენ. შემოდგომაზე დაგასაქმებთო და ვნახოთ... — დავძინე ბოლოს.

— შემიძლია ერთი წინადადება შემოგთავაზოთ, — მშვიდად დაიწყო ტოონელტმა, — ქალაქგარეთ, ძმათა სასაფლაოზე, ფაშიზმის მსხვერპლთა მონუმენტი უნდა აიგოს. იმთავითვე ჩემთვის უნდოდათ ეთხოვათ, მაგრამ ერთდროულად იმდენი სამუშაო მაქვს დაწყებული, ვერაფრით თავს ვერ გავართმევდი. მოკლედ, ჩვენი დევები, როგორც იქნა, დიდი ჩიჩინის შემდეგ დავიყოლიე, რომ ეს შეკვეთა საარმასთვის მიეცათ. მართალია, აინი ჯერ მთლად ახალგაზრდაა, სულ რაღაც ერთი წლის კურსდამთავრებული, სამაგიეროდ, უკვე საზრიანი და ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი ჩანს. თუმცა რას გიყვებით, თქვენ ხომ მას მშვენივრად იცნობთ...

თანხმობის ნიშნად თავი კი დავუქნიე, მაგრამ საარმას შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. მხოლოდ გვარი მახსოვდა საიდანღაც, ეს იყო და ეს.

— ამას წინათ ჩემი და აინის საუბარში გაირკვა, რომ მონუმენტზე თქვენი ერთად მუშაობა ყოველმხრივ მიზანშეწონილი იქნებოდა. რაც უნდა იყოს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ბრძანდებით, ასე ვთქვათ, სოლიდური პიროვნება... — ჩაიღიმა ტოონელტმა.

შეუძლებელია ამ თითქმის მეგობრული, თითქოს კეთილგანწყობილი და ნახევრად გამქირდავი ღიმილის სიტყვებით გადმოცემა... ყოველთვის, როცა უფროსი თაობის მხატვრებთან ვსაუბრობ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩვენი წლოვანების განმასხვავებელი ყოველი წელი ჩემი ლატარიის ბილეთი იყოს, მაგრამ ასეთი გაღიმება მასწავლა და გეფიცებით, ბილეთების მთელ დასტასაც არ დავიშურებ. — არა, თქვენ ნაუცბათევად ნუ დამყაბულდებით, — სიტყვა შემაწყვეტინა ტოონელტმა, — საქმე იმაშია, რომ ამ სამუშაომ შეიძლება ბტრებიც შეგძინოთ. არის ერთი საკმაოდ გამოქექილი ბიძა, რომელსაც თქვენთან და აინთან კონკურენტობა აქვს გადაწყვეტილი, ხელოვნების თვალსაზრისით ის, რა თქმა უნდა, არარაობაა, მაგრამ ისე კი... ეს კაცი გახლავთ მაგნუს ტეე!

— მაგნუს ტეე? მაგას როგორ არ ვიცნობ... ერთ დროს „ღვთის რისხვას" ვეძახდით, — გავიხსენე მე.

ტოონელტმა ოდნავ შესივებული ქუთუთოები ზემოთ აზიდა და მუქმწვანედ მოკიაფე ორი ლამპა, ანუ გამჭოლი მზერა მომაპყრო. ახლა იგი იმ მოხუც მომთვინიერებელს ჰგავდა, რომლისგანაც შეიძლება ასეთი რამეც გაიგონო:

„ეს კობრა არც ისე საშიშია, მართალია, მან უკვე ორი კაცი იმსხვერპლა და ჩემი უმცროსი ვაჟიც მოშხამა, მაგრამ მასთან გამკლავება მაინც შესაძლებელია..."

— სხვათა შორის, მთლად გამოუსადეგარი მოქანდაკეც არაა. — გააგრძელა ტოონელტმა, — მაგრამ მას შემდეგ, რაც გზაჯვარედინებზე წამოჭიმული მოოქროვილი ირმები და მკლავზე პურის თავთავებგადაწვენილი მანდილოსნები დაანგრიეს, მაგნუსის ხელოვნებაც გაუგებარი გახდა თითქოს... ჰოდა, რა ექნა? ისიც ადგა და სულ სხვა ფასეულობათა შექმნას მიჰყო ხელი...

ამისთანა გამანადგურებელი დახასიათების შემდეგ გაცინებაც კი ვერ გავბედე, არც თვითონ იღიმებოდა, იჯდა და თავისი უშველებელი არათითით ცხვირის კეხს ისრესდა, — ასე რომ თქვენ თვითონ აწონ-დაწონეთ ყველაფერი...

ერთი სული მქონდა მეღიარებინა. რომ ამ ყოფილი „ღვთის რისხვისა" მე სულაც არ მეშინია, რომ მის ჯიბრზე უკეთ ვიმუშავებ... მაგრამ სწორედ ამ დროს ტოონელტი ერთ-ერთ თაროსთან დაიხარა და ოთახი მაშინვე ფრინველთა ჟივილ-ხივილით გაივსო. ჭიკჭიკსა და ტია-ტიას შორის ერთი-ორჯერ ყელგადაგდებული ბალობაც გაისმა.

— აბა, ეს თუ იცით, რომელია? — მკითხა ტოონელტმა, — ან აი ეს?

გუგულის ხმის გარდა ვერც ერთი ვერ გამოვიცანი და ჩემი მიუხვედრელობა დაუფარავად ვაღიარე.

— დიდი მელა ხარ შენ! მიწაში რა დევს ის იცი და ჩიტების ხმა ვერ გამოიცანი, ხომ? ვინ ჭამს მაგას! — ისევ გაიღიმა ტოონელტმა.

ჩიტები ჟივჟივებდნენ, ჭიკჭიკობდნენ, ბალობდნენ... კედლებიდან კი ისევ ეშმაკურად თავმომკვდარუნებული ბუები მითვალთვალებდნენ...

მაგნიტოფირი დასრულდა თუ არა, ტოონელტი წამოდგა.

— ასე რომ ყველაფერი აწონ-დაწონეთ. სიჭაბუკეში შეცდომების დაშვება საბედისწეროა. შეიარეთ აინთან... და კიდევ აი რა: ესეც მაგნუს ტეეს ეხება — კარგა ხნის წინათ აინს პატარა ინცინდენტი შეემთხვა ე. წ. „ქალთა საკითხში". ჰოდა, ეს ჩვენი მაგნუსიც დღემდე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან,

მის „მორალურ სახეზე“ რომ არ იმსჯელოს. სხვათა შორის, დღეს ტელეფონით შემატყობინა, რომ ამ დილით თქვენი ბინიდან ვიღაც ქალი გასულა... აი, ასეთი კაცი გახლავთ მაგნუს ტეე! და ცხოვრობს იგი სწორედ თქვენს თავზე.

ტოონელტი ოდნავ წინ გადმოიხარა. მისი ღიმილი ახლა „კეთილ ვულკანს“ მოგაგონებდა.

კარის ზღურბლთან ტოონელტი ისევ ტოონელტად იქცა.

— ორფუთიანია! — მიმანიშნა ორბირთულაზე, — ფუთიანიც მაქვს, თუ გინდა, გათხოვებ.

მერე მხარზე ხელი შინაურულად მომითათუნა და კარი ისე სწრაფად მომიკეტა ცხვირწინ, მგონი, ოთახიდან გამოძევებულს ვგავდი....

პატარა ბიჭივით სტვენა-სტვენით მივაბიჯებდი. იქნებ სულაც ტოონელტის მაგნიტოკოლექციაში ჩაწერილ რომელიღაც იშვიათი ჯიშის სკვინჩას ვბაძავდი. რა გადავწყვიტე? რა და შემოთავაზებულ წინადადებას დიდი სიამოვნებით ვღებულობ! რაც შეეხება მაგნუს ტეეს, ანუ „ღვთის რისხვას“ — მაგასთან უსათუოდ სიფრთხილეა საჭირო! ასეთ შემთხვევაში ზრდილობიანი დამოკიდებულებისა და კეთილი სურვილების გადმოსაფრქვევად მასთან სტუმრად მისვლა პირდაპირ მისწრება იქნება. ჩვეულებრივად მოოქროვილი ქორბუდების შემოქმედნი ერთობ გულწრფელი ხალხია, რომლებთან ურთიერთობასაც მე მშვენივრად ვახერხებ. მთავარია, ისინი თავიანთ ახალგაზრდობაზე აქაქანო, შენ კი ამ დროს პირდაღებული მსმენელის პოზა დაიჭირო. ასევე დადებით ეფექტს იძლევა ვითომ რჩევა-დარიგების მიზნით ესკიზების ჩვენებაც. ოღონდ ესკიზები დაუმთავრებელი უნდა იყოს... თუმცა მას შემდეგ, რაც ტოონელტთან ვიბაასე, ეს თავისებურად მშვენიერი მეთოდი, ცოტა არ იყოს, გულისამრევად მეჩვენა.

ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ვიყოთ! საქმეს კი ნაღდად კარგი პირი უჩანს! და თანაც როგორი!..

საზოგადოებრივ ტუალეტში, ანუ „გადაუდებელ საჭიროებათა ჩეჩმაში“ შევედი. დღეს ისეთ კარგ გუნებაზე ვიყავი, „გამარჯვების მოედნის“ ფართე ხელისგულზე ავთვისებიანი მეჭეჭივით წამოზრდილი ეს საპირფარეშოც კი სიმპათიურად მეჩვენებოდა. მწვანე კედელზე მიხატული უზარმაზარი უკანალის დანახვაზე უგერგილოდ მეცინებოდა და ვფიქრობდი, თუ რა საოცრად ენათესავებიან ერთმანეთს თანამედროვე თვითნაბად ხელოვანთა და გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანების თვითგამოხატვის მანერები-მეთქი... ახლა თვითნასწავლ სიტყვის ოსტატებს არ იკითხავთ? — საოცარია პირდაპირ, სულ რაღაც ერთი უბრალო გაუვრცობელი წინადადებით ახერხებენ ისინი არც მთლად მსუბუქი ემოციების გადმოცემას... მავანი ავტორისათვის კი ერთადერთი სიტყვაც საკმარისია, და ისიც სახელობით ბრუნვაში!...

არა, ნაღდად კარგ გუნებაზე ვიყავი!

მე თქვენ მიყვარხართ, ქალებო! უთქვენოდ ცხოვრება დიდი საშინელება იქნებოდა. თქვენ რომ არა, ვინღა მოგვაშავებდა ესოდენ ძვირფას ინფორმაციებს? აბა რომელი კაცი გაუძლებდა საათნახევრიან ლაილაის აინ საარმასა და მის მეუღლეზე, ისიც ფინჯანი ყავის და მარწყვის ნამცხვრის ამარა! ოო, ეს

შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ანეს. ჩემი ბავშვობის მეგობარს. დიახ, დედაბოძივით შეურყეველი პრინციპებისა და ასეთივე ფეხების პატრონ ანეს ეხერხება ეს და ეხერხება მაღალოსტატურად! აი, ახლაც მთელი საუბრის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი ფრაზის ჩაგდება მოვახერხე: როგორც ჩანს, მე და აინს ერთობლივი სამუშაო მოგველის-მეთქი. ეს ის ანეა, თავის დროზე სამხატვრო ინსტიტუტში მოხვედრას რომ ცდილობდა, მაგრამ არაფერი რომ არ გამოუვიდა, გარკვეულ კანონზომიერებათა წყალობით ძალზე ავტორიტეტულ ხელოვნებათმცოდნედ იქცა. ამჟამად იგი ერთ-ერთი გაზეთის კულტურის განყოფილებაში მუშაობს და სხვადასხვა გამოფენის შესახებ სისტემატურად თხზავს მელანქოლიურ რეცენზიებს, რომლებშიც დიდ მხატვრებს შინაურულად, ე. ი. მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს. მავანს კი ზოგჯერ დამთრგუნველად ალერსიანი უპირატესობითაც თანაუგრძნობს ხოლმე: „...იგი ჰეშმარიტი შემოქმედია", მერედა როგორ ეხერხებათ კრიტიკოსებს ამგვარი გამოთქმები! თუ მოეპრიანათ, ამ სამ სიტყვაში იმდენ ზიზღს ჩააქსოვენ, რამდენიც ჩვეულებრივ ჭიგოს აქვს ხოლმე ჩამჭკნარი ოქროცერცვას იმ ჭოტებისადმი, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ მზისკენ მიილტვოდნენ, საცოდავად იკლაკნებიან! მათდამი ზიზღს შიგადაშიგ მკრთალი, გონებამახვილური, ფილოსოფიური, ერთი შეხედვით, კეთილშობილი სევდაც გადაჰკრავს ხოლმე თვით საგნის არსში დაყურსული უსამართლობის გამო: ეს ჭოტები ხომ იქ გამოებმებიან, სადაც სულ არ არის მათი ადგილი, თორემ წესით და რიგით განა ჭიგოზე არ უნდა იზრდებოდნენ?!

ნეტა რას ვაჭარბებ, ამხელა ლექციისათვის ანეს მადლობასაც უნდა ვეუბნებოდე. აკი მისგან შევიტყვე, რომ აინი მართლაც ნიჭიერი მოქანდაკე ყოფილა, ოღონდ ღვინოში ვერააო მთლად დალაგებული. ანეს აზრით, თურმე იშვიათად სვამს, მაგრამ თუ დათვრა, მერე მოგჭამა ჭირი. – აყალმაყალი, ჰაი-ჰუი და ბოლოს, რა თქმა უნდა, მილიცია... ორი თვის წინ სასტიკი საყვედური აუკიდებია, უკანასკნელი გაფრთხილებით. განრისხებულ მაგნუს ტეეს მხატვართა კავშირიდან მისი გაპანღურება მოუთხოვია... ბოლოს, დიდი დავიდარაბის შემდეგ, ისევ ტოონელტს გადაურჩენია...

გარდა ამისა, აინს თურმე იოტისოდენა პრაქტიციზმიც არ ჰქონია. მაგალითად, რამხელა დოყლაპია უნდა იყო, რომ ყოფილ მოდელიორს, თანაც არქიტექტორ კიომეცის საყვარელს თავი გაამასხარავებინო!... არადა, ეს კლანჭებდალესილი კალკულატორი „შესახედავად მაინც ჰგავდეს რამეს!..." გაუთხოვარ ქალებთან საუბრის დიდი გამოცდილების ბრალი თუა, რომ ანეს ამ ბოლო ფრაზას სრულებით არ გავუოცებივარ. შინაბერების გავრცელებული აზრით ხომ მთელი ქვეყნის მამაკაცებს პირი აქვთ შეკრული და ჭკვიან ლამაზმანებს იმიტომ გაურბიან, რათა პათოლოგიურ მახინჯებზე დაქორწინდნენ...

ანეს კომენტარები დამახსოვრებით კი დავიმახსოვრე, მაგრამ მათი გულთან მიტანაც არ ღირდა. მე ხომ აინთან და მის ცოლთან სამეგობროდ ვემზადებოდი! ზოგჯერ ადამიანებისა და საგნების ძირის-ძირამდე ცოდნა არცაა საჭირო. მაგალითად, ბავშვობაში ლოყების გამღაღაჟებელ ჰემატოგენზე მანამდე ვგიჟდებოდი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ამ სამკურნალო ნუგბარის დამზადების ტექნოლოგიას არ გავეცანი!

ნასადილევს მე უკვე საარმას სტუმარი ვიყავი, ამისათვის მხოლოდ კიბის ოცდაოთხი საფეხურის ავლა შეიქნა საჭირო — ჩვენ ხომ ყველა ერთ სახლში ვცხოვრობთ...

ევა საარმა ერთი კოპწია, საკმაოდ პირმშვენიერი ქალი გამოდგა, ვნებიან ტუჩებთან ერთად თითების მოუსვენარი მოძრაობითაც რომ გეცემოდათ თვალში. მისი თითები მხოლოდ ამა თუ იმ ფრაზის ბოლოს ქვავდებოდნენ თეატრალურად, რათა მომდევნო ფრაზაში ისევ ნერვიულად ატოკებულიყვნენ. აღგზნებული ჟესტიკულაციით დამუხტული ახალი ფრაზა კი უმრავლეს შემთხვევაში ასე იწყებოდა: „როგორც მე და აინმა გადავწყვიტეთ...“ ევას ნაცრისფერი, მკაცრად კორექტულ თარგზე გამოჭრილი კოსტუმი მის მაღალ გემოვნებას სულაც ვერ ადასტურებდა. მართალია, ერთი შეხედვით, საზრიანი ქალის შთაბეჭდილებას კი ტოვებდა, მაგრამ მისადმი დიდი აღტაცებით განვეწყვე-მეთქი, რომ ვთქვა სწორი არ ვიქნები, და ეს ანეს კომენტარების, ან ევას ლაპარაკის მანერის ბრალი არ გეგონოთ, რომელშიც ერთ სიტყვასაც ვერ ჩაურთავდით. ევა ხომ ახალ-ახალ ფრაზებს ოქროს სამკაულებივით გთავაზობდა, თანაც თვალსაჩინოების მიზნით დამღითა და სინჯით ზეამობრუნებულს... არა, ყველაფერი მოგონების ბრალი იყო. მე მაშინ ჩვიდმეტი წლისაც არ ვიყავი...

სამწუხაროდ, ეს მოგონებაც პიკანტურთა რიგს განეკუთვნება.

ერთხელ სასკოლო არდადეგებს ჩუდის ტბის სანაპიროზე ვატარებდი. ჩვენი ბანაკის ხელმძღვანელი ერთი ახალგაზრდა, ოცდაათ წელს მიტანებული ქალი იყო, რომელიც ახლა რომ ვადარებ, ევას ჰგავდა ძალიან. საშინლად მკაცრი ვინმე იყო: ვარჯიშის, საუზმისა და სადილის გრაფიკს მუდამ განუხრელად იცავდა ხოლმე. „მკვდარი საათის“ შემდეგ კი ჩვეულებრივად „კულტურულ-აღმზრდელობითი“ ხასიათის გართობებით ვყავდით დაკავებული. მისი ხმა ორად-ორი რეგისტრისაგან შედგებოდა, პირველი: ხაზგასმულად გამამხნევებელი, გულისამრევად კეთილგანწყობილი და შინაურული — „მე თქვენ, ბავშვებო, სიურპრიზი მოგიმზადეთ. დღეს ჩვენ ჩავატარებთ რას? — **ვიქ-ტო-რინას!** რაში? — რუსულ კლასიკურ **ლიტერატურაში!**“ და მეორე: დაუნდობელი, სკალპელივით ცივი: — „დღეს თქვენ პიონერულ მწკრივზე მთელი სამი წუთით დააგვიანეთ!“ ორივე რეგისტრი იმდენად საზიზღრად ჟღერდა, რომ ჩვენი ბანაკი სასკოლო კი არა (თუმცა აქ მოსწავლეებთან ერთად ჩვენზე ბევრად უფროსი ხალხიც ისვენებდა), სამხედრო ყაზარმას უფრო ჰგავდა.

გამოსათხოვარი საღამოს აღსანიშნავად დიდი კოცონი ავაგიზგიზეთ. კაცებმა სოფლიდან მთელი კასრი ლუდი მოაგორეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე აეწყო, რომ დღეს „ლუდკულტურული გართობა“ არ აგვცდებოდა. უცნაური კი იყო, მაგრამ ჩვენს ტირანს, საყვედურიც არ დასცდენია. ალბათ, დამლევი რომ ბევრი იყო და კასრი პატარა, იმიტომ. ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტე დღეს ჩემი ხელმძღვანელის ჯიბრზე დავმთვრალიყავი. მერედა რა ადვილი აღმოჩნდა ეს — სასმელი თვალის დახამხამებაში მომეკიდა. გაცოფდა, მაგრამ რა გაცოფდა ჩვენი ტირანი! კაცები სულ ლანძღვა-გინებით აიკლო, ეგ რა გიქნიათ, მცირეწლოვანი გაგიბრიყვებიათო (NB!) და იქაურობას დაუყოვნებლივ გამარიდა. ტირანმა ბანაკის ბოლოში მისთვის საცხოვრებლად დადგმულ ერ-

თადერთ ხის ფარდულში შემამწყვდია და კარს გარედან ბოქლომი დაადო. თვითონ კი მოზეიმე კოცონთან დაბრუნდა. მაშინვე მკვდარივით ჩამეძინა. ღამის ორ საათზეღა გამომეღვიძა და მთვარის შუქით განათებულ ოთახში გულამოვარდნილი შევყურებდი, თუ როგორ იხდიდა ჩემი ტირანი...

ის ღამე, რასაკვირველია, თეთრად გავათენე. ხოლო მეორე დღეს, დილის რვა საათზე (დღესასწაულთან დაკავშირებით ერთი საათით გვიან) მე უკვე მოვარჯიშეთა საერთო მწკრივში უძილობით თვალებჩასისხლიანებული ვიდექი და სკალპელივით ცივი ხმის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელი მივლიდა: „გავშალოთ ფეხები, ერთი-ორი! შევაერთოთ, სამი-ოთხი! გავშალოთ! შევაერთოთ! ერთი-ორი, ვოორე, რატომ არ შლით ფეხებს! სამი-ოთხი...“ და არც ერთი ალერსიანი თვალის გადმოკვრა!

დილის ათ საათზე მე უკვე ბანაკიდან სახლისაკენ მიმავალი ავტობუსით მივჯაყჯაყებდი. მახსოვს, ფერდაკარგულსა დ ქანცგაწყვეტილს გულზე მაზიდებდა და მთელი ქვეყნის ქალები თავბრუდამხვევ მორევად მეჩვენებოდა. მართალია, მას შემდეგ მოხმარების საგნად არავის არ გავუხდივარ, მაგრამ როგორც კი იმ ჩემს რომანტიულ პირველ ღამეს გავიხსენებ, ბოღმა მაღრჩობს! კაცი ვერ იტანს, თუ ქალი ისე მოექცა, როგორც თვითონ ექცევა ხოლმე ქალს! სხვათა შორის, ის ქალბატონი ამჟამად უზარმაზარი ფიგურა გახლავთ ტურიზმის დარგში (არა, მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს კარიერისტების ,დაუძინებელი მტერი ვიყო, უბრალოდ, სტანდარტულად ტიპიურ კარიერისტებს ვერ ვიტან). ევას ლაპარაკი და მანერები საბავშვო ბაღის იმ ვინეგრეტს მაგონებდა, რომლისგანაც ბავშვობაში ისევ და ისევ ჩემი ღორმუცელობის გამო მოვიწამლე.

— უსუსური ლოთების ჯოგი! — აი, ასე მოკლედ დაახასიათა ევამ ახალგაზრდა მხატვრები, — გადაყლურწავენ ას გრამს და გიყვარდეს! მოჰყვებიან ქაქანს თავიანთ გეგმებზე. ორას გრამზე მშობიარე ქალის ტკივილებს აღიბეჭდავენ სახეზე, ხოლო სამას გრამზე უკვე ყველაფერი იციან! (თითები წამით ეფექტურად ქვავდებიან). მათ უკვე მიაგნეს იმ ერთადერთ ხაზს, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებდნენ! იმ ხაზს, რომელიც სურათს სურათად აქცევს და ა. შ. ისინი ახლავე, ახლა კი არა, ამ წუთშივე თავიანთ სახელოსნოებს მიაწყდებიან და დაწყებულ სამუშაობს გააგრძელებენ... მაგრამ შემდეგ კიდევ ასი გრამი მოდის და ისინი მართლაც მიდიან, ოღონდ ამჯერად მამალმიხატულ კარებისაკენ! და ნახევარი საათი არწყევენ. მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყება: ისევ ძველი ბაიათები, ისევ ბობოქრობენ, ეძიებენ, ჰპოვებენ და ბოლოს, რა თქმა უნდა, ისევ უნიტაზთან მთავრდება ყველაფერი!

ანესაგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, რომელიც აინის სიმთვრალესაც შეეხებოდა, ევას პოზიცია მეტად უცნაურად მეჩვენებოდა. ოო, ქალბატონო, თქვენ შემთხვევით მორალურ-აღმზრდელობით სეანსს ხომ არ გვიტარებთ? ამაოდ ირჯებით, გეთაყვა. უნდა მოგახსენოთ, რომ მათრობელა სასმელებს ჩვენ ზედმიწევნით ზომიერად ვღებულობთ! ახლა აინს არ იკითხავთ? იგი თავისთვის იჯდა და ცოლს თვალებში შესციცინებდა. დიახ, კი არ უსმენდა — შესციცინებდა. და, ცოტა არ იყოს, ქმრისთვის შეუფერებელი აღტაცებითაც კი შესციცინებდა. ღმერთმანი, კარუსელის წინ დაყუდებულ სოფლელ მეთევზეს ჰგავდა. კი, აინს მე განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ვუთვალთვალებდი: იშვია-

თად, ძალზე იშვიათად თუ შეხვდებოდით ასე შეუხედავ, უფრო სწორად, ასე უფერულ ადამიანებს. წარმოიდგინეთ პატარა ტანი, ჩავარდნილი კისერი და ზედ შემოდებული არაპროპორციულად უზარმაზარი თავი. ძალზე დაბალზე შეკრეპილი (უთუოდ ევას ბრძანებით) შეთხელებული ქერა თმა და ... ნეტავ არ დამენახა! — ფეხსაცმელზე გადმოპორწიალებული ნიფხვის საკოჭური! ყოველივე ამის შემდეგ აინი ჩემდაუნებურად იშვიათ ეგზემპლართა სიაში ჩავუშვი. საოცარია პირდაპირ — მავანი მხატვრისათვის გონჯური სიფათი ერთგვარი პრივილეგიაც კია! საკმარისია ასეთმა ტიპმა არაუშავს, ისეთი რამე შექმნას, რომ ეგრეევე განუმეორებელ ტალანტად მონათლავენ. ნათლიებად კი, როგორც წესი, ხელოვნებისაგან ძალზე შორს მდგარი ადამიანები მოგვევლინებიან.

ასეა თუ ისე, აინ საარმა, ეტყობა, მართლა ნიჭიერი ბიჭია. ტოონელტი მაინც არ შეცდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ასეთ სოლიდურ შეკვეთას ბარეორი ვერ ეღირსება!

ნეტავ დღემდე რა აქვს გაკეთებული-მეთქი, სულ ეს კითხვა მიტრიალებდა თავში. მე ხომ მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ესტონელ მხატვართა ცხოვრებას მთლიანად მოწყვეტილი ვიყავი. მართალია „Sirp ja Vasar"-ი* კი მქონდა გამოწერილი, მაგრამ, ათასგვარ გამოფენებზე სირბილისა, უცხოური ჟურნალების თვალიერებისა და სტუდენტური ცხარე კამათების შემდეგ ესტონური პრესისათვის აღარც დრო მრჩებოდა და აღარც სურვილი. რა დასამალია და, ესტონეთი უკვე შორეულ პროვინციად მეჩვენებოდა.

— **დიახ**... — არ ცხრებოდა ევა, — დიუმამ, სამასი რომანი დაწერა, ჰაიდნმა ასზე მეტი სიმფონია... ამის გაფიქრებაზე ხომ უნდა წითლდებოდე, არა? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი საუკუნის ათინას მუზარადის ნაცვლად ხელში კოქტეილით სავსე ჭიქა უჭირავსო... ამგზნები აბებით ჯიბეგამოტენილი ჩვენი ეროსი კი, მაპატიეთ და, მამაპაპურად ხვრინავს... უძლურება, ბუზღუნი, სკეპსისი!...

„ხოლო ელექტროღუმელთან მოკალათებული ჩვენი კერიის გამღვივებელნი შავი ყორნებივით დაგვჩხავიან და სულ მუდამ გაკაპასებულნი სრულ უძლურებას გვიწინასწარმეტყველებენ". აი, რისი თქმა მინდოდა, მაგრამ უმალ კვერი დავუკარი.

— ჭეშმარიტად ასეა! ვაი, რომ ბუნებრიობა და ძალისხმევა ახალგაზრდებს მართლაც გვაკლია. ეს ყველაფერი თავზე გადამდის-მეთქი, სამწუხაროდ ვერც მე დავიკვეხნი, თუმცა ყველაფერზე მაღლა სწორედ მათ ვაყენებ... ის კი არა, ბუნებრიობის უპირველეს კრედოდ აღიარების გამო ზოგჯერ დაცინვის საგანიც [illegible]. საერთო საცხოვრებელში, მაგალითად, ჩემი საწოლის თავთით მუდამ [illegible]ავებული გალაქტიკები და დაუცხრომელი ენებათაღელვანი ეკიდა. ზეთში შესრულებული, რასაკვირველია. ეს გალაქტიკები იქნებ წითელი და შავი ფერების გულუბრყვილო ნაზავის გამო იღუპებოდნენ, მაგრამ...

— მაგრამ გულუბრყვილობის ფასი რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე! — სხარტად მომიჭრა ევამ.

— დიახ, — მაშ-ნვე დავეთანხმე მე, თუმცა იმ წუთში სულ სხვა გულუბრყვილობას ვგულისხმობდი, — მეამაყება, რომ კოხტაპრუწობას ჯერ კი-

* ესტონური გაზეთი.

დევ სტუდენტობისას ვერ ვიტანდი. სხვათა შორის იქ, ჩვენთან, მოსკოვში როკოკოთი გაგიჟებული სნობებიც იყვნენ. აი ისეთები, ფრანგონარსა და მის მსგავს ვაუბატონებზე რომ ირევიან, ზოგს თავის საწოლ ოთახში ყვავილებისა და მაქმანების მთელი გამოფენა ჰქონდა მოწყობილი. თანამედროვე მხატვარმა ეს უნდა იკადროს? პირველ რიგში განა პირქუში გულწრფელობა არ უნდა იდგეს?!

— ო, როგორ მიხარია, რომ თქვენ და აინმა ერთად უნდა იმუშაოთ. რამხელა ბედნიერებაა, არა?

— დიახ, საოცრად კარგია, — აღტაცებით დავეთანხმე მე.

— საოცარია, — დაგვეთანხმა აინიც.

— დიახ, ნამდვილად საოცარია და კარგი რამაა! — წერტილი დაუსვა ევამ და ჩვეულებისამებრ გაირინდა.

ერთი გადახარხარება ქვეყანას მერჩია, რომელიღაც პერსონაჟი გამახსენდა (მგონი, ტამსაარედან*). ერთთავად „მართალია, მართალია! კი, ნამდვილად მართალია!"-ს რომ გაიძახის.

— თქვენ აქ ცოტა ხანს ხელოვნებით წაიხემსეთ, მე კი, გულზე რომ არ დაგადგეთ, იქნებ ყავა მოგიხერხოთ, — ომახიანად გამოგვიცხადა ევამ. მსგავსი განცხადებები, ეტყობა, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესიდან გამომდინარეობდა. მერე ხელში რაღაც ალბომი მომაჩეჩა და სამზარეულოში გავიდა.

— სტუდენტური ნაცოდვილარებია, სანახავადაც არ ღირს! — ჩაიდუღღუნა აინმა და თმაზე ხელი გადაისვა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მოკლედ შეკრეჭილი თმა ისევ ყალყზე დადგა.

აინ საარმას ქანდაკებათა ფოტოსურათებს გადავხედე თუ არა, პირველივე ნამუშევრებმა გამაოცა.

ყოველი ეპოქა საკუთარ ნოვატორულ ფორმებს კი წარმოგვიჩენს, მაგრამ რით განისაზღვრება შემდგომში მთელი ეპოქის სახე, ეს სხვა თავსატეხია... ეჭვს არ იწვევს, რომ თუ მუშაობას იმთავითვე ძველი არსენალიდან ნასესხებ, ნაცად მანერებზე დაყრდნობით დაიწყებ, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულ წრეებში იქნებ ნიჭიერის სახელიც კი დაგანათლონ. მე პირადად მოდურების საკითხი უფრო მაინტერესებს... Даже Неизвестный мне известен! ახლა ხომ ახალგაზრდა, მოდურ მოქანდაკეთათვის დეკორატიულობა, ფაქტურის განზრახ გაუხეშება და თავისებური ნეოკუბიზმია დამახასიათებელი. აინის ალბომს ვათვალიერებდი და თვალნათლივ ვგრძნობდი, რომ იგი საყოველთაო და საერთო მდინარებას განზე გასდგომოდა, სწორედ იმ მდინარებას განრიდებოდა, რომელთანაც პირადად მე, გარკვეული მიზეზების გამო, მყარი შეხების წერტილები მაკავშირებდა. მისი ალბომიდან გულჩათხრობილი, გაავებული, ერთი შეხედვით, სახეგადაყინული პორტრეტები მომჩერებოდნენ. დეკორატიულობა რა სათქმელია! — აქ უმეტესად მორიდებულობა იგრძნობოდა...

ბოლოს, სადიპლომო ნაშრომსაც მივადექი. ამ ყოვლად უცნაურ ნამუშევარს სათაურიც უცნაური ჰქონდა: — „ხბოსმკვლელი".

მიწაზე ფეხებშებორკილი, გაძვალტყავებული ხბო იდგა, რომელსაც ასევე გაძვალტყავებული და სახეგამეხებული, მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობი-

---

* ანტონ-ჰანსენ ტამსაარე — ესტ. კლასიკოსი მწერალი.

ლი, დანამომარჯვებული ბიჭი წასდგომია თავს... ხბო — შიმშილით გაძვალ-ტყავებული, ბეწვებგაცვენილი, იქნებ ქეციანიც... ბიჭი — შიმშილით გაძვალ-ტყავებული, თმაგაცვენილი, იქნებ ქეციანიც... საშინელი თემის საშინელი გა-დაწყვეტა! უფრო ამაზრზენი კი ისაა, რომ ამ უცნაურ ნახატში ხარვეზების გვერდით დაკვირვებული თვალი მოულოდნელ კანონზომიერებასაც აღმო-აჩენს: — საკმარისია მასში რამე ოდნავ შეცვალო, ან შეასწორო, რომ ყველა-ფერი ერთბაშად გაუფერულდეს, თავდაყირა დადგეს! იცოდეს მაინც ამ ბე-დოვლათმა, რა მაგარი რამე გამოსვლია-მეთქი, გავიფიქრე და ჩემდაუნებურად თვალი მისკენ გავაპარე.

— მე... გავალ ერთი.. ფინჯნების მოტანაში წავუკრავ ხელს... — ისევ დაბნეულად წაიბუტბუტა აინმა, მერე მთელი ტანით ჩემკენ შემობრუნდა და განსაცვიფრებლად ალალი ღიმილით მომმართა: — იცით, მე ჯერ კიდევ უხერ-ხულობა მეუფლება ხოლმე, როცა ჩემს ნამუშევრებს ჩემივე თანდასწრებით ათვალიერებენ... — მოულოდნელად აინის სახეზე ალალი ღიმილის ნაკვალევი გაქრა — სად დაიკარგა ამდენ ხანს ეს ქალი! — თქვა და სამზარეულოს კარებში გაუჩინარდა.

ფოტოსურათებით ნამდვილი ქანდაკების აღქმა ძნელი კია, მაგრამ მე მა-ინც ვათვალიერებდი... ვათვალიერებდი და ვფიქრობდი. გარეგნულად აქ ყვე-ლაფერი პრიმიტიული რეალიზმის ფარგლებში იყო მოქცეული, მაგრამ ამ მოჩ-ვენებითი სანახაობის მიღმა მესამე პლანის მაჯისცემაც იგრძნობოდა.. ლაქს-ნესის „დამოუკიდებელი ადამიანები“ გამახსენდა. ამგვარი ასოციაციის გა-მომწვევი მიზეზები აქ უთუოდ არსებობდა. იყო რაღაც სხვაც... და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მებნეოდა თავგზა. წამით, ისიც კი დავიჯერე, თითქოს აინი, ის დანამომარჯვებული ბიჭი და ხბო — დიახ, თქვენ წარმოიდგი-ნეთ ხბოც კი! — ისეთ ერთადერთსა და შთამბეჭდავ რაღაცაშია განსხეულე-ბული, რისი გააზრებაც მე მხოლოდ ბუნდოვნად შემიძლია-მეთქი... ღმერთო, შენ გვიშველე! ვითომ საგნები თავისთავში?... კარგი ერთი, მეც რას ვაზვია-დებ!

როგორც სახელდახელოდ ავხსენი, ამ ნაწარმოებში იგრძნობოდა პრო-ტესტი რაღაც უკიდეგანოსა და მარადიულის წინააღმდეგ, მაგრამ კონკრეტუ-ლად რის წინააღმდეგ, ამის მოაზრებას ვერ ვახერხებდი. არა, მაგარი ნამუშე-ვარი როა, აქ ორი აზრი არ არსებობს! ის კი არა, აინის მიმართ შურიც კი ვიგრ-ძენი. ვაითუ მოდურ ლაკონიზმს სულ ტყუილად ვებღაუჭები-მეთქი, გამიელვა თავში.

ცოტა ხნის შემდეგ ახალი თავსატეხით აფორიაქებულმა ალბომი კიდევ ერთხელ გადავათვალიერე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აინისა და ჩემი ერთად მუშაობა არაფრით არ გამოვიდოდა. ამნაირ მოქანდაკესთან ერთად ამ-ხელა შეკვეთაზე მუშაობა ერთგვარ რისკთანაც იყო დაკავშირებული. მარტო ის რად ღირს, რომ მოოქრული ქორბუდების ავტორები დაუნდობელ კონ-კურენციას გიცხადებენ. აინის პირქუში ქანდაკებები გამოფენებისთვის კიდევ ჰო! ჰო კი არა — ნაღდად გამოდგება! მაგრამ აინი და მონუმენტი?! ის მონუ-მენტი, რომლის ესკიზებმაც დამტკიცებამდე უამრავი ინსტანცია უნდა გაია-როს?! არა, ძმაო, მონუმენტი შენ ხუმრობა არ გეგონოს. აქ პირველ რიგში მა-

სიური მაყურებლის გულამდე მისასვლელი გზაწვრილებია საძებარი. მონუმენტი უნდა იყოს ოდნავ დეკორატიული, ოდნავ პათეტიური და, რაც მთავარია, არაორაზროვნად მებრძოლი!... ე. ი. ისეთი, როგორიც აინის ნამუშევრებშია წარმოდგენილი. მოულოდნელად მისი გულუბრყვილო, ცისფერი თვალები და არაპროპორციული ვეებერთელა თავი წარმოვიდგინე, მერე მის შესახებ ანეს მონათხრობიც გავიხსენე და ვიგრძენი, რომ ვღელავდი. ეს ბიჭი ისეთი კერკეტი ვიღაცა ჩანს, არავის არაფერს დაუთმობს... ტოონელტს მაინც რისი იმედი აქვს? თუმცა გასაგებია, შეუდრეკელი ტოონელტი ხომ მთელი ცხოვრება რისკზე მიდის... მე კი ასეთი რამეებისაგან ღმერთმა დამიფაროს!

და რაც მთავარია — ჩვენ ხომ, როგორც მოქანდაკეები, სრულიად განსხვავებული ხელწერის ხალხი ვართ. როდის იყო, ორი მზარეულის ხელში გემრიელი კერძი გამოდიოდა! არა, ჩვენი ერთად მუშაობა ვერ წარმომიდგენია! ფუნქციებიც როგორ უნდა დავინაწილოთ ნეტავ!...

აინმა ყავადანი და ორაგულის ნაჭრები შემოიტანა.

— ყოჩაღ შენ! სადიპლომო ნამუშევარი მაგრად გამოგსვლია, — შეეეცადე ორ სიტყვაში მომექცია მთელი ქება-დიდება.

— სოფლელი რომ ვარ, იმიტომ თუ გამომივიდა ასე ბუნებრივად, — მომიგო ჩემი გადაუჭარბებელი ქებით აშკარად ნაამებმა აინმა.

ამ დროს ევაც შემოვიდა.

— სანაძლეოს ჩამოვდივარ, თუ თქვენ ალებასტრიდან გამომზირალ ჩემ მშვენიერ ფიზიონომიას ეს სადიპლომო საზიზღრობა არ გერჩიოთ! არა, ყველა ასე ერთნაირად გულქვები როგორ ხართ მაინც!... ეხ, კაცებო, როგორ გაკლიათ გალანტურობა! — დაგვიცაცხანა ევამ.

— თქვენს პორტრეტს როგორღა შევნიშნავდი, როცა ასლი ასე თვალშისაცემად ჩამორჩება ორიგინალს! — ჩავაბულბულე საუკუნის ყველაზე გაცვეთილი ქათინაური.

— გაიგონე, აინ? უსმინე და დაიმახსოვრე! თქვენა ხართ ერთადერთი მოქანდაკე ამქვეყნად, ვისაც მე თავაზიანობა შევნიშნე, ამიტომ ნება მიბოძეთ, ჩემი ხელით ყავაც დაგისხათ და შაქარიც ჩაგიყაროთ. დღევანდელი ახალგაზრდები ხომ სულ ტოონელტის ნამოწაფრებია, მაგათი მძიმე ქვითინაურები მხოლოდ მარმარილოს სამტვრევად თუ გამოდგება! ჰო, მართლა, ის თუ იცით, ტოონელტმა ცოლი როგორ შეირთო?

— არა, მე ეს არ ვიცოდი და, ცხადია, სმენად ვიქეცი. თანაც ალბომიდან ევას სურათი ამოვიღე და მოჩვენებითი ყურადღებით შევათვალიერე. საკმაოდ უღიმღამო პორტრეტი იყო. მას აკლდა ის, რამაც დანამომარჯვებული ბიჭი და ხბო თითქმის შედევრად აქცია, ანუ ის, ურომლისოდაც აინი უსუსურ დილეტანტად გამოიყურებოდა.

— იმ წლებში ტოონელტი თავის სახელგანთქმულ „მეკარტოფილეებზე“ მუშაობდა, — დაიწყო ევამ, — აი, ის ორი წინწაბრილი ქალის ფიგურა, გახსოვს ალბათ. ჰოდა, მათ შორის უფრო ახალგაზრდის გამოსაქანდაკებლად მოდელიორს რომ ეძებდა, ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, კაფე „კულტასში“ თავის მომავალ შარლოტას გადაეყარა. ასე არ ეძახიან მოქანდაკეები თავიანთ ცოლებს? მეც შარლოტა ვარ, სხვათა შორის. მოკლედ, როგორც კი ტოონელ-

ტმა ამ უცნობ ქალიშვილს თვალი მოჰკრა, არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ მის მაგიდას მიაშურა და გვერდზე გაიხმო.

„მე თქვენ მჭირდებით, ქალიშვილო", — ეუბნება ტოონელტი.

„მე?!" — ეკითხება გაოცებისაგან თვალებგაფართოებული ქალიშვილი.

„თქვენ კი არა, უფრო სწორად, თქვენი კეფა და საჯდომი მჭირდება". ვითომც აქ არაფერიო, პასუხობს ტოონელტი. ამის გამგონე ქალიშვილს რა დაემართა. მემატიანე დუმს, — ევას ხელები წამიერად ქვავდებიან, — ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახლაც არავინ იცის, თუ როგორ დაითანხმა ტოონელტმა ის ქალიშვილი პოზირებაზე. ქანდაკებაზე მუშაობა რომ დაუმთავრებია, მაესტროს ხელები შეუწმენდია და ასე ამოუშაქრავს: „ესეც ასე. მართალია, აწი მე ესენი არაფერში მარგია, მაგრამ ჩემი სურვილია დარჩნენ აქ!" — ხელის თხოვნის რა ორიგინალური ფორმაა, არა?

— საინტერესოა, აინმა როგორ შეირთო თავის შარლოტა, ჰა? — შევძახე მე სიცილისაგან ჩაბჟირებულმა. მართალია, ეს ამბავი პირველად მესმოდა, მაგრამ რაკი ტოონელტს ეხებოდა, მისი დაჯერება არც გამჭირვებია.

— აინ საარმამ როგორ შეირთო თავისი შარლოტა? როგორ და ძალიან უბრალოდ. ერთ მშვენიერ დღეს თავის ქარვასლაში შეიტყუა და მერე აღარ გამოუშვა. ეს იყო და ეს.

ევას სიცილი სულ არ უხდებოდა. ასეთ ხალხზე, რბილად რომ ვთქვათ, სახე უცინის და თვალები არაო, ამბობენ. თუმცა მთლად ასეც არ იყო საქმე, ხანდახან ევას თვალებიც იცინოდნენ, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მათ უძრავსა და გაუცინარ სიღრმეში რაღაც მექანიზმი ჩაუდგამთო. ძნელი წარმოსადგენია, რასა ჰგავდა ეს, პედანტურად ზუსტ გამომთვლელ მანქანას თუ რაღაც ამგვარს, ერთი სიტყვით, ბავშვების ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ევას თვალები „ვითომ" იცინოდნენ. ტოონელტის ფიტულებიც „ვითომ" მკვდრები არ იყვნენ?

ჩემს მასწავლებელთან გუშინდელი შეხვედრა გამახსენდა, ჩვენ ხომ ნახევარი საათი კაფეში ვისხედით; ვსვამდით ყავას; ვხარობდით მთელი არსებით; ვიხსენებდით მოსწავლეობის „ბედნიერ ხანას" და ა. შ. მე კი თვალწინ სულ ის მკვდარი ვირთაგვა მედგა, „ბედნიერი ხანის" ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი „მეორე დედის" რედიკიულში რომ ჩავაძვრინე. იმ ვირთაგვას სუნი ახლაც კი მცემს! ალბათ ჩემს მასწავლებელსაც...

დღევანდელ ჩვენს საუბარსაც მოჩვენებითი გულახდილობის ელფერი დაჰკრავდა, ოღონდ ხატზე დავიფიცებ, რომ არც ახლა და არც შემდეგში ამ ოჯახის წარმოსახვით რედიკიულში წარმოსახვითი ვირთაგვის ჩასმაც კი არ მიფიქრია!

ევამ უთუოდ დროებით ჩამოვარდნილი უხერხულობა იგრძნო. აინი სამზარეულოში გაიხმო და რაღაც დავალება მისცა. აქეთ მე დამარწმუნა, ორიოდე წუთით სასწრაფო ტელეგრამის გასაგზავნად გაიქცაო. ბოლოს მაინც მივხვდი. რაშიც იყო საქმე. თურმე სახლში ერთი წვეთი დასალევი არ ჰქონიათ.

მე და ევა ცოტა ხნით მარტო დავრჩით და გაურკვეველი მიზეზების გამო თავი ოდნავ თავისუფლად ვიგრძენით.

დღევანდელი საუბარი დახვეწილად, მაღალი საზოგადოების მანერებით წარვმართეთ-მეთქი, ვფიქრობდი მე. აწი რაღა დარჩა, დარჩენილ დროსაც სი-

ცილ-კისკისით ჩავამთავრებთ და განშორებისას თუმცა კი შვებით ამოვისუნთქავთ, უახლოეს დღეებში თავშეყრას მაინც დავთქვამთ, რამეთუ დღეევანდელი ერთად ყოფნით ასე ძალიან ვავიხარეთ და ა. შ.

და ამ დროს ჩემს თავში ოპტიმიზტივდა იდეა, რომელიც ეგრევე დავახეთქე:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ნიჭიერია აინი! ისეთი ნიჭიერია, ისეთი, რომ ცოტა არ იყოს, მებრალება კიდეც, — წარმოვთქვი და წამიერი პაუზა დავიჭირე, რათა ევას რეაქციებით დავმტკბარიყავი, — დიახ, საუბედუროდ, ისე ხდება, რომ ნიჭიერი ხალხი უმრავლეს შემთხვევაში ფრიად მოუქნელნი არიან, თანაც იქ, სადაც ეს თითქმის დამღუპველია. მთელი უბედურება იმაშია, რომ მონუმენტი საგამოფენო ნამუშევარი არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, ამისთანა საშური შეკვეთის ხათრით აინმა მთლიანად უნდა შეიცვალოს თავისი ხელწერა. მონუმენტს ცოტ-ცოტა ყველაფერი სჭირდება: დეკორატიულობაც, პათეტიურობაც, ხაზგასმული იდეურობაც...

— ე. ი. თქვენ ამბობთ, რომ საჭიროა წახალტურება, არა? — კატეგორიული ტონით შენიშნა ევამ.

— არა. რამდენადაც მოგვიხერხდება, ხალტურას უნდა ვერიდოთ. მთავარია, ეს ჩვენი გრანდიოზული შეკვეთა პირველი და უკანასკნელი არ გამოდგეს... მონუმენტი თავისთავად საზიზღარი ჟანრია. ვფიქრობ, ასი წლის შემდეგ მათ წამოჭიმვას სრულებით შეწყვეტენ. ბოლოს და ბოლოს, ალბათ დარწმუნდებიან, რომ სულის სიღრმეში მთრთოლვარე გრძნობათა მოედნებზე გამოჯგიმვა-გამომზეურება მიუტევებელი უმეცრებაა. საშინელი უტაქტობაა! ამასობაში ,ინაღამ ყველაზე მთავარი დამავიწყდა: ჩვენი კონკურენტი იქნება მაგნუს ტეე!

— მაგნუს ტეე?! — გაფაციცებული, ზიზღნარევი ხმით ჩამეკითხა ევა.

— დიახ. მონუმენტის ჟანრში მასთან პაექრობა ძალზე სახიფათოა. რაც უფრო თავბრუდამხვევ, ანუ საკამათო გადაწყვეტაზე შევჩერდებით ჩვენ, მით უფრო ხელსაყრელი იქნება ეს მისთვის!... აი, ამაშია საქმე.

— ღმერთო ჩემო, ხელოვნების და პოლიტიკანობის აღრევა ხომ საშინელებაა! საზიზღრობაა! ხელოვნება თავისუფალი უნდა იყოს! — არც მთლად დაუეჭვებლად წამოიძახა ევამ, ჩემი მოსაზრებები იმდენად კეთილგანწყობილი კილოთი და დამაჯერებლად გამოვთქვი, რომ ხეირიანად აღარც კი იცოდა, რა ეფიქრა.

— ჩემი აზრით, ხელოვნება ჩვენში საკმაოდ თავისუფალია, — წამოვიწყე მე. — აი თუნდაც „ბბოსმკვლელი" ავიღოთ. ეს სადიპლომო ნამუშევარი აკი შეისყიდეს (გამოვიყენე ანესაგან მიღებული ინფორმაცია). რატომ? იმიტომ, რომ საგამოფენო ნამუშევარი სხვაა და მონუმენტი სულ სხვა. მონუმენტებს ჩვენ სახელმწიფო გვიკვეთავს, ასე რომ საკუთრებით ბუნებრივია, თუ ეს შეკვეთა მასიურ მომხმარებელზეა გათვლილი. მონუმენტის ამოსავალი წერტილი მისი სარგებლიანობის ფაქტორით განისაზღვრება. ეს კი თავისთავად განსაკუთრებულ უბრალოებასა და მიმხვედრელობას მოითხოვს მოქანდაკისაგან. ასე იყო და იქნება ყველგან და ყოველთვის!

მე ოღონდ ისეთ თემებზე მალაპარაკე, როგორიცაა პარტიულობა ხელოვნებაში, ბერლინის საკითხი, პიროვნების კულტი... და მთელი დღე რომ ვიყბე-

დო, არ მომწყინდება. შედარებით მოუმზადებელ თანამოსაუბრესთან თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. პირდაპირ ვირტუოზულ ერუდიციას ვამჟღავნებ, რომელსაც ორპირიანი, ჯარისკაცული დანა-ჩანგალივით ვიყენებ: — მინდა შევჭამ, მინდა შევურჭობ!

„მე არა ვარ იმათ მხარეზე, ვინც ხელაღებით უარყოფს სტალინის ეპოქას!“ — მიყვარს ასეთი გამოთქმები.

„საგანი გარე სამყაროსთან კავშირში, ანუ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა განვიკვრიტოთ. მე ვერ დავდგები იმათ მხარეზე, ვისაც ჰგონია, თითქოს ბედგამწარებული ადამიანების ვაებისა და ამაოდ გაღებული მსხვერპლის გამართლება მხოლოდ ქვანახშირის ამოღების ზრდით, ანდა ახალი მარკის კომბაინით შეიძლებოდეს!“ — ასეთი რამეების დახვავებაც მიყვარს ხოლმე.

— დღემდე აინის ნამუშევრებს ქება არ მოჰკლებია... — ჩაილაპარაკა ევამ.

— მომავალშიც ასევე იქნება! მთავარია, ეს მონუმენტი გამოგვივიდეს და მერე ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს... ოღონდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: დღემდე მე და აინს ახალგაზრდა მოქანდაკეებად გვთვლიდნენ, ე. ი. გვექცეოდნენ, როგორც ბავშვებს... ბავშვი კი შეიძლება ტალახიანი ფეხებით დივანზე ან მაგიდაზე აბობღდეს, მაგრამ არაფერი. დაუტატანებენ, დაუყვავებენ და გაიცინებენ. ჩვენ ეს შეკვეთა იმიტომ მოგვანდეს, რომ უკვე ჩამოყალიბებულ მოქანდაკეებად გვთვლიან, ე. ი. ამიერიდან სულ სხვა მოთხოვნებს წამოგვიყენებენ... ხოლო თუ ჩვენ გავკადნიერდებით და ამ მოთხოვნებს არ შევასრულებთ, მათ შეუძლიათ საჭიროებისამებრ მთელი წარსული შეგვახსენონ... სხვათა შორის ბალღობაში მაგიდაზე აფოფხებაც! (მე ვლაპარაკობდი გამართულად, ძალდაუტანებლად, სიამოვნებით).

ყურადღებად ქცეულმა ევამ დახვეწილ მანერებსა და გადაპრანჭულ თავაზიანობას თავი ანება და ახალ გამომსახველობით ფორმებზე გადაერთო... ერთი სიტყვით, ჩემ წინაშე სულ სხვა, მანამდე ბუნდოვნად წარმოსადგენი ევა იჯდა. ვგრძნობდი, რომ ახლა მე ტიპიური ფარისეველი ბუნების ის ქალი მომჩერებოდა, რომელსაც ოღონდ ვერნისაჟის გახსნაზე ლენტი გააჭრევინონ და მეტი არაფერი უნდა. ამას კი დროზე თუ ვერ მოესწრო, თვალის უპეებთან რომ ნაოჭები დაეტყობა, მერე რაღა ფასი აქვს! აი რატომაა ასე ჩახმახშემართულივით ევა. წამით მომეჩვენა, რომ მე და ეს ქალი მშვენივრად გავუგებდით ერთმანეთს... ამის გამო თუ იყო, რომ ახლა იგი გარეგნულადაც უფრო მესიმპათიურებოდა. ჭეშმარიტად, ყველას თავისი საქმიანობა უხდება — მეწაღესაც და დირიჟორსაც! ასე არ არის? თანდათან დავრწმუნდი, რომ ამ ქალთან სიმორცხვე და მისთანანი სულაც არ იყო საჭირო... მართალია, კაფეში, მეგობრებთან საუბრისას იგი აინის ექსპერიმენტების გამართლებაზე გამოიდებს თავს, არადა, ქმრის მთელ საქმიანობაში, ცხადია, მარტოოდენ ის აინტერესებდა, რაც დაუყოვნებელ აღიარებას მოუტანდა... ხომ არიან პაწაწინა, ე. წ. ჭიჭყინა ლოცმანები, რომლებიც გოლიათ თევზებს გემრიელი ლუკმის პოვნაში ეხმარებიან და ამის წყალობით თვითონაც უდარდელად გრძნობენ თავს... და აი, ეს წუთია ამ მშვენიერმა ლოცმანმა არაჩვეულებრივი ინფორმაცია ჩაყლაპა. ახლა მხოლოდ ყველაფრის მისხალ-მისხალ აწონ-დაწონვა, ანუ ბოლომდე გათვლაა საჭირო და მორჩა! „მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი! — მკაფიოდ იკითხებოდა

მის თვალებში, — ღმერთო ჩემო, თურმე რამხელა გამოუსწორებელი შეცდომების დაშვება შეიძლებოდა!..“ ევას თვალში ელვის სისწრაფით ვმაღლდებოდი. მისგან მომავალშიც ბევრ მადლობას უნდა ველოდე. ევასთანებმა რა ხანია პროფესიონალურად აითვისეს სიკეთის სიკეთით გადახდის მეცნიერება. ამიტომაა, რომ ეგეთები უმრავლეს შემთხვევაში პატიოსანი საქმოსნები არიან... დიახ, დიახ! უფრო პატიოსანი, ვიდრე ჩვენ გვგონია.

— გმადლობთ, — საოცრად გულში ჩამწვდომი უბრალოებით მითხრა ევამ, — ამ დღეებში მე და აინი მოვითათბირებთ. ვეცდები კარგად ავუხსნა საქმის ვითარება, ოღონდ მის სწორ გზაზე დაყენებაში თქვენც უნდა დამეხმაროთ...

—. ვეცდები... მაგრამ აინიც უნდა დამეხმაროს, — გალანტურად გადაველი თავდაცვაზე, რადგან უკვე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, აინს სწორედ ისე ავამუშავებდი, როგორც საქმეს მოუხდებოდა.

ჩემი წამხდარი გუნება-განწყობილების აღწერა აქ რა მოსატანია, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ თავბრუდამხვევი წარმატების მწვერვალზე ასეთი მწარე ქინაქინათი გამიმასპინძლდებოდნენ:

— კარგი ერთი, თქვენ რა დახმარება გჭირდებათ, ისედაც მშვენივრად გაართმევთ თავს. თქვენ ხომ არც ისე რთული ამოცანა გაქვთ გადასაწყვეტი. კვარცხლბეკის გაკეთებას რა უნდა! მით უმეტეს ამ თემაზე ჯერ იყო და სოლიდური გამოკვლევა გამოაქვეყნეთ. მერე კი საკანდიდატოც დაიცავით... რაც შეეხება გვერდებზე გასაკრავ ორ ჯგუფურ ბარელიეფს, ამის გაკეთება თქვენთვის ალბათ ყველაზე ადვილი რამაა. ბარელიეფში ხომ მეტი გასაქანიცაა, უფრო თავისუფლად და პირობითად შეიძლება გადავწყვიტოთ ყველაფერი... განა ასე არ არის? მე მგონი, ასეა...

ცოტა ხნის წინ გადასანსლული ორაგული კუჭიდან ყელისკენ დაიძრა!.. გამოდის, რომ ტოონელტს როლები უკვე გაუნაწილებია! ახლა მთავარია, ევა არ მიხვდეს, რომ ყველაფერი ეს ამ წუთამდე არ ვიცოდი... არ მიხვდეს! არ მიხვდეს! არ მიხვდეს! გადავრჩი! ევა ვერაფერსაც ვერ მიხვდა, თორემ ერთობ იდიოტურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

მისი ყურადღების სხვა რამეზე გადატანის მიზნით პიჯაკის კალთაზე ორაგულის ნაჭერი დავიგდე და ავწრიალდი.

— ნუ გეშინიათ, არაფერი არ დააჩნდება, გაყინული ორაგულია, — დამამშვიდა ევამ.

ესეც შენ! ე. ი. რა გამოდის — ამ სოფლელი ბიჭების მონუმენტებისათვის მე მხოლოდ „საკმაზი“ უნდა შევანელო და მეტი არაფერი, ხომ? თანაც თანამედროვე კულინარიული ხელოვნების დონეზე! კარგია, გადასარევი ღვეზელი გამოვა, ჩემმა მზემ!... ტოონელტმა მეტის ღირსად არ გვცნო!.. მე კი სწორედ მეტის იმედი მქონდა. ისე გამოდის, თითქოს მე მოსკოვიდან იმიტომ ჩამოვედი, რათა ჩემზე უმცროს მოქანდაკეებს აქ კვარცხლბეკების პროექტებით მოვემსახურო! როგორია, ჰა? აგერ, ახლაც გულდათუთქული სამარიტელივით წამოვმჯდარვარ აქ და ვიღაც ევას გათვითცნობიერებას ვაკლავ თავს!... მერედა ვის რაში სჭირდება ეს?..

მონუმენტზე საუბრის გაგრძელება უკვე საშიში იყო. ვაითუ ევას ქალური გუმანისათვის ჩემი ავბედითი ფიქრები ზედმეტად გამჭვირვალენი გამხდარიყ-

ვნენ... უცებ ბაგირზე წონასწორობადაკარგული ჯამბაზივით ნაძალადევად გავიღიმე და მის დასადასტურებლად, ვითომ ყველაფერი გადასარევად მიდისმეთქი, კედელზე გაკრული ხალიჩის დამამშვიდებელი ჩალისფერი შევაქე, ასეთის შოვნა სად შეიძლება-მეთქი, დავინტერესდი და ა. შ. „დამამშვიდებელ“ ხალიჩას კი, ჩვენ შორის დარჩეს და, ზუსტად ბავშვის განავლის ფერი ჰქონდა.

ჩემი თვითგვემა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ამასობაში სამვარსკვლავიანი სომხური კონიაკით ხელდამშვენებული აიხიც დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც სასმისები შევავსეთ და ერთმანეთს დიდი წარმატებები ვუსურვეთ, ევამ შეთქმულივით ფრთხილად გადმომხედა და მეორე ოთახში გაუჩინარდა, რათა კაცები ერთი-ერთზე სათანბიროდ დავეტოვებინეთ. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ მოსალაპარაკებლადაც არაფერი დაგვრჩენოდა. ტონელტს ხომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი: აინი ქანდაკებებზე იმუშავებდა. მე კი კვარცხლბეკი და ბარელიეფი უნდა მომეფიქრებინა... ხალხის მოთმინების თემაზე!

აინის დაჟინებულ თხოვნას ყური არ ვათხოვე და ჩემი მეგობრული ვიზიტი დასრულებულად გამოვაცხადე. ზოგ სხვა რამესთან ერთად, დღეს ანეს ინფორმაციების გადამოწმებაც მოვასწარი: აინს მართლა ჰყვარებია დალეკა. თავისი წილი კონიაკი ახლაც სულმოუთქმელად გადახუხა და ლაპარაკის საღერღელიც აეშალა. მე კი მისი მოსმენის თავი არ მქონდა.

კიბეებზე რომ ვეშვებოდი, წამით შევჩერდი — რამე სიმბოლური არ იყოს ამ დაშვებაში-მეთქი, გავიფიქრე.

ოთახში შევედი თუ არა, ტახტზე ცოცხალმკვდარივით დავეხეთქე.

თვალებში სულ აინის „ხბოსმკვლელი“ მებლანდებოდა. რა არ ვეცადე, მაგრამ არ იქნა და თავიდან ვერ ამოვიგდე. რატომღაც სულ ჩემს საღამოლომო ნამუშევარს „მჭედლებს“ ვადარებდი. იმ „მჭედლებს“, რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ავტოქარხნის დასასვენებელ პარკს ამშვენებს. ერთი რამ ცხადია — კულტურა და არტისტიზმი მე უთუოდ მეტი მაქვს: ჩემი „მჭედლების“ კუნთები ხომ ჰიმნის ომახიან დაგუგუნებასა ჰგავს... ოღონდ რატომ და რისთვის გუგუნებენ ეს კუნთები, ეშმაკმა დალახვროს, დღემდე მე თვითონ ვერ გამიგია. ვითომ მარტოოდენ პლასტიკური ანატომიის ცოდნის გამომჟღავნებას ვესწრაფოდი? თუ ასეა, გაგვწყრომია მუზა და ეგ არის... რა არ ვიფიქრე, საიდან არ მივუდექი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ აინის დანამომარჯვებული ბიჭი ჩემს მჭედლებს რაღაცით ჯობნიდა. მაგრამ რით? როგორ? სად არის ძაღლის თავი დამარხული?!

იქნებ სულაც ეროვნულ თვითყოფადობასთან გვაქვს საქმე? რაღაც არა მგონია, რაც მართალია, მართალია, მე ხშირად, ძალიან ხშირად (ჩემი აზრით, სავსებით ამომწურავადაც კი) გამიანალიზებია ესტონური თვითყოფადობა.

ჩვენი ხალხური პოეზია ბლანტია და თმაგაწეწილი; მოჯამაგირის სიზმარივით უფერული ჩვენი რუნები კვანტიდან კვარტოზე გადარბიან... ცეკვებიც დუნე გვაქვს, რაღა თქმა უნდა, ხოლო ხუმრობა, ხუმრობა რუსული ნაჯახივით მძიმე და მოუქნელი... ახლა ჩვენს ეროვნულ საჰმელებს არ იკითხავთ? — ქართველებს შიშხინა მწვადი აქვთ, უნგრელებს პილპილი, ფრანგებს ათასგვარი დელიკატესი... ჩვენ კი, ჩვენ „კაერაკილე“ — კამაგარეული ლაბა, ანუ თავ-

ფეხის ნახარშში შეზავებული ოქროცერცვასა და შვრიის სალაფავი. უგემურობა და ხელმოკლეობა! მოვეშვათ საქმელებს. ამ ბოლო ხანებში, ეტყობა, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობასაც „კაერაკალათი“ აქვს პირი გამოტენილი!...

საქმე იმაშია, რომ ყველაფერ ამას მე თავისებური გამართლებაც მოვუნახე.

ფიზიკის კანონების თანახმად ნივთიერება გარეგანი გარსის წარმოსაქმნელად უზარმაზარ შინაგან ენერგიას ხარჯავს ხოლმე. ხალხის ენერგიაც უთუოდ ამ დღეშია! ჩემი ხალხის მთელი პოტენცია საუკუნეების მანძილზე ფიზიკურად თავის გადარჩენას ემსახურებოდა... განა ეს ტრაგედია არ არის? თუმცა შიშველ ყოფასაც რა აზრი უნდა ჰქონდეს. ანდა რა სიკეთეს უნდა მოელოდე ორ სახელმწიფოს შორის გაჩხერილი ძუნწი, ჯიუტი და გამოფიტული მიწისაგან... რა ხანია გერმანელებში ან რუსებში თოვლივით უნდა გავმდნარიყავით...

ერთი შეხედვით, სად „ხბოსმკვლელი“ და სად ეს აზრები, მაგრამ რაღაც უხილავი კავშირი მათ შორის ალბათ მაინც არსებობს. მე ხომ მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად იმიტომ გავემგზავრე, რათა ჩემს შემოქმედებაში ყოველგვარი ვიწრო ესტონურისაგან განვთავისუფლებულიყავი... და ნუთუ შევცდი?

რა აზრები არ მომდიოდა თავში და ყველა ერთნაირად გულშემოსაყრელი.

მე პარტიის წევრი ვარ; ტოონელტიც! — აინი კი არა! მაშ რაღა მაინცადამაინც იმას მიანდეს მთავარი როლის შესრულება? ე. ი. მე სულ ტყუილად შევსულვარ პარტიაში, რახან მას ჩემთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია?! სტალინის დროს სულ სხვაგვარად იქნებოდა...

მე ხომ პარტიაში შესვლა-არშესვლის საკითხი იმთავითვე საფუძვლიანად გავაანალიზე!

მე არასოდეს არ მქონია მიდრეკილება დაჯავშნული მსოფლმხედველობისადმი. რკინის აბჯარი, ჯერ ერთი, მოძრაობაში გვიშლის ხელს და მეორეც, მოქნილობის უნარს გვიჩლუნგებს. კომუნიზმის მიმართ, ცოტა არ იყოს, გულგრილადა ვარ განწყობილი: — სიკეთე მოთხოვნილების მიხედვით კი არა, შესაძლებლობის მიხედვით უნდა განაწილდეს... მე რომ მეჯიბრებიან, ისეთები თუ ბევრად ჭარბობს, ვისაც მე ვეჯიბრები, ასეთ პირობებში თანასწორუფლებიანობას ნეტავ რა თავში ვიხლი! ეს ყველაფერი პრობლემის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხარე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

როგორც ისტორია გვასწავლის, ჩვენს საუკუნეში უკვე არავის ძალუძს დარჩეს აპოლიტიკურ პიროვნებად... ინგრევიან ციტადელები... ხოლო პროგრესი ინდივიდებზე კი არა, მთლიანად კოლექტივზეა დამოკიდებული, ამის საილუსტრაციოდ რა საჭიროა აინშტაინის, ბრეხტის ან ფოიხტვანგერის ბიოგრაფიების დამოწმება, თუკი ცხვირწინაც უამრავი მაგალითი გვიდევს. ორი დიდი ბანაკიდან აუცილებლად ერთ-ერთს რომ უნდა ეკუთვნოდე, ამას წყალი არ გაუვა! მაგრამ რომელს?..

მამაჩემი გერმანელების მხარეზე იყო, ბიძაჩემი კი საბჭოთა არმიაში იბრძოდა. ორივე ძმა ფილოლოგი იყო, ორივე სქელშუშიან სათვალეს ატარებდა და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ომი ორივესათვის ერთნაირად გაუგებარი იყო. სახლში გამოგზავნილ წერილებში ორივე აღნიშნავდა

ჯარისკაცური ყარგონით დაინტერესებას... ორივეს სიცოცხლე ომმა შეიწირა, ასე რომ, თავიანთ საწერ მაგიდას ვერც ერთი ვერ დაუბრუნდა.

ესენი რომ მამაჩემი და ბიძაჩემი არ ყოფილიყვნენ, შეიძლება ისიც კი მეთქვა ბედისწერასაც თავისებური იუმორის გრძნობა ჰქონია-მეთქი.

მე სქელშუშიანი სათვალის გარეშე ვცხოვრობ და დიადი სპექტაკლის ფაბულა უფრო მაინტერესებს, ვიდრე მოქმედ პირთა ლინგვისტური დახასიათება. მაინტერესებს, თუ რით დამთავრდება ყველაფერი ეს... მე ხომ თავსატეხ კითხვებზე პასუხს (ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში) მარქსის, შპენგლერის, კაზანოვა-კალერისა და ლენინის შრომებში ვეძებდი. ვეძებდი, ვეძებდი და მივხვდი, რომ კომუნისტურ პარტიაში შესვლა იყო საჭირო!

ჩემი გადადგმული ნაბიჯით დღემდე კმაყოფილი ვიყავი... ჩემს არჩევანს არასოდეს არ შევუვიწროებივარ... დღეს უკვე საკუთარი გამოცდილების წყალობით ვიცი, რომ საქმეები შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით, რომ რკინის აბჯარი ტანზე კი არ უნდა გადაიცვა, არამედ უნაგირის წინა მხარეზე უნდა დააკრა, რათა ფარის მაგივრობაც გაგიწიოს და მანევრირებაშიც არ შეგიშალოს ხელი... მაგრამ რატომ ვერ დამიცვა ამ ფარმა აინისაგან? რატომ? რატომ?..

ო, რა გულისამრევი ფიქრებით მქონდა თავი გამოტენილი! აბჯარი, ფარი, სტალინის დრო... ღმერთო ჩემო, ნუთუ ასეთი უსუსური და უნიჭო ვარ!

შხაპი მივიღე და ლოგინში ჩავწექი. ამასობაში თავი იმით დავიმშვიდე, რომ კვარცხლბეკის და ბარელიეფის დაპროექტება არც ისე სამარცხვინო საქმიანობაა. ანაზღაურების მხრივ უფრო მომგებიანიც კია და ა. შ.

არც ამან მიშველა. ძილი არ მომეკარა და ღამე თეთრად გავათენე.

IV

კვირა დღეა. ერთი ახალგაზრდა კაცი მხატვართა სახლის კიბეებს აუჩქარებელი ნაბიჯით მიუყვება:

Magnus Tee
sculptor

ღაღადებს № 8 ოთახის კარებზე გაკრული სპილენძის ფირფიტა.

სვენ ვორე წამით ჩერდება, კიბის მოედანს თვალს ავლებს და ეცინება, რადგან აგერ, ნახევრადჩაბნელებულ კუთხეში, თითქოს მის შესახვედრად გამოსულაო, მტვერში ამოგანგლული თაბაშირის მეომარი დგას. მეომარი შუბლშეკმუხნულია, რადგან მის ცალ სამხრეულზე წითურ კატის კნუტს მოუკალათებია და არხეინად ამთქნარებს. ამ თავხედ კატაზე ფიქრების უკუსაგდებად თაბაშირის მეომარი ყაზარმას იგონებს. ყაზარმაში ყველანი მხედრულად დააბიჯებენ და მისალმებისას ქუსლებს ერთმანეთზე უბაკუნებენ. ყაზარმის ეზოში ხეივანია. ხეივანში თუნუქის ფირნიშებია ჩამწკრივებული.

Орудие любит ласку, чистку и смазку!

აწერია ერთ-ერთ მათგანზე.

წითური კნუტი კი ნებიერად ამთქნარებს. ამთქნარებს და იზმორება შეძლებული ოჯახიდან გამოსული ეს ტიპიური მუქთახორა, რომელსაც არავითარი იდეალი არ გააჩნია.

სვენ ვოორე ელექტროზარის ღილაკს აჭერს თითს და მის გამახვილებულ სმენას მაშინვე პარკეტზე მოჭრიალე ჩექმების ხმა სწვდება.

— ოო, ახალგაზრდობა! ხელოვნების ხვალინდელი დღე! — კარის გაღებისთანავე გაისმის მაგნუს ტეეს მჭექარე ხმა.

მართლა ჩექმები აცვია (ოთახშიც კი!). გუნებაში ეცინება სვენს. ალბათ ასე უნდა გამოიყურებოდნენ კვირა დილაობით თადარიგის გენერლები...

— გაბედულად, გაბედულად, ყმაწვილო! — მაგნუს ტეე ზმნებთან მწყრალადაა და მათ მაგივრად ჟესტებს იშველიებს ხოლმე. — მაშ ერთ ჭერქვეშ, არა? აბა სიახლეები, იდეები, ესკიზები, შეკითხვები, ყმაწვილო!..

მაგნუს ტეე სტუმარს მხარზე ხელს უთათუნებს და ტახტისაკენ მიუძღვება. ტახტია ძველებური, სპარტანულად მაგარი, რომელიც „ხელოვნების ხვალინდელი დღის“ სიმძიმის ქვეშაც კი არ ჭრიალებს. მაგნუს ტეეს სკამი მოაქვს, სტუმრისაგან ზუსტად ერთ მეტრზე ჯდება და სახეს ისე დათაფლულად ალაგებს, საუბრის ყოველგვარ ხალისს რომ დააკარგვინებს კაცს.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ... თქვენთვის ხომ ყოველი წუთი ძვირფასია, ეს მე ვიცი... — ლუღლუღით იწყებს სვენ ვოორე და მაგნუს ტეეს ისეთი თვალებით უყურებს, გეგონება, ახალდაბადებული ხვლიკი თავის უზარმაზარ ნათესავს, ნიანგს აკვირდებაო.

— ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი დრო ყოველთვის ჩვენს ხელთაა!.. ჩვენ ძველი გვარდია, თქვენ — ახალგაზრდა გვარდია!.. ხომ? — ეტყობა, სვენ ვოორემ თავიდანვე სწორ ტონს მიაგნო, რადგან „ღვთის რისხვის“ ნახევარმთვარისებური, წითელ-ყვითელ ფერებში შეყუჟული ცხვირპირი საგულდაგულოდ მომართული მექანიზმივით მოძრაობს. „ღიმილისათვის მოვემზადოთ!“ აი იშვიათი ბრძანება, რომელიც ეს წუთია მკაცრად მოთრიმლულმა ნაოჭებმა მიიღეს. მაგნუს ტეე ფეხებს ჭიმავს და გაპრიალებული ჩექმების ჭრაჭუნიც გაისმის, სვენ ვოორეს კი რატომღაც ეჩვენება, თითქოს ეს ჭრაჭუნი თვით მაესტროს შიგნეულმა გამოსცა... ორივე გვარდიელი დუმს.

— იცით, თქვენი შეწუხება მხოლოდ იმიტომ გავბედე, რომ... როგორ გითხრათ... თქვენი რჩევა-დარიგება მჭირდება ძალიან... მე ხომ სულ ახლახან დავბრუნდი მოსკოვიდან და...

— ოო, მოსკოვი, მოსკოვი! ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი! — გუგუნებს ამბ. მ. ტეე.

— დიახ! სულ ახლახან დავბრუნდი ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი დედაქალაქიდან (სწორედ რომ სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოდან ამოღებულ სანიმუშო წინადადებასავით ელერს!) და აი, ჩამოსვლისთანავე ერთი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი... — სვენი თავს დაბლა ხრის და მორცხვად იღიმება, — იცით, ამ დღეებში პროფესორმა ტოონელტმა აინ საარმას მონუმენტისათვის კვარცხლბეკის დაპროექტება შემომთავაზა... მეც დავეთანხმე, მაგრამ ხომ არ შევცდი-მეთქი, ვფიქრობ...

— აინ საარმა? ახალგაზრდა მოქანდაკე, ხომ? — რობოტის გულითადობით კითხულობს მაესტრო.

— დიახ, ახალგაზრდა მოქანდაკეა, სხვათა შორის საკმაოდ ნიჭიერიც, თუმცა... (პაუზა, ნერწყვს ყლაპავს) ამას წინათ მისი ნამუშევრები დავათვალიერე და მომეჩვენა, რომ მათში ბევრი რამაა ხადავო...

— ბევრი რამაა სადავო! — სიამოვნებით იმეორებს მაგნუს ტეე და წამით მის თვალებში კმაყოფილების ნაპერწკალი კიაფობს, მაგრამ მალევე ქრება და მის ადგილს უმალ უფროსი ამხანაგის პედაგოგიური მზრუნველობა იკავებს.

— ჩემი აზრით, მის ქანდაკებას ოპტიმისტური ცხოველმყოფელობა და ახალგაზრდული აღმაფრენა აკლია... მონუმენტი ამაღლებული ჟანრია!.. მონუმენტები საუკუნეებს უძლებენ!.. ისინი ხალხის საკუთრებას წარმოადგენენ. და ბოლოს, მონუმენტი ხომ იდეოლოგიური იარაღია... მე კი ეჭვი მეპარება, რომ აინ საარმა უკვე ასეთი საპასუხისმგებლო შეკვეთისათვის იყოს მომწიფებული... როგორც ჩანს, მე და საარმას სხვადასხვანაირად გვესმის ხელოვნების დანიშნულება... და სწორედ ამიტომ მჭირდება თქვენი რჩევა-დარიგება, რამდენად სწორად მოვიქეცი, ტოონელტს რომ დავეთანხმე...

„ამაღლებული ჟანრი“, „იდეოლოგიური იარაღი“, „შეკვეთისათვის მომწიფებული“... — ყველაფერმა ამან ერთობ გულისამაჩუყებლად იმოქმედა ამხ. მ. ტეეზე. აი იგი განჯინასთან მიდის, იქ კარგა ხანს იქექება და ბოლოს თეფშზე ორცხობილებს ალაგებს. „უსათუოდ ნაფტალინის სუნი ექნება!“ — ფიქრობს ვოორე, მაგრამ ერთ ორცხობილას მაინც იღებს და მორიდებულად კვნეტს, — არც ასეა საქმე. — საკმაოდ გემრიელი ორცხობილა ყოფილა!

სვენ ვოორე ორცხობილას ჭამს და იმასაც ამჩნევს, თუ რა მამობრივი მზრუნველობით მისჩერებია მას მაგნუს ტეე. მადლობა ღმერთს! სვენი უკვე მეხუთე ორცხობილას შეექცევა და გაფაციცებული ყურადღებით უსმენს ტეეს. მის სიტყვებში თანდათანობით გამორეულ ზმნებს ფრაზები ისე ხარბად ისრუტავენ, როგორც გამოგვალული მიწა ისრუტავს ხოლმე მონატრებული წვიმის ნაკურს. მაგნუს ტეე ლაპარაკობს ძალდაუტანებლად, სიამოვნებით, ცოცხლად.. „აყვავდებიან უდაბნოში თეთრი ვარდები...“ იგონებს რომელიღაც პოპულარულ სიმღერას სვენი და „ბუნების საოცარ ფერიცვალებას“ ყურადღებით აკვირდება. აკვირდება და მაგნუს ტეეს აზრებით, ცოტა არ იყოს, ერთობა კიდეც და ბოლოს, იმასაც ხვდება, რომ ტეეს ყველაზე მეტად მუშფაკში გატარებული სიჭაბუკის წლების მოგონება უყვარს.

„ღმერთო ჩემო, თურმე რა ადვილი ყოფილა ამისთანა მაგნუსებთან საქმეების მოგვარება, — ასკვნის სვენ ვოორე, — ეგოისტი ნამდვილად არ ჩანს, ვერც თვალთმაქცობას დასწამებ მაინცდამაინც. ერთი სიტყვით, არც ისე ცუდი კაცი ყოფილა, ხოლო რაც შეეხება გარიცხვებსა და სასტიკ საყვედურებზე ხელის აწევას...“ და უცებ ახალგაზრდა გვარდია ხვდება, რომ მაგნუს ტეე ის გამრჯე მებაღეა, რომელიც სიბერის დროსაც კი ძველებური მონდომებით უვლის ყვავილნარს, თავის დროზე შეაქვს ნაკელი, თხრის სარეველებს და ა. შ. ოღონდ ეგაა, რომ სიბერისას თვალს დააკლდა, არა, მაგნუსის ასე ობლად მიტოვება ახალგაზრდობას ნამდვილად არ ეკადრება! სასწრაფოდ მორიგეობის გრაფიკი უნდა შედგეს და ვაი იმას, ვინც თავის მორიგეობას გააცდენს! ერთი სიტყვით, მაგნუსს ხშირად უნდა ვეწვიოთ, ვაჩვენოთ სტუდენტობისდროინდელი ესკიზები მაინც, მივართვათ წითელი ყვავილები სახელმწიფო დღესასწაულებზე და ა. შ. ხოლო თუ ეს ჩვენი ვეტერანი რამეს გამოჩორკნის — მისი ნაცოდვილარი მასხრად კი არ უნდა ავიგდოთ, პირიქით, წახალისების მიზნით მოვუწონოთ, სადმე დავადგმევინოთ... მაგალითად, პიონერთა ბანაკში, ე. ი.

ქალაქიდან შორს. თანაც ძეგლის გახსნის ცერემონიალზე სასულე ორკესტრისა და პენსიონერთა შერეული გუნდის მოწვევაც არ უნდა დაგვავიწყდეს. ძველებური სიმღერები და დოლ-გარმონი. ვინ იცის, როგორ ეამება...ასეთი ტკბილი ურთიერთობების წყალობით კი ქანდაკება თუ არა, მოქანდაკე მაინც დარჩება მოგებული. მაგნუსი ხომ სწორედ ის ბიძაა, ვინც მოსკოვში უნდა აფრინო მხატვართა ფონდის ფულის სათხოვნელად... ჰმ! რამდენი რამე გვაქვს დაკარგული... ამდენ ხანს მაინც სად გვეძინა!" -- ფიქრობდა თავისთვის სვენ ვოორე.

მაგნუს ტეე კი ისე დაიქოქა, ენას არ აჩერებდა. აი იგი თავისი ვაჟიშვილების ფოტოსურათებს უჩვენებს სვენს. ორივე შვილი, რასაკვირველია, ოფიცერი ჰყოლია. ვიქტორი სამამულო ომში დაღუპულა, იგორი კი ამჟამად ფორტიფიკაციის კურსს კითხულობს სამხედრო აკადემიაში.

ერთ-ერთ ფოტოზე ახალგაზრდა არსება იღიმება მორცხვად. ეს მაგნუსის მეუღლე ტანიუშა ყოფილა, რომელიც თურმე, მეორე ვაჟიშვილის მშობიარობას გადაჰყოლია. (ცოტა არ იყოს მკრეხელურად კი ჟღერს, მაგრამ) ასეთ ქალს სწორედ მშობიარობაზე გადაყოლა შვენისო, ფიქრობს სვენი. ერთ სურათზე მაგნუსი და ცისფერთვალება ტანია ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან. ტანიუშა ქმარს ბეჯებამდეც ვერ წვდება. მაგნუსს მარცხენა ხელი ცოლის მხარზე უდევს, მარჯვენათი კი მზადყოფნის ნიშნად რევოლვერის ბუდე აქვს ჩაბღუჯული. ტანიუშას მინდვრის ყვავილების უშველებელი თაიგული აქვს გულზე მიკრული... ცოლ-ქმრის ზურგს უკან სამოქალაქო ომისდროინდელი, ჯერაც „ტვიორდი ზნაკებით" აჭრელებული ლოზუნგი ფრიალებს...ეს სურათი ნამეტანი სევდისმომგვრელია და სვენ ვოორეს ღამის შეებრალოს ამხანაგი ტეე.

ბოლოს „ღვთის რისხვა" საკუთარ ესკიზებს უჩვენებს სვენს. ესკიზები, რა თქმა უნდა, თარიღის მიხედვითაა დალაგებული, რის გამოც ვოორეს შიშნარევი ფიქრი ეძალება, — ნუთუ ეს კაცი დღე და ღამე ჯოჯოხეთურ შრომაშია?!

ვიზიტის დასასრულს, როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარი ისევ მონუმენტს უბრუნდება. მაგნუს ტეეს ღრმა რწმენით სვენმა კვარცხლბეკიც უნდა დააპროექტოს და აინ საარმაზეც უნდა მოახდინოს გავლენა. როგორმე უნდა დაეხმაროს, აუხსნას, შეაგნებინოს, რომ მონუმენტი ესაა... ესაა იდეოლოგიური იარაღი და ა. შ.

და აი, სვენ ვოორე თანდათან ხვდება, თუ რატომ ჩაება მონუმენტზე გამოცხადებულ კონკურსში თვით ტეე. პირდაპირ საოცარია. ტოონელტი როგორ ვერ მიხვდა ამას. აქ ხომ არავითარ ანგარებასთან და. პატივმოყვარეობასთან არა გვაქვს საქმე... უბრალოდ, მაგნუს ტეე გრძნობს, რომ საბჭოთა ხელოვნების დასაცავად უნდა დადგეს! ეს არის და ეს. მან კი, რასაკვირველია, ზედმიწევნით კარგად იცის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ნორმალური მონუმენტი... კი, შეიძლება მისი ესკიზები არც მოიწონონ და არც მიიღონ, მაგრამ მაგნუსი ხომ თავის ვალს პირნათლად მოიხდის! ე. ი. ყველაფერს გააკეთებს მხოლოდ სინდისის კარნახით... სხვათა შორის, არბიტრებსაც მეტი არჩევანი ექნებათ.

„ეჰე, მაგნუს ტეე! შე საბრალო „ღვთის რისხვავ!" — რიტორიკულ ფიქრებში ეფლობა სვენ ვოორე, — რა დანჯღრეული ფორდივით რახრახებ, შე ძველო... თუმცა არა, ფორდივით კი არა, ჩვენი სამამულო მანქანათმშენებლო-

ბის პირმშოსავით ძაგძაგებ. აი, დგახარ და კომფორტაბელურ „ვოლგებსა“ და „ჩაიკებს“ გულდაწყვეტილი მზერით მიაცილებ. ამ მანქანებს არც რადიო აკლიათ და არც მოდური სალონი... აბა მაგათ რას დაეწევი! დაწევა კი არა, ერთავად მტვრის კორიანტელის პირისპირ რჩები, რადგან სისწრაფე აუცილებლად მტვერსა და ბუღს აყენებს ხოლმე. მტვერი კი ცალკე ხველებით გახრჩობს, ცალკე შუქფარებზე ეფინება და წინ გახედვას გიშლის. შენ ბორგავ და მთელი არსებით ცდილობ კაცობრიობის ხსნას. ამიტომაცაა, რომ აქეთ-იქით აწყდები და ხელს უშლი მოძრაობას, რომლის მიმართულებაც შენთვის უკვე უცნობია... ესეც შენი იდეურობა ეგოიზმის გარეშე! აი რა ამბები ტრიალებს შენს თავს, ვეტერანო!“

სიბერე ჰეშმარიტად უცნაური რამაა და ტოონელტისებურად ბევრი ვერ ახერხებს ამ უცნაურობაში გადასვლას... დროა თანდათანობით მეც დავეუფლო ამ დაფარულ სიბრძნეს! — ასკვნის საბოლოოდ სვენ ვოორე.

გამომშვიდობების წინ ვოორე პირობას დებს, რომ სულ მალე ისევ შემოივლის. გახარებულ მაგნუს ტეეს, რა თქმა უნდა, სჯერა მისი. იგი, ბოლოს და ბოლოს, ისეთ ახალგაზრდასთან შეხვედრას მოესწრო, რომელსაც სწორად ესმის ცხოვრება... განშორების წუთებში მაგნუს ტეე „ღვთის რისხვას“ კი არა, მოსეს უფრო ჰგავს. დიახ, სწორედ იმ მოსეს, რომელიც ნათელს აფრქვევდა.

V

ყოველდღიურად, დაახლოებით დილის ცხრა საათისათვის ორი ცხვირჩამოშვებული კაცი სახელოსნოსაკენ უხმოდ მიემართება...

დღემდე ვერ გამიგია, რომელმა ჭკუათმყოფელმა დააგდო ხმა, ხელოვნების ხალხი პოეტური ბუნებისანი არიანო. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამთ! ხელოვნებით წვა და დაგვა მარტოოდენ უხეირო ფილმებში გამოიყურება მიმზიდველად. სხვათა შორის, მეც მახსოვს ის ფილმი, რომელშიაც სახელდახელოდ ფერმიხდილი მთოვარეს იდილიურ ნათელში ბეთჰოვენი უზენაესი შთაგონებით თავის „მთვარის სონატას“ ქმნის... ნეტავ მართლაც ასე ყოფილიყო!

შემოქმედება ერთი გაუთავებელი წამებაა და ბედნიერ აღმოჩენათა წამებს ათასში ერთხელ თუ ეღირსება კაცი. საკუთარ წვალებას კიდევ ჰო, გაუძლებ როგორმე, მაგრამ სხვისი ტანჯვის ცქერა ნამდვილად აუტანელი რამაა.

ტოონელტის მიერ განაწილებული სამუშაოებით დაბოღმვას კი მოვერიე, მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი! — აინთან ერთად ერთ სახელოსნოში გაძლებაც არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა. ნერვები დამაწყვიტა ამ თავქარიანმა!.. საქმე იქამდე მივიდა, რომ 25-კაპიკიანი ფილტრიანი მუნდშტუკი შევიძინე და დღეში ორ კოლოფ „შიპკას“ ვაბურაქებდი. ნიკოტინის ცხელ კვამლს მადიანად ვახრჩოლებდი და უჩვეულოდ გულაჩუყებული მოსკოვის იმ სკვერებს ვიგონებდი, სადაც უზრუნველი კვიცივით დავკუნტრუშებდი ხოლმე. სიძნელეები, რა თქმა უნდა, იქაც შემხვედრია, მაგრამ ასეთი?!

დილა მოსკოვურ სახელოსნოში: მახსოვს კოსტია... ეს ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ციმბირელი ყოველ სამუშაო დღეს ჩვეულებისამებრ საათის მომართვით იწყებდა, მერე ცელოფანის მომცრო პარკს ფილოსოფიური სიმშვიდით

გაბერავდა და რომელიღაც თაბაშირის მოაზროვნეს თავში წაუშენდა... ანდა იმას რა დამავიწყებს ჯგუფში ერთადერთი ქალიშვილი, მაყვალივით შავკიკინებიანი ლიუდმილა თიხის ასაღებად რომ დაიკუზებოდა, ყველანი მის ქათქათა ბარძაყებს მივალენჩდებოდით... ის კი არა, ახლა უადგილო ადგილზე თიხის მიგდების გამო ვულკანივით ცეცხლის მფრქვეველ დეიდა ფროსიასაც კი მზრუნველ დედასავით ვიგონებ ხოლმე... ერთი სიტყვით, მთელი ჩემი წარსული სკვერის ფარნებით იყო გაჩახჩახებული.

ახლა კი რა გამოვიდა! აქ, ესტონეთში, ანდა როგორც მას რომანტიკოსები უწოდებენ — ქალწული მარიამის დანისლულ მიწაზე ამ ბუდეაშლილ კრუხივით დაბნეულ კუნძულელთან ერთად უნდა ვიცოდვილო?!... არადა, ამ საბრალოს დანახვაზე გულიც რომ მეკუმშება?!... ფაქტი ფაქტია და გამოსავალიც არ ჩანს: — მე და აინი უკვე იმ ინდივიდუალური სექტორის უკანასკნელ მოჰიკანებს ვეკუთვნით, რომლებსაც არსად ჩივილის უფლება არა აქვთ ... დირექტორსა და სამუშაოთა მწარმოებელსაც კი ვერ დაბეზღებენ...

რაც მართალია, მართალია — აინს ძალიან უჭირდა მუშაობა. მოსამზადებელი სამუშაოც კი, რომელსაც მოქანდაკეთა უმრავლესობა განსწავლული ხელოსნის მომხიბლავი ელეგანტურობით ართმევს თავს, აინისათვის ენით გამოუთქმელი წამება იყო. გაჯიუტებული ინსტრუმენტი არა და არ ემორჩილებოდა მის ხელს... და მე, ყოველდღიურად ამ საშინელების მხილველი, ვითომ რა გუნებაზე უნდა ვყოფილიყავი?

აინმა ოცამდე სხვადასხვა ესკიზი შექმნა, მაგრამ საბოლოოდ ყველას თიხის საყრელ ურნაში უკრა თავი. თიხა ხარ და თიხადვე იქცევი!... თვითონაც არ ვიცი რა მინდაო, გამომიტყდა ერთ დღეს. ვერც ვერასოდეს გაიგებ-მეთქი, გავიფიქრე. მისი ხელმოცარული მუშაობის შემხედვარეს ნეტავ სხვა რა უნდა მეფიქრა. მართალია, ამ გაძვალტყავებულ ბავშვებზე, მოხუცებზე, მუშტებმოღერებულ კაცებზე და დედა-შვილობის სხვადასხვა ვარიანტებზე „დედა, ეს რა ვნახეო“-ვერ იტყოდი, მაგრამ სანაძლეოს ჩამოვდივარ, ყველა მათგანიდან გამოვიდოდა რამე, საქმე რომ ბოლომდე მიეყვანა.

ამგვარ სიუჟეტებში ან კი რა უნდა თქვა ისეთი, შენიც რომ იყოს და ორიგინალურიც? კაცობრიობამ ხომ მონუმენტების ნახევარზე მეტი თავისი ბნელი საქმეების უკვდავსაყოფად აღმართა... და აი, ვიღაც საარმა აქაც საკუთარი სიტყვის თქმას ცდილობს! ნუთუ დღესაც არსებობენ შეურყვნელი იდეები?.. რაღაც არა მგონია, აკი ჯერ კიდევ მოხუცმა სოლომონმა გვიქადაგა, მზისქვეშეთში არაფერი არ არის ახალი...

ამდაგვარ შეგონებებს შიგადაშიგ აინსაც ვჩურთავდი ხოლმე, მაგრამ რა! — შენ, მგონი, მართალი ხარო, უმალ კვერს დამიკრავდა და სულ ერთიანად აქოშინებული ისევ თავისას მიერეკებოდა. — სულო ცოდვილო! ერთი პირობა იმასაც ვფიქრობდი, ჩემს ჯიბრზე ხომ არ იქცევა ასე-მეთქი, თუმცა ამ წამიერი ფიქრის აბსურდულობაშიც მაშინვე ვრწმუნდებოდი. მე და აინი შუშის ქილაში დამწყვდეულ ორ ხოჭოს ვგავდით... და ასეთ პირობებში ადამიანური ლოგიკით რას გააწყობ! მერე და მერე იქნებ ფსიქოლოგიის ისეთი „გეი-ლუსაკიც“ გამოჩნდეს, რომელიც ინდივიდუალური შემეცნების, ლოგიკის, სულიერ-პარციალური წნევისა და ემოციათა ტემპერატურის შორის არსებულ ურთიერთკავშირსაც აგვიხსნის... დღეისთვის კი ჩვენი პარციალური წნევა სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს...

მოსკოვში, სახელოსნოში მუშაობის დროს ყველანი ლაყბობას ვიყავით მიჩვეულნი. საყოველთად ცნობილია, რომ ენითა და ხელებით ერთდროულ მუშაობას არავითარი ზიანი არ მოაქვს. ვმუშაობდით, ანეკდოტებს ვყვებოდით, ლიუდმილას ველაზღანდარებოდით და ა. შ. აინს კი, შენც არ მომიკვდე, ვერაფრით ხმას ვერ ამოაღებინებდი, ის კი არა, ყველაზე ეფექტურ ანგლობაზეც დიდი-დიდი ორიოდე სიტყვა ამოეღერღა: „ჰო-ო?“, „რას მელაპარკები!“ და ა. შ. სამაგიეროდ, ზუსტად ყოველ ორმოცდახუთ წუთში, დიახ, ისე ზუსტად, რომ კაცი საათსაც გაასწორებდი, აინი ნამუშევარს კარგა მანძილზე მოშორდებოდა, სახელოსნოს კართან დადგებოდა და თითებს რატომღაც სამჯერ შეუბერავდა სულს. მერე ცხვირს ერთი ლაზათიანად დაირეკავდა და ისევ საქმეს მიუბრუნდებოდა.

ჰირი და ლხინი ამხანაგებიაო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა. ის იყო ნერვიულობით გამოწვეული ქავილი ქეცში უნდა გადაზრდოდა, რომ მოულოდნელად, როგორც იტყვიან, მზემ გამოანათა.

ვფიქრობ, არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო, თუკი მე ჩემს ფანტაზიას ძუკნა ძაღლს შევადარებ. სამუშაოს დასაწყისი ატეხილობის პერიოდსა ჰგავს: აი, მშიერ-მწყურვალი, გამოსავათებული ფანტაზია მოგონებათა ქალაქის დაბინდულ უბნებში დაწანწალებს და მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს, ანუ სანამ წამოსაგებზე წამოეგება...

უეცრად ორი-სამი ისეთი მზიანი დღე გამოგინათდება, ისეთი, ისეთი, რომ სიხარულით მეშვიდე ცას ეწევი. ამ დროს სამუშაო გავიწყდება, ვალებიც და ვალდებულებანიც. ასე უზომოდ აცეტებული ქუჩა-ქუჩა დაეხეტები და არა თუ „ცოცხალ კლასიკოსებს“, უკვე მათ ცოლებსაც ვერ ამჩნევ, რითაც ძალზედ დიდ ხიფათს უმზადებ საკუთარ თავს. გზადაგზა იმასაც ხვდები, რომ იდიოტურად იღრიჭები, მაგრამ რას იზამ! ასეთ დღეებში ხომ შენს თავს არ ეკუთვნი. და ეს ყველაფერი განა გაღიზიანებს, პირიქით — გეამაყება კიდეც. მაგრამ ასეთი დღეები, სამწუხაროდ, ელვისებური სისწრაფით გარბიან და ესკიზის დამთავრებისთანავე უკვალოდ ქრებიან...

მეორე დღეს შენს ნახელავს საღი თვალით რომ დააკვირდები, გულზე შემოგეყრება და, ეს რა ჯოჯოხეთის მაშხალა გამიკეთებიაო, გაიფიქრებ.

მაგრამ მერე და მერე ნამუშევრის მიმართ თანდათანობით მშობლიური გრძნობა გეუფლება, გადასაგდებად ვერ იმეტებ და შვილივით ინახავ. უფრო მეტიც — ამიერიდან მისთვის სულსა და გულს არ იშურებ, საკუთარ სისხლსა და კალციუმის გლუკონატსაც კი უნაწილებ... ერთი სიტყვით, იმდენ ხანს [illegible], სანამ ერთ დროს დაწუნებულ შენს პირმშოს ლოყები გაუვარდებიანდება.

განა არ ვიცოდი, რომ ბარელიეფის დასრულებულ ფორმაზე თავისტეხვას ისა სჯობდა, აინისათვის დამეცადა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მენახა, თუ რა გადაწყვეტას აირჩევდა იგი, მაგრამ ტყუილად ჯდომას ისევ შრომა მერჩია. სხვა გამოსავალი არც მქონდა. სხვათა შორის პრინციპულ საკითხებზე ჩვენ იმთავითვე შევთანხმდით: აინი განწირულთა რამდენიმე ფიგურას გამოაქანდაკებდა, მე კი ხალხის რისხვასა და ვაებაზე უნდა მეფიქრა. ასე რომ, მცირე დაბალანსებულობას მაინც ვინარჩუნებდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი კვირა თვალის დახამხამებაში გაგვიფრინდა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მას შემდეგ, რაც მე ბანალურად სევდიანი აღმოჩენის ავტორი გავხდი („ჯოჯოხეთის მაშხალა!"), ყოველდ უცნაური რამ მომეჩვენა: თითქოს ბარელიეფზე გამოსახულ ხალხს თვით მე არ ვყოფნიდი სასაცილოდ. ამის გამო დარცხვენილმა მზერა აინისაკენ გავაპარე. ო, როგორ მინდოდა მასაც ისე მოსცარვოდა ხელი, რომ ინსტრუმენტები იატაკზე დაეხეთქებინა... შენებრ წაბორძიკებულს რომ ნახავ, ერთბაშად დამშვიდდები კაცი. ჩემი აზრით სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ბადეში მოყოლილი თევზები ერთხანს მშვენივრად გრძნობენ თავს.

აინს, მართალია, ჯერაც ვერაფერი მოეფიქრებინა, მაგრამ მაინც შეცვლილი მეჩვენებოდა: ჯერ იყო და მისმა ჟესტებმა შეიძინეს მეტი გამბედაობა, მერე კი, სტვენა რომ წამოიწყო, ყური ხომ არ მატყუებს-მეთქი, გავიფიქრე!

ღმერთი გამიწყრეს, მაშინ თუ მისი სტვენის მიზეზი მცოდნოდეს! ეს უფრო მისტიკას ჰგავდა. იმ დღეს აინი სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე მუშაობდა. ერთთავად ხელებს, ფეხებს და მხრებს ძერწავდა... რატომ? რისთვის? ამ პირველი კურსის სავარჯიშოებს ნეტავ რა ეშმაკად დაუბრუნდა? ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ სახელოსნოში ძველთაძველი ანატომიური ატლასი მოათრია! მიუხედავად ყველაფრისა, აინი ვერც ერთ გადაწყვეტას გულს ვერ უდებდა და კიდურების ქაოსს კანიბალის აღტაცებით უკირკიტებდა. ამ ამბით პირდაპირ თავზარდაცემული ვიყავი.

ბოლოს ავდექი და, რას აპირებ-მეთქი, ვკითხე.

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ მალე მეცოდინება, — დელფოს ორაკულის თავდაჯერებით მიპასუხა აინმა და ჩემს დაუმთავრებელ ბარელიეფს გადახედა, — ყოჩაღ შენ! მაგრად შეგიბერია... — ჩაიბურტყუნა და მთელი თავისი ემოციები ამ ორ სიტყვაში ჩააქსოვა. მერე ისევ ამოჩემებული მელოდია დაუსტვინა და მუშაობას შეუდგა.

.მე ხომ მის ადგილზე უფრო სხვანაირად მოვიქცეოდი...

საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული ადამიანები ყოველთვის პატივისცემას იმსახურებენ. რატომღაც „ხბოსმკვლელი" გამახსენდა. არა, ეს კაცი რაც შეიძლება მალე უნდა შევისწავლო... რაც შეიძლება მალე!

VI

ერთ საღამოს მე და აინი სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გამოვედით. ჩემი ბარელიეფები სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს ღებულობდნენ. აინი კი ისევ ორპოფობდა, ჭირვეულობდა, ცხვირჩამოშვებული დადიოდა და დუმდა. გული მიგრძნობდა, რომ სწორედ ამ საღამოს ავაწყობდით გულახდილ საუბარს.

ბინდი თითქოს ბუნებრიობისაკენ გვიბიძგებს... მერე და მერე სიბნელეში გამბედაობაც გვემატება და პოზიორობაში გალეულ დღეს კაბასავით შემოვიფხრეწთ ხოლმე ტანზე! თანაც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სხვებიც ასევე იქცევიან. არიან ქალები, რომლებიც მხოლოდ წყვდიადში აედავენ თავიანთი ვნებების გამომჟღავნებას... რაც შეეხება გულახდილ საუბარს, კაცებსაც სიბნელე ურჩევნიათ საამისოდ. ჩვენც ქალაქის გაჩახჩახებულ ცენტრს

ვცილდებოდით და კალამაიას ჩაბნელებულ უბანს ვუახლოვდებოდით. სწორედ იმ უბანს, სადაც ქალაქი მთავრდება და ზღვასთან შესახვედრად ემზადება.

უკვე ბევრი-რამ ვუამბე აინს ჩემს სიყმაწვილეზე, მოსკოვში გატარებულ წლებსა და სასიყვარულო თავგადასავალზეც კი. ახლა ისიც უნდა ალაპარაკებულიყო! ამასობაში შევნიშნე, რომ მე თვითონ შემეცვალა ლაპარაკის მანერა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა და გასაკვირიც არაა — ამ უტყვი თანამგზავრის, ჩაბნელებული გარეუბნისა და აპრილის მოღუშული საღამოს შემხედვარე ვითომ რა კალამბურების გუნებაზე უნდა ვყოფილიყავი?!

აინი ყურადღებით მისმენდა და ჯერაც მიწაზე მიყინულ ქვის კენჭებს თავისდაუნებურად გაჰკრავდა ხოლმე ფეხს. ზუსტად ისე, ბავშვობაში რომ „სერობანას“ ვთამაშობდით.

— აბა მე რა მაქვს მოსაყოლი... კუნძულ საარემაზე დავიბადე და გავიზარდე. ხის გამოთლა-გამოჩუქურთმებით ჯერ კიდევ ბაბუაჩემი და მამაჩემი იყვნენ გატაცებული... სკოლაში სიარული რომ დავიწყე, იმ წელს ბაბუაჩემმა ძვლისტარიანი მოღუნული დანა მაჩუქა.. ჰოდა, მეც ავდექი და მაშინვე რაღაცრაღაცეების გამოთლას შევუდექი. იმ დროისათვის ეს საქმიანობა მომგებიანიც კი იყო: ერთმა გერმანელმა ოფიცერმა ჩემი გამოთლილი ეშმაკი რომ ნახა, ძალიან მოეწონა და ერთ კილო კარაქში გამიცვალა. მართალია, როგორც შემდეგ გამოირკვა, კარაქში კარტოფილის ფქვილი ყოფილა ბლომად გარეული, მაგრამ ოფიცერს ეს არც ეცოდინებოდა... ჰოდა, ჩემი გამოთლილი ეშმაკი გერმანიაში ცოლს გაუგზავნა — აქაოდა, ნახე, ესტონეთი რა ეგზოტიკური ქვეყანააო...

როგორც შევატყვე, აინი თვითონაც განიცდიდა, არაფერი რომ არ ჰქონდა მოსაყოლი.

— ეს არქაული და ტლანქი მანერა შენი აზრით საიდან უნდა გამოგყოლოდა, ჰა? — ვკითხე მე და მაშინვე ვინანე, ნამეტან კორესპონდენტურ სტილში ხომ არ გამომივიდა-მეთქი. არადა, სულ სხვანაირ, უფრო ბუნებრივ საუბარს ვაპირებდი.

— ეს კი ნამდვილად არ ვიცი, რანაირად არ ვცადე, აი ასეც — თანამედროვეს რომ ეძახიან... არაფერიც არ გამოვიდა! მართლა ასე ტლანქია?

— კი ტლანქია, მაგრამ ნაღდიც რომ არის? შენს მხატვრულ ჩანაფიქრსაც რომ უხდება?!

დიალოგი ისევ გაცივდა. ასეთი მიხვეულ-მოხვეული გზებით აინის გულამდე მისვლა არ მოხერხდებოდა. და სწორედ ამ დროს თავში ამომიცურდა იდეა: მასთან ურთიერთობაში გამომეცადა ჩემი „ბუნებრივი ადამიანის თეორია“.

ათი ზრდადასრულებული კაციდან, რომლებიც მაინდამაინც ადამიანის არსისა და დანიშნულების თეორიებს უკრკიტებენ, ცხრა უსათუოდ იდიოტია (ერთი ნახევრად იდიოტი). ამ სამწუხარო ჭეშმარიტებას, რა თქმა უნდა, მეც უყოყმანოდ ვიზიარებ, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობათა გამო იძულებული ვარ ჩემი პერსონაც იმ სასაცილო საამქროს მივაკუთვნო, სადაც მუდმივ ძრავას იგონებენ... ჩემს მრავალრიცხოვან, ურთიერთგამომრიცხავ ოპუსთა შორის ხომ ყველაზე დიდი პრაქტიკული სარგებლობა სწორედ „ბუნებრივი ადამიანის თეორიის“ ეფექტურ გამოყენებას მოაქვს.

დიახ: უმრავლესობას-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ საკუთარი თავის შელამაზების სურვილი, თქვენ რომ გგონიათ, იმაზე მეტ ხალხს აქვს. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითის მოყვანაც შემიძლია.

კარგა ხანია ერთი რბილი ხასიათის, ცოტა არ იყოს, ქალწულებრივად განაზებულ კაცს ვიცნობ, რომელსაც საკმაოდ დახვეწილი ტენორი აქვს, მაგრამ ბარიტონით ლაპარაკს კი ცდილობს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს კაცი ხელოვნურად მოღუშული სახის შენარჩუნების ცდაშია დღენიადაგ. როგორც ამბობენ, ახალგაზრდობაში ბალეტით ყოფილა გატაცებული. ახლა კი მოტოსპორტის გარდა არაფრის გაგონება არ სურს.

როდესაც მსგავსი ხერხებით ამა თუ იმ ნაკლის დაფარვას ვცდილობთ, ყოვლად შეუძლებელია საკუთარ თავში აღმოჩენილმა ფარის ვლობამ არ შეგვაძრწუნოს. და რა უსაზღვროა ჩვენი გაოცება, როცა ისეთ ადამიანს შევეჩეხებით, რომელიც არათუ არ მალავს თავის ნაკლსა და სისუსტეებს, არამედ ხმამაღლაც გმობს. (აი, მაგალითად რას იფიქრებდით ისეთ ტიპზე, რომელიც შემდეგი აღსარებით მოგმართავდათ: „საერთოდ, ცხოვრების უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ ქალებს არ მოვწონვარ და ეს მადარდებს. თუმცა არა, ყველაზე მეტად იმას განვიცდი, ჭკუა-გონება რომ არ გაიმეტა ჩემთვის ღმერთმა...“)

ასეთ გულახდილ ადამიანებს, ჩვენ რომ გულწრფელსაც ვეძახით ხოლმე, რაც უნდა ეცადო, ვერავითარ წყენას ვერ მიაყენებ. ამის ცოდნა ყველასათვის სასარგებლოა!

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი რომანი (გამხდარი, წითური გრაფიკოსი) მართალია, ფულზე ქესატად ვიყავით, მაგრამ საგამოცდო სესიების დამთავრების აღსანიშნავად მაინც რესტორან „პრაღას“ მივადექით. სანამ მაგიდას მივუსხდებოდით, მე ყველაზე მრისხანე სახის მომტანი შევარჩიე, გვერდზე გავიხმე და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე გავანდე: მეგობარო, ჩვენ ამდენი და ამდენი მანეთი გვაქვს-მეთქი, მთლიანად არ გვინდა შემოგვეხარჯოს. რადგან „გუმ“-ში გადასარევი ჩინური ავტოკალმები მიუღიათ-მეთქი და ა. შ. მომტანმა იმწუთშივე დარეხვილად მიმიღო, მაგრამ მე არ დავბნეულვარ და ახლა იმის ახსნას შევუდექი, თუ რა გადასარევი, რა მოოქრული, რა გამძლე კალმები აქვთ ამ მუდმივებს და ფული თუ არ გიჭირს, ერთი ცალი იქნებ შენც იყიდო-მეთქი, ვურჩიე ბოლოს. ყველაფერი ეს ისეთი გულითადობით ჩავუჭიკჭიკე, თითქოს ერთმანეთთან მრავალი წლის მეგობრობა გვაკავშირებდა. ახლა შედეგს არ იკითხავთ? — „ბუნებრივი ადამიანის“ გულითადობით მომტანი ისე მოიხიბლა, რომ სულ მალე ერთად (!) დავსხედით და ნორმალური პურის საჭმელად რვამანეთ-ნახევარი დავიანგარიშეთ. „არა, შეგვეშალა, რვა-ნახევარი კი არა, რვა! — დავაზუსტე მე, — შვეიცარსაც ხომ უნდა დავუტოვოთ? მაგათ პატარა ხელფასი აქვთ...“

თვალის დახამხამებაში ისეთი სუფრა გაგვიწყვეს, ბარე ორ ფულიანსაც რომ შეშურდებოდა; აქეთ ცივი ღვინო, იქით საუზმე „ā la carte“-ს სტილში. მოკლედ, ჩიტის რძე არ დაგვკლებია. ბოლოს პაწაწინა კიბორჩხალების მაგვარი ისეთი გემრიელი დელიკატესიც დავურტყით, რომ მისი გემო ახლაც პირში მაქვს.

„ბუნებრივი ადამიანის“ როლი სხვა დროსაც დიდი წარმატებით გამითამაშებია. თუმცა „გათამაშება“ რა სათქმელია! — საკმარისია ამ ჰომუნკულუსს

ცოტაოდენი სისხლი გადაესხა და სული შთაბერო, რომ წარმატებით გათამაშებული როლი უმალ დამაჯერებელი სინამდვილის სახეს მიიღებს.

— იცი რა, აინ... — დავიწყე მე. — შენს გვერდით რომ ვარ, რაღაც მემართება... სულ ის მეეჭვება, ვაითუ საჩემო საქმეზე არ მიკიდია ხელი-მეთქი.

— აინი გაოცებით შემომაჩერდა. — ჩემი აზრით, მოქანდაკე სწორედ შენნაირი უნდა იყოს! შენ მიწის შვილი ხარ, აინ! მუხლებამდე მასში ჩაფლული... მშობლიურ მიწაში ღრმადა გაქვს გადგმული ფესვები. შენ რომ გიყურებ, ასე მგონია, ბუნება სწორედ შენისთანების პირით ღაღადებს თავის სათქმელს... მე უფრო შარახვეტიას ვგავარ, ერთი შეხედვით თითქოს კულტურულ. მაგრამ მაინც ამჩატებულ შარახვეტიას... მთელი უბედურება კი ისაა, ჩემივე მანკიერი თვისებებით რომ ვიჯგიმები! ახლა ამას ჩემი ჭრელაჭრელა სვიტრები და უცხოური ჰალსტუხებიც დავუმატოთ და... შენ გგონია, მე ვერ ვხვდები, ყველაფერი ეს სასაცილო რომაა? როგორ ვერ ვხვდები, მაგრამ იმასაც ვიმედოვნებ, ჩემს მიხვედრილობას სხვებიც გრძნობენ-მეთქი. რა ვქნა, ძმაო, ესენიც თუ გავიხადე, ჩემგან რაღა დარჩება?... იქნებ სულ სხვა პროფესია უნდა ამერჩია. მახსოვს, სკოლაში მათემატიკით ვიყავი გატაცებული, ერთ დროს დიფერენციალურ გეომეტრიასაც ვაჭყლეტდი ტვინს. ახლა ვინმემ რომ მკითხოს, რაღა მაინცდამაინც ხელოვნება ამოირჩიეო, შენ წარმოიდგინე, ვერაფერსაც ვერ ვუპასუხებ... — როგორც შევნიშნე, ჩვენ უკვე ფეხაწყობილი მივაბიჯებდით. ეს კარგი ნიშანი იყო! თქვენ თუ გიფიქრიათ ოდესმე, ასე თავგამოდებით რატომ ასწავლიან ჯარში ფეხაწყობილ სიარულს?... — ეტყობა, ჩემს მეცნიერულ მონაცემებს თავის დროზე შესაფერისი რწმენა ვერ შევაშველე, — გავაგრძელე მე. — ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდი, რომ ნამდვილი მეცნიერი თავდაუზოგავი და შეუპოვარი უნდა ყოფილიყო... აბა მაშინ რა ვიცოდი, ამ ქვეყანაზე თუ ყველანაირი მეცნიერი ცხოვრობდა! აბა რა ვიცოდი, წყალბადის ბომბის გამომგონებელი ტელერი სონეტებსაც თუ წერდა!... ოპენჰეიმერი ქალების მუსუსი თუ იყო, ხოლო ჰაიზენბერგი გამოუსწორებელი ავანტიურისტი!.. შენ ვერავინ ვერ წარმოგიდგენს საჭრეთლისა და თიხის გარეშე, მე კი სრულიად შემთხვევით გავხდი მოქანდაკე...

— მართლა? — სიტყვა ჩამომართვა აინმა, — აბა მე მეზღვაური უნდა გამოვსულიყავი. ხელოვნებაც ძალიან მიზიდავდა, მაგრამ მხატვრებზე თავიდანვე იმხელა წარმოდგენა შემექმნა, ჰალსტუხებისა და სვიტერების გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ წარმომედგინა. აი როგორც შენა ხარ... — შემომცქერის და იღიმება! — სხვათა შორის ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი მხატვარი შენა ხარ და არა მე... შვიდწლედის დამთავრებისთანავე საზღვაო სკოლას მივაშურე. არ გამიმართლა, მათემატიკაში ჩავიჭერი. ვიფიქრე, საარეში რა პირით ჩავიდე, იქნებ სხვაგან მაინც ჩავაბარო-მეთქი. ვიფიქრე. ვიფიქრე და ოდესღაც ხის თლაში ვიღაცისაგან შეგულიანებული ტარტუს სამხატვრო სკოლაში ჩავირიცხე.

ბაწრის მგრეხავთა ქუჩას მივადექით. მახსოვს, ბავშვობაში არა მარტო ამ ქუჩის, მთელი კალამაიას უბნის შიში მქონდა. თანაც ეს შიში უფრო ადრე გამიჯდა ტანში, ვიდრე ამ ქუჩაზე დასახლებული ჯალათებით დამაშინებდნენ.

ახლა, რა თქმა უნდა, არავითარი მოჩვენებისა არა მჯერა. თუმცა იმას კი ვგრძნობ, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერს თავისი სული უდგას. სადღაც წამი-

კითხავს, თურმე ძველ საზღვაო რუკებზე ისეთ ადგილებსაც აღნიშნავდნენ, რომლებსაც გემის კაპიტნები განსაკუთრებით უნდა მორიდებოდნენ. თანაც წყალქვეშა კლდეების შიშიც კი არა, უფრო იმიტომ, რომ ამ წყლებში ცურვისას ყველაზე დისციპლინირებული ზღვაურებიც კი უმიზეზო აყალმაყალს ტეხდნენ ხოლმე. რაციონალურ მეცხრამეტე საუკუნეს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყო და მთელი რუკები სასწრაფოდ გადააკეთა. ახლა ისევ დაირხა ხმა ნეირონულ ძალისმიერ ველსა და ტელეპათიურ კავშირზე... ეს ყველაფერი შეიძლება სისულელეც იყოს, მაგრამ, ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს, სამყაროს კანონზომიერებათა ახლებურად გააზრებისას იქნებ მოჩვენებანიც კი გაითვალისწინონ, როგორც ენერგიის ნარჩენები... მერე და მერე ეს ნარჩენები იქნებ ხალხის სამსახურშიც კი ჩააყენონ...

სანაპირო სველი თოვლით შემოგვეგება. სახესა და ტანსაცმელზე ფართე ფანტელები გვეფინებოდა. ძველი სახლების სარკმლებიდან შუქი გადმოიღვარა... სადღაც ფანჯარა გაიღო და მაშინვე გაანჩხლებული ჩვილის გულისგამაწვრილებელი ღნავილი გაისმა. ასეთი გულახდილი ტირილი მარტოოდენ ჩვილებს ეხერხებათ! საერთოდ ბავშვებს ბევრი სხვა რამეც გამოსდით გულწრფელად. ბავშვის ღნავილი, იდუმალად მოფარფატე ფიფქები, მოწყენილი ფანჯრები... ყველაფერი ეს ყვითელი სიზმარივით ლღვებოდა.

— კი, ასეა... ჩემს მოქანდაკეობას ეშმაკს უნდა ვუმადლოდე, — გაისმა ფიქრებში წასული აინის ხმა.

— ვის? ეშმაკს?! — ყურებს არ დავუჯერე მე.

— დიახ, ეშმაკს.

მორჩა, ახლა უკვე არავითარი შეკითხვების მიცემა არ იყო საჭირო. თუ რამე ჰქონდა მოსაყოლი, ისედაც მოყვებოდა. ლაპარაკის საღერღელი მას სწორედ ახლა უნდა ამლოდა. ეგზო მაკლია, ჩემმა ჰომუნკულუსმა, ანუ ხელოვნურად — ბუნებრივმა ადამიანმა ამას ენა ვერ ამოადგმევინოს და ლაპარაკის იშტაზე არ მოიყვანოს!

— ყველაფერი ეშმაკით დაიწყო. მაშინ მე ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი. ერთხელ უთენია გამეღვიძა. ჩემს და-ძმებს ეძინათ. მამაჩემსაც ეძინა. დედაჩემი საბძლის მოღიავებულ კართან იჯდა და ქსოვდა. იმ დღეებში ჩვენს კრიიტს ხბო უნდა მოეგო. ბებერი ძროხა იყო, ზედიზედ მეორე დღეა წვალობდა. ტიხრიდან გარკვევით მესმოდა კრიიტის ზმუილი და ქშენა. ერთხანს ნავთის ლამპით განათებულ ჭერზე უცნაური ღანდების ბორიალს ვუთვალთვალებდი. ის იყო თვალი უნდა მიმელულა, ჭიმ ჭიულოდნელად შორეული ნაბიჯების ხმა ჩამესმა. ეს იყო მონოტონური, მძიმე, გრძელი პაუზებით გამოყოფილი ნაბიჯების ხმა... ეშმაკი! გამიელვა მაშინვე თავში — ეშმაკი დააბიჯებს სადღაც!

თავზე ბალიში წავიხურე... ნაბიჯების ხმა კიდევ უფრო მძიმედ ისმოდა. თვალები მაგრად დავხუჭე და ნათლად დავინახე ეშმაკი. თავზე ცილინდრი ეხურა, ფეხზე მეთევზის ჩექმები ეცვა და დედამიწის კიდეზე სასაცილოდ დააბოტებდა (დედამიწა რომ თეფშივით მრგვალია, ეს უკვე გაგონილი მქონდა), ხოლო თეფშის შუაგულში მეთევზეებით დასახლებული ჩვენი სოფელი თვლემდა.

ეს ჩექმებიანი ეშმაკი კი თეფშს კიდე-კიდე მიუყვებოდა. მე თავზარდაცემული ვიყავი, რადგან რამდენ წრესაც შემოუვლიდა, იმდენი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა.

მთელი ეს მოჩვენება თავში გადაცემული სისხლის პულსაციის ბრალი ყოფილა. ვიფიქრე, ახლავე ავდგები და ყველაფერს დედას მოვუყვები-მეთქი. ის იყო უნდა წამოვმდგარიყავი, რომ კრიიტი ისევ აზმუვლდა და დედაც მისკენ გაექანა. საბრალო ძროხა ზედ ჩვენს სადგომს მოტმასნოდა, ტკივილებით გაწამებულს ენაგადმოგდებული თავი ჩვენს გამყოფ ტიხარზე გადმოედო და ძალიან უცნაური თვალებით მოგვჩერებოდა, კრიიტის თვალებში ცრემლი კიაფობდა... თეფშის კიდეზე ეშმაკი დააბოტებდა... კრიიტმა ადამიანის გამოჩენამდა უშველა თავს და მკვდარი ხბო შობა. ხბო იყო სულ მთლად ლორწოიანი, ბალანგაცვენილი, გადასლეპილი... ღონემიხდილი კრიიტი მანამდე ბორგავდა, სანამ ყელი არ გამოჭრეს... მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია: აქეთ სანთლისფრად გადასლეპილი ხბო, იქით კრიიტის ცრემლით სავსე თვალები და იქვე ეშმაკი! მე რატომღაც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს — იქნებ ხბო არც კი მომკვდარიყო, მე რომ ეშმაკი არ მეხილა-მეთქი. ბოლოს ისევ დედაჩემმა დამიყვავა, სულელური სიზმარია, ალბათ საბანგადახდილს გეძინაო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს სიზმარი არ იყო! ნეტავ დედა როგორ ვერ ხედავდა ამას! დროთა განმავლობაში ჩემი თავი დავარწმუნე, რომ ეშმაკის ნაბიჯების ხმა მხოლოდ მე მესმოდა... რომ მე რაღაცით ვგავდი კრიიტს... კრიიტს, რომელსაც დედაჩემმაც კი ვერ უშველა...

იმ დღეებში ღმერთს იმას ვევედრებოდი, რათა ეშმაკს გზა-კვალი არეოდა და ჩვენამდე არ მოეღწია, ჩემმა ვედრებამ თითქოს გაჭრა კიდეც — ნაბიჯების ხმა ისე მძიმედ არ ისმოდა. იქიდან მოყოლებული სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ჩემი ბავშვობისდროინდელი გაშეთება გამომეთალა, მაგრამ ყოველთვის რაღაც სასაცილოდ გაჩაჩხული რამ გამომდიოდა... არადა, ის ეშმაკი სულაც არ იყო სასაცილო! და მეც ვთლიდი და ვთლიდი! აი სწორედ ერთი ასეთი ეშმაკთაგანი იყო, იმ გერმანელ ოფიცერს რომ მოეწონა. სამხატვრო სკოლაშიც ეშმაკით მიმიღეს. მერე ტარტუს სასწავლებელი ფრიადოსნის დიპლომით რომ დავამთავრე, ტალინში ჩამოვედი და ტოონელტთან მოვხვდი... ჰო, ყველაფერს ეშმაკს უნდა ვუმადლოდე!

უკვე ზღვასთან ვიდექით. ქარი არ ქროდა. თოვლის ფანტელებიც შეთხელებულიყო. სანაპიროზე ყინულის ტურტლიანი ნალეწები ჩახერგილიყო. რიგრიგობით ციმციმებდნენ შუქურები. ჩვენ გატრუნუ ვიდექით და ზღვის სუნთქვას ვაყურადებდით.

— ახლა შენ მომიყევი რამე...

მისი მეტყველება ისევ დაქუცმაცდა, ისევ თავის თავში გაუჩინარება იწყო. ტანზე პალტო არ ჰქონდა მორგებული, თაგზე კი ქუდი. მე ამჯერად სრულებით არაფერი არ მქონდა სათქმელი. თუმცა ამას მანამდეც მძაფრად ვგრძნობდი. რა დასამალია და შურით მისკდებოდა გული... მოჭუტული თვალებით დანახული მზე, ნაირგვარი სურნელება, ფიქრები ფერთა ლაციცზე და სხვენში მიყრილი გამტვერილი სათამაშოები... ეს იყო და ეს, სხვა რა უნდა მომეგონებინა. აინის მოგონებებთან შედარებით ეს მხოლოდ აბსტრაქცია და უძლუ-

რება იქნებოდა! არც ოფლი... არც სისხლი!... მხოლოდ ლიმფა! მხოლოდ შემგუებლობისა და „ბუნებრივი ადამიანის“ თეორიები...

— სხვა დროს იყოს, ჯერ შენი მონათხრობის შთაბეჭდილებებიდან ვერ გამოვსულვარ, აინ, — დავიძვრინე თავი მე.

უკან გამოვბრუნდით, შუქურები რიგრიგობით ციმციმებდნენ.

ღმერთო ჩემო, რა გულახდილი ყოფილა! ნუთუ ყველასთან ასე მიმნდობია? მე მუდამ მისი ერთგული უნდა ვიყო! მე ის ყველგან და ყოველთვის უნდა დავიცვა!

აინს გავხედე: დაბალ ტანზე შემოდებული არაპროპორციულად უზარმაზარი თავი, რომელშიც, ვინ მოთვლის, რამდენი უცნაური აზრი ფუთფუთებს...

ო, როგორ მინდოდა აინს ჩემს თვალებში ამოეკითხა ის, რასაც ახლა მთელი სულით და გულით ვნატრობდი: — მოდი, დავმეგობრდეთ, აინ!

VII

მაისის დამდეგს მე უკვე კვარცხლბეკისა და ბარელიეფის საბოლოო ვარიანტები მქონდა დამუშავებული, აინს კი ჯერაც ვერაფერი მოეფიქრებინა. დღედაღამ ჟან ეფელის „სამყაროს შექმნიდან“ გადმოსული ღმერთივით თავის ჯერაც შეუქმნელ ადამის კიდურებს უკირკიტებდა. ამ ბოლო ხანებში ერთთავად ხელებით იყო გატაცებული. მისი საცოდაობით გული მეთუთქებოდა, მაგრამ რა მექნა? რით დავხმარებოდი? საკონკურსო ვადები იწურებოდა... ყველაფერი ზაფხულის დადგომამდე უნდა მოგვეგვარებინა, თორემ მერე მხატვართა კავშირში მკვდარი სეზონი დაიწყებოდა... მთავარია ხელშეკრულების გაფორმება მოგვესწრო და ჰონორარის 25% დაგვეთრია. იქნებ აინს რამეში წაადგეს-მეთქი და საღამოობით, მოცალეობის ჟამს მეც დავიწყე ჯგუფური ქანდაკების ესკიზებზე მუშაობა. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, უფრო შორსაც ვუმიზნებდი.

ერთ დღეს, გახურებულ მუშაობაში რომ ვიყავი, კარზე ზარის ხმა გაისმა. ეს აინი იყო.

— დღეს რაღაც შეუძლოდ გავხდი... მთელი დღე ლოგინში ვკოტრიალობდი... ჰოდა, ესეც მაშინ მოვარდა...

— ვინ მოვარდა? — დავიბენი მე.

— ახლავე ნახავ!

აინი იღლიაში ამოჩრილი გრაგნილის გაშლას შეუდგა, მე კი რატომღაც ავი წინათგრძნობა დამეუფლა.

— აჰა, შეხედე! რას იტყვი, ა?

ასეთმა აღგზნებულმა ტონმა ისე გამაოცა, რომ პირველ რიგში გრაგნილი კი არა, თვითონ აინი შევათვალიერე. იგი იმ პატარა ბიჭივით გაბადრულიყო, ვინც ეს წუთია საახალწლო ნაძვისხეზე შეუშლელად წაკითხული ლექსის გამო ნანატრი ციგურებით დააჯილდოვეს...

ახლა ყურადღება გრაგნილზე გადავიტანე, მაგრამ თავდაპირველად ვერაფერი გავიგე: მხრები, უკან გადაგდებული თავი და ორი ხელი, მთელი გრაგნილის სიგრძეზე აღმართული ორი უშველებელი ხელი... ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, გამიელვა თავში.

— ეს ალბათ ხელებია. ხომ?

— კი, ხელებია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— წარმოიდგინე: ვაკე ადგილზე ამოზნექილი მომცრო გორაკი... უბრალო დაბალი ბორცვი ყოველგვარი ბარელიეფებისა და სულიერული კვარცხლბეკების გარეშე... მხოლოდ გრანიტის ლოდი და იქიდან ამოშვერილი... აი, ესენი? ა?

აინს ტანის სიმძიმე ხან ერთ ფეხზე გადაჰქონდა, ხან მეორეზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთ ადგილზე ვერ ჩერდებაო.

და მოულოდნელად მართლაც თვალწინ წარმომიდგა ყველაფერი ეს!.. საფლავის ქვის კიდეზე დაყრდნობილი მხრები, კისრის გადაწყვეტამდე უკან გადაგდებული თავი... და ხელები, არაბუნებრივად გრძელი, სიცარიელის მოსახელთებლად გაწვდილი ხელები!

ეს ხელების კივილი იყო!

...აი, თურმე რატომ აკლავდა თავს ხელებს!

ტანში ერუანტელმა დამიარა. მაშ ხელების კივილი, ხომ? არა, ეს უფრო მუქარასა ჰგავს! ყოველ შემთხვევაში, მე რომ ნამდვილად მემუქრებიან, აპას წყალი არ გაუვა!

— კი მაგრამ, ბარელიეფები?

— რა ბარელიეფები? ჰოო... მართლა, გამახსენდა... ბარელიეფები არ არის საჭირო! განა მათ გარეშე უფრო შთამბეჭდავი არ არის? ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

რა უნდა მეპასუხა?

— ბარელიეფების გარეშე ჯობია, აბა რა! ვაკე ადგილი, ვაკეზე ბორცვი. ბორცვზე ხელები და მორჩა!

ისევ დუმილი.

— ჰო, მართლა, შენ... გამოდის, რომ სულ ტყუილად გაისარჯე... ახლა ამაზე ფიქრობ, ხომ? და ფულზეც...

როგორც შევნიშნე, აინი თავისივე მიხვედრილობით გაღიზიანდა. თუმცა მალევე გაუარა.

— ფულს... ფულს გავიყოფთ და ის იქნება! ბოლოს და ბოლოს ფული რა სათქმელია... სანახევროდ გავიყოფთ და მორჩა!

— არა, თავიდანვე რომ გეთქვა... საშინელი ხელები უკვე ყელამდე მწვდებოდნენ... მახრჩობდნენ, მემუქრებოდნენ!

— კი, მართალი ხარ... უნდა მეთქვა, მაგრამ... — დაიბნა აინი, მაგრამ ხატი-რჯული! თავიდან მე თვითონ არ ვიცოდი. უბრალოდ ვგრძნობდი, რომ შიშველ ხელებშიც იყო, რაღაც... რაღაც ისეთი. რასაც ვერსად ვერ ნახავ... აბა რას წარმოვიდგენდი, შიშველ ხელებსაც თუ შეეძლოთ რამე! გეფიცები, დღეს მივხვდი ამას პირველად...

— ვცდილობ დაგიჯერო... — ირონიულად ჩავილაპარაკე მე, თუმცა აინს ჩემს ნახევარტონებში ჩასაღრმავებლად სულაც არ ცხელოდა.

— მიხარია, რომ გჯერა ჩემი, — დაიწყო აინმა, — მაინც რა მაგარი რამე გამომივიდა, არა? არავითარი პოზიორობა და გადაპრანჭული კეკლუცობა! მხოლოდ ხელები და მორჩა, მეტი არაფერი! წამო, სვენ, ერთი მაგრად გამოვ-

თვრეთ! კლუბში წავიდეთ: ამ ხელებს დასველება მოუხდება...ხუმრობა ხომ არაა, ორი თვე ვწვალობდი და ბოლოს მაინც მივაგენი! ახლა ყველაფერი ფეხებზე მკიდია. ახლა მამაპაპურად უნდა შევუბეროთ!

ასეთი აინი მე ჯერ ან მენახა... უსაზღვროდ აღტაცებული იყო და მართლაც ახლადწყვეტილი ქაჯივით ბობოქრობდა.

— არა, იცი... დღეს არაფრით არ შემიძლია.

— წამო, წამო! ნეტა რა საქმე გაქვს ასეთი?

— არა, მართლა არა მცალია. დღეს ჩემთან... — დაბნეულად დავიწყე მე. მოთმინების ფიალა თანდათან მევსებოდა, — დღეს ერთ ისეთ სტუმარს ველოდები, რომ... შენ წადი და მოგვიანებით მეც შემოგიერთდები.

— შენც იტყვი, რაღა! რა სტუმარი, რის სტუმარი! ამოჰკარი ჰიტლაყი და მაშინვე კლუბში წამოდი.

აინი პიჯაკის ღილზე მექაჩებოდა და გასაქანს არ მაძლევდა.

— ყოველ მიზეზგარეშე გელოდები, იცოდე, შენთვისაც მექნება შეკვეთილი... მე მგონი, ათამდე მოასწრებ... იქ კი მე დავტრიალდები, ღამის ორ საათამდე რომ არ გამოგვყარონ.

— ევასთან ერთად რომ წასულიყავი? — ახალ-ახალ გზებს ვეძებდი მე.

— ევასთან ერთადო? — ხა-ხა-ხა! ევა მინდა ახლა მე?! ქალების მეტი რაა ამ ქვეყანაზე. ევა ხვალაც მეყოფა, ნაბახუსევზე რომ წაიღებს ტვინს თავისი ჭიკჭიკით... აბა შენ იცი, არ დააგვიანო, იცოდე!

ნაბიჯების ხმა თანდათანობით მიწყდა. სახელოსნოში ისევ მარტო დავრჩი.

ჩაი ავადუღე და, ფინჯანში რომ ვასხამდი, მოულოდნელად საკუთარმა ხელებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება: ეს იყო ამაზრზენად უცხო, მოცახცახე, გრძელთითებიანი ხელები... პედანტურად მოვლილი ფრჩხილები... თუ რამ ღირებული გამაჩნია, სულ ამ თითების ნაძერწია. თუ რამ გამაჩნია... ახლა კი რა, უცხო ხელებისაგან დამფრთხალნი ასე უსუსურად უნდა ცახცახებდნენ?.. ჰმ! „ყოველგვარი ბარელიეფებისა და სულელური კვარცხლბეკების გარეშე!“ —ასე არ თქვა?

ჩაის ნაყენი ერთობ მწარე გამოდგა და, ცოტა არ იყოს, გამაბრუა კიდეც.

მართალია, ჯერ ცხოვრებაში სერიოზულ წინააღმდეგობებს არ წავწყდომივარ, მაგრამ პატარ-პატარა სიძნელეებს ყოველთვის ადვილად ვერეოდი და აი, პირველი შავი დღეც გათენდა: ჩემი ნამუშევარი თვალებზე ჩამოშლილი კულულივით გვერდზე მოიქნიეს... თვითონაც რომ არ მოელოდნენ, ისე! ჯერ იყო და კერძის ნაცვლად საკმაზის შენელება მომანდეს, ახლა კი თეფშიდან მწვანილის ფოთლის ამოყრაც მომინდომეს!... თვითონაც რომ არ მოელოდნენ, ისე!

წამოვდექი, შუქი ჩავრთე. რატომღაც სარკეში ჩახედვა მომინდა. ცხვირის წვერი მურით მქონდა გათხვრილი: ღმერთო, ნუ გადამრევ! — ეს მური მაინც საიდან?! თუმცა რა გასაკვირია... ტრაგედიას ხომ ჩვეულებრივად იქ უნდა მოველოდეთ, სადაც ფორთოხლის ნაფცქვენები ყრია... ხოლო, როდესაც ყველაზე სანდო ძმაკაცი შენს ცოლს რესტორანში მიაცუნდრუკებს, შენ კი ამ დროს გზაჯვარედინზე დგახარ და გალახული ძაღლივით იმათ არშიყობას უთვალთვალებ, ზუსტად იმხელა ქარი დაუბერავს, რამდენიც სამყოფია იმისათვის, რომ თავზე ქუდი წაგძვრეს და წუმპეში ჩავარდეს. აი, ასეთია ბუნების კანონები!

ათრთოლებული ხელით ცხვირი გავიწმინდე და ახლა ჩემი თმა შევათვალიერე. ჯერ კიდევ დატალღული ქოჩორი მაქვს. ოდნავ გამეჩხერებული თავის კოპორი ხშირი თმითაა შენიღბული... საკუთარ თავს ვაკვირდებოდი და მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ საკმარისი იყო ახლა ბეღურას ნაბიჯისოდენა პოზიცია დამეთმო და მერე მთელი ცხოვრება კუსავით უკან-უკან ბობღვაში უნდა გამეტარებინა... არა! რადაც უნდა დამიჯდეს, მაგრად უნდა დავდგე, თორემ უფერულ ბრბოში გასალღობად ფოკუსიდან ოდნავ ამოვარდნაც საკმარისია...

ჩაი კიდევ დავისხი...

...თანაც როგორაა დარწმუნებული თავის თავში! გამარჯვებულის თავდაჯერება! — აი მთელი მისი გამომეტყველების ანფასი და პროფილი. კი მაგრამ ხომ შეიძლება მის ნამუშევარსაც ჰქონდეს ხარვეზი? შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ აინის თავში ასეთი ფიქრი არ გაიჭაჭანებს. ეძება, მიაგნო და მორჩა! „ფულს გავიყოფთ და ის იქნება!“ ახლა კი ეს ჩვენი აინი, რომელმაც მარცხენა ხელში ჩანგლის დაჭერაც კი არ იცის, კლუბში ზის და ჭიქებს ატრიალებს... ამისთანასთან დამარცხება, ღმერთმანი, სირცხვილიც კია! „ბოლოს და ბოლოს ფული რა სათქმელია...“ აბა, ბიჭო, შენ ეგა თქვი!

შევეცადე, აინის ქანდაკება დასრულებული სახით წარმომედგინა. ცადაღმართული ხელები... აკივლებული ხელები... კი, ნამდვილად შთამბეჭდავი სანახაობაა. იქნებ მართლაც უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე მარმარილოს დაფა, ბარელიეფები და ეს „სულელური კვარცხლბეკები“ იქნებოდა... მაგრამ აბა კარგად დავაკვირდეთ! ხომ შეიძლება ეს „აკივლებული“ ხელები პრიმიტიულადაც გამოიყურებოდნენ?! იქნებ სულაც პაციფიზმისა და აბსტრაქტული ჰუმანიზმის მღაღადებელნიც იყვნენ!... ერიჰაა, ეს რა ობიექტური ენით ავჭიკჭიკდი... რა გაცვეთილი ეპითეტები დავახეთქე, არა? ოოო... ეს ხომ ამხ. მაგნუს ტესს ლექსიკონიდანაა. უეცრად პერ-ლაშეზის სასაფლაოზე აღმართული ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლი გამახსენდა და... მოიცა, მოიცა! ამ საქმეს, მგონი, პლაგიატის სუნიც აუვიდეს?.. თუმცა არა მგონია — ლენინგრადში აღმართულ ფალკონეს „ბრინჯაოს მხედარს“ ხომ მისივე მსგავსი სხვა „მხედრები“ ვერაფერსაც ვერ აკლებენ... ასეთია ქანდაკების ხელოვნება! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე აღმართული ხელები ერთმანეთშია გადახლართული. აინის ქანდაკება კი მთელი თავისი სულით, განწყობილებით, არომატითა და ა. შ. სრულიად თავისებური ძეგლია.

ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ესკიზი კიდევ ერთხელ უნდა მენახა. ჭკვიან კაცს უთქვამს — ეჭვიანობის ჭია სხვა ჭიებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სულ მუდამ თავის გასუქების ცდაშიაო... ეს თვისებები თურმე სხვა ტკივილებსაც ჰქონიათ!

ისევ ევას შეწუხება ვამჯობინე. ქანდაკების ესკიზები ხომ აინს უსათუოდ სამუშაო მაგიდაზე ექნება მიყრილი. მეც ავდექი და თან წასაღები ჩემი გრაგნილი დავახვიე. აი ის, რომელზედაც აინის „მხარში ამოსადგომად“ ჩემეული ესკიზები მქონდა დაბეჭდილი (თურმე ვის რაში ჭირდები!) და ოცდაოთხით კი არა, ამჯერად კიბის თორმეტი საფეხურით გავუყევი ზედა სართულისაკენ.

— აინმა შემოგითვალათ, ცოტას გავისეირნებო...

ჩემი მოულოდნელი სტუმრობით შეცბუნებული ევა საშინაო ხალათით

გამომეგება. მერე აინის ქაღალდები გადაქექა და ის გრაგნილი გამომიწოდა, რომელსაც მე თვალდახუჭულიც ვიცნობდი.

— ეს არ არის?

— კი, ეგ არის... რა მაგარი რაღაცაა, არა? ნიჭიერი და მოხერხებული ქმარი შემხვდაო, თქვენ უნდა თქვათ სწორედ...

ევამ ჯერ ცერად გამომხედა, მერე კი, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიუჩვეველმა, თანხმობის ნიშნად მეუღლის საკადრისი ღიმილით დამიქნია თავი.

— არც კი ვიცი, როდის მოიფიქრა... ალბათ ახალი ამბავია. დღეს ისე უცნაურად იყო აღგზნებული...

— ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ძალიან! — კვერი დავუკარი მე.

— ღმერთო ჩემო, რა კარებში გავჩერებულვართ! შინ შემობრძანდით.

— უკვე გვიანია და... მხოლოდ ორიოდე წუთით, თუმცა... — ზომიერი პაუზა დავიჭირე და სახე „ჩვენ შორის დარჩეს“ ღიმილზე გადავაწყვე, — მოულოდნელად აინი რომ დაბრუნდეს, რას იფიქრებს...

— ნუ გეშინიათ, ტანსაცმლის კარადაში დაგმალავთ, — გაიცინა ევამ.

— ოო, მაგ კარადაში ჯდომა ბედნიერთა ხვედრია! თქვენი პარფიუმერიის თავბრუდამხვევ სურნელებაში...

— თქვენ რომ ყველაზე გალანტური მოქანდაკე ხართ, ეს მე პირველი შეხვედრისთანავე გამოვიცანი! — აღტაცება ვერ დაფარა ევამ.

სიმართლე რომ ვაღიარო, იმ ევას შთამომავალ ევასთან საუბარი სულაც არ მეპიტნავებოდა. თუმცა იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს მსუბუქი სიტყვიერი ფლირტი ახლა დაკარგულ წონასწორობას აღმიდგენდა... და რაც მთავარია, მარტო არ ვიყავი!

— მაშ შევსვათ სადღეგრძელო თქვენი საარაკო გმირობისა, რომლის წყალობითაც ადვილი შესაძლებელია ხელოვნების ისტორიაშიც ამოჰყოთ თავი! მგონი, ცოტაოდენი გაღ.საკრავი კიდევ მოგვეძევება...

მართალია, ყველაფერი ეს მეგობრულად, უფრო სწორად მინიატურულად, ოდნავ შესამჩნევი ირონიით წარმოითქვა, მაგრამ ჩემს გასაღიზიანებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. კი, ბატონო, ნამუშევარი მე არ მეკუთვნის და არც არაფერია მასში ისეთი, რასაც ჩემად გავასაღებდი... ოღონდ მთელი უბედურება იმაშია, ეს ევაც რომ სხვის ხარჯზე გასვლას ცდილობს!

— მხოლოდ ერთი ჭიქა... მეტს ვერ დავლევ!

— ნება თქვენია. ახლა იცით, რომელი ანეკდოტი გამახსენეთ? აი ის, რეკიზორზე, ერთ ჭიქაზე და. ორ დირექტორზე რომაა, — გადაიკისკისა ევამ და წარღვნისდროინდელი ანეკდოტის მოყოლას შეუდგა.

— მართლაც რა სასაცილო ხალხი ცხოვრობდა წინათ, — როგორც იქნა, ჩავურთე მე, — ის კი არა, მოსკოვში სწავლის დროს ასეთი რამის მომსწრე გავხდი: ერთ-ერთი დეკორაციული სახელოსნოს დირექტორი ლოთობის გამო პარტკომში გამოიძახეს და, ასი გრამის გადამხუხავი ნორმალურ მუშაობას თუ შეძლებსო, ჰკითხეს. შეძლებს და მერე როგორო, უპასუხა დირექტორმა. ორას გრამზე რას იტყვიო, დააყარეს აქეთ-იქიდან. ნამდვილი მუშაობა სწორედ ორასი გრამის შემდეგ იწყებაო, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მიახალა დირექ-

ტორმა, და აი, სწორედ ამ დროს, ესაოდა ყურებით გვყავხარ დაჭერილიო, ერთ ბოთლზე რაღას იტყვიო, ჰკითხეს. როგორც გვაცნობეს, სამუშაო საათებში თქვენ თურმე ასეთ დოზებსაც ღებულობთო. ოო, მაშინ რა თქმა უნდა, რაღა მუშაკი ვიქნები... თუმცა ნამდვილი ხელმძღვანელობა სწორედ ერთ ბოთლზე შემიძლიაო, მცირედი დაფიქრების შემდეგ გამოტყდა დირექტორი.

წამით ჩემს ხელებს დავხედე. ისინი ღირსეულად და, რაც მთავარია, მშვიდად მისვენებულიყვნენ მაგიდაზე...

— ევა, იცით ერთი რამ მაფიქრებს ძალიან... — მცირე პაუზა დავიჭირე და ძალზე სერიოზული გამომეტყველება მივიღე, — მოხდა ის, რისიც მეშინოდა... აბა, თქვენ თვითონ ნახეთ! — ვთქვი და მაგიდაზე აინის ესკიზი გავშალე, — აი, დაუკვირდით ამ ხელებს. ეს თავისთავად ორიგინალური გადაწყვეტა კია, მაგრამ აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რას იტყვის ამაზე ჟიური... იტყვიან-ესაო, ისაო, აბსტრაქტული ჰუმანიზმიაო, პრიმიტიულიაო და ა. შ. მისი უდიდებულესობა მაგნუს ტეეს ხმაც ხომ გესმით: „ბიჭებმა გადაწყვიტეს, სამი თითის კომბინაცია მიეშვირათ ჩვენი მებრძოლი ხელოვანისათვის! დიახ, დიახ! არც მეტი და არც ნაკლები, სამი თითის კომბინაცია! აბა მარჯვენა მუშტს კარგად დააკვირდით...“ თანაც ასე რბილად იგი მხოლოდ მეგობართა ვიწრო წრეში იტყვის! და ისიც ფინჯან ყავაზე... ტრიბუნისათვის კი, გაგიხარიათ, იგივე აზრის გამოსახატავად უფრო მძიმე-მძიმე სიტყვებს შეარჩევს!

— სამი თითის კომბინაცია, —თავისთვის ჩაილაპარაკა ევამ, — თქვენ მართლა ასე ფიქრობთ? თუმცა, ვინ იცის... ალბათ... ალბათ ტოონელტს უნდა მოვეთათბიროთ.

ევა აშკარად დაბნეული ჩანდა.

— ტოონელტსო? არავითარ შემთხვევაში!

— რატომ?

— რატომ და საციმბიროდ ხელს მოვაწერ, ტოონელტი ამ ნამუშევრით აღტაცებული თუ არ დარჩეს! ადგება და, როგორც ჩვევია ხოლმე, ერთი მოსმით ვეშაპის დაჭერაზე, ანუ ამ ესკიზის დაცვაზე დადებს თავს... ჰოდა, დაგვღუპავს კიდეც!

— თქვენ ღრმადა ხართ დარწმუნებული?

— რაში? იმაში, რომ ტოონელტი პროექტის დაცვას დაიწყებს? არა, ამაში შეიძლება არც ვიყო მთლად დარწმუნებული, ამ ნამუშევრის დაცვა რომ წყლის ნაყვაა, იქნებ თვითონაც კი მიხვდეს...

— ერთი სიტყვით, თქვენ ფიქრობთ, რომ აინის გადაწყვეტა არ შეეფერება...

— ერთი სიტყვით და სამწუხაროდ კი, მე ვფიქრობ. არადა, საგამოფენო ნამუშევარი აქედან ნამდვილად გამოვიდოდა...

— აინს თუ ელაპარაკეთ?

— არა, ჯერ არ მილაპარაკია, — თავი დავხარე მე, — ან როგორ უნდა მელაპარაკა... სიხარულით ისე იყო გაგიჟებული, ისე ბობოქრობდა, თითქოს ათასი წლის წინ დაძინებული დევი გააღვიძესო. ხვალ მოველაპარაკები და ყველაფერს ავუხსნი, ჩემს ესკიზსაც ვუჩვენებ, მაგისი ოქრო ხელის ამბავი

რომ ვიცი, თუ მოეწონა ხელად დაასრულებს. მთავარია, ვიჩქაროთ, თორემ მაგნუს ტეემ თუ დაგვასწრო, მერე მოგვპამა ჭირი, ფულსაც დავკარგავთ და...

— თქვენი ვარიანტი უკვე მზადა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, მზადა მაქვს თუნდაც იმიტომ, რომ სხვანაირად ბარელიეფებს ვერ მოვიფიქრებდი. მართალია, მთლად დასრულებული არაა, მაგრამ აინმა თუ მოინდომა, მაგის გაკეთებას რა უნდა.

ამას რომ ვამბობდი, ჩემს გრაგნილს ხელში მორცხვად ვატრიალებდი. ერთი სული მქონდა ევა როდის მთხოვდა, თუ შეიძლება, მაჩვენეთო.

— თუ შეიძლება, მაჩვენეთ რა!

— კი ბატონო, როგორ არ შეიძლება, ოღონდ როგორც გითხარით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი და მიჯღაბნილ-მოჯღაბნილია...

ევამ გრაგნილი ჩამომართვა და აინის ესკიზის გვერდით გაშალა. ჩვენი ნამუშევრები ცა და მიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: აქეთ, უბრალო სახატავ ფურცელზე დაუდევრად, ხელის ერთი მოსმით შესრულებული „მყვირალა ხელები", იქით უმაღლესი ხარისხის ცარცის ქაღალდზე წამოჩოქებული ჩემი მეომარი! არა მგონია ამხელა კონტრასტს ევა გაეხარებინოს... დრო მაინც თავზე საყრელად მქონდა და ყველაფერი ჩემს გემოზე გავაკეთე. საგულდაგულოდ დამუშავებულ-დასრულებულ ესკიზზე ასოებიც კი ულამაზესი — სამხაზველო შრიფტით მქონდა გამოყვანილი. სხვათა შორის ესკიზების ზედმიწევნით სუფთად, ფილიგრანულად შესრულებას ისე ვარ მიჩვეული, რომ მთელ თავისუფალ დროს კლასიკური შრიფტის დამუშავებას ვანდომებ. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც ბოლო ნამუშევარს აკლდა რამე. ნაუცბათევად შესრულებულ ესკიზზე აინს მხოლოდ ორად ორი სიტყვა მიეჯღაბნა: „ესეც თქვენ!!!!" ამ ორი სიტყვის დაწერამდე აინის შთაგონებით წვერდალეული ფანქარი, ვინ იცის, რამდენს იცოდვილებდა! ასეა თუ ისე. ჩემი არისტოკრატული ესკიზის გვერდით აინის ნამუშევარი ერთობ უმწეოდ გამოიყურებოდა.

ევას ფიქრების გამოცნობა ახლა ძნელი იყო. დაბნეულმა და აფორიაქებულმა „ძალიან საინტერესოა" თუ რაღაც ამგვარი ჩაილაპარაკა და სასწრაფო საქმის მომიზეზებით სამზარეულოში გაუჩინარდა. მარტო დარჩენილმა ჩემი და აინის ესკიზები ერთმანეთს შევადარე. მაგრამ ახლაც სანუგეშო ვერაფერი აღმოვაჩინე. ამისთანა ჩოქზე დაცემულ მეომარს ხომ ყოველ მესამე ქალაქში შეხვდებით!

უცებ ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— აინი იქნება! — გავძახე სამზარეულოში გასულ ევას და ნებართვისათვის არც კი დამიცდია, ისე დავავლე ხელი ყურმილს. ჩურჩულით წარმოთქმულმა ჩემმა „ალო!"-მ — თვითონ გამაოცა.

— ევა საარმა ბრძანდებით? — გაისმა მამაკაცის წრიპინა ხმა, რომელიც რა თქმა უნდა, აინს არ ეკუთვნოდა. წესით და რიგით ახლავე ვთხოვ-მეთქი უნდა მეპასუხა, მაგრამ წრიპინა ხმამ საამისოდ არ დამაცალა და მეც ცნობისმოყვარეობით გავირინდე.

— მხატვართა კლუბის კარისკაცი გაწუხებთ... აი, თქვენ რომ მთხოვეთ დამერეკა, თუკი... მოკლედ თქვენი ქმარი ამჟამად აქაა. მთლად კისერმოტეხილიც არაა, ოღონდ ნამეტანი მხიარულ გუნებაზეა და... სასმელიც ბლომად აქვს მომარაგებული... ვიღაც უნდა მოვიდესო, იძახის, მაგრამ ჯერ არავინ ჩანს.

იქნებ წაგეყვანათ... თორემ რამდენიმე წუთის წინ ერთ ჭრელსვიტრიან ახალგაზრდა პოეტს აუხირდა... მე, რა თქა უნდა, ბოდიშს გიხდით.

— გმადლობთ, ახლავე მოვალთ, — რატომღაც ამჯერადაც ჩურჩულით ვუპასუხე მე. კარისკაცი, თავისი ჭკუით, ევას ელაპარაკა.

ყურმილი კი დავკიდე, მაგრამ ერთმანეთში არეული ხმების ზუზუნი კიდევ კარგა ხანს მესმოდა. ყურებში ჩარჩენილი შორეული გნიასი ნემსებივით მჩხვლეტდა. აქეთ ზუზუნი, იქით ნემსები და ამასობაში მხატვართა კლუბიც წარმოვიდგინე მთელი სიცხადით.

აი, ერთ-ერთ მაგიდასთან გვარიანად შეზარხოშებული საბავშვო მწერალი მალმი ზის. მომწვანო სახე, სათვალის სქელი შუშები... „მგონი, ჩემი ვიოლინოს მოსატანად რომ მივდიოდე, ის დროა!..“ იქვე პირმრგვალი ახალგაზრდა ქალი ზის და საბავშვო მწერალს აქლემზე შემოსკუპულ გოგონასავით თვალებგაბრწყინებული მისჩერებია. ბრეზენტის „სპეცოვკაში“ გამოწყობილი ახალგაზრდა არქიტექტორი ყოველ ხუთ წუთში ახალ-ახალ მაგიდას იცვლის და გარუჯულ სახეზე რაღაცნაირი მოჩვენებითი ენერგიულობა დასთამაშებს. ვიღაც საესტრადო ფიცარნაგზე ადის და გრძელი სიტყვის წარმოთქმას აპირებს. „ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ...“ — ლუღლუღებს იგი.

სადღაც კუთხეში კი მამაპაპურად გამობრუცული აინი ქეიფობს და მე მელოდება. იქეიფებს, აბა რა იქნება! მან ხომ ამის უფლება ერთმანეთზე გადაბმული უძილო ღამეებით, შემოქმედებითი წვითა და დაგვით მოიპოვა!... ახლა, როდესაც ყველაფერი მიგნებულია, გადაწყვეტილია, დამთავრებულია... და ჩემი შრომა წყალში გადაყრილი!..

„ისე დამთვრალა, კისერიც მოუტეხია! ნეტავ ვინმე მიბეგვავდეს კიდეც... ეგ მე არ ვიდარდო! ნეტავ მილიციაშიც მოხვდებოდეს...“ აი რა ფიქრები მიტრიალებდა თავში.

— აინი იყო? — შემეკითხა ევა და სამზარეულოდან მაშინდელივით ორაგულის ნაჭრებით გაწყობილი თეფში შემოიტანა.

— არა. კოპლის საბარგო სადგურიდან დარეკეს, სასწრაფოდ სატვირთო მანქანა გამოგვიგზავნეთ, 3000 ქილა ტვინის პაშტეტი მივიღეთო...

— რაო, რა მივიღეთო?

— ტვი-ნის პაშ-ტე-ტი! ძვირფასო ამხანაგო მომხმარებლებო, შეიძინეთ ჩვენი მაღალხარისხოვანი ტვინის პაშტეტი!

— ააა... — გაეღიმა ევას, — ისევ არასწორად შეგვაერთეს?

— მე ვუთხარი, მანქანიდან სამი სკაროსი გაიპარა და მძღოლი სიდედრის დაბადების დღეზე გამოთვრა-მეთქი...

— წარმოგიდგენიათ, ახლა რომ მართლა...

— მერე ჩვენ რა გვენაღვლება! კედელზე თავიც უხლიათ. მოდით, მაგათი სადღეგრძელო შევსვათ! ჩვენ კი ჩვენი ტვინითაც გავიტანთ თავს... მაინოზში ჩაწყობილ მაღალხარისხოვან ტვინს პლიუს ცხვარივით ინტელიგენციის კონსერვი! ხო-ხო-ხო-ხო, თითებს ჩააკვნეტ... Prozit!

— Prozit! — გადაიკისკისა ევამ. — სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი ხუმარაც იყავით.

VIII

ჰმ! „ასეთი ხუმარა“... ხუმარა კი არა, რეგვენი ვარ და მეტი არაფერი. აბა ნახევარ საათში რომ ისევ დარეკავდნენ, ამას ვერ უნდა მივმხვდარიყავი? აინი რომ ერთ გრაფინს გამოწრუპავდა და ორ იმდენს კიდევ შეუკვეთდა, დარეკავდნენ, მაშ არ დარეკავდნენ? ხომ იკითხავდა ის კარისკაცი, რომ დამპირდით, რატომ არ წაიყვანეთო... რით გინდოდა მაშინ დაგეძვრინა თავი ან ევასთვის როგორღა უნდა შეგეხედა თვალებში?

ისეთ დღეში ჩავვარდი, ერთი პირობა გაპარვაც კი გადავწყვიტე, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. რას იფიქრებდა ევა? რას და, ეს ჩვენი მოსკოველი ხალტურისტი სვენ ვოორე შეთავსებით თურმე აფერისტიც ყოფილაო! ღმერთო ჩემო, რამ გამომათაყვანა დღეს!

— ევა, თქვენ ჯერ ჩემი ბინა არც გინახავთ. შეგვიძლია ახლავე ჩავიდეთ, ორიოდე წუთით... მე ხომ პროფესიონალი ბერბიჭა ვარ და ახალი ბინის მოსაწყობად ორიოდე კეთილ რჩევას თუ შემაწევთ, ერთი ქილა კიბორჩხალების კონსერვი ჩემზე იყოს!

ევა ორჭოფობდა.

— ძალიან გთხოვთ, რა! — მივეძალე მე, — ბარემ სხვა ესკიზებსაც გაჩვენებდით, შემიძლია მწვანე ჩაითაც გაგიმასპინძლდეთ! რიაეტსა და ჰინდემითს მოგასმენინებთ... იცით, ამას წინათ პალესტრინიც კი ვიშოვე... ხომ არ გეშინიათ? — შევღიმე ყოველ შემთხვევისათვის. — ჩემი აზრით, თქვენ სავსებით მშვიდად შეგიძლიათ გაერთოთ ცოტა ხნით. ჯერ ხომ არც ისე გვიანია. თანაც თქვენს ქმარს, ისე ვიცი, ტოონელტთან უნდა გამოევლო, — გადავწყვიტე დაჟინებული თხოვნისადმი ქარაფშუტული ტონიც მიმეცა, ხანდახან ეს უფრო ჭრის ხოლმე, — მოკლედ, თქვენი ოჯახის მეგობარი დღეს გადასარევ გუნებაზეა... რა, თქვენი აზრით, ასეთი აცეტება არ შემფერის, ხომ? გეთანხმებით, სრული ჭეშმარიტებაა. მე ხომ უმკაცრესი ბალტიისპირულ-გერმანული სულისკვეთებითა ვარ აღზრდილი. და აი, ჩემი ასკეტური აღზრდილობა ყურში ჩამჩურჩულებს, რომ ასე გვიან სტუმრობაში არის რაღაც საეჭვო...

ევას დაყაბულებას ბევრი არაფერი უკლდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: მას ხომ ჯერ არაფერიც არ უთქვამს ჩვენს ესკიზებზე, ვინ იცის ახლა იმის შიშიც კი გაუჩნდა, ვაითუ ვოორემ საკონკურსოდ სულ სხვა პროექტი წარადგინოს და აინის კონკურენტი გახდესო. ამის გაფიქრება და ეფექტური სვლის მონახვა ერთი იყო.

— ვაიმე! მგონი უთო დამრჩა ჩართული! ჩქარა გავიქცეთ, ვორემ მთელ სახლს გადავწვავთ... — დამდუღრულივით წამოვვარდი მე, ჩემს გრაგნილს ხელი წამოვავლე და გასასვლელისაკენ გავვარდი.

ახლა მთავარია, ისიც მალე მოვიდეს-მეთქი, გამიელვა თავში. ისე ყველა ნატვრა აგიხდეთ, როგორც მე ევა მომყვა ფეხდაფეხ. ორიოდე წუთით შემოვირბინე, ტანზეც კი არ გამომიცვლიაო, ამიხსნა შემოსვლისთანავე. დაპირებისამებრ მწვანე ჩაი გავამზადე და ბოთლში დარჩენილი კონიაკი ჩამოვასხი, ახლა მთავარია, რაც შეიძლება დიდხანს შევიქციო-მეთქი, გავიფიქრე და ფირსაკრავი ჩავრთე.

ჩემი გრამფირფიტების კოლექცია პროფესიონალ მუსიკოსსაც კი შეშურდებოდა. მამაჩემს კლასიკა უყვარდა, მე კი ჩვენი საუკუნის მუსიკას ვშოულობდი შეძლებისდაგვარად, ვგრძნობდი, რომ თავი ქუდში მქონდა. აინის „ხელები“ უკვე ფეხებზე მეკიდა... ვიცოდი, რომ ამ საქმეს ისე დავადგამდი თავს, როგორც ჩემს მოხერხებულობას შეეფერებოდა. მე და ევამ ცოტა კიდევ მოვსვით და მუსიკას მივაყურადეთ. გაჯიუტებული ჰობოი ცხვირში დუდღუნებდა. კლარნეტი და ფაგოტიც მას ბაძავდნენ, ეს იყო ჰინდემითის „კვინტეტი სალამურისათვის“, რომელშიაც მე ყველაზე ძალიან სარკასტულად მშრალი ალეგრო მომწონდა.

კარგა ხანს ვდუმდით.

ბოლოს ევამ მაგიდაზე გაშლილ ესკიზს დახედა და იდეალურად გულგრილი ხმით მომმართა:

— რომ არ დაგიმალოთ, აინის ნამუშევარი მე უფრო მომწონს... თუმცა თქვენიც მშვენიერია. დამტკიცებითაც უეჭველად თქვენსას დაამტკიცებენ... ცალკე თუ წარადგენთ კონკურსზე. მართლა, მართლა! მე და აინს სულაც არ გვეწყინება. მეგობრობა კარგია, მაგრამ შემოქმედება სულ სხვა რამეა. განა ასე არ არის?

ეს შეკითხვა იმგვარი გულწრფელობით იყო შენიღბული, რომ მავანი საამისოდ დახარჯულ ძალასა და ენერგიას საკადრისად ვერც შეაფასებდა.

— როგორ გეკადრებათ! ეგ რამ გაფიქრებინათ, ევა... ყველაფერს გეფიცებით, ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია! — წამოვიძახე ხაზგასმული აღშფოთებით... და რაც მთავარია მტკიცედ! ახლა ყველაფერი უნდა მეღონა, რათა ევას სასურველი ორჭოფობის გრძნობა ერთი წუთითაც არ განელებოდა.

— რატომ, რატომ? თქვენ ხომ იმდენი იშრომეთ, იწვალეთ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელოვნება შეჯიბრია და სხვა არაფერი... ჩემი აზრით, თქვენ ყველა უფლება გაქვთ, ჟიურის საკუთარი პროექტი წარუდგინოთ, დამოუკიდებელი... — მომაყარა ევამ და გამჭოლი მზერა ლურსმანივით მომარჭო.

— დიახ, გეთანხმებით, ოღონდ ხელოვნება შეჯიბრია და არა ჭიდაობა. მე ისეთი კი არა ვარ, ფულისათვის ყველაფერზე რომ მიდიან... თანაც აინმა იმდენად ძლიერ გადაწყვეტას მიაგნო, რომ დამოუკიდებელი ნამუშევრის წარდგენით ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის აჯობებს. ეს ისე, სიტყვას მოჰყვა, თორემ აინთან შეჯახებისაგან ღმერთმა დამიფაროს. საბედნიეროდ „კულტის“ [illegible] ისტორიას ჩაბარდა. ასე რომ, გაბედულ იდეებს ახლა მეტი გასაქანი [illegible]

ეოიქა, მე უკვე საკუთარ თავს ვუპირისპირდებოდი! ამან კი ევა ბრინჯივით დააბნია.

— ხელოვნებას თავისი განსაკუთრებული ეთიკა აქვს, რომელსაც მე პირადად ყოველთვის დავიცავ, — წარმოვთქვი მეტად სერიოზულად.

ისეთი დუმილი ჩამოვარდა, გულმა რეჩხი მიყო — ნამეტანი ხომ არ გადავამლაშე-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე სიმძიმის ცენტრისათვის ადგილი მომენაცვლებინა.

— ევა, რაზეც ახლა თქვენ ფიქრობთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მთავარია, აინს ჩემი ნამუშევარი

მოეწონოს და მის საბოლოო დამუშავებაზე დაგვთანხმდეს. ქაღალდიდან თიხამდე ისეთივე მომქანცველი გზაა, როგორც თიხიდან ლითონამდე. — სულგრძელად განვმარტე მე, — რა დასამალია და აინი თუ გაჯიუტდა, ე ი. მაინცდამაინც თავისი ვარიანტის გატანა დაიჩემა, მთელი შრომა წყალში ჩამეყრება... ჩემი დამუშავებული ბარელიეფები აინის ესკიზს სრულებით არ ესადაგება. მაშ რა გამოდის, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ? — ცხადზე ცხადი იყო, რომ ევა უკვე საჭირო კონდიციამდე მყავდა აფორიაქებული. ღმერთმა ნუ ქნას და ჩემს მოსაზრებებში იოტისოდენა ეჭვი რომ შეეტანა, ხომ დავიღუპებოდი! — ჯანდაბას ჩემი თავი, რაც იქნება, იქნება! მე მზადა ვარ არა მარტო შევცვალო ბარელიეფები, არამედ, თუ საქმეს არგებს, საერთოდ უარი ვთქვა მათზე... სხვათა შორის, გამოგიტყდებით და, აინის ნამუშევრის დამტკიცების იმედი რომ მქონოდა, ჩემს ესკიზს სულაც არ გიჩვენებდით... ეს კი ის ესკიზია, რომელსაც მე არასოდეს არ წარვადგენ საკონკურსოდ და იცით რატომ? იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მერე ვერც თქვენ შემოგხედავთ თვალებში და (მხოლოდ საგრძნობი პაუზის შემდეგ)... ვერც აინს!

მოულოდნელად ზეზე წამოვიჭერი და რაც შეიძლებოდა პათეტიკურად განვაცხადე:

— ახლა იცით, რას ვიზამ? ცოტა ხნით დაგტოვებთ და ერთ სა-ინ-ტე-რე-სო ქილას გავხსნი! თქვენ კი შეგიძლიათ უფრო მხიარული ფირფიტაც დასდოთ...

სამზარეულოში გავედი. ღმერთო, რაც მე ახლა ევას ვექაქანე, სიყვარულის ახსნას უფრო ჰგავდა. — მართალია, გაუბედავს, მაგრამ მაინც! ახლა ის ღრმადაა დარწმუნებული, რომ ჩემი სახით თავფქვილა ბიჭთან აქვს საქმე და არა საშიშ კაცთან.

— მოგეხმარებით, სვენ! — დამაწია ხმა ევამ.

— არავითარ შემთხვევაში! თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა საშინელი საანახავია მარტოხელა კაცის სამზარეულო! — გავეპასუხე მე და ოთახის კარი გავიხურე.

განჯინიდან კიბორჩხალების კონსერვი გადმოვიღე და გახსნას შევუდექი. ქილების საჭრელი ძველი დანა კარგა ხანია არაფერს ჭრიდა! ისე გავმწარდი, მარმარილოს საფერფლეს დავავლე ხელი და დაბლაგვებული დანის ტარს მთელი ძალით დავკარი. ხიფათიც აქ მელოდა — კონსერვის ქილა გვერდზე გასხლტა და დანის წვერი შიგ ხელისგულში ჩავირჭე!.. სისხლის დანახვას ისედაც ვერ ვიტან და საკუთარი ხელისგულიდან თქრიალით წამოსული სისხლის დანახვაზე ჭკუიდან კინაღამ გადავედი. ონკანი მოვუშვი და ხელისგული ცივ წყალს შევუშვირე. ჭრილობიდან გამომდინარე სისხლის ყურებას ვეღარ გავუძელი და დაბალ სკამზე ისე გულშემოყრილი დავეხეთქე, ჩემი თავი მე თვითონ შემეზიზღა.

უეცრად ისეთი საშინელი დარდი შემომაწვა, ისეთი დამთრგუნველი უმწეობის გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემს თავზე მეცხრე ტალღას გადმოევლოს. ნაღდად უაზრობის ყულფში მქონდა თავი გაყოფილი! სულ ერთია, ევა მაინც არ მენდობა ბოლომდე! აინის ესკიზს ტორნელტი გაიტანს, მე კი იდიოტურ მდგომარეობაში ჩავარდნა არ ამცდება!

დღეს არ იყო, სარკის წინ რომ გამურულ ცხვირს ვიწმენდდი?.. ცოტაც და საკუთარი თავის უმწეობით თავგაბეზრებული ძაღლივით ავყმუვლდებოდი.

დამაცადე, აინ! ყველაფერი შენი ბრალია... არ შეგარჩენ, იცოდე! სულ მალე გადაგიხდი სამაგიეროს!

რაღა მაინცდამაინც ახლა გამახსენდა, მეოთხე კლასში რომ გამლახეს... მაშინ ჩემი დასმენით ბიჭებმა ორიანები მიიღეს. გაბრაზებულმა ბიჭებმა იმდენი მოახერხეს, რომ ჩვენი ეზოს სამრეცხაოში შემიტყუეს და ცხვირიდან ძმარი მადინეს. ბოლოს კი მათ შორის ყველაზე პატარა მომვარდა და სახეში შემაფურთხა. აი, ეს არ დამავიწყდება არასოდეს! ისიც კარგად მახსოვს, კიბეზე რომ ავძვერი და სამრეცხაოდან გასულ ბიჭებს ქვები დავუშინე... ზურგს უკან! დიახ, ზურგს უკან!

აი, ასე გულშემოყრილი, ხელებში თავჩარგული ვიჯექი და ენით გამოუთქმელ ბოღმას ვიგერიებდი. როგორ მინდოდა წამოვმხტარიყავი და ყველაფერი დამელეწა... მართლაც, საშინლად გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი!

ცხვირსახოცს რომ ვეძებდი, გულისჯიბიდან დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯი ამომივარდა.

„მაგნუს ტეესთან დარეკვა!“

ძლივს გავარჩიე გაცრეცილ ქაღალდზე კლასიკური შრიფტით გამოყვანილი სიტყვები.

ნეტავ როდის შემდეგ მიდევს ეს ქაღალდი გულის ჯიბეში? ან მაგნუს ტეესთან რატომ უნდა დამერეკა? აი, კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მე უკვე აღარ შემეძლო. გახსენების დროც არ იყო! ძლივს გასარჩევი ასოები კოჭლი ჯამბაზებივით მიხტოდნენ თვალებში.

...მაგნუს ტეესთან დარეკვა...

...მაგნუს ტეესთან დარეკვა...

ევრიკა! ხელის ტკივილი ვიღას ახსოვდა. სკამიდან გიჟივით წამოვხტი... კი, ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო!

არა, ისე მაინც რამ გამომთაყვანა, რომ მაგნუს ტეე სულაც არ გამხსენებია! ეს ხომ სწორედ ის კაცია, ვისაც აინის ესკიზი არავითარ შემთხვევაში არ მოეწონება! ახლა ხომ მაგნუს ტეეზე უკეთეს საფრთხობელას ვერც ინატრებ. ეს ძველთაძველი, ჩახმახჩაჟანგული იარაღია, რომელსაც გინდა მარილს გაასროლინებ და გინდა საფანტს. ტყვიაც შეიძლება... ბახ! ბახ! ბახ! მე შენ გეტყვი, გავარდნამდე ხეზე დამალვას ვერ მოვასწრებ, თუ რა! მაშ ასე. რა დროს ყურების ჩამოყრაა! ახლა წესით № 8 ოთახში უნდა ვიჯდე, ნაფტალინის სუნი რომ არ აუდის, იმ ნამცხვარს შევექცეოდე და შიგადაშიგ აინის ესკიზს ვათახსირებდე: „საოცარია, პირდაპირ, ასეთი ნიჭიერი ბიჭი და ამხელა შეცდომა!..“

დიახ! საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა!

გასასვლელ დერეფანში ფეხაკრეფით გავდივარ, ვაყურადებ... მართალია, მუსიკა ბოლომდეა აწეული, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ტკივა. კიბეზე სირბილით ვეშვები და ჩემი სახლის წინ დადგმულ ტელეფონის ჯიხურში შევრბივარ...

4... 4... 0... 0... 3 და 6...

როგორც იქნა, ადგება საშველი, ყურმილს მერვე ზუმერზე იღებენ და:

— ალო! რომელი ხარ ამ შუაღამისას? — მეკითხება მკაცრი ხმა.

-- უკაცრავად. მე ვაწუხებთ... სვენ ვოორე...

— ამხანაგი ვოორე? დიახ, დიახ. რა ამბავია? ხომ შშვიდობაა? -- როგორც იქნა, მზრუნველი ტონი ილანდება მკაცრ ხმაში.

— ასე გვიან შეწუხებისათვის ბოდიშს გიხდით. მაგრამ... მაგრამ საქმე მართლაც ვერაა კარგად. იცით, დღეს აინ საარმამ თავის საკონკურსო ნამუშევარი მიჩვენა და... მართალია, ამის თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ... ჩემი აზრით საშინელი რაღაცაა... დიახ. რა არ ვუთხარი, საიდან არ მივუდექი. მაგრამ... არაფერი გამივიდა, ახლა სხვა დროაო. დაუჩემებია...

— როგორ თქვა, როგორ? ახლა სხვა დროაო?

მაგნუსის ხმა უკვე ჩემთვის სასურველ რეგისტრს უახლოვდება.

-- რაო მაინც, რა აქვს ასეთი ამ ესკიზზე?

— ორად ორი ხელი! მორჩა და გათავდა. მიწიდან ამოშვერილი ორი მგლოვიარე ხელი. ასეთ ძეგლს იქნებ ვინმე სიურრეალისტის საფლავი კი დაემშვენებინა, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ მგლოვიარე, პასიურ და მორჩილ ხელებს ჩვენი გმირების საძმო საფლავთან! იმათ საფლავთან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ... ამ ხელებს რომ ბავშვი, შაშხანა ან ვარსკვლავი ეჭიროთ, კიდევ ჰო!... ასე ცარიელ-ტარიელი ხელები კი პრიმიტიული პაციფიზმია და მეტი არაფერი! ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ... ბევრი ვიდავეთ, ვიკამათეთ, კინაღამ ხელითაც გავიწიე, მაგრამ.. შეაყარე კედელს ცერცვი! რა კარგი იქნებოდა, თქვენც რომ გენახათ! იქნებ მე ვცდები კიდეც... ასეა თუ ისე, ჩვენ ორში მხოლოდ ერთია მართალი — ან მე, ან აინი! სხვათა შორის, აინის ესკიზი ამჟამად ჩემს ხელთაა და თქვენი ნებართვით ახლავე შემიძლია მოგირბენინოთ... თქვენი რჩევა-დარიგება ჩემთვის ბევრ რამეს ნიშნავს...

— თვითონ საარმა სადღაა?

— მხატვართა კლუბშია. ქეიფობს... ესკიზი უნდა დავასველო და... სამაგიეროდ, ევა საარმაა ამჟამად ჩემთან სტუმრად. თუ არ შეწუხდებით და აქით გვეწვევით, ძალიან კარგი იქნება... აინი ისეთი თავნებაა, რომ ესკიზის განხილვა ევას თანდასწრებით აჯობებს.

— ახლა ისე ვარ დაკავებული... ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეფიქრა: ერთი მოწინავის პორტრეტზე ვმუშაობ. სამაგალითო მეცხოველეა, კომუნისტური შრომის დამკვრელი! — თავი დაიფასა მაგნუსმა, — ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად გამომივიდეს, განსხვავებული კუთხით... კარგი, კარგი, რა გაეწყობა. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიარ. ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთის შემდეგ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, მობრძანდით! დაგელოდებით, მაშ მოწინავე მეცხოველის პორტრეტზე მუშაობთ, არა? იცით, როგორ მაინტერესებს... თუ ნებას მომცემთ, ხვალვე ვნახავდი...

აშკარად ნასიამოვნები მაგნუს ტეე დაუყოვნებლივ ნებას მრთავს.

— ოღონდ, ერთი დიდი სათხოვარი მაქვს, — გაუბედავად ვიწყებ მე, — როცა მობრძანდებით, ძალიან გთხოვთ, ევას ნურაფერს ნუ აგრძნობინებთ. ვითომ არც გვისაუბრია... რა ვიცი, არ იფიქროს, თითქოს მე... ხომ იცით, მაინც ქალია და... თუმცა ჩემგან არ გესწავლებათ.

ოო, ეს თხოვნა ძალზედ სარისკო იყო. ვაითუ ამხანაგ პრინციპიალს რამე

ისეთი ეყნოსა! ამ ჯირკვით პრიმიტიულ მაგნუს ტეეს შენ გაუგებ, როდის რა ჭკუაზეა?

საუბრის დასასრულს ყურმილში ფრუტუნისმაგვარი, გაურკვეველი რეგისტრის ხმა გაისმა. ცოტაც და გულზე მომეშვა — გაურკვეველი ფრუტუნი, როგორც იქნა, ხითხითში გადაიზარდა.

— ეხ, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ! როგორ გაკლიათ მოქალაქეობრივი შემართება... ნეტავი როდის უნდა დაღვინდეთ! კარგით, ვოორე, რაც იქსება, იქნება! ამოგიდგებით მხარში!

როგორც შევატყვე, მაგნუს ტეე საკუთარი გონებამახვილობით იყო მოხიბლული.

— მაშ გელოდებით...

ყურმილი დაკიდეს.

ორმოცდახუთი წუთი კი არა, ნეტავ ახლავე ჩემთან გაჩნდებოდეს-მეთქი, გავიფიქრე გულში. ეს ორმოცდახუთი წუთი მთელ საუკუნედ იქცეოდა! შეეძლებდი კი ევას ამდენი ხნით გაჩერებას? სხვა გზა არ არის — მაგნუს ტეეს მკაცრი შეფასება ევამ დღესვე უნდა მოისმინოს!.. ეს გულჩვილი ინკვიზიტორი ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, რომ ახლა თავისივე „წმიდათა-წმიდა ღონისძიებების“ სასარგებლოდ უნდა მოიჩქაროდეს ჩემკენ... ის კი დამჯდარა და ტალახში ითითხნება! „განსხვავებული კუთხით!“, „მეცხოველე.“ „ახლებურად“... ჰმ!

— სად დაიკარგეთ სვენ, ამდენ ხანს?

— ეშმაკმა დასწყევლოს! აი, ქილების გასახსნელი დანით ხელი გავიჭერი...

— ოჰ, რა ხართ მაინც ეს ხელოვანი ხალხი, — შემიბრალასავით ევამ და ხელები ერთ პოზაში გააქვაცა, — ჩემი აინიც ასე მოუხერხებელია. ბინტი მაინც თუ გაქვთ?

ევამ გაჭრილი ხელი შემიხვია და ისევ მაგიდას მივუჯექით. ჩემი სტუმარი მსუქან-მსუქან კიბორჩხალებს ირჩევდა და თავისი წვერწამახული, მეჩხერი წინა კბილებით დაუნდობლად კვნეტდა. მისი ღრმა რწმენით, მე იმიტომ დავყოვნდი სამზარეულოში, რათა ჩემივე ბოლო ფრაზის ალზე დავმწვარიყავი... „ვერც თქვენ შეგხედავთ თვალებში და...“ მახსოვს, ეს სიტყვები განსაკუთრებული სიმორცხვით წარმოვთქვი... სიყვარულის ახსნასავით. ევა ჩემს ამნაირ დამორცხვებას ნამდვილად არ მოელოდა. ახლა იგი მშვიდად იჯდა, მე კი სულ იმის ცდაში ვიყავი, თავი ხელში ამეყვანა და როგორმე დავწყნარებულიყავი. ამიტომ მივაყარე და მივაყარე:

— ახლა, სამზარეულოში ყოფნისას, იმისთანა გენიალური იდეა მომივიდა თავში, რომ, მართალია, მასზე მთელ იმედებს ვერ დავამყარებთ, მაგრამ ჩემი აზრით, დაკარგვითაც არაფერს დავკარგავთ. ევა, ჩვენ რომ დიპლომატიის იოტისოდენა ნიჭი გვქონოდა, აბა თუ მიხვდებით, ვისთვის უნდა გვეჩვენებინა პირველ რიგში აინის ესკიზი? — ამ სიტყვებზე დინჯად ვდგები, კარადიდან ფაიფურის მინიატურულ თოჯინას ვიღებ და ხელში ვათამაშებ, — როგორ ფიქრობთ, ვისთვის უნდა გვეჩვენებინა? ვისთვის და მისი უდიდებულესობა მაგნუს ტეესათვის! მაშ!

— რატომ მაინდამაინც მაგნუს ტეესათვის? ეს ხომ გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული... — დაეჭვებით იკითხა ევამ და მინიატურულ თოჯინას დააცქერდა, რომელსაც ეს-ესაა სალტო-მორტალე გავაკეთებინე.

— კი გარკვეულ რისკთან, ითქმის მართლაც არის დაკავშირებული... ყოველ შემთხვევაში, მაგნუსი რომ უსაზღვროდ გაიხარებს, ეს უდავოა, რჩევა-დარიგებას რომ ვთხოვთ... ესკიზს რომ ვაჩვენებთ, ამის შემდეგ კრიჭაში კი არ ჩაგვიდგება, პირიქით, ჩვენს მხარეზე გადმოვა, „სასარგებლო აზრებს" შეგვაწევს, ე. ი. ყურებით გვეყოლება დაჭერილი! თანაც მე საკმაოდ კარგი თვალით მიყურებს. ამას წინათ საკუთარ ბინაში ვეწვივ და საათნახევრიანი ლექცია მაჯახა „ჩვენი ხელოვნების წინაშე დაყენებული გრანდიოზული ამოცანების შესახებ". ჰოდა, ჩვენც ავდგეთ და ჩვენი „გრანდიოზული ამოცანა" შევთავაზოთ. სულ ერთია, რაც არ უნდა ვეცადოთ, მაგნუსს მაინც ვერ ავუვლით გვერდს. გინდა არ გინდა, თავის სიტყვა მაინც ხომ უნდა თქვას. მაგის სიტყვას კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წონა აქვს... ასე რომ, ახლა გვაქვს ყველაზე კარგი მომენტი და ამ მომენტს დაუყოვნებლივ გამოყენება უნდა! ცდას რა უდგას წინ...

— დიახ. ლოგიკურია... — აღიარა ევამ.

— მე კი აინის ჯიუტი ხასიათი მაფიქრებს. ვაითუ მაგნუსის რჩევა-დარიგება ყურად არ იღოს... აინი ჩვენი დროისათვის გადაჭარბებულად გულწრფელიც კია. მართალია, მაგნუსი სისულელეს ურჩევს, მაგრამ... ეხ, ნეტავ თქვენ ყოფილიყავით ჩემი თანაავტორი, ევა! მართლაც ყველაფერს მოევლებოდა. მე და თქვენ უფრო ადვილად შევთანხმდებოდით...

ევას თვალი თვალში გავუყარე და შპარგალკების ვირტუოზულად გამომყენებელ მოსწავლესავით გავიღიმე.

ჩემი თანამოსაუბრე ამკარად აფორიაქებული ჩანდა.

— ერთი სიტყვით, ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს... დარწმუნებული ვარ, თქვენ თანდათანობით შეაჩვევთ აინს იმ აზრს, რომ ხვალ-ზეგ მე და მას ტეესთან ლოცვა-კურთხევა მოგვიწევს, — დავასრულე მე.

— დაფიქრება ნამდვილად ღირს, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ევამ.

ახალი ფირფიტები გადმოვიღე და ისევ მუსიკას მივუგდეთ ყური. ნირწამხდარი ვიჯექი. მართალია, მაგნუსის ვითომ მოულოდნელი ვიზიტი მშვენივრად მოვამზადე, მაგრამ იყო კი ახლა მისი მოსვლა საჭირო?

მაგნუსის აქციები სულ უფრო და უფრო ეცემა... ჩვენი ხელოვნება აღორძინების გზაზეა. ადამიანები დღითი დღე უფრო ენდობიან ერთმანეთს... უკვე აჩრდილებიც აღარ გველანდებიან... მერედა ღირს კი ასეთ პირობებში მაგნუს ტეესთან შეკავშირება? ფრიად საეჭვოა! მოცავარი სვლების დროც დადგა, ოღონდ, ფრთხილად! მოჩქარეს მოუგვიანდება, ჩაოქკამია.

ვინ მეტყვის, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგნუს ტეეს რომ დავურეკე? მე მგონი, არ უნდა დამერეკა... ოღონდ, ევას ჩემი შეშფოთება არ შეემჩნია და ენას არ ვაჩერებდი. მაგალითად, მთელი სერიოზულობით ვამტკიცებდი, რომ თუ კიბორჩხალებისა და ხიზილალის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა, გარდუვალ ომს უნდა ველოდეთ-მეთქი... მიუხედავად ჩემი ბუნდოვანი წარმოდგენებისა, მაინცდამაინც ჰინდემითისა და ბახის პოლიფონიებს ვადარებდი ერთმანეთს... დაუზოგავი ლანძღვა-გინებით ვიკლებდი დასავლეთელ მეშჩანთა საცხოვრე-

ბელ სახლებში გავრცელებულ ნეოროკოკოს — რაღა გვეშველება, ჩვენს სკამებსაც თუ ასე უკუღმართულად მოუგრიხეს ფეხები-მეთქი... მაგნუს ტეეს მოლოდინით გულგაწვრილებული, ენაგაუჩერებლად ვლაპარაკობდი და ვლაპარაკობდი.

და სწორედ ამ დროს გაისმა ის, რასაც ასე ჩქარა არ ველოდი! კარებზე ზარს რეკავდნენ.

IX

— ეს წუთია ერთი გრაფომანი კინაღამ შემომელახა! — კარის გაღებისთანავე მომახალა აინმა.

ისეთი კისერმოტეხილი იყო, ენას ძლივს აბრუნებდა. მოულოდნელობისაგან ადგილზე გავიყინე. აინმა კი პალტო გაიხადა, წინა ოთახში შემოალაჯა და ხელში ვარდისფერ ქაღალდში შეხვეული კონიაკის ბოთლი მომაჩეჩა.

— აჰა! თითოც დავლიოთ... გელოდე, გელოდე... ჰოდა, რომ არ გამოჩნდი, ვიფიქრე, ახლავე წავალ და მაგის სტუმარს დედას ვუტირებ-მეთქი... რა, არა გჯერა, აბა მიყურე... — ჩაიხითხითა აინმა, მერე თვალი ჩამიკრა და ტუჩები ღილივით დაამრგვალა, — არა, ძმაო, თუ ეს სტუმარი შენთვის სასიამოვნო ბანოვანია... შეუძლია ჩვენთან ერთად იპურმარილოს.

აინი არყის სუნით ყარდა. არ ვიცი, საკუთარი თავის ქალა რაღა მაინცადამაინც დაცარიელებულ ფუღუროს შევადარე! ფუღუროს კი არა, კისრიდან წაწყვეტილ საჰაერო ბუშტს, რომელიც ზევით-ზევით მიფარფატებს...

— მაგის დალევას მოვესწრებით, — მანიშნა აინმა ბოთლზე და ოთახში შესასვლელი კარი გამოაღო.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

— შენ?! — შეჰყვირა აინმა და ადგილზე გაქვავდა.

ცოტაც და საშინელი სკანდალი დაიწყებოდა... აინს გვერდი ავუქციე და თვალის დახამხამებაში ევას გვერდით აღმოვჩნდი.

— კი მაგრამ, შენ აქ საიდან?

— შენ თვითონ საიდან? — მიამიტურად შეჰღიმა ევამ. ეტყობა, ჯერაც ვერ ხვდებოდა, თუ რა გატიალებული იყო მისი ქმარი, — მე და სვენი გეგმებს ვაწყობდით...

— აჰ, გეგმებს აწყობდით? გასაგებია... გასაგებია... — თავზარდამცემად ჩახლეჩილი ხმა ამოუშვა აინმა, — მაშ ეგ იყო ის შენი სტუმარი, არა? — მომიბრუნდა მე, თუმცა პასუხს არც დალოდებია, ისევ ევას მიაშტედა. გაოგნებულ სახეზე ისეთი გულუბრყვილო ღიმილი დასთამაშებდა, გეგონებოდა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭუკელაა და უეცრად გატეხილ სათამაშოს დასჩერებიაო. ბოლოს პირი დააღო და მისი უაზრო ღიმილი მთელ სახეზე გაღლვა...

ზურგს უკან მოღიავებული კარის ჩარჩო ახლა არარაობაში გასაძრომ იმ შავ ხვრელსა ჰგავდა, რომლის ფონზეც აინი, ეს საშინლად დაპატარავებული აინი, რეალური სამყაროდან გამოცხადებული მოჩვენება გეგონებოდათ.

ამასობაში აინის სიმთვრალე ევამაც შენიშნა.

— დიახ, დიახ, გეგმებს ვაწყობდით!... — დაბნეულად გაიმეორა მან და

მუდარით სავსე თვალებით შემომხედა.

— ღმერთო, მომკალი, ესენი აქ გეგმებს აწყობდნენ, მე კი ხელი შევუშალე! წარმოგიდგენიათ?.. შენ მაინც რაღას მიმალავდი! გეთქვა პირდაპირ... — მომიბრუნდა მე.

— კარგი რა, სისულელეებს ნუ როშავ, აინ! — ხმადაბლა ჩავილაპარაკე მე. დიახ, ხმადაბლა, თორემ აბა, ერთი ხმამაღლა გადამეხარხარებინა ანდა ფერდში მუჯლუგუნი მეკრა, იმწამსვე დაცხრებოდა! მე კი მისი მალე დამშვიდება რატომღაც სულ არ მინდოდა. ამას თუ მაინცდამაინც რქადადგმულად წარმოუდგენია თავი, ნეტა მე რაში მენაღვლება-მეთქი, ვფიქრობდი გულში.

— შენ მთვრალი ხარ, აინ! — გაისმა მკაცრი ხმა. ნერვიულობისაგან ევას ქვედა ტუჩი და ნიკაპი უკანკალებდა. სანერვიულო კი ნამდვილად ჰქონდა: სტუმრის პირობაზე საკმაოდ გვიან მოსულს. ტანზეც ნამეტანი შინაურულად ეცვა.

— მერე, რა მთვრალი რომ ვარ! აკი ყველა თავის ჭკუაზე ატარებს დროს... ასე არაა, სვენ? თუ მოგეწონა მაინც ჩემი ცოლი? — აინის თვალებში ავის მომასწავებელი ალი აკიაფდა. პირის ჭრილის კიდეებზე წითლად გამონაყარი შევნიშნე, — თუმცა, ჩემი აზრით, ევა არცთუ დიდ პატივს უნდა გცემდეს, ხომ ხედავ, რა დაუდევრადაა ჩაცმული! ამ საშინაო კაბით ხომ ეს უცოდველი კრავი ყოველდღე სამზარეულოში დაცუქცუქებს და გემრიელ ნამცხვრებს მიცხობს... თუმცა რა მოხდა მერე — პირველად ხომ არ არის აქ, ხომ? ახლა რაც შეეხება საცვლების საკითხს... რაც მართალია, მართალია — ამჯერად საცვლებზე ვერაფერს ვიტყვი!

და მოულოდნელად ისეთი სიცილი აუტყდა, ისე უშნოდ აბუყბუყდა, თითქოს პირში წყალი ჰქონოდეს დაგუბებული. სავარძელში ჩაეხეთქა და აქეთ-იქით თავის კანტურს მოჰყვა.

როგორმე მთლად არ უნდა გაგიჟებულიყო... ევას გავხედე. ცხვირსახოცს აცოდვილებდა.

— აინ ძვირფასო, რა მოგდის? რეებს ბოდავ... არ გრცხვენია, აინ? — დაიწყო ევამ და აინისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— მომწყდი თავიდან! — მთელი ხმით დაიღრიალა აინმა და ამიაკით მოწამლული ვირთხის გაბოროტებული თვალებით შემოგვხედა. უკვე აღარ ხითხითებდა. ყველაზე მეტად ხომ სწორედ მის ხითხითს გამოვყავდი წონასწორობიდან! მე კი დავმშვიდდი, მაგრამ სასკანდალო სცენები უკვე გადადიოდა წრეგადასულ აურზაურში.

— შენ იცი, რას გეტყვი, ვაჟბატონო! ბლომად გიხუხია და ვერ კი მოგინელებია... რა გააჭირე საქმე ბოლოს და ბოლოს, ან ამ ქალს რას ერჩი? — შევუბღვირე მე საკმაოდ მკაცრად, მაგრამ რად გინდა, აინს ჩემთვის სულაც არ სცხელოდა.

— ახლავე შეგიძლია შეიტანო განცხადება განქორწინებაზე, ახლავე! ერთი წუთითაც არ გაკავებ... — გაჰყვიროდა ის.

ზომაზე მეტად აფორიაქებულთა შორის მშვიდად ყოფნა, ცოტა არ იყოს, სასიამოვნოც კი ყოფილა.

— აინ, თუ ხვდები მაინც, რაებს როშავ? — ღიმილით წარმოვთქვი მე და თმაზე ხელი გადავუსვი.

ევამ მადლიერი მზერა მომაპყრო. ო, როგორ მიხაროდა, რომ ახლა იგი თვალნათლივ ხედავდა იმ განსხვავებას, რაც ჩემსა და აინს შორის იყო.

— ნუთუ შენთვის ასე ძნელია იმის წარმოდგენა, რომ კაცი და ქალი შეიძლება ცალკე ოთახში იყვნენ, მაგრამ არ... — წამოდგა ევა.

— კარგად გიცნობ, რა ჩიტიცა ხარ! — დაჭრილი დათვივით დაიღრიალა აინმა. ამისთანა ფლეგმატური ტიპი თუ ასე სხაპასხუპით შეძლებდა სიტყვების ამოსროლას, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. — აბა რა საერთო გაქვთ თქვენ ერთმანეთთან, სხვა რა უნდა გეკეთებინათ, რა?!

გრიგალი სადაცაა ჩადგებოდა.

— რა და შენ რომ ვერ წარმოგიდგენია, ის, — აინის ავადმყოფური ისტერიკის დაცხრობისთანავე გადმოხეთქა ჯებირი ევას მოთმინებამ. არადა, მე ხომ ვიცი, რომ ეს ჭიჭყინა ლოცმანი ნამდვილად კეთილშობილური განზრახვით მოცურდა ჩემთან...

— სანამ შენ სასმელში იხრჩობოდი, აი ჩვენ რაზე ვსაუბრობდით! — აინის ესკიზს წამოავლო ხელი ევამ.

— მერედა შენ რა გაგეგება ქანდაკებისა! როდის იყო, რომ ჩემს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას გთხოვდი?... თუ ამას უყურებ... ამ აფერისტს წესით იქით უნდა ვასწავლიდე! — ისევ დაიღრიალა აინმა.

— კარგი რა, აინ! გეყოფა აწი... ხომ იცი, რომ ახლა შენგან არაფერი არ მეწყინება... აბა რა აზრი აქვს ახლა შენთან კამათს! ასე ავადმყოფურად ეჭვიანი თუ იყავი, ნამდვილად არ ვიცოდი...

არა, ეჭვიანი მართლა არ მეგონა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყველას თავისი სისუსტე აქვს და აინიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია. მით უმეტეს, ვინ იცის, იქნებ თავის შეუხედაობასაც გრძნობს და იმასაც, ევას გარდა რომ არავინ შეიყვარებს. საბრალო ბიჭი! — ირონიული თანაგრძნობით გავიფიქრე მე.

აინი არავითარ თანაგრძნობას არ საჭიროებდა. ჩამქრალი თვალები ერთი წერტილისათვის გაეშტერებინა და ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მისი მღვრიე ფიქრები ახლა დასაკარგავში დაეხეტებოდნენ. მოულოდნელად მთელი ტანით შემოსრიალდა და ისედაც პირგამეხებულ ევას უხეშად მიახალა:

— ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია! ხომ არ დაგვიწყებია, რით და როგორ მოხვედი კიომეტსიდან... როგორც იტყვიან, ყველაფერი მეორდება! ოღონდ მაშინ მე ამასავით მომენტებით არ მისარგებლია...

ოთახში ისეთი დაძაბულობა ჩამოწვა, სადაცაა ფიზიკურად ხელშესახებიც გახდებოდა. მიტკალივით გადაფითრებულ ევას გრძელი ფრჩხილები ხელისგულებში მაგრად ჩაერჭო და მისი თეთრი პირისახის ფონზე წითელი პომადა ისე ამაზრზენად გამოკვეთილიყო, როგორც მიცვალებულის კბილებში გაჩრილი მიხაკი.

აინი ნებიერა ბიჭივით ამრეზილი იდგა. „ესეც შენ! მიიღე თუ არა! მიიღე თუ არა!“ — იკითხებოდა მის თვალებში. სხვათა შორის, ახლა ენაც რომ გამოეყო, ცალ ფეხზე ახტუნებულიყო და სულ „ხომ გაჯობე! ხომ გაჯობეო!“ ეძახა, არც კი გამიკვირდებოდა. ევას წონასწორობიდან გამოყვანას, ეტყობა, დიდ წარმატებად თვლიდა.

აი, სწორედ ამ დროს გაისმა დელიკატური ბიმ-ბომ. ამ ხმას მამიდაჩემი-

საგან მემკვიდრეობით მიღებული კედლის საათი გამოსცემდა. მართალია, ეს შვეიცარული რელიქვია კარგა ხანია აფრენდა, ანუ უკან-უკან რჩებოდა, მაგრამ ხავერდოვან ზარისცემაში დღემდე ვერც ერთი საათი ვერ შეედრებოდა! თავის აკუსტიკურ შედევრს ყოველცისმარე ისეთი გულმოდგინებით გამოსცემდა, როგორც გადაყრუებული დონ ჟუანები არიგებენ ხოლმე თავიანთ იაფფასიან ქათინაურებს. აი, ახლაც გადამტკბარი შოკოლადის ბომბების ზუზუნივით ჩამესმოდა იმის ბიმ-ბომ! ბიმ-ბომ! ბიმ-ბომ!

ამ მოულოდნელ საათის რეკვას ყველამ ისე ერთდროულად მივაყურადეთ, თითქოს ეს წუთია ვიღაცამ „არ ითვლებაო!“ დაიძახა და ჩვენც წესების მკაცრად დამცველი ბავშვებივით უმალ შევწყვიტეთ თამაში... რაც მართალია, მართალია, ერთ რაღაცაში ნამდვილად ვგავართ ერთმანეთს ადამიანები: ახალბედა დრამატურგებისა არ იყოს, ტრაგიკულ სიტუაციაში მოხვედრისთანავე მელოდრამაში ვვარდებით ხოლმე. აბა ერთი განრისხების ჟამს დაუკვირდით საკუთარ თავს, — ასეთ დროს ალბათ თქვენც ცუდი ფილმების პერსონაჟებს ბაძავთ...

საათის რეკვა დასრულდა. ევას გადავხედე.

— შენ ბოდავ!

ქუჩის გოგოს ვულგარულად კაპასა ხმით წამოიყვირა ევამ და მისი მრგვალ სახე რატომღაც კვადრატული გახდა. ეს იყო ულამაზო, უხეში, აბსოლუტურად არაქალური სახე. ოთახში ისევ მრისხანების ბურუსი ჩამოწვა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მაგიდისა და სკამების წაწვეტებული კუთხეები შუბლზე კოპის დასაჯენად მემუქრებოდნენ.

— ხედავთ, სვენ, რა აუტანელ კაცთან მიხდება თურმე ცხოვრება?

სავარძელი ბოღმიანი ქირქილით აივსო. ევას კი ამასობაში საგრძნობლად დაურბილდა ხმა და შესაბრალისად მოკუმულმა მისმა ვნებიანმა ტუჩებმა ოქროსცერცვას ლებანი გამახსენა რატომღაც.

— ღმერთო! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, — უმწეოდ ჩაილაპარაკა მან და თვალებზე ხელებაფარებული გასასვლელი კარისკენ გაემართა. და ამ დროს თანაგრძნობის ნიშნად მხარზე რომ მოვხვიე ხელი, თავბრუდამხვევი სურნელება მომხვდა ცხვირში... ჩვეულებრივად ყველა აცრემლებულ ქალს მოცელილი თივის ტკბილად ჩახუთული სუნი აუდის ხოლმე.

— ააატირე ქალი და გიხარია, ხომ? — ევას გასვლისთანავე მივუბრუნდი აინს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მართლა მეცოდებოდა ეს ქალი. მით უმეტეს, გაცილების დროს წამიერად ნაგრძნობი მისი ხერხემლის სითბო ჯერ კიდევ მიღიტინებდა ხელისგულზე. ორიოდე წუთის წინ ისიც კი წარმოვიდგინე, თუ რა სიამოვნებით დავამშვიდებდი ამ უმწეო არსებას ჩემს ლოგინში... დიახ, პატივცემულო კოლეგა! ვინ იცის, იქნებ მომავალში შენი ეკვიანობა სულაც არ გამოდგეს უსაფუძვლო!

აინი ხმას არ იღებდა. ხელებში თავჩარგულს მხრები უცახცახებდა, ჭიქაში დარჩენილი კონიაკი გადავკარი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ფეხი ბატაკზე დავკარი.

— შეწყვიტე, ბოლოს და ბოლოს, ეს მელოდრამა! ახლავე წადი და შენს ბოლს პატიება სთხოვე...

— კი, მაგრამ შენ ვისი არამკითხე მოამბე ხარ?!

კიდეც მეზიზღებოდა და კიდეც მეცოდებოდა ეს კაცი.

მახსოვს, მოსკოვში სწავლის დროს ერთ შუახნის ქალს შევუყვარდი, იმას კი შევუყვარდი, მაგრამ მე აზრზეც არ ვიყავი. მართალია, ეს ჩათქვირებული ქალი სილამაზით არ ბრწყინავდა, მაგრამ მეტად მახვილგონიერი (შეუხედავებში ბევრია ასეთი) და საამხანაგო ქალი იყო. დრო გადიოდა, მე კი ამ ჩვენს ძალდაუტანებელ ურთიერთობას უწყინარ და მსუბუქ ფლირტად აღვიქვამდი. ასე იყო თუ ისე, ჩემდა სამარცხვინოდ, ძალიან გვიან მივხვდი, რა სერიოზულად მიუღია ამ ქალს ყველაფერი. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენი ურთიერთობა კანონზომიერ დასასრულს მიუახლოვდა, მე პირველად გავხდი მოწმე იმისა, თუ სანამდე მიჰყავს ადამიანი იმ აბსტრაქტულად პოეტურ ახუნტრუცებას, რასაც სიყვარული ჰქვია. ერთ დროს შესაშური გონებამახვილობით გამორჩეული ეს მხიარული ქალი, რომელიც, თუ საჭირო იყო, არაყის გადაკვრასაც არ თაკილობდა, სულ რაღაც ორიოდ წუთში ისეთ წებოვან-გაოფლილ მასად იქცა (ნამეტანი ნატურალური, მაგრამ სამართლიანი შედარება გამოგვივიდა, არა?), რომელიც ზუსტად აბაზანის წყალსაწრეტში გამავალი წყლის ბუყბუყს გამოსცემდა. ერთი სიტყვით, თვალის დახამხამებაში შეიცვალა და რა სიბრალულის გრძნობაზე შეიძლება ვილაპარკოთ, თუკი მის მიერ მოწყობილი სცენების გადამკიდე სადაცაა რომელიმე ჯგუფის ინვალიდობას დავირტყამდი.

— აინ, გეყოფა! აწი! აი ნახე, ხვალ თუ სამივემ არ ვიცინოთ ამ სისულელეზე...

— ხელი აიღე! ცხვირმოუხოცავო ლაწირაკო! — კბილებში გამოსცრა აინმა და გაბოროტებული თვალებით შემომხედა.

— ეეე... აბა ახლა რა უნდა გელაპარაკო! — ამოვიხვნეშე მე, — რა ჩახეთქე მაინც ამისთანა მოუნელებელი!

— არაფერიც არ ჩამიხეთქია!.. შენზე მეტი დავლიე თუ? აგერ ერთი ბოთლი თქვენც კარგად გამოგიწრუპავთ!..

როგორც შევატყვე, აინი თავის ფხიზლად დაჭერას ცდილობდა. ცდილობდა და რამდენადმე ახერხებდა კიდეც. თანაც ამდენ დავიდარაბაში, ცოტა არ იყოს, მართლა გამოფხიზლდასავით. არადა, გალეწილი მთვრალი, მგონი, თავიდანაც არ ყოფილა... ჰოდა, მით უარესი! მით უფრო სულელურად გამოვიდა ყველაფერი...

— აინ, ნეტავ რა გული გიძლებს, ევას დასამშვიდებლად რომ არ მიდიხარ... ხომ იცი, რომ ტირის... — ახალი სვლა მოვსინჯე მე.

აინი მართლაც წამოდგა. მეც წამოვდექი. გავაცილებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სახლში წასვლის მაგივრად უხეშად მომიცილა და სამზარეულოში შეალაჯა. მერე ონკანი მოუშვა და ცივი წყლის ქვეშ თავშეყოფილი კარგა ხანს ფრუტუნებდა. სახლში წადი და ცოლს ბოდიში მოუხადე-მეთქი, რომ ვექაქანებოდი, ეტყობა, ამით აუტკივარი თავი ავიტკივე. ისევ გაბრაზებულ გულზე თუ წაეთრეოდა თავისით, თორემ აწი შენ მოიცილებ ამას?! დაჯექი ახლა და ელოლიავე! თავიდანვე კინწისკვრით უნდა გამეგდო..

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, აინი რომ დაბრუნდა სამზარეულოდან. ცივ წყალს საკმაოდ ადამიანური სახე დაებრუნებინა მისთვის.

ნეტავ რატომ არ მიდის? ვაითუ ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა აქვს გადაწყვეტილი? არაფერი შეგეშალოს, ვაუბატონო! ეგეთები ჩემთ ^ არ გადის!

— მაგაზე ჭკვიანური დღეს არაფერი გიქნია, — ყოვლისშეიწყნარებელი ღიმილით წარმოვთქვი მე, — ცივი წყალი ახლა მისწრებაა შენთვის. ტყუილად კი არ მღერიან, „დილდილობით ცივი წყლით დაიბანეთ ტანიო!"

აინმა რაღაც ჩაიბურტყუნა. მე კი მაშინვე მივხვდი, რომ მას სწორედ ეს ჩემი სიმშვიდე და კეთილგანწყობილი თავმდაბლობა აღიზიანებდა. ძალიანაც კარგი.

— შენ აქ არარსებული რომანი გამოიგონე, — დავიწყე მე, — ჩვენ კი პატიოსნად ვიჯექით და შენი ესკიზის იდეას ვარჩევდით. იცი რა, სანამ შენ კლუბში გრიალებდი, მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ ეს შენი ესკიზი ამ სახით არ გავიდოდა!.. შენ რა, ძმაო, ვერ ხედავ, როგორი ძეგლებითაა ქალაქი სავსე, თუ რა! „ესტონიას" წინ რომაა აღმართული. მარტო ის რად ღირს! ამისთანა ესკიზი მაგნუს ტეეს რომ მოსვლოდა თავში, რაც თავისთავად გამორიცხულია, მაშინ კიდევ ჰო, შეიძლება გასულიყო, შენი კი...

— ჩემიც გავა! — გადამლაშებული თავდაჯერებით შეჰყვირა აინმა. მერე მაგიდაზე მიგდებული ფაიფურის მინიატურული თოჯინა აიღო და გახურებულ საფეთქელზე მიიდო.

— კარგი ერთი... ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ მაგნუს ტეე და მისთანანი შენს ესკიზს მოიწონებენ? ხომ იცი, ადგებიან და უმალ პაციფიზმად, გადაპრანჭულ პირობითობად, აბსტრაქტულ ჰუმანიზმად, მებრძოლი იდეებისაგან დაცლილ ნაწარმოებად მოგინათლავენ... ისიც გაითვალისწინე, რომ დღესდღეობით მაგნუსი მრავალი კომისიის წევრია!

— მაგნუს ტეე არარაობაა! სიცარიელეა! მაგას მალე უტილში ჩააბარებენ!

ო, რა თავდაჯერებული იყო აინი.

— კი. გეთანხმები, შეიძლება მართლაც უტილში ჩააბარონ. მაგრამ მანამდე იცოდე, მაგ შენს მიწისქვეშა მებრძოლებს ან შაშხანას დააჭერინებს ხელში და ან ხუთქიმიან ვარსკვლავს!

აინი არ მისმენდა.

— მაგნუს ტეეს მალე უტილში ჩააბარებენ! ერთი ჭკუის დარიგება გამიბედოს და მერე მე ვიცი! — ფაიფურის თოჯინა ახლა აინის ხელისგულზე ხტოდა, — ადრე თუ გვიან შენც უტილში ჩაგაბარებენ!

— დიდი მადლობელი ვარ! თუ არ შეწუხდები, იქნებ ეს თოჯინა მაინც დააყენო თავის ადგილზე. ნაჩუქარია! — ყელში მოწოლილი ბოღმა სადაცაა გადმოსკდებოდა.

აინს რომ თავიდანვე ჩემი გაცოფება ჰქონდა გადაწყვეტილი, კი ვგრძნობდი, მაგრამ მოთმინებიდან გამოსვლას თუ ვერ შევნიღბავდი, არ მეგონა.

— ერთმანეთზე გადაგაბამენ და ისე ჩაგაბარებენ! თუმცა არა, თქვენ შორის დიდი განსხვავებაცაა: მაგნუსი ჩვეულებრივი ხისთავიანია, შენ კი იმხელა მამაძაღლი და ინტრიგანი ხარ, რომ პირად საქმეებს ლოგინშიც კი აჭახრაკებ!

წამით თვალები დამიბნელდა. ხომ უნდა ამოჰკრა ახლა ამას ჭიტლაყი და თავისი „მყვირალა ხელებიანად" კინწისკვრით გააგდო აქედან-მეთქი, გავიფიქრე და ჩემდაუნებურად კედლისაკენ მივიხედე.

ნებიერა თავადის ასული ვარდის კოკორს ფურცლავდა. ლამაზ სახეზე მაცდური ღიმილი და ნეტარება გადაჰფენოდა. საოცარია, მაგრამ მის დანახვაზე რაღაცნაირი სიმშვიდე დამეუფლა, სამარისებური სიმშვიდე... ბოლოს, როგორც იქნა, გავარვარებულ, ლავადქცეულ ბოღმას მოვერიე და სიმწრით ჩაყლაპულ ნერწყვთან ერთად უკან ჩავაბრუნე.

— მაშ, ლოგინშიო, ამბობ, არა? რატომაც არა! ხომ იცი, ქალების უმრავლესობას სხვა სიკეთესთან ერთად თავიანთ სახელგანთქმულ ქმრებზე ბევრად უკეთესი განსჯის უნარი აქვთ! — მივახალე მე და თვალი თვალში გავუყარე.

აი, ამან კი იმოქმედა! სადავეები ისევ ჩემს ხელში იყო. დამერწმუნეთ, რომ თითოეულ ჩვენგანს, დიახ, უკლებლივ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი სისუსტეები, ანუ სასაცილოდ მგრძნობიარე წერტილები აქვს... კედლის საათისაკენ გავიხედე. ჩემი ბოლო სატელეფონო საუბრის შემდეგ კაი ერთი საათი გასულიყო!

— ასეა, ძმობილო, ასე! აბა შენ რა გეგონა, ძვირფასო კოლეგა! ცხოვრება ურთულესი თამაშია! გგონია, თითქოს შენი სასაცილო ქედმაღლობით უკვე რაღაცას მიაღწიე და თავი ქუდში გაქვს! არაფერი შეგეშალოს! — ჩავიქირქილე მე, — უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო! კატაც თუ არაა და თაგვების ზეიმი მაშინ უნდა ნახო შენ... მაგნუს ტეეს კი, დაიმახსოვრე, ჯერჯერობით ყურებზე ხახვსაც ვერ დავაკრით!

კონიაკი ჩამოვასხი და ერთი ჭიქა აინს მივაჩეჩე.

— ისე, კაცმა რომ თქვას, შენთვის არც უნდა მომეწოდებინა... თუმცა ისე ხარ გამობრუშული, აწი გინდა დაგილევია და გინდა არა. Prozit! თქვენის ნებართვით, რა თქმა უნდა.

აინმა ჭიქა ჩამომართვა, ერთხანს დაჟინებით ჩაშტერდა და მერე სულმოუთქმელად გადაჰკრა. ბოთლი და ჭიქები ავალაგე და კარადაში შევინახე.

ზარის ხმა გაისმა.

— წადი ახლა და შენი ცოლი დააწყნარე! — ცივად ვუთხარი მე.

X

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? რომ იცოდეთ, რა კარგ დროს მობრძანდით! აგერ აინ საარმა მესტუმრა თავისი ესკიზით და თქვენი აზრი აინტერესებს ძალიან... რაც შეიძლება ხმამაღლა შევძახე და მაგნუს ტეეს ოთახში შევუძეხი.

— კარგით, კარგით... თავს ნუ იკატუნებთ! როდის იყო კვერცხები ქათმებს უთანხმდებოდნენ! — ჩაიცინა თავისივე ხუმრობით ნასიამოვნებმა მაგნუსმა და მაშინვე გულზეშემოსაყრელი ელვარებით ჩაწიკწიკებული ვერცხლის კბილები გამოაჩინა. ვერცხლისას იტყვიან, თორემ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ჩვეულებრივი რკინის კბილები იყო. ის იყო, პირქუში სამყაროს რკინის ჭიშკარს მცირეოდენი სიცილი დაუსხლტა, რომ მაგნუსმა პირი დამუწა, ე. ი. ცეცხლგამძლე და ტყვიაგაუმტარი სეიფიც საიმედოდ ჩაიკეტა.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, რომ ამბობენ, აქ უთუოდ სკოლისდროინდელ ჩვევებსაც გულისხმობენ. როგორც კი მაგნუსი ოთახში შემოვიდა, აინი მაშინვე ფეხზე წამოხტა, რის გამოც ბოსის ზურგს უკან მოფარებული

ირონიული ღიმილით დავასაჩუქრე. ჩვენი სტუმარი გადასარევ გუნებაზე იყო. ოთახში შემოსვლისთანავე აინისაკენ გაემართა და ისე მეგობრულად გაუწოდა ხელი, რომ „მყვირალა ხელების“ ავტორმა თავაზიანი მისალმების გარდა ვერაფერი მოახერხა. მართალია, ჩემი ოთახი დიდი შუქით არ იყო გაჩახჩახებული, მაგრამ მაგნუსმა მაინც შეამჩნია, რომ აინის სახეზე არავითარი შრომითი ენთუზიაზმი და აღტყინება არ იკითხებოდა. ამის გამო თუ იყო, რომ უმალ საავდრო ცასავით მოიქუფრა.

— პორტრეტის საქმე როგორ მიდის? ალბათ მალე გვანახვებთ, არა? — აინის გასაცოფებელი ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

— თფუ! თფუ! თფუ! ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. თუმცა საფუძვლიანი დამუშავება კი სჭირდება, — მიპასუხა მაგნუსმა და აინს ზურგი შეაქცია, — როგორც ჩემი მასწავლებელი ივან ზახარიჩი იტყოდა ხოლმე, „დამუშავება, დამუშავება და კიდევ ერთხელ დამუშავება! ხელოვნება მხოლოდ ამით გამოირჩევა ხელოსნობისაგან!“

ჭეშმარიტად ოქრო სიტყვებია!

ფილოსოფიურად აჭიკჭიკებული ამხანაგი ტეე ისე ღრმად ჩაეფლო საკარძელში, რომ სტაფილოსფერ საშინაო ქურთუკს ქვედა ღილი შეაწყდა და ხალიჩაზე გაგორდა.

— ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— თავს ნებას ვერ მივცემ! უკვე გვიანია. ვერ გავბედავ. მოგეხსენებათ, ჯანმრთელობა...

აბა როგორ, აბა როგორ! ირონიულად გავიფიქრე მე. შენ რომ რამე მოგივიდეს, რაღა გვეშველება! ხომ დაღუპა ერთმა ფინჯანმა ყავამ მთელი ესტონური საბჭოთა ხელოვნება! ახლა ხომ სადღაც ზევით, ბნელ ოთახში, თიხის უზარმაზარი მოწინავე ბიცოლა დგას და საკუთარ უკვდავებას გულის ფანცქალით ელოდება!

მოულოდნელად შევნიშნე, რომ აინი თავის ესკიზს ახვევდა და მაშინვე ხელებში ვეცი.

— კარგი რა, აინ! ნეტავ რისი გერიდება. ორი წუთის წინ თავს იკლავდი, ამხანაგი ტეეს აზრი მაინტერესებსო და...

და სანამ აინი რამეს მოიფიქრებდა, მისი ესკიზი უკვე მაგნუსის მუხლებზე გადაშლილიყო!

— მე... — ჩაიბურტყუნა აინმა.

— აა, შენიშვნების ჩაწერა გინდა, ხომ? — შევაწყვეტინე მე, — აჰა შენ ფურცელი და ფანქარი. გულდასმით მოუსმინე და ყველაფერი ჩაიწერე, თორემ დავიწყება იცის.

აინმა ისეთი მზერა მესროლა, რომლის სიტყვებით გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია.

— ჰმმ... დიახ... — გაურკვეველი ხმები ამოუშვა მაგნუს ტეემ. იგი „მყვირალა ხელებს“ დაჰყურებდა, — დაუდევრადაა შესრულებული.. დიახ, ძალიან დაუდევრად... ეს რაღაა?

ამხანაგი ტეეს მთელი ყურადღება ბატიფეხურად მიჯღაბნულ „ესეც თქვენ!!!“-ს მიეპყრო.

— შემოქმედებითი წვა... აზარტი... დღესასწაული!.. — ჩავურთე მე ისე,

რომ აინისათვის თვალი არ მომიცილებია, მაგიდის კუთხეს ჩაფრენილი აინი კი ალბათ იმასღა ოცნებობდა, ნეტავ ახლა ეს მაგიდა ზღაპრულ ხალიჩად იქცეოდეს და აქედან გამაფრენდესო. მის მოთმინებიდან გამოსვლას არაფერი აღარ უკლდა. ცოტაც და... თუმცა უკეთეს დღეში არც მე ვიყავი. სატელეფონო საუბრის დროს თუ ერთგული და მზრუნველი ამხანაგის ხმა მქონდა, ახლა... ახლა ჩემი საქციელი მაგნუსსაც კი აოცებდა. აინის აცახცახებულ თითებს რომ დავაკვირდი, უხმოდ გავუღიმე და ფაიფურის თოჯინა მივაწოდე. აჰა, ძმაო, დალეწე! დაამსხვრიე! მოიოხე გული... აი, რას ნიშნავდა ჩემი ჟესტი.

— ხოლო რაც შეეხება შინაარსს... აქ კი... — მაგნუსმა ნეკა თითით ყური მოიქექა და აინისკენ მთელი ტანით შემობრუნდა, — მართლაცდა, რისი თქმა გსურდათ, ამხანაგო საარმა?

აინი ხმას არ იღებდა. მაგნუსმა კი ამასობაში თავისი რკინის კბილები გამოაჩინა. ოღონდ ახლა სულ სხვა იყო ეს ღიმილი. აინის ესკიზი მისთვის სრულიად გაუგებარი იყო! ამხანაგი ბოსი პასუხს ელოდა. მოთრიმლულ სახეზე გაკვესებული ფოლადის ღიმილი, მართლაც, საოცრად საშინელი სანახავი იყო. აინი კი ისევ დუმდა.

— აი, ხომ ხედავ, აინ! ჩემი არ იყოს, არც ამხანაგ ტეეს არ ესმის შენი კრედო! — სერიოზული ხმით წარმოვთქვი მე.

—ძალიან დასანანია, ძალიან... ამგვარი მონუმენტები მხოლოდ სევდას და ნაღველს თუ აღგვიძრავენ... მერედა გვჭირდება ეს? არა, ჩვენ ეს არ გვჭირდება! მართალია, გმირები დაეცნენ, მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ მათი წყალობით მოვესწარით ბედნიერ ცხოვრებას! მათივე წყალობით ვაშენებთ გიგანტურ (ზუსტად ეს თქვა!) კომუნიზმს...

ეს სიტყვები, ეტყობა, ესკიზის ნახვამდე ჰქონდა მოფიქრებული, თორემ ასე სახელდახელოდ როგორღა მოუყრიდა თავს.

— გმირების სიკვდილი თქვენ უბრალო სიკვდილი არ გეგონოთ! ეს მთელი ეტაპია... — და აქ მაგნუსს ენა დაება, მაგრამ მაინც პათეტიურად დაასრულა: — ყველაფერს მოძრაობაში უნდა ხედავდეთ, ყმაწვილებო! მარადიულ მოძრაობაში! დიალექტიკურად.

— ამხანაგი ტეე, რა თქმა უნდა, მართალს ბრძანებს. დი-ა-ლექ-ტი-კურად — კვერი დავუკარი მე.

აინს შეაძაგძაგა.

— ამ ხელებს ხელკეტი რომ ეჭიროს, უფრო დიალექტიკური გამოვიდოდა...

აინს ამ სიტყვების ირონიულად წარმოთქმა უნდოდა და გაბოროტებულად კი გამოუვიდა. სამაგიეროდ, მაგნუს ტეე, ეს ოქროსავით კაცი მიუდგა საქმეს მთელი სერიოზულობით.

— არა, ხელკეტებს ისევ შაშხანა და ყუმბარა აჯობებდა, — თქვა მაგნუსმა და თავისი მოსაზრების ჟესტიკულაციური თვალსაჩინოების მიზნით წინ გადაიხარა.

ღმერთო, შენ გვიშველე! ერთი გემრიელი გადახარხარება ახლა მთელ ქვეყანას მერჩია. ამდენ თმენაში შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა და აძაგძაგებულ მხრებს ძლივს ვიმორჩილებდი. ყუმბარაშემართული ხელის წარმოდგენაზე ხომ კინაღამ სიცილით გავიგუდე... მით უმეტეს, ამ თემატურ კომპოზიცი-

ას სათაურიც შესაფერისი მოეუძებნე. „და ლოთობა გრძელდებოდა თხრილ-შიაც!..“ ყუმბარები — ღვინის ბოთლები!.. წამოცდენილი ხითხითი უმალ ხველებად გავასაღე და ჭეშმარიტად შეუდარებელ მაგნუს ტეეს თვალი ავარიდე.

აინის მოთმინების ფიალა აივსო. აწყვეტილი ძაღლივით წამოხტა და ეს ჩვენი მოკრძალებული მდუმარება სარკასტული ხარხარით გადააყრუა.

— არა, მართლა ყუმბარები კი არაა აუცილებელი... ეს ისე, იმპროვიზაციულად... პარალელის გავლების მიზნით... — და მოულოდნელად მისმა განრისხებამაც გადმოხეთქა, — მერე რა?! თუნდაც ასე იყოს, რაა აქ სასაცილო, შე ლაწირაკო! — დაიქუხა მაგნუსმა და სახე ქურთუკივით სტაფილოსფერი გაუხდა.

აინს კი თავი გვერდზე გადაეგდო და გულიანად ხარხარებდა. ეს იყო თავშეუკავებელი, არანორმალური, საკუთარ თავზე კონტროლდაკარგული კაცის გიჟური ხარხარი.

—ხმა ჩაიწყვიტე! — დაიღრიალა მაგნუს ტეემ.

— აინ! — მივაყვირე მეც, — შენ რა, გაგიჟდი?! ვაი სირცხვილო! ამხანაგო ტეე. წყალი ხომ არ მოგართვათ?

— უტილში... უტილში! თქვენ ყველას უტილში ჩაგაბარებენ! — ბობოქრობდა აინი, — იმ... იმ თქვენი დიალექტიკით! იმ თქვენი ბედაურებით! იმ თქვენი ჭეშმარიტებით. მკვდარი რომ მოძრაობაში გინდათ წარმოიდგინოთ!.. დაღუპული გმირების შემდეგდროინდელი ეტაპით!.. რა საერთო გაქვთ თქვენ ხელოვნებასთან, რა?!

აინმა თავის ესკიზს წამოავლო ხელი და კარისკენ გაქანდა, მაგრამ არც მე დავაყოვნე, გზა გადავუჭერი და საყელოში ვეცი.

— ახლავე ბოდიში მოიხადე!.. ახლავე, თორემ მუშაობას დაემშვიდობე... — დავუცაცხანე მე, — ახლავე თუ ბოდიშს არ მოიხდი, ჩემს დახმარებას ვერ ეღირსები, იცოდე!

ამ ჯანიანი ბიჭის დაკავება არც ისე ადვილი იყო. უეცრად სახეზე რაღაც თხევადი შემომეფრქვა, მაგრამ იმ წუთში ყურადღება არ მიმიქცევია. აინს ხელს არ ვუშვებდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვანჯღრევდი. ამასობაში მაგნუსიც წამოხტა და ჩემს დასახმარებლად გამოემართა. ამ გაწევ-გამოწევაში მუხლში აინის ფეხი მომხვდა და ხელი შევუშვი. ჩემგან განთავისუფლებულმა აინმა ჯერ თავისი ესკიზი დაფხრიწა ნაკუწ-ნაკუწ, მერე კი გვერდზე გახტა და ძაღლივით დაგვიყეფა.

— თქვენ თვითონ გააკეთეთ! თქვენ თვითონ! კისერიც მოგიტეხიათ! მე კი თავს არ დავიმცირებ, არა! — მოგვახალა აინმა და ოთახიდან გავარდა.

სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ისევ ფეხის ტკივილი მოვიმიზეზე და ცალ ფეხზე დავიჩოქე.

— ჯიუჯიცოს ილეთი გამოიყენა, ხომ? გამოტყდი, ნუ მიმალავ! — ჩამეკითხა მაგნუს ტეე და ფეხზე წამოდგომაში დამეხმარა.

— რა ვიცი, აბა! — ჩუმად ჩავილაპარაკე მე.

XI

— აინ საარმას ვიცნობ, როგორც კარგ ამხანაგს და ნიჭიერ ახალგაზრდა მოქანდაკეს. ჩვენს ერთობლივ ნამუშევარს საკმაოდ კარგი პირი უჩანდა. ამიტომ ძალზე დასანანია, რომ იგი ასე სავალალოდ შეწყდა. მე პირადად მზადა ვარ მას ყველაფერი ვაპატიო, აინი ხომ გადაჭარბებულად მგრძნობიარეა... წონასწორობასაც ადვილად კარგავს! და რაც მთავარია, იმ მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

რაც შეეხება აინ საარმას იდეურ მოწიფულობას, აქ მე ჩემზე წინ გამოსულ ორატორს, ამხანაგ ტეეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევეკამათები. თუ არა პოლიტიკური გაუნათლებლობით, მაშ რით უნდა აიხსნას მის მიერ დაუფიქრებლად წამოროშილი სენტენციები ჩვენი საბჭოთა ხელოვნებისა და პირადად ამხანაგ ტეეს მიმართ?! აინ საარმა ხომ თავისი ბუნებით კეთილი და დელიკატური პიროვნებაა! თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მსგავსი ადამიანებისათვის მიგვენდო ისეთი საპასუხისმგებლო დავალება, როგორიც ფაშიზმის მსხვერპლთა მონუმენტია, ვფიქრობ, ეს საკამათო არც უნდა იყოს. იმ ავადსახსენებელ საღამოს აინმა ფაქტიურად უარი განაცხადა ამ მონუმენტის პროექტის შექმნაზე და სამართლიან კრიტიკას ესკიზის დემონსტრაციული დახევითღა უპასუხა.

ახლა კი ორიოდე სიტყვა თვით ესკიზის შესახებ.

მართალია, ესკიზი თავისებურად საინტერესო იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, რამდენიმე სერიოზული მინუსიც ჰქონდა. დღეისათვის, ვფიქრობ, საკმარისი არ უნდა იყოს მონუმენტის საშუალებით მარტოოდენ აბსტრაქტული ჰუმანიზმისა და პასიური პაციფიზმის ქადაგებას მივყოთ ხელი... მონუმენტი საბრძოლველადაც უნდა მოგვიწოდებდეს! დასავლეთ გერმანიაში კვლავ მძვინვარე მხეცმა, ფაშიზმმა წამოჰყო თავი! ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ისევ და ისევ ექსტრემისტი ნაძირალები ეპოტინებიან!.. მას შემდეგ რაც ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში აინ საარმას ზოგიერთი კონცეფცია ჩემთვის მიუღებელი გახდა, მე ჩემდაუნებურად შევუდექი ახალი გადაწყვეტის ძიებას... ამას წინათ კი ჩემი ახალი ესკიზი ამხანაგ ტეეს ვაჩვენე და სიამოვნებით შემიძლია გაუწყოთ, რომ პრინციპულ ასპექტში ამ ნამუშევარმა მისი მოწონება დაიმსახურა. თანაც ამხანაგმა ტეემ არა მარტო აქა-იქ დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციაში აღმოთქვა დახმარება, არამედ ჩემი პროექტის თანაავტორობაზეც დამთანხმდა. ამით კი, რა თქმა უნდა, უამრავ სიძნელეს დავაღწიე თავი.

მაგრამ ისევ აინ საარმას დავუბრუნდეთ.

ერთი რამ მინდა გთხოვოთ: მოდით, მეტისმეტ სიმკაცრეს ნუ გამოვიჩენთ მის მიმართ! მე ახლა მაგონდება ვლადიმერ ილიჩის სიტყვები იმის შესახებ, რომ ტალანტი — იშვიათობაა! რომ ტალანტებს განსაკუთრებულად უნდა ვუფრთხილდებოდეთ!.. ჭეშმარიტად ბრძნული სიტყვებია, ამხანაგებო! და თუ დღეს აინ საარმამ ჩვენთან მობრძანება არ ისურვა, ამის მიზეზი, ჩემი აზრით, თავგასულობა კი არა, სირცხვილის გრძნობა ან... ანდა სულაც ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხისათვის დამახასიათებელი ის სიჯიუტეა, რომელიც თავისთავად დაგმობას კი იმსახურებს, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვაღია-

როთ, რომ ასეთი ადამიანები რაღაცით მაინც გვესიმპათიურებიან... თუნდაც ჩვენი მშობლიური ლიტერატურა ავიღოთ — განა ყველანი ერთნაირად არა ვართ მოხიბლულნი ზღვის სანაპიროზე დასახლებული პერსონაჟებით! ისინი კუნძულ საარმაზე ამოსულ ღვიასავით უდრეკნი არიან! აკი აინმაც თავის მშობლიურ კუნძულს მიაშურა. დაე, იქ მშვიდად ასწონ-დასწონოს თავისი შეცდომები! დაე, იქ მოეგოს გონს!

დასასრულს მინდა განვაცხადო შემდეგი: გაგება იგივე მიტევებაა! მე პირადად წინააღმდეგი ვარ აინ საარმას მხატვართა კავშირის რიგებიდან გარიცხვისა!

აი, როგორი სიტყვა წარმოთქვა სამი დღის შემდეგ სვენ ვოორემ ერთ-ერთ დახურულ კრებაზე.

ახალი მონუმენტი დასრულებულია. იგი ფაშიზმის მსხვერპლთა სასაფლაოზე დგას. ღამით პროჟექტორები ანათებენ.

მონუმენტთან უამრავი ყვავილი მიაქვთ და იმ მეომრის წინაშე ალაგებენ, რომელიც, მართალია, მუხლზეა დაცემული, მაგრამ მის შორს გაწვდილ ძლიერ ხელებს მრისხანე მუშტები შეუკრავთ... ეს ხომ სამართლიანობისა და შურისძიების ღაღადისია.

ზამთრის უძირო ციდან ფაფუკი ფიფქები ეშვებიან და მონუმენტს ეფინებიან.

მონუმენტის საზეიმოდ გახსნის დღეს გადავწყვიტე, გვიან საღამოს მარტოდმარტოს მომენახულებინა იგი. ვიდექი და სიხარულით გულანთებული შევყურებდი მონუმენტს, რომლის კვარცხლბეკზეც სადა შრიფტით იყო ამოტვიფრული: MAGNUS TEES SVEN VOORE ANNO 196...

მოშორებით შავპალტოიანი ზორბა მოხუცი იდგა. ისიც მონუმენტს შეჰყურებდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეშურა. ეს პროფესორი ტოონელტი გახლდათ.

— საინტერესოა, ძალიან საინტერესოა... — თქვა მან.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი აზრით, კარგი მონუმენტი გამოვიდა? —მორიდებულად ვკითხე მე.

— მე მონუმენტს არ ვუყურებ, მე თქვენ გიყურებთ, ყმაწვილო!

— მე?

— დიახ, თქვენ. საინტერესოა, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ გულში!

ასე მომიგო პროფესორმა ტოონელტმა და მისმა ბუსავით მწვანე თვალებმა სიბნელეში გაიელვეს. ბოლო ფრაზა დინჯად, ხმის ამოუღებლად წარმოთქვა, მერე კი ერთბაშად შებრუნდა და ზურგი შემაქცია. თოვდა. საყელოწამოწეული პროფესორი თანდათან მშორდებოდა.



პილიმეესი

ცრიდა. ეს იყო შემოდგომის წვრილი, საზიზღარი ქვავი. მოქუფრული ციდან ქალაქის ვიწრო ქუჩებში ისეთი მძიმე საღამო ჩამოწვა, გეგონებოდათ, სადაცაა ზედა სართულებს აქეთ-იქით გადაზნიქავსო, საკმარისი იყო ზემოთ ამეხედა, რომ კლდეში გაჭრილ უზარმაზარ არხის ფსკერზე წარმომედგინა თავი. ცოტაც და რიგრიგობით განათებული შუქ-რეკლამების ხასხასა ფერები წვრილი წვიმის ნაცრისფერ ბურუსში აირია, მერე გაშლილ ქოლგებზე აკიაფდა და ნეილონის ლაბადებზე წვეთ-წვეთად ჩამოიღვარა.

კაფე „ჰარიუში“ შევიარე.

პირველი, რამაც გუნება გამიფუჭა, ალექსანდრეს დანახვა იყო. აბა რა ვიცოდი შეთავსებით ამ კაფეშიც თუ მუშაობდა. ალექსანდრემ გარდერობიდან გამოსასვლელი მოკლე დირე გადახსნა და ჩემკენ გამოემართა, რათა გახდაში შემშველებოდა. შეეცადე, დამესწრო მისთვის, მაგრამ რაღა დროს — იგი უკვე მთელი ძალღონით მხდიდა პალტოს. ჩემი დაკმუკნული პიჯაკისა და და დაბრეცილი ფეხსაცმელების პატრონმა ერთბაშად დათრგუნულად ვიგრძენი თავი. ალექსანდრეს გადამლაშებულმა თავაზიანობამ კაფეში მსხდომთა ყურადღება მიიპყრო. შემათვალიერეს.

— როგორა ხარ? — ღიმილით შემეკითხა ალექსანდრე და ჩალეხილი, ნიკოტინით შეყვითლებული კბილები გამოაჩინა.

— ისე, რა, ძველებურად, — უხერხულად ვუპასუხე.

— ო, ო... ძველებურად, — ჩემსავით, რა... მაშასადამე, ყველაფერი რიგზე ყოფილა!

ნეტავი ზედმეტად ხომ არ გაუსვა ხაზი ამ „მაშასადამეს“. წამით თვალებში ჩავხედე, მაგრამ ვერაფერი ამოვიკითხე. ღმერთო ჩემო! მის ძაღლივით უსაშველოდ თაფლისფერ თვალებში გაზეთილ-გადასლეპილი, უკიდეგანო გულითადობა ციმციმებდა. რატომღაც მგონია, ალექსანდრე ამ ბოლო წლებში ჩუმჩუმად მითვალთვალებს. აი ახლაც, დარწმუნებული ვარ, როგორც კი დარბაზისაკენ გავემართები, თაფლისფერ, ცნობისმოყვარე თვალებს გამომაყოლებს, ჩემს პიჯაკსა და ფეხსაცმელს კარგად შეათვალიერებს და თავისთვის რაღაცას დაასკვნის. არა, ჩემი ტანსაცმელი არც თუ ისე ურიგოა, უბრალოდ, ამ ბოლო ხანებში არაფრად ვაგდებ ჩაცმა-დახურვას. ეს არის და ეს.

დარბაზში ჩასასვლელ კიბეს ჩავყევი. კაფეში საღამოს ჟრიამული იდგა.

ხანდაზმულმა მანდილოსანმა ყავის საფასური რვა კაპიკი მაგიდაზე დააწყო და გასასვლელისაკენ გრაფის ასულის მედიდურობით გაემართა. უმალ მისი სისხლისფერი პომადით გადაღებილი მოკუმული ტუჩები და ფანტასტიკური ფორმის ფარფლებიანი ქუდი მეცა თვალში. მანდილოსნის მხრებზე ჩამოკონწიალებული გაქუცული ნაჭერი, ადვილი შესაძლებელია, ერთ დროს ვერცხლისფერი მელიის ბეწვი ყოფილიყო.

ცარიელი ადგილისაკენ გავემართე. ნებართვა ვითხოვე და სკამზე დაჯდომისთანავე შევამჩნიე, რომ ჩემს პირდაპირ სარკე იდგა. გამხდარმა, სათვალიანმა ბერიკაცმა წამით ჭამა შეწყვიტა, ერთი უნდოდ ამხედ-დამხედა და ისევ თავის ყურძნის ნამცხვარს დააცხრა. მოხუცს ძველი, არც თუ ისე სუფთა, ლურჯი ხალათი ეცვა. ძველებური წითელი ჰალსტუხი სულაც არ უხდებოდა. იჯდა და დიდი სიამოვნებით შეექცეოდა ნამცხვარს.

ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე. გაშლაც ვერ მოვასწარი. მომტანი მომიახლოვდა — მორცხვი ქალიშვილი, წინათ არასოდეს რომ არ შემინიშნავს. უთუოდ ახალმიღებული იყო. ქალიშვილმა მაგიდაზე დატოვებული რვა კაპიკი აკრიფა, გულდასმით მომისმინა და შეკვეთა ჩაიწერა: ყავა და ას ორმოცდაათი გრამი რომი. მერე რაღაც ნაძალადევად გამიღიმა (ალბათ ასე ასწავლეს) და სამზარეულოს კარზე ჩამოშვებულ ფარდებს იქით მიიმალა.

სარკე ნამდვილად მაღიზიანებდა. ორმოცდაათ წელს მიტანებულ კაცს სარკის წინ ჯდომა არც თუ დიდ სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს.

გაზეთი ავიფარე. ძალის-ძალათი ჩავიკითხე: სადღაც წყალდიდობაა... ერთმა ინგლისელმა ქალმა ხუთი შვილი შვა... ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებმა თითქმის ერთდროულად გამოუცხადეს ერთმანეთს მტკიცე პროტესტი.

ეს მე არ მეხებოდა,

ყავა და რომი მომიტანეს. კაცმა, რომელიც ნამცხვარს შეექცეოდა, გაკვირვებით გადმოხედა რომით სავსე ჭიქას და ჩაიღიმა. ჰმ! აბა ერთი მაშინ მნახოს, სმას რომ შევუყვები... მაგრამ დღეს, უკაცრავად, დღეს არ დავლევ. სკამი ოდნავ შემოვაბრუნე, ფანჯრის ფარდების ღიობში ერთხანს ქუჩის მცირე არეს გავყურებდი, მერე ისევ გავშალე გაზეთი. განცხადებები გადავათვალიერე...

კინოში წავსულიყავი?

კინო ძალიან მიყვარს: ზიხარ და ცხოვრობ სხვისი ცხოვრებით, სხვათა გრძნობები გაღელვებს... და უცნაურია, მათი საქმეები საკუთარზე საინტერესო გეჩვენება. გარდა ამისა, გულს გეფონება ისიც, რომ ამდენი ხალხი იმასვე უყურებს, რასაც შენ, თითქმის ყველა შენებრ ფიქრობს და განიცდის. ჰო, მართლაცდა, რა იქნება, კინოში რომ წავიდე?

ფილმი ხომ აბსა ჰგავს, სიბნელეში რომ მოქმედებს და ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში... კინოთეატრიდან გამოსულნი კი ისევ ცალ-ცალკე, საკუთარ ფიქრებთან ვრჩებით და თითქოს გვეუხერხულება კიდეც, სულ ცოტა ხნის წინ ასე რომ ვგავდით ერთმანეთს. მერე ვიშლებით, ჩვენ-ჩვენ გზაზე მივდივართ, რათა ათი წლის შემდეგ ტაქსებისა თუ ავტობუსების გაჩერებასთან ერთმანეთს წავეკინკლაოთ. რა ვიცი, პირადად მე სულ ასე მემართება.

—როგორც ვხედავ, თქვენც ამინდის ბიუროს ცნობას ათვალიერებთ. — მოულოდნელად მომმართა ჩემმა მოხუცმა თანამეინახემ და ბოლო ლუკმაც

გადაყლაპა. — იცით, რას იტყოდა მამაჩემი ამის თაობაზე: მიწიერი ქარები და კაცთა გულისთქმა ჩვენი გონებისათვის ერთობ მიუწვდომელი რამაა — მოხუცმა უცნაურად ჩაიხითხითა და თვალი ჩამიკრა. მერე ჯიბიდან დიდი, ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩები ფაქიზად შეიწმინდა. აბა, რა მეთქმოდა ადამიანის გულსა და ზეციურ ქარზე. მგონი, არც ელოდა რაიმე პასუხს.

— ჰმ!... ასეა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა. შემდეგ თვალები ეშმაკურად მოჭუტა. რომიან ჭიქაზე მიმანიშნა და ჩამჩურჩულა, თითქოს დიდ საიდუმლოებას მანდობდა, — აი, მაგ სავსე ჭიქის ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ თავი აგიხმიანოს, ნიჟარის ხმიანება კი დაახშოს.

— ნიჟარის?

— დიახ, ნიჟარისა. აბა როგორ გეგონათ! აიღეთ ზღვის ცარიელი ნიჟარა და მოუსმინეთ, ყური მიუგდეთ, როგორ მღერის... მაგრამ თუ ნიჟარას რომით აავსებთ, უმალვე შეწყვეტს ჟღერას, დადუმდება...

— კი მაგრამ ნიჟარაში წყალი რომ ჩაასხა, მაშინაც დადუმდება!

— დიახ, დიახ, დადუმდება! მაგრამ ის სულ სხვა დუმილია, როგორც ჩანს, უმაწვილო, თქვენ ჯერ კიდევ არაფერი გაგეგებათ ფი-ლო-სო-ფი-ისა!

ისევ ჩაიხითხითა, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი და ძალზე სერიოზულად შემომხედა. თითქოს თითი დამიქნია და ბერიკაცული ნაბიჯით გასახდელისაკენ წალასლასდა.

რომი მოვსვი. რომი ბევრად მირჩევნია კონიაკს. მართალია, გემოთი კონიაკი სჯობს, მაგრამ როცა კონიაკს სვამ, შენდაუნებურ ფილოსოფოსობ. კონიაკი ახალგაზრდების სასმელია. საზიზღარი დასალევია რომი, წამალივით უნდა ყლაპო, სამაგიეროდ, გვარიანად გაბრუებს, ბლომად თუ გადაჰკრავ, ტვინი ისე იძაბება, გეგონება ქოლგაა, აგერ ახლა რომ უნდა გაიშალოსო... მგონი, არც თუ დიდებული შედარება გამოვიდა, არა? მაგრამ უკეთესი ვერ მოვიფიქრე, ღირდა კი მეძებნა?

— სკამი ცარიელია!..

ამ სიტყვებში შეკითხვის ტონი რომ შემენიშნა, ალბათ უარს არ ვეტყოდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წინ მდგარი კაცი საკმაოდ შეზარხოშებული ჩანდა.

— არა, დაკავებულია. ველოდები.

— ელოდებით? მერედა. ვინ ეშმაკს ელოდებით?!..

საკმაოდ სიმპათიური კაცია: მხარბეჭიანი, გრუზა ქოჩორი შუბლზე ჩამოშლია. მადლიანი ნაკვთები აქვს. ერთი შეხედვით, იმ კაცსა ჰგავს, ხშირად რომ თვრება, თვრება, მაგრამ სახლს თავისი ფეხით აგნებს, დილაობით კი, ნაბახუსევზე. შვილს სასტვენს უთლის ხოლმე. ბიჭებს უყვართ ასეთი მამები.

— ვინ ეშმაკს ველოდები და, მეორე ლოთს, — ვუპასუხე და უაზროდ გამეღიმა. წუთით თვალები დაუწვრილდა. ვერ მივხვდი, ეწყინა, თუ მოეწონა ჩემი პასუხი. მზით გარუჯულ პირისახეზე ღიმილმა გადაჰკრა.

— თუ ასეა, რა გაეწყობა... — თქვა და შებრუნდა. მოპირდაპირე მაგიდასთან, სამი მანდილოსანი რომ მისჯდომოდა, თავისუფალი სკამი შენიშნა და, მიუხედავად მანდილოსანთა არასტუმარმოყვრული ჟესტისა, სიამოვნებით დაეშვა სკამზე. წუთით თითქოს ვინანე კიდეც. ჩემს მაგიდასთან დაჯდომის ნება რომ არ მივეცი. თუმცა სწორად მოვიქეცი. ასეთებთან ხომ საერთო ენას ვერა-

სოდეს ვპოულობ. უცებ მისი პროფილი მეცნაურა. ვინ არის? რა ნაცნობი სახეა... ვინ არის? ვინ? იქნებ ადრე გამოჩენილი სპორტსმენი იყო? თუნდაც მოკრივე. თუმცა არა, ცხვირი მოკრივისას არ უგავს. ვინ არის? მოიცა... მოიცა! გასაგებია! ჟოკეია. ყოველ შეჯიბრებაში, რამდენიმე წლის წინათ ჟოკეი იყო.

...იპოდრომი. მოკრიამულე ტრიბუნები. ყვითელი ატლასის ფორმა... მაგრამ ყოველივე, რაც ახლა მაგონდება, მაღონებს და უკვე ვნანობ, რომ ეს კაცი შევიცანი, რადგან ჟოკეის სახე ერთ ვინმეს მაგონებს... ფუ! დასწყევლოს ეშმაკმა, უკეთესი იქნება, თუ საერთოდ არ ვიფიქრებ ამაზე...

— Terre ôdangust!*

რაული ხელებით დაყრდნობოდა ცარიელი სკამის საზურგეს. რაული, ჩემი ძველი ნაცნობი, საკომისიო მაღაზიის გამგე. ლოყებღაჟღაჟა კაცი. მისი კასრივით ტანი ახლა ერთიანად თახთახებს სიცილისაგან. ისე გახარებია ჩემი დანახვა.

— სად დაიკარგე! რა ხანია არ მინახიხარ. ალბათ, ჩაიკეტე და ბევრს მუშაობ...

— ჰო. ალბათ.

არა, არც რაულთან შეხვედრა მეპრიანებოდა. რაული მხიარული კაცია, მაგრამ აბსოლუტურად არ ჰყოფნის ჭკუა. გაიგოს მეორე კაცის განწყობილება და ანგარიში გაუწიოს მას. ზურგზე უშველებელი ქვის ჯვარი რომ დაეკრათ და ავეძულებინე გოლგოთას გზას დავდგომოდი, რაული მაშინაც შემაჩერებდა, ასევე მხიარულად შემომძახებდა: „Terre ôdangust!“ და ათასგვარ უცნაურ ამბავს ჩამომიღერღავდა: აი, რა შეემთხვა გუშინ ტრამვაიში... ასე და ამნაირად... ღმერთმა დაგიფაროს და, ცუდ გუნებაზე თუ ხარ, ასეთ ხალხთან შეხვედრა ისე მოგაქცევს, მთელ ქვეყნიერებაზე მარტოდმარტო წარმოიდგენ თავს.

— აქ ალბათ, ინსპირაციას დაეძებ, ჰა?

— რა თქმა უნდა, — ვპასუხობ და მის გამომცდელ მზერას ვიჭერ.

— მერე? გამოდის რამე?

— სხვათა შორის, ახლა ზღვის ნიჟარებზე ვფიქრობ...

—?

— ზღვის ნიჟარებზე და ადამიანის თავის ქალაზე. აბა, თუ მეტყვი, რა განსხვავებაა მათ შორის?

— რა განსხვავება უნდა იყოს. ორთავე ცარიელია.

— ყველას თავი არაა ცარიელი.

— მგონი, ცუდ გუნებაზე ხარ...

— სრულებითაც არა.

— გახედე იმ კაცს, — დაიხარა და ჩამჩურჩულა რაულმა, — აი, იმ კაცს, ფანჯარასთან რომ ზის, ნაცრისფერკოსტუმიანს, აი, ბიჭს რომ ელაპარაკება...

— ვხედავ. მერე რა? ალბათ, იმის თქმა გინდა, ის კაცი ჰომოსექსუალისტიაო, ხომ?

— კი, შენ ნამდვილად ვერა ხარ გუნებაზე.

— არა-მეთქი..

---

* ჟარგონული მისალმება (ესტ.).

— მაშ, რაა, ასე რომ... — ვერა და ვერ იპოვა სიტყვა.

— რაული. შენ ხომ ასეთ თემაზე საუბარი მოგწონს.

— რუბენ, იცი რას გეტყვი? თუ ასე გააგრძელებ, იცოდე, წავალ და სხვა მაგიდას მივუჯდები.

— აი, ეს კი კარგი იქნებოდა!

ამ ფრაზას არც რაული ელოდა და არც მე.

— არ ვიცი, რა გველმა უკბინა დღეს... — ასეა, აღელვებული რაული მესამე პირით მოგმართავს ხოლმე.

— რუბენ, არ ვბრაზდები... არა. მესმის, გადაიღალე, ინსპირაციაც ასე ადვილად არ გეწვევა კაცს და ამიტომ... — ნაძალადევად გაიღიმა, თავი დამიკრა და გამცილდა.

ამ კაცის ყველაზე აუტანელი თვისება ის არის, რომ მუდამ ყველაფერს „ხვდება". ყოვლისმცოდნე რაული! შემიძლია ჯოჯოხეთშიაც გავგზავნო, მაგრამ მერე რა, მაინც ყველაფერს „მიხვდება". ერთი დღის შემდეგ კი აღარაფერი ემახსოვრება.

არა, მართლაც და, დღეს რა მემართება? რას ვიკბინები. ამ კუკუმალობიასაც ვისთვის. ან რატომ ვთამაშობ... ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი, რაც მემართება: იმ ერთი კვირა დღის ამბავია, იპოდრომზე რომ... თხუთმეტი წლის წინ იყო...

რომი მოვსვი.

იპოდრომის სარბენ ბილიკზე ოფლად იღვრებიან და ფრუტუნებენ ცხენები.

— ნუთუ მართლა არ გესმით, რისთვისაა ეს ყველაფერი? — ჩემს ცხვირწინ სათვალის შუშები ელავს, რაც უფრო ახლოს მოაქვს სახე, მით უფრო მეუფლება ზიზღი. რა უცნაურად მოჩანს ამ სქელი შუშებიდან დაჭყეტილი თვალები. ბილიარდის ბურთებსა ჰგავს. იფიქრებ, საცაა მაგიდაზე გაგორდებაო.

— თქვენ ხომ კარიკის მოსწავლე ხართ. ხომ იცით, მოსწავლე თუ თავის მასწავლებელს აღუდგა, ეს იმას ნიშნავს, რომ...

— ჰმ! რას უნდა ნიშნავდეს? — ბილიარდის ბურთები თანდათან მშორდება, თითქოს უხილავი რეზინის საბელი უკანვე ეზიდებოდეს თავის ქალაში.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მაესტროს თავისი შეგირდები ბოლომდე როდი გადაუგვარებია. ცოტა რამ მაინც მოეცხოთ ესთეტიზმისა. ცოტა რამ მაინც შესძინა იმ ქადაგებამ... როგორ არის? ჰო: „L'art pour L'artist!"* მაგრამ შეგირდებს, ასე თუ ისე, გონება შერჩათ, ე.ი. საქმე არც თუ ისე ცუდად ყოფილა, ხომ ასეა?

დასწყევლოს ღმერთმა! ამ საუბარში თითქოს ლოგიკაც უნდა იყოს, ოღონდ ამდენმა ლაპარაკმა ლამის ტვინი ამირიოს.

— მდოგვიც გადაიღეთ, ახალია.

იპოდრომის სასაუზმეში ვსხედვართ. მე და ის. ვერც წარმოვიდგენდი, იპოდრომზე თუ დადიოდა, და აი, ტოტალიზატორში, გამარჯვებულთა შორის, ჩვენც შეეხვდით ერთმანეთს. ეს გამარჯვებაც ერთმა ცხენმა გვიწყალობა ორთავეს... ოღონდ მე ერთი ბილეთი მქონდა, მას — სამი. ჰოდა, იქვე, სასაუზმეში

---

* „ხელოვნება — ხელოვნებისათვის" (ფრანგ.).

აღვნიშნეთ ჩვენი გამარჯვება. სხვებმა რომ არ დაგჯაბნონ. ხანდახან იქითაც უნდა შეუტიოო. ეს მისი ცხოვრების გამოცდილებაა. გაღმა შეედავე. გამოღმა შეგრჩებაო. სულ არ მომწონს ეს კაცი. ღაჟღაჟა. მსუქან პირისახეს სულაც არ ეხამება ეს სათვალეები, ანდა ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს შეუხამებლობა ავლენს იმას, რასაც ჩვეულებრივ ვერ შეამჩნევდი.

რეპროდუქტორში ახლა ნამდვილი საიპოდრომო მუსიკა გაისმის, ცოტა ხნის წინ კი... ოჰ, რა სასაცილო ამბის მომსწრე გახლდით: დაშაქრული ტენორი, წინა წლებში სიყვარულზე და ვენეციურ ლურჯ ღამეებზე რომ მღეროდა, დღეს „პოლკას“ ჰანგზე ხოტბას ასხამდა ერთი ყოჩაღი ტრაქტორისტისა და მოწინავე მწველავი გოგონას სიყვარულს. საღამოობით, თავისუფალ დროს, ისინი „პოლკას“ ცეკვავენ, მხოლოდ „პოლკას“, „პოლკა“ ძალასა და შრომის ხალისს ჰმატებთ... არა, იმას კი არ ვამბობ, „პოლკა“ და სოფელი ერთმანეთს არ ესადაგება-მეთქი, მაგრამ თვით ეს ტენორი ისე შორსაა სოფლისაგან, რომ მისი ხმა თითქმის ირონიულად ჟღერს.

ძეხვს ცოტაოდენი მდოგვი წავაცხე.

— ომის შემდგომდროინდელი საუცხოო ძეხვია! ქონი და მარილი ზომიერადაა ჩართული, — იცინის, — ძეხვის სიმბოლო კი არ გეგონოს, ნამდვილი ძეხვია! ჰა?

პირი სავსე მქონდა, გადავწყვიტე თავი დამექნია. ხმაგაკმენდილი რაკი მნახა, თითქოს ამით ისარგებლა და დინჯად განაგრძო:

— რაც უნდა იყოს, კარიკი ესთეტია! გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით — უარყოფ? რა თქმა უნდა, არ უარყოფთ. კეთილი, მაგრამ არის კი იგი ჩვენი კაცი? არ არის! ხომ მართალს ვამბობ? ასე რომ, ნუ გვეურჩებით. ჩვენთან კამათი რა საჭიროა... თორემ მ ო გ ი წ ე ვ თ პასუხის გაცემა ესტონური ლიტერატურის მაგიერ! კარიკის მაგიერ: და კიდევ ზოგიერთების მაგიერ. ერთი წუთით, წავალ, სიგარეტს მოვიტან.

ნეტავ ვის უნდა გულისხმობდეს ამ ზ ო გ ი ე რ თ ე ბ შ ი? იატაკზე ბილეთის ნაკუწები ყრია. გაცრუებული იმედები. სალაროსთან კი ახალი რიგი დგას. უცნაური გარეგნობის ხანშესულ ქალს მოკკარი თვალი, ფართოფარფლებიანი ქუდი ხურავს. ამბობენ, ეს ქალი, აგერ ათეული წელია, ყოველ კვირა დღეს აქ ატარებსო. ბალტიისპირელი თავადების ჩამომავალი ყოფილა. იპოდრომზე ორი სახლი წაუგია. უცნაური ქალია, მამაკაცის უშველებელი ფეხსაცმელი კიდევ უფრო აუშნოვებს მის ისედაც ვერმიშელივით დაწვრილებულ ფეხებს. ზმანებასავით დაიარება, თან უხეშად, არიტმულად, თითქოს სადღაც შორს, სადაც მზერა ვერ მიატანს (მეტადრე ამ ელამი, მორფინისტის თვალებიანი ქალისა), უშველებელი მოსამართი კოჭი იდგეს. დაჭიმულ მავთულს რომ იზიდავს და იხვევს. ხოლო ეს ქალი, ქალი კი არა, მარიონეტი... მაგრამ მე ხომ არა ვარ მარიონეტი... ის კი, ის, მავთულების დამხვევი უშველებელი კოჭია.

ასე რატომ ვფიქრობ... მის საუბარში თავისებური ლოგიკაა. კარიკისათვის, რასაკვირველია, ბევრად უმჯობესი იქნება, თავს თუ დავესხმები. მე, მე და არა ვინმე სხვა. რაღაც ზომიერებასა და ტაქტს მაინც გამოვიჩენდი. თუმცა არა, ვგრძნობ, რომ ყოველივე ამას სხვა სუნი უდის... ვგრძნობ, მთელის არსებითა ვგრძნობ! არა, კარიკს არ ავუმხედრდები!

აი, ის უკვე მოდის. ოჰო! ერთი ბოთლი არაყიც თან წამოუღია. უცნაურია...

ჩემს გაოცებულ თვალებს რომ წააწყდა, რამ შეგაშინათო, — ღიმილით მომმართა და ბოთლი მაგიდის კუთხეში დადგა.

— ამის დალევას ჩვენც შევძლებთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჟოკეისაც გავუმასპინძლდებით. თუ არ ვცდები, რებანეს ეძახიან. დღესაც მაგან არ მოგვაგებინა?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. — ვუპასუხე. დავუძახებ-მეთქი, დავპირდი. ჯიბე მოვიქექე, ჩემი წილი არყის საფასური რომ გადამეხადა.

— ოჰ, როგორ გეკადრებათ! თქვენ ერთი ბილეთი გქონდათ, მე კი სამი! — ღიმილით მომიგო მან. — არჩევანი ნამდვილად შეგძლებიათ, ოღონდ ესაა, რამდენიმე ბილეთის ერთად ყიდვას ერიდებით.

ჰმ! ნეტავი რაზე გადამიკრა სიტყვა?

— იცით რა, მეჩქარება. თუ არ დაიზარებთ, მოდით, ეს ბოთლი თავად გადაეცით რებანეს.

თავი დავუქნიე, არ დაგზარდებით-მეთქი. საკმარისია ცოტა ხნით კიდევ დარჩეს და ვეტყვი, აუცილებლად ვეტყვი, კარიკს არავითარ შემთხვევაში არ აღვუდგები-მეთქი. არამც და არამც, მაგრამ არ ჯდება, მემშვიდობება.

— ნახვამდის! მოხარული ვარ, რომ კარგად გამიგეთ. მაშ, შევთანხმდით — მითხრა და წავიდა.

მოყაყანე ბრბოს გვერდი ავუარე და თავლისაკენ გავემართე. ატლასი და ხეხვი, სასიყვარულო სიმღერები და მათრახის ტკაცანი, კედელ-კედელ მიხვეტილი, შარდის მძაფრი სუნით გაჟღენთილი კანფეტის ქაღალდები — აი, იპოდრომი, რომელსაც ქუჩის გოგოს უხეში მომხიბვლელობაც არ აკლია. მაგრამ დღეს... დღეს, მიუხედავად მოგებული ოთხმოცი მანეთისა, მაინც გულს მირევს აქაურობა. ეგღა მაკლდა! — ზედ ტრიბუნის წინ არყის სუნით აყროლებულ ლოთს ვეჯახები...

— პარდონ, მუსიე... — ნირწამხდარი ლუღლუღებს ლოთი. ღმერთმა დაგიფაროს ლოთთან შეჯახებისაგან, როცა შენ თვითონ არყის ბოთლი გაქვს პიჯაკის ჯიბეში გადამალული.

თავლაში შევედი.

— გადაკვრა არ გვაწყენდა, — მითხრა რებანემ. რებანე სწორედ ის კაცია, წუთის წინ ცარიელი სკამი რომ არ დავუთმე, მერე კი მოპირდაპირე მაგიდასთან მჯდარი ქალები შეაწყინა უხამსი ხუმრობით.

თავლაში ჭუჭყიან ძელსკამზე ვსხედვართ და არაყსა ვსვამთ. საუბარი აეწყო. ცოტახნის შემდეგ კიდევ ერთი ბოთლი მოვიტანეთ და უკვე გულიც გადავუშალე ჟოკეის. ყვითელი ატლასის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი ყურადღებით მისმენს (მომწონს, რომ არ აკვირვებს და არც არაფერს ეუბნება სიტყვები: „მწერალთა კავშირი“, „პროფესორი“ „მწერალი“). რებანე მთელი გულით მითანაგრძნობს: ეგეთები ფეხებზე უნდა დაიკიდო. ჰმ! საკუთარი მასწავლებლის წინააღმდეგო... გამარჯობა შენ! ადგნენ და თვითონ გამოვიდნენ. თქვენს ადგილზე მაგ „კეთილმსურველებს“ საბალახოდ გავრეკავდი...

ვუსმენ და მწამს, ასეც მოვიქცევი.

ჭიქა გამოვცალე. მომტანი ხელის დაქნევისთანავე მოვიდა.

— უკაცრავად, თქვენ ბრძანდებით რუბენ პილიმეესი?* — შემეკითხა მომ-

---

* პ ი ლ ი მ ე ე ს ი — ამ შემთხვევაში გვარია. ესტონურ ენაზე მუსიკოსსაც ნიშნავს.

ტანი. თავი დავუქნიე და მაშინვე მივხვდი, რასაც მეტყოდა.

— თქვენს სახელზე წერილია, ორი დღის წინ ბუფეტში დატოვეს, — ეს მითხრა და წერილი გამომიწოდა. კონვერტი უხალისოდ და თან უხეშად ჩამოვართვი. ქალიშვილი შეკრთა, მეც უხერხულად ვიგრძენი თავი, მოვიბოდიშე. — ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ერთმა ტიპმა გუნება გამიფუჭა და... — გოგონამ თავი დამიკრა, ისევ იმ დასწავლილმა ღიმილმა გადაურბინა პირისახეზე.

—გადაიხდით?

— დიახ. თქვენ... გეტყობათ აქ ახალი ხართ?.. — თვითონაც არ ვიცი რა მომეწონა ამ მაღალი, არცთუ ლამაზი და ნარნარი ქალიშვილისა, მსურდა რამენაირად მესიამოვნებინა. ჩემმა შეკითხვამ კი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დააბნია.

— დიახ, მხოლოდ მეოთხე დღეა, რაც აქ ვმუშაობ, — მიპასუხა ღაწვებშეფაკლულმა.

— თქვენგან შესანიშნავი მომტანი დადგება, — აბა, რა სულელური კომპლიმენტია. სულ სხვა რამის თქმას ვაპირებდი.

— მანეთი და სამოცდახუთი კაპიკი.

ორი მანეთი გავუწოდე, ხურდა არ გამოვართვი. შევატყვე, ყოყმანობდა, ზედმეტის აღებას ჯერ არ შეჩვეოდა. სწრაფად შებრუნდა და ისევ სამზარეულოს წინ ჩამოშვებულ ფარდებს იქით მიიმალა.

წამოვდექი. ალექსანდრეს მოსასხამი მოვახურინე მხრებზე. წინა დარბაზში, მაგიდასთან, რაული იჯდა. არც კი შემომხედა. ალბათ, ასე ამჯობინა. მინის კარი გავიხურე თუ არა, თავი ასწია და ნაღვლიანი მზერა გამომაყოლა.

ქუჩაში გამოვედი. სულაც არ ვბრაზობდი. პირიქით, მოწყენილი ვიყავი.

ნოემბრის საღამო ნებივრობს ქუჩებში.
თვალებს ჭყეტს ქალაქი ფერადი რეკლამით,
ყველა რომ იჩქარის, მე საით წავიდე,
ვფიქრობ და ფიქრიც ბასრია ეკალივით.
ნეილონის თმით, იისფერ სისხლით,
გაყინულ ღიმით და შუშის თვალებით,
ახალ კაბებით ცივ ვიტრინებიდან
მანეკენები გამოანათებენ.
ზეცის გახსნაა თუ წვიმაა ოქროსი,
ფარფატით ეცემა ფიფქები დაღლილი.
ყვავილის ჯიხურის საყვარელ სარკმელზე
მოცისფრო სევდად ჩნდა ობოლი ყვავილი.

წვიმამ გადაიღო, ქარი ტროტუარზე სველ გაზეთს მიაფრიალებდა. კაფე „ჰარიუში," სიგარეტი დამრჩენია. კინოთეატრ „სიპრუსის" ბუფეტში შევიარე „დიებელის" საყიდლად. რომმა შემათრო. თურმე ჩემდაუნებურად მივჩერებოდი წინ მიმავალ ქალიშვილის ფეხებს. ჯიშიან ლამაზ წვივებს შემოტმასნოდა შავი წინდები, მე რომ აგრე მომწონდა.

მწერალთა კავშირს ჩავუარე. კაფე „პეგასი" ახალგაზრდებით გაჭედილიყო. მოსასხამის საყელო ავიწიე, რადგან ქარი უფრო და უფრო ძლი-

ერდებოდა. ტოომეს ეკლესიიდან ორღანის ხმა შემომესმა. იქ ხშირად კონსერვატორიის სტუდენტებს ამეცადინებდნენ. კარი შევაღე თუ არა, ერთბაშად შემომეფრქვა ეკლესიის გრილი და ოდნავ მოტკბო სურნელი... გარდასული საუკუნეების სურნელი... არ ვიცი, ამხელა კარს რად აბამენ ეკლესიას ეგების ვეებერთელა ჯვრით ქრისტეს მეორედ მოსვლას მოელიან. ამხელა კარი საცოდავად აპატარავებს შემსვლელს.

ეკლესიაში ბინდი და სიცარიელე გამეფებულიყო. მხოლოდ მაღლა, ორღანის თავზე კრთოდა სანთლის მოყვითალო შარავანდი. შევჩერდი. მუსიკას მივაყურე. ორღანზე დამკვრელი ერთთავად სცოდავდა, პედალებს ვერა და ვერ უსადაგებდა. ბანიც ბრაზიანად გუგუნებდა.

მორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ ამბობენ, ეკლესია და ორღანი ურწმუნოსაც რწმენად შოაქცევსო. ესაა სასიამოვნო და რაღაც იდუმალი განცდა: თვალები ოდნავ გიწყლიანდება... ამბობენ, ამ დროს ბავშვობაზე, მინდვრებზე, წმინდანებზე და წინაპართა სახეებზე ფიქრი გეძალებაო. წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ თუ არ გამიჩნდა ამგვარი გრძნობა? და განა მარტო ახლა...

მახსოვს, ცამეტი წლის ბიჭი ეკლესიაში შევიპარე, ისე საგულდაგულოდ დავიმალე, რომ საღამოს ჩამკეტეს კიდეც. მეც ეს მინდოდა. მაშინ ლექსებს ვწერდი. შთამაგონებდა კათედრალი, მონაზონთა ტრფობა და ამისთანები (აბა, როგორ!)

ეს ძველთუძველესი პატარა ეკლესია სოფლის განაპირად იდგა. საოცრად უყვარდა ბებიაჩემს ღამაზად მოხატული საკურთხევლიდან მზირალი ხატი ქრისტეს ზეცად ამაღლებისა. შეჰყურებდა და მუდამ ცრემლსა ღვრიდა.

სარკმელს უცხო ფერებად დასთამაშებდა ჩამავალი მზის არილი. დაღამების მოლოდინში ძელსკამზე წამოვწექი და ჩემდა გასაოცრად ისეთი მამაპაპური ძილი გამოვაცხვე, თქვენგან მოწონებული. შუაღამისას გამეღვიძა. რის შიში, რა რომანტიკა! ეკლესიაში საშინლად ციოდა, ეს იყო და ეს! საგანგებოდ გადანახული სანთელი ავანთე და უცხო ხილვათა მოლოდინში გავირინდე. არაფერი გამოვიდა. სხვაგან და სხვა დროს ბევრად უფრო იდუმალი რამეები შემიგრძნია... მაგალითად, ტყეში, მდინარეზე, თივის ზვინებში და ა. შ.

სანთელი მოვიმარჯვე და საკურთხევლის თავზე დახატულ ფრესკას მივადექი. აქედან ვუცქირე, იქიდან ვუცქირე, მაგრამ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ვიგრძენი. თუმცა არა, სულ არაფერი არ მიგრძვნია-მეთქი, ამასაც ვერ ვიტყვი — ფრესკაში საოცარი სევდა ჩამუქებულიყო... განა მისტიური და პომპეზური, არა, ეს იყო რაღაცნაირი საბრალო სევდა... ცისკენ დაძრული პატარა, თეთრი ქრისტე... ქარში აფრიალებული მისი პერანგის კალთა... ო, ეს ზედმეტად გაპარჭყული ფეხის თითები კი, რაღა თქმა უნდა, გადამლაშებული მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია! რაც შეეხება მწვანე ცისკიდურის, ლურჯი ხეებისა და ყვითელი ჯვრების ფონზე ღმერთის ზეცად ამაღლებას, ამას არ შეიძლება ერთგვარი შთაბეჭდილება არ მოეხდინა. ათლეტური აღნაგობის მოწაფეებს ზაფრანისფერი, საკმაოდ ნაპატივები სახეები ჰქონდათ... ასეთი დაკუნთული სხეულები გლადიატორებს უფრო მოუხდებათ. და შესაქეროდნენ მასწავლებლის ზეცად ამაღლებას ერთობ გადაფითრებული მოწაფენი... მხოლოდ ყველაზე მაღალს შეჰყინვოდა ბაგეზე ღიმი და ისიც ძნელად გამოსაცნობი.

უცებ ჩემს ფერხთით რაღაც გაფაჩუნდა. თავი დავხარე, ხალიჩაზე პაწაწი-

ნა თაგვი დასკუპულიყო და სანთლის ალს მონუსხულივით მიშტერებოდა. მთელი ღამე სხვა არაფერი მომხდარა. მლოცველთა მერხზე გამოვიძინე. მეორე დღეს კი, ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა და თანაც მშურდა ბებიაჩემისა, რომელსაც ასე სულისშემძვრელად აღაგზნებდა ეკლესია.

ისევ აჟღერდა ორღანი. აი, ქორალის პრელუდიაც გაისმა. ეტყობა, ახლა სხვა შემსრულებელი უკრავდა. ეკლესიის თაღებქვეშ უნატიფესი აკორდი გუგუნებდა. ცოტაც და პრელუდიის დასასრული უბრწყინვალესმა იმპროვიზაციამ დაამშვენა, ჰარმონიასთან არც მე გახლავართ მწყრალად. ამიტომ სიამოვნებით ვისმენდი თუ როგორ იკრებდა ძალას ეს საოცრად დახვეწილი იმპროვიზაცია. თითქოს აღმართ-აღმართ მიუყვებაო... ბოლოს თვალისმომჭრელად მოელვარე მწვერვალსაც მიაღწია და გაზაფხულის ნაკადულივით თავქვე დაეშვა... თქმა არ უნდა, ორღანზე დამკვრელი მაგარი ვიღაცა იყო! ორღანს ორნი გამოეყვნენ: ერთი — ახალგაზრდა სტუდენტი, მეორე — თმათეთრი მოხუცი, ხელში სანოვაგის ჩანთა რომ ეჭირა. მოხუცმა საფულე ამოიღო და ახალგაზრდას რაღაც გადასცა, რაღა თქმა უნდა, ფული. სტუდენტმა თავი დაუკრა. კიბეები ჩამოირბინა, რომ გამისწორდა, თვალი გულგრილად შემავლო და მაგრად მიიხურა ეკლესიის კარი.

მოხუცმა დინჯად ჩამოათავა კიბე.

— ორღანზე დაკვრას სწავლობთ? — ვკითხე მოხუცს. მან მრავალმნიშვნელოვნად დამიკრა თავი და ცნობისმოყვარეობით შემომხედა. სანოვაგის ჩანთაში ქილა რძე და მწვანე კომბოსტო ჩაედო.

— ფულიც... საკრავის საფასურია, თუ მას სჭირდება?

მოხუცმა თვალი გააყოლა ჩემს სალოკ თითს, ნესტიან კედელზე მიხატულ ჯვარცმას მიაჩერდა.

— დიახ... და ჩვენი უფლისა გამო, — მშვიდად მომიგო მან, — მუსიკა ძეხორციელის სულთან აახლოვებს მას.

— კი მაგრამ, მაინც რატომ გიყვართ იგი ასე?

მოხუცმა უკმაყოფილოდ შემომხედა. მისი გაბრაზება სულაც არ მიფიქრია. — რატომ არ უნდა გვიყვარდეს... იგი ხომ ჩვენთვის გაკრეს ჯვარზე... ჩვენი ვალია, ვილოცოთ მასზე და შეევედროთ, იყოს მოწყალე და მოგვიტევოს ცოდვანი ჩვენნი.

— მე მესმის ქრისტე, როგორც პრინციპი. ხალხის გულისთვის ხომ ბევრზე-ბევრი ეწამა ჯვარზე, კოცონზე... მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი ეღირსება პოპულარობა.

— ისინი ადამიანები იყვნენ, ადამიანს კი, რა თქმა უნდა, ეყვარება მისივე მსგავსი, ხოლო იოსე ქრისტე ღვთისშობელმა შვა.

— მაშ, რად დაისაჯა საშინლად? ნუთუ ეგონა, მისი წყალობით კაცს ყოველი ცოდვა მიეტევებოდა... ადამიანებს რამდენჯერ თავი გაუწირავთ სამშობლოსათვის, მეგობრობის სასიკეთოდ... განა ეს ადვილია? ეს უფრო ძნელი არ არის?

— ქრისტე შვა ღვთისმშობელმა და მას უყვარდა ადამიანები, — მომიგო მოხუცმა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ღირსი ვართ მისი სიყვარულისა? ან რო-

გორ გგონიათ, შვენის კი ღმერთს ადამიანების სიყვარული? ხომ შეიძლება, რომ ეს ღმერთის სისუსტეც კი იყოს?

— ოჰ, გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! ასეთი ლაპარაკი როგორ შეიძლება. რა შუაშია აქ ვარაუდი? მუსიკა ავიღოთ: თუკი იგი არაფერს გმატებთ, მაშინ თავად გკლებიათ რაღაც და ეს მუსიკის ბრალი სულაც არაა. დიახ! გონება აქ არაფერ შუაშია... ბოდიში, წასასვლელი ვარ. კარი უნდა დავკეტო. — იგი შებრუნდა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, შეკითხვა მაქვს, — მოხუცი შეჩერდა, ახლა უცნაურად უცახცახებდა წამწამები.

— ქრისტეს ადგილზე თქვენს ცოლს თუ გააკრავდით?..

— ცოლი არა მყავს, — შემაწყვეტინა მან.

— მაშ, დედას, შვილს... — მოხუცი წამით ჩაფიქრდა, მერე ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ და მითხრა:

— რატომ მაწვალებთ?

— არა, გთხოვთ მიპასუხოთ.

— მე... არ ვიცი...

— არ იცით?! მაშასადამე, თითქმის მზადა ხართ, ასე მოიქცეთ.... — უეცრად საშინლად შემეზიზღა იგი: ქორალებს კი კარგად ისმენს, რათა სიწმინდითა და ნეტარებით აივსოს, რათა ჰპოვოს სიმშვიდე სულისა, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს! ეს რა სიმშვიდეა, თუკი სამაგიეროდ დედის მოკვლაზეც მზადა ხარ!... მართლაცდა, რა საცოდავები ვართ ადამიანები! ათასწლეულების მანძილზე გვატყუებდნენ, გვაწამებდნენ, არა, თვითონვე ვიწამებდით თავს, არ იქნა და არა, თავში არ შეგვდის უბრალო ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს არაფერი, რის გამოც... ფუ! თითქმის სირბილით გავემართე გასასვლელისაკენ. რაღაც მწყინდა და მრცხვენოდა. მოხუცი ამედევნა, ხელს მიქნევდა და მომძახოდა:

— რა დაგემართათ? დამიცადეთ, თუ ღმერთი გწამთ... დამიცადეთ, რა დაგემართათ...

ქარმა დამამშვიდა. ნერვები ნამდვილად არ მივარგა. ამ ბოლო ხანებში მაინც ნამეტანი დაძაბული ვარ... საბრალო მოხუცი! კინაღამ ინფარქტი დავმართე. წარმომიდგენია, ეს მარტოხელა კომბოსტოჭამია სახლში მისვლისთანავე რა ფაციფუცით შეუდგება სუპის მომზადებას (დიახ, დარწმუნებული ვარ, მარტოხელაც იქნება და საერთო სამზარეულოში მარადმოქაქანე ვინმე გავასქელ მატრონასაც ეყოლება დაჯაბნებული!), თითქოს თვალნათლივ ვხედავდე, რა რუდუნებით ჭრის იმ კომბოსტოს , მე რომ ლამის ფეხით ვაგორე... ბრაზმორეულ მოხუცს, რა თქმა უნდა, ხელებიც უკანკალებს და ა. შ. მაგრამ ყველაზე მთავარი სწორედ ისაა, რომ რაც უნდა გაანჩხლებული იყოს, ძილის წინ მაინც უფალს შეავედრებს გზააბნეულ ცოდვილთა სულებს.

რას ვერჩოდი საწყალ მოხუცს. ცოტა ხნის წინ კიდევ რაული... რაულს რაღას ვეპარაჭებოდი? რა მისი ბრალია, თუ ასეთი დაიბადა! იმ წამს რაულის ნახვა მოშინდა. კაფეში დავბრუნდე? არა, არა, მეზარება. რაულს ისედაც შევირიგებ: ჯერჯერობით არავისთვის რომ არ წამიკითხავს, იმ ლექსებს წავუკითხავ — ხშირად მოვეცეულვარ ასე და თუმცა ჩემი ლექსებისა არაფერი ესმოდა, მაინც მოხარული იყო, ეამაყებოდა კიდეც.

პიკის ქუჩაზე გამოვსულვარ. ძალიან მომწონს ეს ქუჩა. მეტადრე საღამოობით. უცნაურია, ბევრი რამ მხოლოდ და მხოლოდ ბინდბუნდისას მომწონს ხოლმე, მგონი, კარგი ნიშანი არ უნდა იყოს.

მახსოვს, როგორ მიყვარდა დაისის ფონზე ტანაშოლტილი ეს ხეები! რამდენჯერ გადავწყვიტე მათი საკადრისი ლექსის შეთხზვა... აი, აგერ, ამ ხეზე, ერთი-ორჯერ შეზარხოშებულიც ავცოცდი — ახალგაფოთლილ ტოტებს მოვეფერები-მეთქი... კი, გეთანხმებით, სულელური ახირება იყო, მაგრამ ხეების მიმართ მსგავსი გრძნობა არავის ჰქონია! დიახ, არავის. აკი ამით თავიც მომქონდა. გარდა ამისა, კიდევ ჰქონდა ერთი გამართლება ჩემს საქციელს: — სწორედ ხის კენწეროდან მოჩანდა ის ლამაზი შენობა, რომელიც რაღაცით ტარტუს უნივერსიტეტს მაგონებდა. თუმცა ეს მხოლოდ ზემოდან... ხიდან ჩამოსვლისთანავე ყველაფერი თავის თავს ემსგავსებოდა და ამ შენობაშიც, რა თქმა უნდა, რომელიღაც ადმინისტრაციული დაწესებულება ფუთფუთებდა. ხის კენწეროდან დანახულ ამ ჰაეროვან სასახლეში საანგარიშოს აჩხაკუნებდნენ.

უკაცრიელ პიკის ქუჩას მივუყვებოდი. რამდენიმე ნაბიჯიც და ქალაქის ცენტრში აღმოვჩნდებოდი. იქ, სადაც სწრაფად მქროლავი „ვოლგები" ტროტუარზე გამწკრივებულ, აბუზღუნებულ მოქალაქეებს ტალახის შხეფებს ასხამენ... მგონი, ის დროა, უკან ვბრუნდებოდე! კი, ნამდვილად ასე აჯობებს. ავდგები და სულაც დანიის მეფის ბაღს ვეახლები. რაც შეეხება ტალინის ცენტრს, იგი, სხვა ქალაქებისა არ იყოს, ზემოდან უფრო მომხიბლავია.

დანიის მეფის ბაღი ჩემი უსაყვარლესი ადგილია. სხვათა შორის, ავადსახსენებელი ჯალათის ქოხიც მის გვერდითაა. ო, ისტორია და საშინელი ლანდები კი მე ბავშვობიდანვე მიზიდავენ. სწორედ ასეთ ადგილებში მეუფლება (მართალია, აწ უკვე სულ უფრო იშვიათად) ისეთი განცდა, რომელსაც ეკლესიაში ვერ იგრძნობ, ვერ მოიხელთებ... ჰმ! ვითომ ეშმაკებთან უფრო წილნაყარი ვარ, ვიდრე ანგელოზებთან, თუ რა?!

არა, დანიის მეფის ბაღში შესვლა დღეს ნამდვილად არ ღირს. ამნაირ გუნებაზე ჯალათის ქოხთან სეირნობას ნეტავ რა აზრი უნდა ჰქონდეს?...

მაშინაც ასე არ დავეხეტებოდი? ეს იყო დიდი ხნის წინათ, მწერალთა კავშირში სიტყვით რომ გამოვედი... მაშინაც არაფერზე მსურდა მეფიქრა, უსიამო ფიქრს გავურბოდი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. აღარაფერი მწამდა ამ თათბირებისა და ლაქლაქისა... ჩემეული ახალი რწმენითღა ვინუგეშებდი თავს.

მაგონდება სახეები, წინა რიგებიდან რომ შემომცქეროდნენ. საკარნავალო ნიღბებსა ჰგავდნენ. ასეთივენი დარჩნენ ჩემს ხსოვნაში. რა მნიშვნელობა აქვს იმათ მხიარულ ან ნაღვლიან იერს. ყველა ნიღაბი ხომ ყალბია. დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. თუმცა არა! სამარისებურ სიჩუმეს ეული ხმა არღვევდა. — ჩემი ხმა გახლდათ, ეღერადი, გამოკვეთილი, საზიზღარ უცხოურ ტერმინებს რომ იმარჯვებდა: „რენეგატი", „ფორმალიზმი", „კოსმოპოლიტიზმი" და ასე და ამგვარად. იმ გამოსვლის წინაღამეს ერთი იმედიღა დამრჩენოდა, მეგონა, კარიკის წინააღმდეგ კრინტს ვერ დავძრავდი. დავიბნეოდი, სუნთქვა შემეკვრებოდა, ბოლოს და ბოლოს, ენა დამებმებოდა და რას იზამდნენ, როცა ნახავდნენ, კაცს ლაპარაკი არ შეუძლია, არ შეუძლია და მორჩა! მაგრამ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი შევძელი და ძალიან კარგადაც: იქნებ სულაც იმიტომ, რომ ხშირად ჩავკვირვებივარ ჯალათის ფსიქოლოგიას. ალბათ, ყოველი ჯა-

ლათი, სანამ პირველად შემართავდეს ხმალს, ფიქრობს, ვერ შევძლებო, ნერვები მიმტყუნებსო, მაგრამ შენ მორჩილად წაწვდილი კისერი დაანახვე და ხმალიც თითქოსდა თავისით დაეწოდება. ო, დამიჯერეთ, კეთილო ხალხო, გადამწყვეტი წამი მუდამ უსწრებს მოქმედებას... მერე კი, მერე ვეღარაფერით დაგვიდგენია, მაინც როდის წამოგვეწია ის წამი...

მარჯვენა ხელი უნებლიეთ წავატანე ჯიბეში ჩარჩენილ წერილს. რა თქმა უნდა, მარიას წერილია.

„რუბენ პილიმეესს!“ — უბრალოდ აწერს ხოლმე კონვერტზე. სხვებისათვის კი რუბენ ილიმე ვარ, პოეტი ილიმე. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მომეჩვენა, რომ სერიოზული პოეტისათვის პილიმეესი ძალზე უჩინო გვარია, ასე და ამგვარად გავხდი ილიმე, აგერ ოცდახუთი წელი გავიდა, მარიასათვის კი ისევ პილიმეესი დავრჩი. ზოგჯერ მგონია: მარია ჩემს ნამდვილ გვარს იმისათვის იყენებს, რომ დამარწმუნოს, მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილაო... სულელური მეთოდია დარწმუნებისა. კიდევ უფრო დიდი სისულელე ისაა, რომ კონვერტში ფული ჩაუდევს. მარიაზე სამჯერ მეტ ხელფასს ვიღებ თვეში და, ერთ დღეშიც რომ მივახარჯო, სულ ერთია არ დავიღუპები. ოდესღაც მწერლები და პოეტები შიმშილობდნენ... აი, მაშინ იყვნენ, თუ იყვნენ ნამდვილი პოეტები. დღეს კი ყველა მწერალი მდიდარია.

კონვერტი გავხსენი, შიგ წერილი იყო და, რასაკვირველია, ფულიც: ნახევარფაბრიკატების შაღაზიის ვიტრინასთან ფული გადავთვალე: 16 მანეთია — ათმანეთიანი, ხუთმანეთიანი და მანეთიანი. სწორედ ამ მანეთიანმა დამაფიქრა. მარიას ჟესტი მამცნობდა: ხომ ხედავ, მე შენ როგორ... უფრო საწყენი იქნება, თუ ამგვარი რამ სულაც არ ჩაუფიქრებია, უბრალოდ ადგა და, რაც გააჩნდა, უკლებლივ გამომიგზავნა... ასჯერ ვუთხარი, ფული არ გამომიგზავნომეთქი, ათასჯერ! თუ გავუბრაზდი, ჩვეულებისამებრ ტირის და მაშინვე სინანული მიპყრობს. ამ ადამიანს ჩემთვის გადაუდვია თავი... სხვანაირად არ შეუძლია და რა ქნას? როგორ ავუკრძალო... კონვერტს რომ აწებებდა, ალბათ მადონასავით ბედნიერი და სანდომიანი სახე ჰქონდა.

შვილი არა ჰყავს (იქნებ, ორივეს მიგვიძღვის ბრალი?). ბუნების კანონი აკი თავისას ითხოვს... ასეა, უნაყოფო ქალები ხშირად უნაყოფო კეთილშობილებას არიან გადაყოლილნი.

ფული ჯიბეში ჩავიდე. ახლა კი ნამდვილად მდიდარი ვიყავი. გუშინ ხომ ოცდახუთი რიცხვი იყო, გამომცემლობაშიც ავიღე რამდენიმე მანეთი.

რა ვუყო ახლა ამ ფულს? კარგი იქნება, ახალი ქუდი და ფეხსაცმელი ვიყიდო... კი, უსათუოდ ვიყიდი. ხვალვე ვიყიდი! — ვფიქრობდი, მაგრამ თავადაც არ მეჯერებოდა, თვეობით ვერ ვაბამ ხოლმე თავს რამის ყიდვას. ფულის ხარბი როდი ვარ, უბრალოდ, ძველმანები მენანება გადასაყრელად. რატომო, რომ მკითხოთ, ვერ გიპასუხებთ. მომშივდა. ასეა, სიბრაზე გადამივლის თუ არა, ვმშვიდდები.

რესტორან „Du Nord“-ამდე ასი მეტრიც არ მქონდა გასავლელი. ეს რესტორანი ფრანგული სახელის გამო როდი მიყვარს, არამედ იმიტომ, დროთა განმავლობაში, ასე თუ ისე, ნაკლებ რომ შეიცვალა და ძველი კლიენტებიც საკმაოდ შემორჩა.

რესტორნის შვეიცარი რაღაც არ მეცნო. მაღალი, წითური ახალგაზრდაა, მშიერი კაცის იერი აქვს. თევზივით თვალები. ასეთი კაცისთვის ფხიზელი კაპიკს არ გაიმეტებს, მთვრალს კი, ალბათ, იქით დაგცინცლავს. თუკი შვეიცარი უცნობია, მისი ნაცნობებისა გშურს ხოლმე, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროს და, თუ შეგეჩვია... სამწუხაროდ, ტალინის ყველა რესტორანში ჭრელი ძაღლივით მიცნობენ, არადა, სხვა მწერლები ჩემზე მეტს სვამენ. რესტორანშიაც თვეში ორჯერ-სამჯერ თუ შევივლი დასალევად.

ჩვეულებისამებრ, მეორე სართულზე ავედი და იმ მაგიდას მივუჯექი, დეკორატიულ ბუხართან ახლოს რომ იდგა. რესტორანში მშვიდდება კაცი, თან ერთი-ორად გსიამოვნებს ოჯახური სიმყუდროვე, გარს რომ გარტყია. თითქოს გამბედაობაც გემატება.

საჰმელი შევუკვეთე. უკრავდა ორკესტრი. მღეროდა კაცი, სმენისა და ხმის ნატამალი რომ არ გააჩნდა.

— უკაცრავად, შეიძლება დავჯდე? — ჩემს მაგიდასთან ვიღაც ყმაწვილი იდგა, ხელში ვეებერთელა ყვითელი პორტფელი ეჭირა. ჯერ არ მინახავს, ყმაწვილი კაცი რესტორანში გატენილი პორტფელით შემოსულიყო. ნება მივეცი, დაჯექი-მეთქი.

— მაპატიეთ, თქვენ, თუ არ ვცდები, რუბენ ილიმე ბრძანდებით.

— დიახ, — ესეც ასე, თუ ჰაბუკს გადაწყვეტილი აქვს წამიკითხოს საკუთარი ლექსები, უხერხული იქნება ჰამა გავაგრძელო! სწორედ ასეთი ბიჭებია, აღტაცებულნი რომ ამოიკითხავენ ხოლმე სასკოლო ქრესტომათიიდან:

თავად მხცოვანმა დერჟავინმა მოგვაპყრნა თვალნი
და დაგვილოცა გზა, სამარის კართან მისულმა.

ყმაწვილი ისე მიღიმოდა, თითქოს მე ახალგაზრდა ვიყავი, ის კი ხანდაზმული პოეტი.

— მიირთვით, მიირთვით, ნუ გერიდებათ, ხელს არ შემიშლის.

კოვზი ავიღე თუ არა, ბრაზი მომერია. მე! გესლიანი კაცი, არავის საშველს რომ არ ვაძლევ; გინდაც დღევანდელი დღე ავიღოთ: ჯერ რაული, მერე ის მოხუცი, ეკლესიაში რომ... ახლა კი აგერ ვიღაც ბალღი გამოტყვრა და — თამამად მიირთვით, ხელი არ შემეშლებაო... და მეც მივეძალე საჰმელს.

— ალბათ, გემრიელი კერძია, არა? — ისევ ჩამესმა ყმაწვილის უცნაური ბოხი ხმა. თვალი შევავლე, სქელლანჩიანი ფეხსაცმელი აცვია კარგი მთამსვლელივით. არა, ელეგანტურად არც მე გამოვიყურები, მაგრამ ასეთი ფეხსაცმლით რესტორანში ნამდვილად ვერ გამოვჩნდებოდი. ყმაწვილის თვალებში თითქმის ერთდროულად გენიშნებოდა რაღაც სერიოზულობაც და ეშმაკურობაც. ბავშვურობაც და გონივრულობაც.

— თქვენ ლექსებს წერთ? — შევეკითხე.

— არა.

— მაშ, პროზაიკოსი ხართ?

— ასე ვთქვათ.

ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ, ანდა რა ეშმაკად შემომჩნდით-მეთქი, უნდა

მეკითხა, მაგრამ თვალი გავუსწორე თუ არა, უნებლიეთ სულ სხვა კითხვა დამებადა:

— ესე იგი, მოთხრობებს წერთ. აბა, რაზეა თქვენი ბოლო მოთხრობა?

— თქვენ მართლა გაინტერესებთ?

— რაკი გეკითხებით...

— კეთილი, ჩემი ბოლო მოთხრობა ესთეტსა და დიზენტერიას ეხება.

— ?! უცნაური გარიგებაა...

ყმაწვილს ახლა ყავა და მინერალური წყალი მოართვეს. მან მეგობრულად ჩაუკრა თვალი მომტანს და ბოთლზე მიკრული ეტიკეტი შეათვალიერა.

— ეს ხომ „ბორჯომია"! მე „ნარზანი" გთხოვეთ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან და ბოთლის შეცვლა მოითხოვა. მის ხნობას კი არა, აგერ ახლაც კი ვერ შევეთამამები ასე ადამიანს. მომტანმა ბოდიში მოიხადა და წყალი შეუცვალა.

— თქვენ, მგონი, უცნაური გარიგებააო, ასე ბრძანეთ, არა? სიტყვა „გარიგება" არცთუ ზუსტად შეარჩიეთ. ეს სიტყვა უფრო სავაჭრო და დიპლომატიურ სფეროში იხმარება, — მშვიდად განაგრძო მან.

— გინდ გარიგება დაარქვით და გინდა გაერთიანება, მაგრამ თავისთავად უცნაურია ორი ასეთი შორეული მცნების ერთ მოთხრობაში მოქცევა... ეს მაინც მითხარით, ესთეტი ავად ხდება დიზენტერიით და კვდება, ხომ?

— დიახ, დიახ.

— სამწუხაროა.

— სამწუხაროა? რატომ?

— წარმომიდგენია, რა მოთხრობაც იქნება და იმიტომ. დაახლოებით ალბათ ასეა: ესთეტს საკმაოდ არაესთეტიკური სენი იპყრობს, აგონიაში მყოფი ესთეტი ძალზე ესთეტიურ ზმანებას ჰვრეტს და ბოლოს ესთეტი არაესთეტურად იღუპება... — შევეცადე ეს ყველაფერი რაც შეიძლება ლმობიერად მეთქვა, სიავის გარეშე: ასეთ ახალგაზრდას, არც შეიძლება მკაცრად უთხრა რაიმე. ისე კი, მართლა მწყინდა, რომ მისი მოთხრობა ასე ზუსტად ჰგავდა იმ უამრავ მოთხრობას, ახალგაწაფულები რომ თხზავენ: განსაკუთრებით მისი სქემა.

— თქვენის აზრით, ასე აჯობებდა: არის ესთეტი და არის დიზენტერია, მაგრამ შეუძლებელია ესთეტი დაავადდეს დიზენტერიით. ჩემი აზრით კი, სწორედ ასეა, ანდა ასე იქნებოდა ახალბედათა უმეტეს მოთხრობებში, სადაც ესთეტიც არის და დიზენტერიაც.

— ?

მშვიდად მოსვა ჯერ ყავა, შემდეგ „ნარზანი".

— ბრაზილიაში ყავას ასე სვამენ. ყავა ბრაზილიურად, ე. ი. გაზიან წყალთან ერთად. რაც შეეხება ჩემს მოთხრობას, თუ მართლა გაინტერესებთ და ხელს არ შეგიშლით, სიუჟეტს მოგიყვებით, — ისევ მოსვა „ბრაზილიურად" და განაგრძო, — არის ვინმე ესთეტი, მოულოდნელად ავადდება დიზენტერიით. როგორც მოგეხსენებათ, უანალიზოდ შეუძლებელია დიაგნოზის დასმა... მაპატიეთ, საჭმელს მიირთმევთ და... — განაგრძეთ-მეთქი ვანიშნე და არც დაუყოვნებია, — დიახ, ე. ი. ანალიზი აუცილებელია. ესთეტი არ თანხმდება. ამისი წარმოდგენაც კი ზიზღსა ჰგვრის. მისი ავადმყოფობა შეუსწავლელი რჩება, ესთეტი ოჯახსაც არ უმხელს თავის უბედურებას, ბოლოს სახლს ტოვებს და ტყეში

გარბის. იქ გაურთულდება სენი და კიდეც კვდება. ეს არის და ეს.

ახალგაზრდამ თხრობა დაამთავრა და სერიოზულად შემომხედა.

— ძალიან უცნაური ისტორიაა, ძალიან... აღარ ვიცი, რა ვიფიქრო: ადანაშაულებთ თუ არა ესთეტს?

— რად უნდა ვადანაშაულებდე. მე ხომ ეპიდემიური სადგურის მუშაკი არა ვარ.

— ესე იგი, თქვენის აზრით, ყველაფერი ჭკვიანურადაა მოფიქრებული?

— სრულიადაც არა.

— მაშ, რა, ალეგორიაა?

— არა.

— გროტესკი?

— სამწუხაროა, გროტესკის შთაბეჭდილებას თუ სტოვებს, — შუბლი მოისრისა, — თუმცა ამასაც უნდა ელოდო კაცი. ჩემის მხრივ, შევეცადე, მეწერა სრულიად სერიოზულად, ყოველგვარი პარადოქსის გარეშე.

— მაშ, როგორ გავიგოთ ეს მოთხრობა?

— ერთი უბრალო მოთხრობაა.

მომტანი მოვიხმე, ვთხოვე ჩემთვისაც მოეტანა ყავა და „ნარზანი“, მეც მსურდა მომესინჯა ეს „ბრაზილიური“ თუ რაღაც ჯანდაბა. შევნიშნე: ახალგაზრდა ნასიამოვნები დარჩა ჩემი დაკვეთით.

— სხვა არაფერი დაუკვეთოთ. ხომ ვიცი, ისედაც ბევრსა სვამთ, — ეს მითხრა და კვლავაც მეგობრულად გამიღიმა.

— ყმაწვილო, ერთი მიპასუხეთ, რით შემიძლია გემსახუროთ... სიმართლე გითხრათ, არ მესმის... — ეს ვთქვი და გაოფლილი შუბლი მოვიწმინდე. ღმერთმა დალახვროს, ნუთუ ასეთი უძლური ვარ, რომ ამ პატარა ბიჭმა ამაფორიაქა... აი, მარიას მამა რომ იყოს... გაგიხარია, მოიყვანდა ჭკუაზე ამ ყმაწვილს. თან სულ იოლად. მახსოვს, ომის შემდეგ პირველად იყო, რომ ვესტუმრე. მაშინ, ასე ვთქვათ, აღიარებული ახალგაზრდა პოეტი გახლდით. მისალმება და კეთილი მოკითხვა რომ მოათავა და თვალზე მომდგარი ცრემლიც შეიმშრალა, ჩემი ახალი ლექსებით დაინტერესდა. ხელში წითელი ფანქარი ეჭირა და სტრიქონ-სტრიქონ კითხულობდა.

უმალ წამერთვა ფრონტიდან გამოყოლილი სიამაყეცა და გამბედაობაც. ერთბაშად პატარა, მორცხვ მოსწავლეს დავემსგავსე. იგი ჩემზე უფროსი, გამოცდილი და ძლიერი კაცი იყო. ეს ბიჭუკელა კი... სულ ცოტა ჩემზე ორჯერ უმცროსი მაინცაა, ჰოდა, პირველი შეხვედრისთანავე მირჩევს — ცოტა სვითო, მეტი ჭამეთო!

— თუმცა არა, შეგიძლიათ დალიოთ. — თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნოო, ისე მომიგო მან. — კარგად ვიცი თქვენი ლექსები. ნება მომეცით, თქვენს პოეზიაზე ზოგი რამ მოგახსენოთ.

— მაშ ლიტერატურათმცოდნე ხართ? კრიტიკოსი?

— თითქმის... ოღონდ არაპირდაპირი გაგებით. არა, სტატიებს არა ვწერ. თქვენს მეორე კრებულში სევდიანი, რეზინიაციული, რუხი ფერები ჭარბობს. არა, იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს თქვენს პოეზიას სევდიანი ლექსები სძალავდეს, მაგრამ რამდენადაც ეს უფრო ძლიერი ლექსებია, მხოლოდ ამიტომ შევჩერდები. დიახ, მომდევნო პერიოდში სევდა მელნისფერი ხდება, ხოლო უკა-

ნასკნელ კრებულში საჩინოა — მღვრიე, ჭუჭყიანი ფერები. აი, თუნდაც „ავადმყოფი დილა“ ავიღოთ — ამ ლექსის კარტოფილისფერი შპალერი თავისებურ ლაიტმოტივადაც კი გვევლინება. ასე არ არის?

სიგარეტს ვერაფრით ვერ მოვუკიდე.

— შესაძლებელია... მაგრამ ფერები შეგნებულად არასოდეს ამირჩევია...

— რასაკვირველია! — შეგნებულად ამას ვერც შეძლებდით, — დამარიგა მან, — მითუმეტეს, თუ კარგი ლექსია. თქვენ ბევრი კარგი ლექსი გაქვთ, სადაც არის ფერი, აზრი... და ეს ყველაფერი ისეა შერწყმული, თუ მაგალითად, ფერს ჩამოაცილებ, მაშინ აზრიც ხელოვნური დარჩება. ეს ხშირად შემიმჩნევია.

— ჭუჭყიანი ფერები... მერე ეს ცუდია?

— ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, — ფეხსაცმელზე მოშვებული ზონარი შეიკრა და როცა თავი ასწია, შევამჩნიე, სახეზე სისხლი მოსწოლოდა, — თავი მოგაბეზრეთ, არა?

— რატომ...

— ჩემი საუბარი თუკი მოგბეზრდებათ, გულახდილად უნდა მითხრათ.

— დიახ.

— მაპატიეთ, თქვენი ახლანდელი რეზინიაციებიც კარტოფილის კანის ფერია, არა?

— რეზინიაციები... შესაძლოა. თუმცა არ ვიცი, თქვენ რაღაც რეზინიაციებზე ლაპარაკობთ, მე კი დარწმუნებული ვარ, ამგვარი განწყობილება ჩემში მაინც და მაინც არ უნდა მძლავრობდეს და განა პოეზიის ასეთი ოპერირება მეტისმეტად გართულებასა და ვულგარულობას არ მოასწავებს? თუმცა, განაგრძეთ, განაგრძეთ, კიდევ რა დასკვნა შეგიძლიათ შემომთავაზოთ?

— ჯერჯერობით არავითარ დასკვნას არ გთავაზობთ, — მშვიდად მომიგო მან. — უბრალოდ, მაინტერესებს იმ კავშირის დადგენა, ლექსის ფერადოვნებასა და ავტორის ბიოგრაფიას შორის რომ მოიძიება. სხვა ეგზემპლარებში ასე თუ ისე, მაინც შეინიშნება ერთგვარი კავშირი.

ესე იგი მორიგი „ეგზემპლარი“ ვყოფილვარ! — გავიფიქრე თუ არა ეს, თავი უხერხულად ვიგრძენი.

— საინტერესოა, იცნობთ კი ჩემს ბიოგრაფიას?

— დეტალურად არა, მაგრამ ქცევის სხვადასხვა მიზეზის გამოცნობა შეიძლება. უკვე თავისებური კატალოგიც შევადგინე.

— ჩემს ცხოვრებაზე? გამიგონეთ... ეს ხომ ჯაშუშობას... ეს ხომ....

— რამდენადმე ასეცაა, მაგრამ ამგვარი ცნობების შეკრება აუცილებელი იყო. ოღონდ ბოროტად როდი გამომიყენებია. ტალინი პატარა ქალაქია, მწერლები კი არც ისე ბევრნი არიან. რაც შეეხება ცნობებს, ეს ყველაფერი თავისით მოდის და, ყველა წვრილმანს ენდო, ღმერთმა დაგიფაროს...

— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი მხრივ ეს უცნაური ჰობია... ასეთი რამით დაინტერესება არცაა საჭირო.

— ჰო, გრძელი ამბავია. სამწუხაროდ, ცოტა დრო დამრჩა. თუკი გაინტერესებთ, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. მე ძირითადად მაინტერესებს თუ რა გავლენას ახდენს მწერლის პირადი ცხოვრება მის მიერ აღწერილ სინამდვილეზე. ლიტერატურაში სუბიექტური მომენტის გამორიცხვა თუ შევძელით, მაშინ ბელეტრისტიკის მეშვეობით ეპოქის ერთადერთი უთვალსაჩინოესი სუ-

რათი წარმოგვიდგება. ყველაზე ობიექტური ქრონიკოსიც, ბოლოს და ბოლოს, ხომ ადამიანია, და მან ხშირად თავადაც არ უწყის, ისე აყალიბებს ისტორიას.

— ფანატიკოსი ყოფილხართ.

— დიახ, ალბათ... მაგრამ მერწმუნეთ, ნამდვილად მაინტერესებს ეს პრობლემა.

ახლა კი გამეცინა: ყოჩაღ, ყმაწვილო!

— იცით რა, ცოტაოდენ კონიაკს შევუკვეთავ. თქვენ არ სვამთ?

— ათასში ერთხელ. ისიც რაიმე განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად.

ჰმ! ისე გამოდის, ჩვენს შეხვედრაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა.

— მაშ, მე დავლევ, მით უმეტეს, რომ თქვენთან საუბარი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა. მაშ ასე, იმედია, დალევის ნებას მომცემთ. — კონიაკი შევუკვეთე.

— მერედა, გჯერათ, რომ შესაძლოა სუბიექტური მომენტის გამორიცხვა?

— ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელთ გვექნებოდა სრული ინფორმაცია ბიოგრაფიაზე, თუკი ტემპერამენტის განმსაზღვრელ სპეციალურ ცდებს ჩავატარებდით... სხვათაშორის, ამგვარი ცდა ჯერაც არსად ჩაუტარებიათ, და თუ ყველა ამ მონაცემს შემოქმედებასთან შევაპირისპირებდით, ხოლო შედეგს სტატისტიკური მეთოდით განვაზოგადებდით... — განმიმარტა მან.

— ბიოგრაფია ბიოგრაფიაა... მთავარი ისაა, რომ ადამიანის ხასიათს ერთი შეხედვით წვრილმანი მოვლენებიც კი აყალიბებს.

თუნდაც ბავშვობის მოგონებები, დიდი ხნის წინათ, მაშინ ოთხი თუ ხუთი წლისა ვიქნებოდი, ზაფხულის ერთ საღამოს ჩვენი ეზოს ჭიშკართან ვიდექი, ჩვეულებისამებრ ამ დროს უამრავი ხალხი ირეოდა ქუჩაში. ახლა კი არავინ ჩანდა. ქუჩის ბოლოში კუზიანი დედაბერი შევნიშნე. უცაბედად ამოიზარდა ჩემს თვალწინ. მხარზე დიდი ტომარა მოეგდო. სწორედ რომ ზღაპრულ ჯადოქარსა ჰგავდა. ჩამავალი მზე ენთო, დიდი და წითელი, მეწამული. კუზიანი დედაბრის ჩრდილი გრძელი იყო და შავი, და როცა დედაბერმა წინ ჩამიარა, ჩრდილმა წამით დამფარა, გადამეელო და უმალ ისევ შემომანათა მზის თვალისმომჭრელმა სხივებმა. იმ დღიდან მოყოლებული, სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში კუზიანი დედაბერი, მხარზე მოკიდებული დიდი ტომრით, კუზიანი ქალი... ახლაც თვალწინ მყავს. მაშინ ალბათ, იმ ზემგრძნობიარე სუფთა ფოტოფირსა ვგავდი, ეს სურათი სამარადჟამოდ რომ აღბეჭდა... მწამს ასეთი წვრილმანების არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა, არამედ საოცარი ზემოქმედებაც ადამიანის ხასიათზე...

— შავი და ნარინჯისფერი! ეს ორი ფერი ხომ მუდამ შეხამებულია თქვენს ლექსებში! შავი და ნარინჯისფერი... მართლაც საინტერესოა, დაიცათ... დაიცათ, ეს ფერები ხომ მიმიკრიაშიც ხშირად ერწყმის ერთურთს: გველები, კრაზანები, ხვლიკები და ა. შ. — აშკარად ღელავდა ყმაწვილი, უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა, მერე კონიაკი მოსვა. მაშ, უკვე მოუტანიათ კონიაკი, შურით შევყურებდი ამ ბედნიერ ახალგაზრდას. უკვე მომწონდა კიდეც, დუმილი ჩამოვარდა.

— კეთილი, დავუშვათ, ჩემი პირადი ცხოვრება სწორად არ წარიმართა: ვიმეორებ — დავუშვათ. როგორ გგონიათ, არსებობს ფერი, რომლის წყალობითაც ამ ეგრეთწოდებულ რეზინიაციულ განწყობილებებს სასურველ კოლორატურაში მოვაქცევდი?

— საქმეც იმაშია, რომ იშვიათია ასეთი ფერები. აი, თუნდაც კარტოფილის კანის ფერი უთუოდ ერთ-ერთი უკანასკნელი უნდა იყოს, — ამიხსნა მან და „ბრაზილიურად“ მოსვა ყავა. კონიაკი გავსინჯე, მომეწონა, ნამდვილი ქართული კონიაკია.

— ბოლოს და ბოლოს, რას იტყვით ჩემს ლექსებზე? — მეტისმეტად მშვიდად შევეკითხე, მაგრამ აშკარა იყო, ვღელავდი პასუხის მოლოდინში. ალბათ, მისი პასუხი მაინტერესებდა და იმიტომ.

— რუბენ ილიმე, თქვენ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდებით, ნამდვილად ასეა, ხოლო თუ ახალგაზრდობა თქვენი პოეზიით არაა აღტაცებული, დამერწმუნეთ, ეს ფორმის კონსერვატიულობის ბრალია. ისე კი, ვიმეორებ, კარგი პოეტი ბრძანდებით. თუმცა, ერთის მხრივ, უცნაურია; თქვენს პოეზიაში ისმის, იცით, მე ვიტყოდი, ადრეული რენესანსის სულთქმა... გეღიმებათ, მე კი მგონია, სწორედ ეს სულთქმაა თქვენი ძალა...

— სიმართლე გითხრათ, ადრეული რენესანსისა ბევრი არაფერი გამეგება, არა მგონია, რომ...

— დიახ, მჯერა, მჯერა. ალბათ, ასეა, თქვენი განათლება არ არის სრულყოფილი. აი, შეისწავლეთ, გამოიკვლიეთ, თუნდაც ჯოტო, მაზაჩო, განსაკუთრებით ფილიპო ლიპი. ვფიქრობ, მოგეწონებათ.

ჯიბეში ხელი მოვიფათურე, ცხვირსახოცი მოვძებნე. ვაი თუ ჭუჭყიანი იყოს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ რას ვიზამდი, კვლავ გამიოფლიანდა შუბლი. ცხვირსახოცს სიგარეტი „ჩესტერფილდიც“ მოჰყვა.

— „ჩესტერფილდი“! მაპატიეთ, შეგიძლიათ მაჩუქოთ? იცით, დიდი ხანია ვაგროვებ. რა ჯურის სიგარეტი გინდათ, რომ არ ნახოთ ჩემს კოლექციაში. ჩემის მხრივ უცნაური ინტერესია, არა?

რა უნდა მექნა, ვაჩუქე.

— ალბათ, ინგლისიდან ჩამოიტანეთ, ამ ცოტა ხნის წინათ ხომ ინგლისში იმყოფებოდით, კარგია შორეული მოგზაურობა.

დავიძაბე: ერთხელ ვიღაცამ მითხრა, მწერლები სახელმწიფოდან სახელმწიფოში იმიტომ მოგზაურობენ, რომ შემდგომ მოიბოდიშონ, აქაოდა წერისათვის დრო არ გვრჩებაო. ზოგიერთ მწერალს საგანგებოდ უქმნიანო ასეთ შეღავათებს. ჭაბუკის მზერაში სარკაზმის ნასახიც ვერ შევნიშნე.

— დიახ, თქვენს ლექსებს ცხადლივ ატყვია ადრეული რენესანსის ნიშნები, — განაგრძო მან. — რაღაც უწმინდეს წყურვილს შეუპყრიხართ, ფაქიზ სურვილებს გაუტაცნიხართ თითქოს, მერედა, ეს ისეთი ლამაზი, ბავშვური სურვილებია, რომ... თქვენს „ღამის სურათებში“ სამიკიტნოს სევდა თარეშობს. ღამეებიც ისეთია, რომ გრძნობ... მაპატიეთ და, სანაგვე ურნების, ბადრიჯნისა და პამიდვრის ნაფცქვენების სიახლოვეს, შეიძლება ფეხიც დაგიცდეს... და ყოველივეს სათუთ და ჭვირვალ იდეალთა ბურუსი ახვევია... დიახ, სწორედ ადრეული რენესანსის მხატვრებს შეეძლოთ ასე ნაზად გამოესახათ მაღალი სურვილი. თა-

ნამედროვე მხატვრებიდან მსგავსი რამ სარაპუს* შემოქმედებას თუ მიესადაგება.

კონიაკი მოვსვი. გვერდით მაგიდას თვალებმოხატული გოგონები უსხდნენ. ცნობისმოყვარე მზერას არ აკილებდნენ ჩემს თანამოსაუბრეს. ის კი ყურადღებას არავის აქცევდა. ამ ; ილს ვერც რამეში დავეთანხმები და ვერც რამეში შევედავებოდი. ეს კი. ჰეგონა, თითქოს ვიღაცამ სულხორციანად გამაშიშვლა-მეთქი.

— თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ რა გამოდის, ასევე უნდა განვაგრძო წერა? — ისე ვკითხე, ახალგაზრდა პოეტი რომ ჰკითხავდა გამოცდილ კონსულტანტს.

— ყველამ თავად უნდა აირჩიოს გზა და მიმართულება. ჩემის აზრით, გზა, რომელსაც თქვენ მიჰყვებით, სულ მალე დასრულდება, ისღა დაგრჩენიათ, რომელიმე მომიჯნავე მიმართულებას მიემხროთ, — სწორედ ამას ვშიშობდი, არ ეთქვა და აკი მითხრა.

— ჰო, მართლა, თქვენ გეორგოს სეფერისის პოეზიას თუ იცნობთ? 1963 წლიდან ნობელის პრემიის ლაურეატია, — მკითხა.

— არა, არ ვიცნობ.

— სასურველია გაეცნოთ, მგონი, თან უნდა მქონდეს მისი რამდენიმე ლექსი. — პორტფელი გახსნა; განძთსაცავ ყუთსა ჰგავდა ახლა ის პორტფელი.

— აი, თუნდაც ეს ლექსი — „ცისტერნა“ — შეგიძლიათ წაიკითხოთ.

როგორც შევნიშე, რამდენიმე ეგზემპლარი ჰქონდა.

—იცით რა, აქ ნუ წავიკითხავთ. თუ შეიძლება, ერთი ეგზემპლარი მაჩუქეთ, აი. თუნდაც „ჩესტერფილდის“ სანაცვლოდ.

გამეცინა. ყმაწვილს კიდეც მოეწონა ჩემი წინადადება. მით უმეტეს, როცა გაიგო, შინ ბლომად მქონდა ინგლისური სიგარეტები და, ამრიგად, გაცვლის პერსპექტივა წარმოიდგინა.

— პატივცემულო რუბენ, ყველაზე მეტად თქვენი ცხოვრების ის მონაკვეთი მაინტერესებს, 1948 — 1951 წლებით რომ იფარგლება. ჩემს კარტოთეკაში ეს ძალზე საეჭვმანო წლებადაა მონიშნული.

— როგორ გითხრათ... მძიმე დრო იყო, — უზომოდ ავფორიაქდი.

— როგორც გენებოთ, — საათს დახედა, — დღეს ისედაც ბევრი დრო დაგაკარგვინეთ. თუ გნებავთ, დამირეკეთ, — ეს მითხრა და ტელეფონის ნომერი გამომიწოდა — 27522, ინდრეკ ლეჰისი.

— კი, აუცილებლად დაგირეკავთ.

ყმაწვილი წამოდგა, მეგობრულად დამიკრა თავი და გასასვლელისაკენ გაემართა.

ისევ მარტო დავრჩი. ორკესტრანტების შესვენება დამთავრებულიყო. რაღაც დაუკრეს. ის ხმაჩახლეჩილი მომღერალი ახლა ლურჯ ჩიტებზე მღეროდა. წყვილები საცეკვაოდ მიიჩქაროდნენ. ვიღაც მთვრალი კაცი თვალებში ისე ჩაშტერებოდა თავის მეწყვილეს, ვარდისფერკაბიან ხანშესულ ქალს, თითქოს ის მართლაც ლურჯი ფრინველი ყოფილიყო — თუმცა ვინ იცის, იქნებ ასეცაა, ლურჯი ჩიტებიც ხომ ბერდებიან. ახლა კი ქალებს უნდა გამოეხმოთ მამაკაცები. ერთი თვალებმოხატული ქერათმიანი გოგონა წამოდგა და საცეკვაოდ გაწიწვია. რა-

---

* ლ ე მ ბ ი ტ ს ა რ ა პ უ — ესტონელი მხატვარი-პეიზაჟისტი. დაიბ. 1930 წ.

ტომაც არა? მართალია, ახალგაზრდა არა ვარ, მაგრამ გულისამრევ შთაბეჭდილებასაც არ უნდა ვტოვებდე. ამათთვის, რაც არ უნდა იყოს, უცხო ხილი ვარ. საცეკვაო მოედნისაკენ გავემართეთ. გოგონას ბავშვური იერი დაჰკრავდა, რაღაც უცნაური საღებავით გადაეღება წამწამები. წამით მის მიმართ უჩვეულო სინაზე ვიგრძენი. ვინ იცის, მისი მცირე ხელფასი ამ საღებავებს, კოსმეტიკასა და საკაბეებს მიაქვს-მეთქი. ალბათ, ცხოვრებაშიც არაერთი უსიამოვნება შეხვედრია... და ახლა ცდილობს ნამდვილი, ღირსეული და ერთგული მამაკაცი იპოვნოს... ეჰ, გოგონებო, გოგონებო! ღმერთმაც ქნას, ყველაფერი კარგად და ლამაზად აღსრულდეს!

— ოჰ, თქვენ თურმე შესანიშნავი მოცეკვავე ყოფილხართ, — ყასიდად მითხრა მან.

— ნუთუ? სამწუხაროა...

— რატომ?

— თქვენის აზრით, ვინაა ცუდი მოცეკვავე? ის კაცი, ვისაც გოგონასათვის ხელის მოხვევა ვერ გაუბედნია, ხომ? სწორედ ასეთი კაცია ყველაზე ლამაზი და ღირსეული. სანაქებოა მისი ცეკვაც.

— ამით ის გინდათ ‹მითხრათ, გამოცდილი კაცი ვარო? — მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა ქალიშვილმა. გადავწყვიტე მაგიდასთან მიმეწვია, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე და, ცეკვა დამთავრდა თუ არა, ქალიშვილი თავის მაგიდამდე მივაცილე.

მომტანს ანგარიში გავუსწორე და წამოვდექი. „კოქტეილის დარბაზი“ უნდა გამევლო. იქ რამდენიმე კაცი იჯდა. კიბეზე დავეშვი. ხალიჩა ახშობდა ნაბიჯების ხმას. ყოველთვის, როცა ამ კიბეზე ჩამოვდივარ, რაღაც უცნაური გრძნობა მეუფლება. ამბობენ, როცა კაცი მორევში იხრჩობა, სიკვდილის წინ გონებაში მთელი წარსული გაურბენსო. ასეთივე მორევად მოჩანს ეს კიბე. ამ კიბეზე რომ ჩამოვდივარ, თითქოს საკუთარი სხეულიდან გამოვდიოდე და გვერდით მიმავალ რამდენიმე რუბენ პილიმეესს ვხედავდე ცხადლივ.

...თხრილის კიდეზე გაწოლილ ბიჭს თვალები ოდნავ მოუჭუტავს და ლილისფერ ცას გაჰყურებს. ზუზუნებენ კრაზანები, ირგვლივ საოცარი ფერებია, ხავსმოდებულ, ქვითკირის ღობეს ნესტიანი, ძლივს საგრძნობი სუნი აუდის. ბიჭი კი მაინც უბედურად გრძნობს თავს — ხუმრობა ხომ არაა, მის თანატოლებს ყველას ამოუვიდა ფეხებზე თმა, მას კი არა! ბანჯგვლიანი ფეხები ხომ დავაქკაცების ნიშანია. გოგონებს ალბათ ბანჯგვლიანი ფეხები მოსწონთ (არადა ბიჭის გულში „გოგონები“ კარგახანია „ქალებად“ ჟღერს...). არა უშავს, მალე მისი ფეხებიც გაიბანჯგვლება! არავითარი ცხვირის ჩამოშვება! ის კი არა, შეუძლია იამაყოს კიდეც — მას ხომ ბევრი რამ გაეგება ცისა და ფუტკრის... მას შეუძლია ფუტკრის შრომას თვალი ადევნოს მისივე სკიდან... მის თანატოლებს შეუძლიათ ეს? არა, არ შეუძლიათ, ე. ი. ადრე თუ გვიან ის დაწერს წიგნებს... წევს ბიჭი თხრილის კიდეზე... ო, რა ამაყი ბიჭი!

...აგერ მეორე რუბენი მოაბიჯებს, თვითდაჯერებული და ამაყი რუბენი... გიმნაზიის გამოსათხოვარი საღამო...

...აი, კენიგსბერგში მორკინალი რუბენი, დაჭრილი რუბენი, ფრჩხილებით მიწას რომ ჩაჰფრენია. მარჯვენა მხარში ჩამჯდარი ტყვია ისე გტეხავს, თითქოს თევზის ძვალი გაგჩხერეოდეს ყელში. გრძნობა და ფიქრი, რომ საცაა მოკვდები...

...აგერ მარიას მამის წინაშე წარმდგარი, მშიშარა და მორცხვი რუბენი.

...და ისევ ვხედავ დაღლილ რუბენს, ჩემ გვერდით რომ მოუყვება საფეხურებს, საკუთარი თავიც მობეზრებია, საყვარელი და თან საზიზღრად სენტიმენტალური რუბენ პილიმეესი.

როცა ამ კიბეზე ჩამოვდივარ, არ იქნება, ერთი სევდიანი მოგონება არ მომეძალოს. ეს მოხდა ჩვიდმეტი წლის წინ, აქ „Du Nord"-ში, აი აქ, ამ კიბეზე

— რუბენს გაუმარჯოს! — ალექსანდრე (ახლა შვეიცრობით რომ ირჩენს თავს) სწრაფად წამოდგა, სკამი მომაწოდა და მთხოვა, მასთან დავმჯდარიყავი.

— შენ რა? დღეს რაღაც უჩვეულოდ თავაზიანი ხარ.

ალექსანდრემ ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და ჟურნალ „ლოომინგის" ახალი ნომერი გამომიწოდა.

— ყოჩაღ, რუბენ! — იშვიათად ვწითლდები ხოლმე, ახლა კი ნამდვილად ავილეწე.

— ნუ გეწყინება, რესტორანში რომ ვკითხულობ, ძალიან დამაინტერესა და...

„ლოომინგის" ახალი ნომრის გამოჩენას 1940 წლიდან მოყოლებული მუდამ მოუთმენლად ველოდი ხოლმე. ამ ჟურნალში გამოქვეყნდა ჩემი პირველი ლექსები. იმ ხანად მარიას მამა, დოქტორი კარიკი, დაატარებდა ჩემს ლექსებს რედაქციაში, იქ მისვლა მერიდებოდა.

ჩემი ლექსი როგორც კი დაიბეჭდებოდა, ჟურნალის ათ-თხუთმეტ ეგზემპლარს ვიყიდდი, მაგიდაზე დავიწყობდი, ყველას ერთად გადავშლიდი და ვთვრებოდი საღებავის სურნელით. ახლა კი...

— არ მეგონა „ლოომინგს" თუ კითხულობდი.

— როგორ თუ არ ვკითხულობ, ომის დროს ხომ მეც ვწერდი.

გამახსენდა, საფრონტო გაზეთში ალექსანდრემ მართლაც დაბეჭდა ორ-სამჯერ რაღაც-რაღაცები.

ახლა უფრო იმას ვფიქრობდი, აგრე რამ აღაფრთოვანა ეს კაცი, ასე რამ გაახარა-მეთქი დღეს. ჩემი ლექსები ხომ ხშირად იბეჭდება... მგონი, ალექსანდრეს ლიტერატურულ პოლიტიკოსად მივაჩნივარ.

აქ დარჩენას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ ალექსანდრემ მომტანი მოიხმო. ჩემთვის ჭიქა მოატანინა და რაღაც მოყვითალო სასმელით შემივსო. ოჰ, სმა!.. სმა კი მინდოდა.

— ყოჩაღ, რუბენ! — გაიმეორა ალექსანდრემ, მერე ჟურნალი გადაფურცლა და ჩემს სტატიაზე მიმანიშნა. „რუბენ ილიმე ლიტერატურული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ"...

შეეძლოთ უკეთესი ქაღალდი შეერჩიათ...

ჭიქა გამოვცალე. ალექსანდრემ კვლავ შემივსო.

— იცი რა, რუბენ? შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. ომის დღეებზე ორი პატარა მოგონება დავწერე, იქნებ წაგეკითხა და რამე გერჩია.

— სიამოვნებით, რატომაც არა, — ვთქვი და ერთიც გადავკარი. ჟურნალის ნომერი დღეს ალბათ მარიას მამის საფოსტო ყუთში დევს. მალე მარია ოთახში შეიტანს და... დოქტორი კარიკი ჟურნალს გადაშლის, დიდი ინტერესით ჩაიკითხავს, თუ რას ფიქრობს რუბენ ილიმე ლიტერატურულ კოსმოპოლიტიზმზე... და აქაც საკუთარ გვარს წააწყდება. ახლავე პიკის ქუჩაზე რომ გავიქცე, დერე-

ფანში შევირბინო და დოქტორ კარიკის საფოსტო ყუთიდან ჟურნალი მოვიპარო?

ალექსანდრე რაღაცას ლაპარაკობს. კიდევ გამოვცალე ჭიქა. ჩვენს მაგიდას ვიღაც ახალგაზრდა ქალი მოუახლოვდა. ალექსანდრემ მაშინვე გამაცნო. ამ ქალს უზომოდ მოუშიშვლებია მკერდი. საცეკვაოდ გავიწვიე, ფაშფაშა, თბილი და ენებიანი ქალია. ვცეკვავთ. როცა კი ქალი დეკოლტეს შიგნით წაიღებს ხელს ბიუსტჰალტერის სალტეების გასასწორებლად, ჩვენი ხელები ერთმანეთს სცილდება, შემდეგ ისევ ერთდება და ასე მეორდება მრავალგზის. ჰოი, ეს მისტიური სალტეები! სხვადასხვა ფერისა.

— თქვენი მეუღლე ილუზიონისტია? -- ვკითხე ქალს. მან გაიღიმა და... ღმერთო, მიშველე, კვლავ დასცილდა ერთურთს ჩვენი ხელები.

ცეკვას რომ მოვრჩით, მე და ალექსანდრე ტუალეტში შეევედით. იქაც ლიტერატურაზე მელაყბებოდა, მე კი უნიტაზს მივჩერებოდი და ვგრძნობდი, საცა იყო გამომაფხიზლებდა ბრაზი.

— სწორედ ამგვარი სტატიით უნდა დამკვიდრდეს ლიტერატურაში კაცი, რუბენ! ამით უნდა დაიწყო.. შენსავით რომ მესმოდეს ლიტერატურა!.. დიდი მარაგი გაქვს, რუბენ. სხვა თუ არაფერი... კარიკს პირადად იცნობდი, მისი მოწაფე იყავი...

ტუალეტის კედელზე ვიღაცას მიუფხაჭნია „LOLL“, იქვე კი ფანქრით მიუწერიათ „Sam durak!“.

— ამგვარი სტატია, დასაწყისი კი არა, აღსასრულია პოეტისა, ჩემო ალექსანდრე.

— ესეც სწორია, ნამდვილად. — მომიგო მან და მივხვდი, ამჯერადაც ვერაფერი გაიგო.

დარბაზში დავბრუნდიო. მაგიდას მივუჯექით, ისევ თვალი დავადგი „ლოომინგს“, დასანახავადაც აღარ მინდოდა. მით უმეტეს, ზედ „ბენედიქტინი“ დაღვრილა. ხელში ავიღე, გავშალე და გადავხიე.

— ე, ე! რას აკეთებ! საკუთარ სტატიას ხევ? — ბავშვური გულუბრყვილობით შემომძახა აღშფოთებულმა ალექსანდრემ. კითხვის ნიშანსა ჰგავდა მისი კეხიანი ცხვირი და მოკუმული ტუჩები.

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

— რა გემართებათ? რაშია საქმე? — შეწუხდა ახალგაცნობილი ქალიც და მაჯაზე ხელი წამავლო.

— იცით, რას გეტყვით? უკეთესია, თქვენს სალტეებს მოუაროთ.

— მთვრალი ხარ, რუბენ. ეს მართლაც მაგარი, ნაღდი სტატიაა, ჩემმა მზემ.

— კარიკის ნეკა თითი მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე ჩვენ, ორივენი!

— რუბენ, კედლებსაც ყური ასხიათო, ხომ გაგიგონია!

მივიხედ-მოვიხედე, ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა.

— არა, სიმართლე გითხრა, კარიკი წმინდა წყლის კოსმოპოლიტია. ამის დამადასტურებელი საბუთი გვაქვს. უცნაურ რამეებს ჰყვებოდა ხოლმე, და საერთოდ...

— და საერთოდ, შტერი ხარ, ალექსანდრე!

— უმანკო კრავი არ გეგონოს, ერთ დროს გერმანელებსაც ელიქნებოდა, —

ხმას აუწია ალექსანდრემ, — მისი ნაწერები აკი ბერლინში დაიბეჭდა...

— მერე რა, ის ლესინგის კომენტარები იყო, შენ ამისი რა გაგეგება?

— მაგნაირი ლესინგებიც ვიცით.

— არაფერიც არ იცი.

— რომელი ანგელოზი ეგა მყავს? ხომ ხედავ, ტვინი აგირია... ისეთი კაცი გამოგიყვანა, რომ..

— მაინც, მაინც როგორი? — მოთმინებიდან გამოვდიოდი, წამოვდექი თუ არა, ალექსანდრემ ხელი გადამხვია. იფიქრა, მთვრალია და ეს თავაზიანობად ჩამეთვლებაო.

— ხელი გამიშვი, უშენოდაც კარგად გავივლი! — კიბეზე შევდექით. ალექსანდრემ ისე ახლო მომიტანა ცხვირ-პირი, ცხადლივ ამოვიკითხე მასზე აღბეჭდილი ბოროტებაცა და დაბნეული ღიმილიც. ასე იღიმებიან ცირკის არენაზე ძალით წაქცეული ნიჭიერი კლოუნები. არა, არა! თავს შევიკავებ, არ დავარტყამ! ესღა გავიფიქრე და მთელი ძალით ვთხლიშე. მისი დანახვა აღარ შემეძლო. ხელი კეხიანი ცხვირის ძვალზე მომიხვდა, მაგრამ ალექსანდრე რისი ალექსანდრეა, თუ დაიბნა. ჩემი ხელი უმალ ბეჭებზე მოიქცია და... საშინელი ტკივილი... წონასწორობა დავკარგეთ, კიბეზე ბურთივით დავგორდით. გრძელი კიბეა. ალბათ ნეკნები ჩამემტვრეოდა. იღბალი, რომ ორნი ვართ, ადვილად გადავრჩი. ალექსანდრე წამოდგა.

— ინანებ! კაცი არ ვიყო თუ არ განანე კარიკის ფეხისგულების ლოკვა!..

ცხვირიდან სისხლი სდიოდა. მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მოვბრუნდი, სკოლის ამხანაგი — არვო დავინახე. ჰმ! არვო! დღემდე ვერ გამიგია, როგორ გახდა ექიმი, თანაც ნევროპათოლოგი.

— ახლავე ჩემთან წამოხვალ, რუბენ! — ხმადაბლა მიბრძანა მან, — ნუ შემესიტყვები, ხომ ხედავ, კაპიკია შენი ნერვების ფასი, — არვოს მშვიდმა მზერამ თანდათან გამომაფხიზლა და გაუგებრად წავიბუტბუტე:

— გმადლობთ, არვო... არა, დღეს ვერ წამოვალ შენთან... არა, არვო.

დიახ, არც მეორე დღეს წავსულვარ კლინიკაში. მეორე დღეს ალექსანდრესთან მივედი, ზარი დავრეკე.

— მაპატიე, გუშინ ის შენი გოგო მომეწონა და გამოვშტერდი... სულ იმის ბრალია... ხდება ხოლმე, უნდა მაპატიო, — ვუთხარი.

ალექსანდრეს ცხვირი გალურჯებოდა. სარკეში ჩავიხედე. ოჰ, რა საზიზღრად გამოვიყურებოდი! პირუტყვის სახე მქონდა, იმ პირუტყვისა, ოთხივ ფეხით ხაფანგში რომ გაბმულა და მოახლოებული მონადირის ნაბიჯები ჩაესმის. შესასვლელში უწესრიგობა მეცა თვალთ. აგერ, კართან ხის სოკო გდია, ზედ ძირგამოხეული წინდაა წამოგებული. იქვე მიუყრიათ ტალახიანი ფეხსაცმელები. რამდენიმე წუთის შემდეგ სასაუზმეში ვისხედით და ვსვამდით.

მიხაროდა, სტატია ბოლომდე რომ არ წამიკითხავს. რედაქტირებული ძლივსღა ვიცანი.

აი, რა მაგონდება ყოველთვის აქ, „Du Nord"-ის კიბეზე ჩამავალს.

— კეთილი, მაშინ ეს ნამცხვარი მომაწოდეთ!

ძალიან მეცნობა ეს მოხუცი, „Du Nord"-ის ბუფეტში ნამცხვარს რომ ყიდულობს.

— ო, ო... როგორც იტყვიან, კვლავ შევხვდით ერთმანეთს! — ეს მოხუცი ხომ კაფე „ჰარიუში“ გავიცანი.

— ყმაწვილო, თქვენ რა, მთელი საღამო რესტორნებში დახეტიალობთ? სამწუხაროა... ჩემს ნათქვამზე არ გიფიქრიათ? აი, ნიჟარაზე გეუბნებით, ჰა? მაშ, არ გიფიქრიათ. სამწუხაროა... ნიჟარის ფილოსოფია პირველ კურსზე უნდა შეგესწავლათ. მეორე კურსზე კარუსელის ფილოსოფიაა... თუმცა ეს თქვენთვის ნაადრევია. — მოხუცმა თავისებურად ჩაიხითხითა და პირისახეზე დაფენილმა ღიმილმა ნაოჭები მიმოფანტა.

მსწრაფლ გავეცალე.

ქუჩაში სიწყნარეა. ქარი ჩამდგარა, არ წვიმს. ღამეა... არა უკუნი, არამედ ჰაეროვანი. პირბადე ჩამოჰბურვია ქალაქს. ვარსკვლავები... ვარსკვლავები. სიგარეტს მოვუკიდე. აგერ სიცილ-კისკისით ჩამიარა წყვილმა. როგორ ეტყობათ, ახალგაზრდები რომ არიან. საშინელია სიბერე. მალე ორმოცდაათისა გავხდები. მე ასე ვეღარასოდეს გავიცინებ. ადამიანებს სიბერე ისე არა ჰკლავს, როგორც შური ახალგაზრდობისადმი. დიდი ხანია ამ აზრისა ვარ, დიდი ხანია, მდოგვისფერი შურით ვივსები, როცა გავყურებ პიკის ქუჩაზე მიმავალ გოგონებს. მესმის სიბერის დაქანცული ნაბიჯები... მას გაცვეთილი კალოშები აცვია... ხელში ნამცხვარი უჭირავს...

რესტორანში დავბრუნდი, მოხუცი წასულა. ბუფეტში ერთი ბოთლი „რისლინგი“ ვიყიდე, მებუფეტემ ბოთლს იარლიყი შემოაცალა; აქედან გატანა ხომ აკრძალულია. ისევ ქუჩაში ამოვყავი თავი. ინდრეკი გამახსენდა. ვფიქრობდი მის ახალგაზრდობაზე, სიგარეტის კოლექციაზე. ფერთა უცნაურ თეორიებზე. ოჰ, როგორ მშურდა მისი, მშურდა...

1948 წელი. ჰმ! აი, თურმე რა გაინტერესებთ, ყმაწვილო. კარგად მცნობია ეს სიმპათიური, ჭკვიანი, დედის ნებიერა ბიჭები, სტუდენტურ კაფეებში რომ სხედან, სიგარეტს აბოლებენ, სეფერისსა და კაფკას კითხულობენ, კამათობენ... ხან 1948 წელი აინტერესებთ, ხან კიდევ რომელი... სულ ერთია, ვერაფერს გაიგებენ გარდასული წლებისას, რადგან... რადგან იმ წლებში არ უცხოვრიათ.

კატალოგი... საინტერესოა! ნეტავი კატალოგში როგორ გამოვიყურები, ალბათ იმ კაცსა ვგევარ, კრებაზე წუთის წინ გადაწოდებულ ქაღალდს რომ კითხულობს... ანდა იმ ბავშვს, საჰაერო ბუშტი რომ გაუსკდა და უნდა უთანაგრძნო...

სინამდვილეში უფრო რთულად იყო საქმე: შიში, რწმენა, იქვი, სურვილი... ეს ნებიერა ბიჭები კი ყველაფერს ასე ხელაღებით უარყოფენ. ჩემი მარტოობაც არაფერს ნიშნავდა... იყო მანქანა, უცნაური. მომართული მანქანა. იყო ბორბალი, სამუშაოებს თუ არ შეასრულებდა, ავტომატურად შეცვლიდნენ. ჩემს ადგილზე იქნებ სხვა უარესი მოხვედრილიყო, მაგრამ არავის გამტყუნება არ შეიძლება... არავის!

კაცმა თუ ჭერზე თავი ჩამოიკონწიალა, ხელი უნდა გაამტყუნო— თოკი რად გადმოჭკიდაო? თვალი დაადანაშაულო — ლურსმანს რად მიაგნოო და ტანიც — თოკი რად დაჭიმაო? ყველა ერთადაა დამნაშავე, ცალ-ცალკე კი — არც ერთი... ასე რომ, ხალხიც ერთიანადაა დამნაშავე...

მაინც კარგები არიან ახალგაზრდები. გვიან დაბადებას უნდა უმადლოდნენ მხოლოდ... (ჯერჯერობით ასეა.) ზოგჯერ კი მაბრაზებენ. მაგრამ მაინც მახარებენ და უცნაურია, ხშირად მერიდება კიდეც მათი. თავად არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ მერიდება კია.

არა, რატომ არ უნდა წავიდე მარიასთან? მით უმეტეს, სამი კვირაა არ მინახავს. თვალწინ დამიდგა სამზარეულო. აი, შევდივარ: იგი მებუტება, მაინც და მაინც სამზარეულოში უნდა დალიოო?! არ ვუსმენ, ბოლოს მეთანხმება და ჩვეულებისამებრ მოაქვს ბროლის მაღალყელიანი წყვილი ჭიქა, სამზარეულოში შემოდის და გვერდით მიჯდება. ჯერ გაზქურას ვანთებ (გაზის შიშინი მიყვარს ძალიან), მერე ჭაღს ვაქრობ და მაგიდაზე დადგმულ ღამის ნათურას ერთავ...

აი, მარიას სახლიც. რამდენჯერ დამსიზმრებია: თითქოს დერეფანში დავიკარგე და ქუჩაში გასასვლელი ვერ მიპოვნია. ეამდაკარგული სახლია. დერეფანში საყვარელი სუნი ტრიალებს. ჩემს ფერხთით კატამ დაიკნავლა. ვერ ვიტან კატებს. ის კი არა, მეზიზღება! რატომღაც მჯერა, მათაც ვეზიზღებით ჩვენ, ადამიანები. აი, ორი ათასი წელია ჩვენს ჭერქვეშ უდევთ ბინა, ტყიდან გამოექცნენ შიმშილს. კი, ნამდვილად ვეზიზღებით კატებს. მათ თვალში გოლიათები ვართ, უბალნო, როხროხა, მდიდარი გოლიათები. განა არ ხედავენ მუდამ რომ ვეზიდებით საიდანღაც თევზს, რძეს, ხორცს... ამბობენ, კატას ჩვეულებად აქვს, მკვდარ პატრონს თუ მიაკვლია, ცხვირი წააჭამოსო. ამბობენ, ნაფერები და ნაპატივები კატებიც ასე იქცევიანო!

ზარი დავრეკე. არავინ გამიღო კარი. ასეთი რამ იშვიათია. სამი წუთი ვიდექი და ვრეკავდი. გვიანღა მომივიდა აზრად, აბა ყოველთვის შინ ხომ არ იქნება-მეთქი. უკან გამოვბრუნდი. მარიას საფოსტო ყუთში ქაღალდი შევნიშნე. წერილი ყოფილა. ჩემთვის დაეტოვებინა:

„რუბენ!

ორი დღით სოფელში წავედი. გასაღები № 3 ბინაში მოიკითხე. ჩამოვალ ხუთშაბათს, დილის მატარებლით. კონსერვის გასახსნელი კარადის ყუთშია“.

ამ ოთახში მარტოს ჯერ ღამე არ გამითევია. არა, ჯობია, შინ წავიდე. მტკიცედ გადავწყვიტე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად № 3 ბინაში ზარი მაინც დავრეკე.

— ვინ არის? — ნახევრად მძინარე კაცის ხმა შემომესმა.

№ 4 ბინის გასაღები ვთხოვე.

მოკლე ჯაჭვის სიგანეზე გაიღო ყავისფრად შეღებილი კარი. ხანშესულმა კაცმა გამოიჭყიტა.

— მგონი, ბატონი ილიმე ბრძანდებით.

— დიახ, — ვუპასუხე და ვიგრძენი, თავიდან ფეხებამდის რომ შემათვალიერა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი.

ჰმ, ვერ გამიგია, მაინც რა არის „ძალიან კარგი“.

— იცით, ადრეც მინახიხართ. კვირა საღამოს ტელევიზორში გამოხვედით... მე და ჩემი მეუღლე გისმენდით... დიახ... მაშ, გასაღები გნებავთ?

— დახ.

— ძალიან კარგი, ახლავე, ახლავე გადმოგცემთ, დილით თუ წაბრძანდებით, აქვე დატოვეთ.

მგონი რაღაც ვუპასუხე, მაგრამ შეწუხებისათვის ბოდიში რომ არ მომიხ-

დია, ეს კარგად ვიცი. ალბათ, ამასაც ელოდა. მოვბრუნდი, ვიგრძენი — მითვალთვალებდა. სურდა გაეგო, მარტო ვიყავი თუ არა. ოთახში შევედი. ახლა ის კაცი ზეწარში გაეხვევა თავის სქელ ცოლთან ერთად (ნამდვილად სქელი ცოლი ეყოლება, ასეთ გამხდარ კაცებს ყოველთვის სქელი ცოლები ჰყავთ, ბუნებას აქაც სჩვევია წონასწორობა), ჩემსა და მარიას გაურკვეველ დამოკიდებულებაზე ჭორაობას მოჰყვებიან.

შუქი ჩავრთე და წარვდექი იმ კაცის წინაშე, რომელსაც ძველი მოსასხამი ეცვა. ავადმყოფური პირისახე, წამობერილი ქუთუთოები... ეს მე ვჩანდი სარკეში. კარი ჩავკეტე. ძველებური ჭაღი ისე ტკაცუნებდა, თითქო აკვარიუმის კედლებს მინის ჯოხს უკაკუნებდნენ. საოცრად ნაცნობი იყო ეს ხმაური! ღმერთო ჩემო, ზუსტად ასევე ჩამესმოდა ოდესღაც...

ამ სახლში ბევრჯერ ვყოფილვარ. პირველად, დიდი ხნის წინათ, გულის კანკალით მოვადექი ამ სახლს. პორტფელში ახალთახალი ლექსები მეწყო... გამარჯობა, მარია, მამა შინ არის? იქნებ მოიცალოს ჩემთვის. მარია კარებში იდგა, სევდიანი მორჩილებით შემომცქეროდა, მერე მსუბუქად ამოიხვნეშა და მისაღები ოთახისკენ წამიძღვა... ასე ხდებოდა ხშირად, ძალიან ხშირად, მარიას მამის გარდაცვალების შემდეგ კი, მხოლოდ და მხოლოდ რესტორნიდან მიხდება აქეთ გამოვლა.

სამზარეულოში შევედი, გაზქურა ავანთე. რატომღაც ხელები მიკანკალებდა. ღვინო დავისხი, ოთახში შესვლა გადავწყვიტე, მაგრამ სანამ კარებს შევაღებდი, ჩვეულებისამებრ შევისწორე ჰალსტუხი. ოთახში ციოდა. ახლა უფრო დიდი მეჩვენა ოთახი. მარიას მამის სიკვდილის შემდგომ ამ ოთახში არაფერი შეცვლილა: კედელზე ისევ ის შინდისფერი ხალიჩა ჰკიდია. ისევ ის ოქროსფერჩარჩოებიანი სურათები. შავი ავეჯი... საშინელი სიცარიელე და მარტოობა შემომაწვა. ამ სიცარიელეს თურმე მარიას დუმილი ავსებდა დროდადრო.. წიგნის კარადა, საწერი მაგიდა, ტყავგადაკრული სავარძელი. აი აქ, ამ სავარძელში იჯდა მუდამ მარიას მამა, დოქტორი კარიკი. არ მახსოვს, სხვაგან მჯდარიყოს, მარიამ პირველად აქ მომიყვანა და წარმადგინა, როგორც ახალგაზრდა პოეტი (ეს იყო 1940 წლის იანვარში. წვიმიანი დღეები იდგა). დოქტორმა კარიკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ რომ ასეთი უნდა ყოფილიყო ლიტერატურის ჭეშმარიტი ქურუმი. მკრთალი, მაღალი შუბლი წიგნების ფონზე. ლამის პედანტი კაცის სუფთა თითები. ნაცრისფერი თვალები, ცივი და ჭკვიანი. მახსოვს, მუდამ კრძალვითა და შიშით შევყურებდი მის მაღალ შუბლს, რომლის მიღმა მიმალულიყო ალკეოსისა და ჟან კოკტოს ლექსები, ფილოსოფიური ტრაქტატები, ესთეტიკის თეორიები, დანტეს კვლევითი შრომები, ჯერაც დაუწერელ თხზულებათა შტრიხები, ლათინური სიტყვები: fero, tuli, latum და ა. შ. და ა. შ., რაც გიმნაზიაში არაფრით მამახსოვრდებოდა. აი, ბუტაფორიაც: საწერ მაგიდაზე წამოსკუპებული ლომი, ხახაში მინის კვერცხი რომ სჩრია და დოქტორ კარიკს მელანს სთავაზობს. ორი ფიალა: ერთი ყავისა, მეორე კი ხილის წვენისა, უცნაური კია, პირველი შეხვედრისას, უწინარეს ადამიანისა, დეტალებს ვამჩნევ ხილმე. ჰო, როცა ის გავიცანი, ვიდექი და ვცდილობდი არაფერი გამეკვირვებოდა: „მე ვარ პოეტი, დიახ, პოეტი! ერთ მშვენიერ დღეს მეც ხომ ასევე სახელიანი და ღირსეული შევიქმნები... მე აქ არაფერიც არ მაოცებს!

თავსაც მშვენივრად ვგრძნობ! არაფერი მაღელვებს!" თვითშეგონებამ, რა თქმა უნდა, ვერ მიშველა — ტყვე ვიყავ თითოეული დეტალისა და წიგნების ფონზე გამოკვეთილი იმ მაღალი შუბლისაც. რამდენიმე თვის შემდეგ კი უნდოდ ვუთვალთვალებდი დოქტორ კარიკს. ნაკლსა და შეცდომასაც ვუძებნიდი. მაგრამ ეს წარმოუდგენლად ძნელი ყოფილა: მას ყოველთვის სუფთად ეცვა, არ იშორებდა საშინაო კოსტუმს, მუდამ გაუთოებული ჰალსტუხი ეკეთა. პედანტურად მოწყობილი საწერი მაგიდა. ფინჯანი ყავა, ხილის წვენი და ჩვენი გაკვეთილები. დანიშნულ დროზე ვეწვეოდი ხოლმე ჩემი ლექსებით. ზუსტად დანიშნულ დროზე, არც ერთი წუთი ადრე, არც ერთი წუთი გვიან. გაკვეთილები მუდამ ერთნაირად ტარდებოდა. ეს ექსპოზიციურ სპექტაკლებს უფრო ჰგავდა — სპექტაკლებს დასაწყისით, კულმინაციითა და დასასრულით. გაკვეთილი ისე არ დამთავრდებოდა, რაიმეთი არ გავეოცებინე მასწავლებელს, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იქნებოდა ეს, თუ მის სახელზე მიღებული საზღვარგარეთელ მოღვაწეთა ნაწარმოებები, შრომები თუ უცხოურ ჟურნალებში დაბეჭდილი მისი სტატიები, ანდა, უბრალოდ, მისი აზრის მოულოდნელი გამოშუქება, ასე და ამგვარად, თითქოს გულგრილად და სხვათაშორის ეკიდებოდა ყოველივეს და გაკვეთილებიც მთავრდებოდა.

ღმერთო ჩემო! ვერავითარ ნაკლს, შეცდომას, სისუსტეს, გადახვევას ვერ უპოვნიდი. მაოცებდა მისი ყოველმხრივი სიზუსტე. იმდენად არამიწიერად მიმაჩნდა, ვერაფრით წარმომედგინა. სხვებივით თუ ჭამდა, ან კბილებს თუ იხეხავდა, ანდა ეძინა (მით უმეტეს, თუ ხვრინავდა). ნეტავ კიდევ თუ იყო ვინმე მისი მსგავსი. ალბათ არავინ. მე იგი მსახიობად შევრაცხე, არც შევმცდარვარ. ზოგიერთ რამეში მართლაც რომ მსახიობი იყო.

ეს მოხდა ერთ შაბათ საღამოს. ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე მივედი. კარი თავად დოქტორმა კარიკმა გამიღო (ყოველთვის მარია აღებდა ხოლმე). თმა დაუვარცხნელი ჰქონდა. დაკმუჭნული ხალათი ეცვა, ტუჩის კუთხეში თოხლო კვერცხის ცილა მიკვროდა. ღიობიდან ოთახს თვალი შევაელე. მის საწერ მაგიდაზე ტრადიციული ფინჯანები აღარ ელაგა. იქვე, მაგიდასთან წინდები ეყარა. მერე ბარე ოცი წუთი მალოდინა მოსაცდელში, ხოლო როცა შევედი, რა თქმა უნდა, ტყავის სავარძელში იჯდა და ოთახიც ძველებურადვე გამოიყურებოდა. გულში ვზეიმობდი გამარჯვებას. თითქოს გავაშიშვლე იგი. ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: იმ დღეს ძალზე მკაცრი იყო, ჩემმა ახალმა ლექსებმაც საშინელი კრიტიკა დაიმსახურა.

დღეს, რასაკვირველია, ყველაფერს ამას სხვაფრივ ვიგონებ. მისი თამაში იქნებ სულაც არ იყო „ხელოვნება — ხელოვნებისათვის"..დოქტორ კარიკის მეუღლე კარგა ხნის გარდაცვლილი გახლდათ, მარტოხელა იყო დოქტორი კარიკი. მარიას არაფერი გაეგებოდა მამის საქმიანობისა. მამა ხომ დიდი ხანია ლექსებს აღარ წერდა, ხოლო მის თეორიულ შრომებს ერთეულები თუ ჩაწვდებოდნენ. შრომების უმრავლესობას საზღვარგარეთის სპეციალურ გამომცემლობებს უგზავნიდა. აღიარება და პოპულარობა ხომ არ აკლდა, მაგრამ მაინც მარტო იყო დოქტორი კარიკი. ახლოვდებოდა მისი ცხოვრების მიმწუხრი...მეცნაურებოდა მისი მარტოობა: წიგნის თაროები, გაჭიანურებული საღამოები, წერა, ფიქრი და მუზეუმისებური მოწყენილობა. დიახ! ფანჯრებიდან აღწევდა

ქუჩის ხმაური და იმ სისხლჭარბი ცხოვრების ხმები, სწორედ ისეთი, წიგნებიდან მხოლოდ შორეულ ექოდ რომ გამოისმის. მუზეუმისებური მოწყენილობა! წიგნები, წიგნები, წიგნები! სულ უფრო ნათელი ხდება ჰეშმარიტება. რომ ვერასოდეს მივაღწევთ იმას, რასაც ასე ძალუმად ვესწრაფვით ყოველ ცისმარე. და, რასაკვირველია, მას სჭირდება თავშესაქცევი. მოსწავლე, გარემოება, სადაც იგი გადამცემი იქნებოდა, ხოლო მოსწავლე — მიმღები... სწორედ ამის გამო უნდა მოეხდინა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება. ამიტომაც თამაშობდა ერთგვარად.

სიგარეტს მოვუკიდე. ერთხანს ჭერისაკენ წასული ლურჯი კვამლის ცქერამ შემიქცია. ჩვენი მოყვასი დიურერი ოქროსფერ ჩარჩოდან ისე შემომცქეროდა, თითქოს ნამგალივით მორკალული მარცხენა წარბი საცაა უნდა დამიღიროსო...

ჰო, მართლა, ღვინო! სულ გადამავიწყდა. ჭიქა ავიღე, ბოლომდე არ დამიცლია, ორი ყლუპი მოვსვი და... მოიცა, მოიცა... რაშია საქმე! ასე ხომ არასოდეს დამილევია... ვინ სვამდა ასე? როდის... აჰ! გამახსენდა, ვინ და — მარიას მამა. სწორედ ასე არ სვამდა იმ საღამოსაც?! ახლა ისიც გამახსენდა, მაშინაც სწორედ ასე ტკაცუნობდა ჭაღი.

დერეფანში ვდგავარ. ეს წუთია, რაც კარი მიიხურა და ოთახში შევიდა. ვგრძნობ, რაღაც დასრულდა. რაღაც დავკარგე. დერეფანში ბნელა. სიჩუმეა. მოულოდნელად წვიმამ წამოუშინა, ვდგავარ და ვისმენ წვიმის ხმაურს, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი უკანასკნელი საღამო იყო.

ერთხელ, ნასადილევს (მწერალთა კავშირში ჩემი საბედისწერო გამოსვლიდან ასე, ერთი კვირა იქნებოდა გასული) დოქტორმა კარიკმა რედაქციაში დამირეკა და მთხოვა, აუცილებლად შემომიარეო. პირობა მივეცი, სამუშაოს შემდეგ შემოვივლი-მეთქი. განწყობილება? — რა თქმა უნდა, ცუდ გუნებაზე დავდექი. ნამდვილად იმ კრების გამო უნდა მელაპარაკოს!

დოქტორი კარიკი მოსაცდელშივე შემომეგება. ძალზე დაღლილი ვარ და გადავწყვიტე, ცოტა გავისეირნო, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, წამომყევიო.

სანაპიროსაკენ გავემართეთ. მას ძველებური ქუდი ეხურა. ყელზე თეთრი შალის შარფი ჰქონდა მოხვეული. ვდუმდით. შიშით ველოდი, როდის მეტყოდა რამეს. მშვიდი საღამო იყო. ზღვაზე იწვა ჩამავალი მზის წითელი ზოლი. თანდათან აუტანელი ხდებოდა დუმილი.

— თქვენ გამოგრიცხეს... და... — თავი ვერ შევიკავე და დუმილი ისევ მე დავარღვიე.

— ვიცი! — შემაწყვეტინა მან. — დღეს მწერალთა კავშირის წევრობა არც ისე დიდი პატივია. — ისევ დუმილი.

— რუბენ! მინდა სერიოზულად მოგელაპარაკოთ. არა ვარ თქვენით კმაყოფილი! დღეიდან ჩვენს ერთად მუშაობასაც არ ექნება აზრი, — გულჯიბეში ხელი ჩაიყო და გაზეთი „რაჰვა ჰეალი“ ამოიღო. მაშინვე მივხვდი, რომელი ნომერიც იქნებოდა.

— ეს ხომ საზიზღრობაა!

ეტოლებიან ოქროსფერი ცას მწვერვალები
და მაღლა-მაღლა მიირხევა ჩვენი ალმები.

ეს ციტატა წარმოთქვა აღელვებულმა და განაგრძო: — ათი წელია ლექსს წერთ, ათი წელია! და დღეს, აჰა, თქვენი რითმები: „მწვერვალები — ალმები“. ქვემოთ კი თქვენი გვარი. შემაძრწუნებელია!

— მაპატიეთ, — წამოვიწყე, — რასაკვირველია, ეს ლექსი საუკეთესოდ არც მიმაჩნია, მაგრამ თქვენ ვერ გაიგეთ...

— გავიგე! სამწუხაროდ, კარგადაც გავიგე. — ხმა დაუწვრილდა. — გასაგებია: ომი, სისხლისღვრა, შიმშილი... მაშინ მეომრების გულს იქნებ მართლაც ესალბუნებოდა ოქროსფერი მწვერვალები, ახლა კი ასეთი ლექსის წერა, უბრალოდ, და-უშ-ვე-ბე-ლი-ა! რუბენ! ესტონური ლიტერატურა ჯერაც არ მოსწრებია ისეთ უბადრუკ ხანას, როგორიც სულ მალე დადგება. თქვენ კი ყველაფერს ›გრერიგად ამსუბუქებთ. თქვენ, ვისაც ხელეწიფება უკეთესად და სულ სხვაგვარად წერა. ეს გამცემლობაა, გამ-ცემ-ლო-ბა!

როგორ ღელავდა, ხელჯოხსაც ისე აქნევდა, თითქო ვიღაცას იგერიებსო.

— ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, — შევაწყვეტინე მე.

— ჩემთვის უკვე დასრულდა. თქვენთვისაც უნდა დასრულდეს, თუკი გსურთ, იყოთ ნამდვილი პოეტი.

— და ვწერო ისეთი ლექსები, ყველა რომ გაიგებს...

— ასეთი ლექსები არ არსებობს და კიდეც რომ არსებობდეს, კაპიკი იქნებოდა მისი ფასი.

— ოჰო!

— რა, ოჰო?! ომამდე თქვენ, ასე თუ ისე, ასატანად წერდით. ომი, დიახ, ომმა გაგაფუჭათ თქვენ, ომ-მა! — ბოლო სიტყვა კი არ მითხრა, მესროლა თითქოს. აქამდე მჯეროდა, გაუვლის-მეთქი, მაგრამ არა... აი, „მწვერვალები — ალმები“. ხელოვნება გართობა არ გახლავთ და საერთოდ.. თქვენ პარტიული ხართ? პარტიის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ განა ეს მეტ პასუხისმგებლობას არ უნდა გაკისრებდეთ? პოეტი, უპირველეს ყოვლისა, პოეტი უნდა იყოს! თქვენ იმხელა ნიჭი როდი გაქვთ, ასე დაუდევრად ფანტოთ. ბოლოს და ბოლოს, შეიგნეთ, თქვენგან მაიაკოვსკი არ გამოვა, და თუ საერთოდ რამე გამოვა — მხოლოდ ლირიკოსი.

დოქტორ კარიკს სიბრაზემ გაუარა. მოიწყინა, ქუდი და შარფი გაისწორა.

ნუთუ მხოლოდ ამ ლექსის გამო დამიბარა? ნუთუ კრების შესახებ არაფერს მეტყვის? დუმდა. მომავალში ჩვენ ერთად მართლაც ვერ ვიქნებოდით. ჩვენს შორის დრო და ცხოვრება ჩამდგარიყო. მე უკვე, ასე თუ ისე, ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი, პარტიის წევრი... ყოველ კვირა დღეს დოქტორ კარიკთან სიარული, სონეტები, სტილისტური სავარჯიშოები... არა, დღეიდან ერთად მუშაობა შეუძლებელია. პატარა ბიჭი კი აღარა ვარ. ეს უნებლიე, მაგრამ აუცილებელი გზათგასაყარია.

სანაპირო ჩამობნელდა, პორტი გემების ნათურებით გადაბრდღვიალებულიყო. საბედისწერო გზათა განმგებელსა ჰგავდა ქალთევზას სილუეტი.

— ძნელი დრო დადგა. — თქვა მან. ალბათ იმასვე ფიქრობდა, რასაც მე.

გზატკეცილზე გამოვედით. უცებ გვერდით „მოსკვიჩი“ დაამუხრუჭეს. ვიღაცამ ჯიქურ გამოაღო კარი. რაული დავლანდე.

— Terre ôdangust! თუ გინდათ, ქალაქამდე გაგიყვანთ.

დოქტორ კარიკს გადავხედე. მან თავი დამიკრა და მანქანაში ჩავსხედით.

— პიკის ქუჩაზე.

რაულმა მანქანა ზედ დოქტორ კარიკის კიბეებთან შეაყენა, ზუსტად იმ ფარნის ქვეშ, ახლა ფანჯარას რომ ანათებს.

მანქანიდან გადმოვედით. რაული დაგვემშვიდობა. ისევ მარტო დავრჩით.

— შემოდით ცოტა ხნით.

უცნაურია, მის ხმაში თანაგრძნობა ისმოდა. ოთახში რომ შევედით, თითქოს გამოცოცხლდა, სამზარეულოში ყავა მოადუღა, ღვინოც გამოიტანა, ყოველმხრით ცდილობდა მღელვარების დაფარვას, თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო. ასეთი იგი პირველად ვნახე. უცნაური საღამო იყო. ჩვენს შორის და ჩვენს ირგვლივ თითქოს უხილავი რამ ფლუიდები დაფარფატებდა. დოქტორმა კარიკმა ჭადრაკის თამაში შემომთავაზა. ძველებური ჭადრაკი გამოიტანა, ფიგურები სპილოს ძვლისაგან იყო ნათალი. წითელი და თეთრი ფიგურები. ორი ხელი წავითამაშეთ. ორივეჯერ 15-20 სვლაში მომიგო. მერე ჩემი შეცდომები გააანალიზა, თან ღვინოს ვსვამდით. მაშინ იყო, ჰო, სწორედ მაშინ მოსვა ისე, ახლახან მე რომ მოვსვი. ჭაღიც ასევე ტკაცუნობდა.

იმ საღამოს უნიკალური წიგნები მაჩვენა. შუა საუკუნეების თეოლოგიური ტრაქტატები, ძველი, ოქროსფერ ყდაში ჩასმული ლექსთა კრებულები, გაფერმკრთალებული ილუსტრაციები... ნაღვლიანად დავცქეროდი ყოველივე ამას. ეჰა, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის ნახვა შემეძლო აქ... ვიცოდი, დიდხანს დიდხანს ვეღარ მოვიდოდი აქ. პოლიტიკაზე სიტყვა არ დაგვიძრავს.

ღამის 12 საათი იქნებოდა, წასვლის დროა-მეთქი, ვიფიქრე, დოქტორმა კარიკმა კარამდე მიმაცილა და ცხოვრებაში პირველად გამომიწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად (და როგორც გამოირკვა, უკანასკნელად).

აი, სწორედ მაშინ იყო, მისი სახლის დერეფანში რომ ვიდექი, წვიმამ წამოუშინა.—დიდხანს ვუსმენდი წვიმას. ჯიბეში ხელნაწერი მოვიქექე და დერეფნის ფანჯარასთან მივედი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა.

ჟურნალ „ლოომინგმა“ დამიკვეთა სტატია ესტონეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრებულ კოსმოპოლიტიზმზე, მთავარი ადგილი მწერალთა კავშირში წარმოთქმულ ჩემს სიტყვას უნდა დათმობოდა. ხელნაწერს დავხედე.

აი, გულუბრყვილოდ გამოყვანილი დიდი Q, მარჯვნივ პატარა ხაზი, მომდევნო ასოსთან გადასაბმელი, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ. იგი ახლა ყუნწიანად მოწყვეტილ მომცრო ვაშლსა ჰგავდა.

აი, ამპარტავნულად კი არა, უხეშად ხელებგაფარჩხული K.

i — თავზე წერტილის ნაცვლად მუდამ პატარა ნულს ვუხატავდი ხოლმე მოწაფეობაში.

აგერ ლამაზად ამოყვანილი — Z, R, f და ასე შემდეგ. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მალულად გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ვხედავდე საკუთარ თავს.

თითქოს სუფთა წერის გაკვეთილი იყოს. ქათქათა ქაღალდზე მელანი გადამესხა და გულგახეთქილი ვფიქრობ — აი, ახლა მოუახლოვდება მასწავლებელი ჩემს მერხს, აი ახლა...

ხელნაწერი დავხიე, დავჭმუჭნე და მოსასხამის ჯიბეში ჩავიდე. არა. არავითარ სტატიას არ დავწერ. არა და არა! ეს გავიფიქრე თუ არა, შემეშინდა. უშველებელი მავთულმხვევი კოჭი გამახსენდა... ნელ-ნელა ბრუნავს საშინელი კბილანა, ჩემს მოსასხამს იხვევს, მექაჩება სადღაც შორს, შორს...

დაე, მექაჩოს!

ნომერი ავკრიფე. გადაწყდა! უარს ვეუბნები და მორჩა.

— ჰალო! გისმენთ!

— რუბენ ილიმე გაწუხებთ. იცით რა, არ შემიძლია... სტატიას ვერ დავწერ...

— არ შეგიძლიათ? რატომ? არა უშავს, ამაზე ხვალ მოგელაპარაკებით. ეს მითხარით, პრეფერანსს თუ თამაშობთ?

— ?

— თუმცა სულ ერთია, თამაშობთ თუ არა, ახლავე მოდით, აქ, ჩვენთან. ორი მოსკოველი ამხანაგია. გელოდებით.

ყურმილი დავკიდე. საშინელი კბილანა!

წამოვდექი. მჟავე მომინდა, თუმცა „რისლინგიც" მჟავეა, მაგრამ ფსკერამდეა დასული. სამზარეულოში ლიმონი მოვძებნე. მარიას მუდამ შემონახული აქვს (ალბათ ჩემთვის). როგორც იყო, ვიპოვე. ყვითელი ლიმონი. გავთალე, სურნელება, ლიმონის სურნელება.

დაზამთრდა. მწერალთა კავშირში სიარულს თავს ვარიდებდი. შინ ბევრს ვმუშაობდი. თანდათან დავეუფლე ფრანგულ ენასაც, რომლის შესწავლას დოქტორი კარიკი აგრერიგად მირჩევდა. ვერლენის თარგმნა გავბედე. თარგმანის ნიმუში დოქტორ კარიკისთვის მინდოდა გამერბენინებინა. ვერლენი ხომ მისი საყვარელი პოეტია. რას გაიხარებდა! ვინ იცის, იქნებ ჩვენი ურთიერთობაც გამოკეთებულიყო, იმ კრებისა და სტატიის მიუხედავად.

ერთხელ, საახალწლოდ, გვიან საღამოს ქალაქში დავეხეტებოდი. სწორედ იმ ხანებში ერთი თარგმანი დავამთავრე. მგონი ურიგო არ გამომივიდა. თოვდა. კარიკის სახლს მივუახლოვდი. ფანჯრებში შუქი შევნიშნე. გამიკვირდა, 12 საათი იქნებოდა, კარიკი ხომ ჩვეულებისამებრ 10 საათზე იძინებდა, დილის ექვსზე კი თავის საწერ მაგიდას უჯდა და მუშაობდა. რაშია საქმე? კიბეები ავირბინე. შესასვლელი კარი ღია დამხვდა. წამიც და დოქტორ კარიკის ოთახში ვიყავი.

— სდექ! — სანამ გონზე მოვიდოდი, ხელები ზურგზე ამომიტრიალეს. გავიბრძოლე. მაშინვე ხელები გამიკრეს, ტკივილი სულაც არ მიგრძვნია, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, აქ ყველაფერს უჩვეულო იერი დაჰკრავდა. ძალზე უცნაური!

როგორც ყოველთვის, დოქტორი კარიკი ტყავის სავარძელში იჯდა. რაღაც მეუცხოვა იგი. უღონოდ გადაეგდო თავი. მარცხენა ფეხი ამაზრზენად, არაბუნებრივად გაეწვართა. შარვლის ტოტი აჰკეცოდა და თეთრი, გამხდარი წვივი დავუნახე, ტკივილივით დამიარა — ეს ხომ გარდაცვლილის ფეხი იყო... მკვდარი ფეხი!

— შენა ხარ? — რაული?!

დიახ, რაული იყო. წიგნების თაროსთან იდგა ფერდაკარგული და ვერ მივხვდი, ტიროდა თუ თვალებს ახამხამებდა.

— გაუშვით, ჩვენი ნაცნობია...

ხელები შემიხსნეს, მაგრამ რა ბედენაა, რა უნდა მექნა? მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა. კარიკის სავარძელთან იატაკზე გუბე დამდგარიყო.

— ეს სისხლია?

— შარდი... — მიპასუხა ზურგს უკან მდგომმა.

— აპოპლექსია. — ჩამესმა რაულის ხმა.

ყველანი დუმდნენ. დოქტორი კარიკი უცნაურად დაიკვნესა, მერე ფეხები ხმაურით დაუცურდა იატაკზე, და გაქვავდა კიდეც. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— გამოძიება? მერედა, რისთვის?

— გადით ყველანი! — ბრძანა სახეგამოჩორკნილმა კაცმა.

დილით დოქტორ კარიკის ბინა დაკეტილი დამხვდა. საავადმყოფოში დავრეკე, სადაც მარია მედიცინის დად მსახურობდა. მიპასუხეს, მარია არ გახლავთ, ღამით იყო, მაგრამ მამა გარდაეცვალა და გაათავისუფლესო.

სამსახურში წავედი. იქ ყველაფერი ძველებურად დამხვდა: ფანჯრის რაფაზე ჩაიდანი შიშინებდა, მდივანი ქალი ფრჩხილებს იღებავდა, კაცები ანეკდოტებს ჰყვებოდნენ... გამიკვირდა, კარიკის გარდაცვალება, ალბათ, ჯერაც არ გაუგიათ-მეთქი, გავიფიქრე. თუმცა კიდეც რომ გაეგოთ, არა მგონია, ამით რამე შეცვლილიყო. ცოტა სმენიათ ანალოგიური შემთხვევა? ჰოდა, უცებ შევძრწუნდი მათ მაგიერ...

თავი მტკივა და შინ უნდა დაებრუნდე-მეთქი, განვაცხადე. მდივანი ქალის სახეზე აღბეჭდილმა თანაგრძნობამ ხომ სულ გამაგიჟა, ღმერთო ჩემო, რაოდენ მგრძნობიარენი ვართ ადამიანები, როცა წვრილმან სატკივარზე მიდგება ჯერი... რას იზამ, ხალხი ბუნებით კეთილია.

რასაკვირველია, შინ არ წავსულვარ. მეშინოდა, სადმე მარიას არ გადავყროდი, მით უმეტეს, ხომ ვიცოდი, როგორ დამეძებდა ახლა.

როგორც იქნა, ნება დამრთეს. პროზექტორიუმში შევედი თუ არა, ერთბაშად მეცა მედიკამენტების სუნი. ქუდი მოვიხადე. დარაჯმა ზეწარი გადახადა მიცვალებულს. დოქტორ კარიკისათვის ნიკაპქვეშ პატარა ბალიში ამოედოთ, ალბათ ასეთი წესია. ისე მშვიდად იწვა, თითქოს ისვენებსო. ნიკაპქვეშ ამოდებულ ბალიშს შევყურებდი და ვფიქრობდი, საპირეს მეორე მხრიდან უთუოდ მიბეჭდილი ექნება-მეთქი სათანადო შრიფტი და ინვენტარის ნომერი... სადღაც რეგისტრირებულია: „ნიკაპის დასაჭერი ბალიში, ნაცრისფერი ტილოსი, 25 ცალი...“ ნეტავ ამ ბალიშებს თუ რეცხავენ? და თუ რეცხავენ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ აქაც დაიცვან ჰიგიენის წესი...

გამიკვირდა, ასეთ რამეებზე ფიქრი რომ შემეძლო.

— გული... — მეუბნება დარაჯი, — პროფესორები ყოველთვის გულით ან ტვინში სისხლის ჩაქცევით კვდებიან.

არც იცი, რა მართალს ამბობ-მეთქი, გავიფიქრე.

— ხვალ, ოთხ საათზე ასაფლავებენ. იცით ალბათ.

არა, დასაფლავებას არ დავესწრები. იქ მარია იქნება.

პროზექტორიუმიდან გამოვედი.

ზამთრის ძალმიხდილი მზე, ლურჯ, გასახვევ ქაღალდზე დაღვრილ ზეთის ლაქასა ჰგავდა.

მეუცნაურა ჩემი სიმშვიდე, ღმერთო ჩემო! თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

დამნაშავე ვარ... უნებლიე დამნაშავე! ცხოვრება წინ მიდის, ყველაფერი გაივლის უცილობლივ! ყველაფერს ავიტან!

საავადმყოფოს დათოვლილი ბაღი. დახურხლულ ტოტებზე ბეღურები ფრთხიალებენ. სიმშვიდე მეტისმეტი, განუსაზღვრელი...

ქუჩაში გამოველ თუ არა, მივხვდი: არაფერი არ გაივლის. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის — არასოდეს!..

ოჰ, ტირილი რომ შემეძლოს! მაშინ იქნებ მართლაც ჩამთავრებულიყო ყველაფერი. რომ ვერ ვტირი? რომ არ შემიძლია? არანორმალურად მშვიდი ვარ. წარმოუდგენელია ასეთი სიმშვიდე!.. ნიკაპქვეშ ამოდებულ ბალიშსაც რომ კარგად დავაკვირდი, თან რა გულგრილად...

და იმ დღეს პირველად გავიფიქრე (კარგად მახსოვს):

„ცა ლურჯია დღეს, ლურჯზე ლურჯი, მხოლოდ ვერ გამიგია, რადაა ასე დაღლილი.“

ბოთლში ჩარჩენილი ღვინო დავისხი, ჭიქა თითქმის შეავსო. კარგი კუჭის პატრონი ვარ! ყველაფერს ვინელებ: რომს, კონიაკს, ღვინოსა და... ხვალ დილასისხამზე ისევ ლუდი, ლუდი ხომ წამალია ნაბახუსევზე.

ერთი სკოლის ამხანაგი, არაყზე რომ გასცვალა ყველაფერი, ასე იმართლებს ხოლმე თავს: რაო, რატომ არ უნდა დავლიო? ვინ უნდა დამიშალოს? როცა მთვრალი ვარ, ეს უკუღმართი ქვეყანაც ისეთი მეჩვენება, როგორიც უნდა იყოს და რა ვქნაო.

ერთხელ რომელიღაც წიგნზე ვკითხე. არ წაგიკითხავს-მეთქი? (აღარ მახსოვს წიგნის სათაური). იმიტომ დავინტერესდი, რომ ერთი ფრაზა თითქოს სწორედ ამ წიგნიდან ჰქონდა დაზეპირებული. რა ხანია, არაფერი წამიკითხავსო, — ასე მომიგო. მგონი, ამით ამაყობდა კიდეც.

საკუთარ თავზე ხშირად ვფიქრობ ხოლმე: აი, ორი ხელი — ერთი ლექსსა წერს. აი, თავი, ლექსს რომ იგონებს, ორი ფეხი, რესტორანში რომ დამატარებს. კუჭი! ამათ გარეშე ხომ არაფერი ვარ და მაინც დაუჯერებელია, ნუთუ ყველაფერი ეს მე ვარ... არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვამბობ, მაგრამ ერთი ცხადია: ამაზე ხშირად ვფიქრობ და მერე ვასკვნი, — მე ვარ ერთი ბებერი მე, კეთილი მე, ყისმათიანი ძველისძველი მოტორი, რომ თუხთუხებს და თუხთუხებს.

ღვინო მოვსვი. ოთახს კვლავაც სიმკაცრე და მარტოობა დაჰპატრონებოდა. ოთახისთვის სულ ერთია, რას ვფიქრობ. შემაცივა. საზიზღარია სიცარიელე... აგურისფერი ხალიჩა, ოქროსფერჩარჩოებიანი სურათები...

ო, ნეტავ ახლა შინ იყოს მარია!

საძილე ოთახში შევედი. აქაც პედანტური სისუფთავე. რატომღაც მომინდა ინტიმურობის რამ ნაკვალევი აღმომეჩინა, მაგრამ ამაოდ. საშინელი წესრიგის მოყვარულია მარია.

სკამზე არც კაბაა გადაკიდებული, არც წინდები... პროზექტორიუმივით ცივი და უშფოთველია ოთახი.

ტანსაცმლის კარადა გამოვაღე. კაბებმა გაიშრიალა. კაბები კი არა, სხეულის სამოსია. პარფიუმერიის ნაცნობი სურნელი. მარიას სურნელი. ერთ სუნამოსაა შეჩვეული მარია. მისი სურნელება შემომაფრინდა მაშინაც, 1938 წლის გაზაფხულზე, ცეკვის კურსებზე რომ გავიცანი. სუნამოს სახელი მგონი „რეზედაა“ — მეტისმეტად ტკბილსურნელოვანია. ისეთ წითურებს, როგორიც მარიაა, ალბათ მწარე ნუშის სურნელი უფრო შეეფერებოდათ. ჰო, მარია ცეკვის კურსებზე გავიცანი. იმ წელს გიმნაზიას ამთავრებდა. დარწმუნებული ვარ, მაშინ შემიყვარა. მისი პირველი სიყვარული თუ ვიყავი. მე კი იმ ხანებში ყურადღებას არ ვაქცევდი, ვივისთან დავსეირნობდი ხოლმე. ვივი მარიას დაქალი იყო, შავთმიანი გოგო. ახლა, რა თქმა უნდა, გათხოვილია და წვრილშვილიანია. ხანდახან თუ შევხვდები, რატომღაც მეუხერხულება. მარია და ვივი სულ ერთად იყვნენ, ასე რომ, მარიასაც ხშირად ვხვდებოდი. ჩემი პირველი ლექსები რომ დაიბეჭდა, მარიამ მამასთან წამიყვანა.

მარია... მორცხვი, გულუბრყვილო, მორჩილი, ფერმკრთალი ლედი! ხუმრობით ასეც ეძახდნენ.

დოქტორ კარიკის დასაფლავების დღესაც, საღამოს „რეზედის“ სურნელი შემომაგება მარიამ.

დასაფლავებას არ დავსწრებივარ. მარიას წერილი გავუგზავნე, ვერ მოვდივარ, მინდა ცოცხალი დამამახსოვრდეს-მეთქი, ასე და ამნაირად. მან, რა თქმა უნდა, არ იცის, სწორედ ამ ოთახში დოქტორ კარიკის სიკვდილს რომ შევესწარი. არც ის იცის, პროზექტორიუმში რომ ვიყავი.

დასაფლავების შემდეგ, საღამოს 10 საათზე, მარიასთან მივედი. ახლობელი და შორეული ნათესავები წასულიყვნენ. მარია მარტო იყო. სავარძელში იჯდა. შავი აბრეშუმის კაბა ეცვა. მაგიდაზე ღვინით სავსე ჭიქა იდგა. ისევ „რეზედას“ სურნელება. ავადმყოფის იერი ჰქონდა მარიას, გაუგებრად ლაპარაკობდა, სათქმელს არ ამთავრებდა.

კარიკს დიდებული გასვენება ჰქონდაო (დიდებული გასვენება! — საზიზღრად ჟღერს).

მამა ლამაზი მკვდარი იყოო (!). ეს ყველამ აღიარაო. აი, რამდენი ვარდები მოიტანესო. (ზუსტად იცოდა, ვინ რამდენი თაიგული მოიტანა). დიდძალი ხალხი იყოო... ამის გაგონება არ მინდოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, კარიკის მეგობარ მწერალთა უმრავლესობამ დასაფლავებაზე მოსვლა ვერ გაბედა... ამას მარიას სიტყვებიც ამტკიცებდა — ნახე: რამდენი დეპეშა მივიღეთო. წარმოგიდგენია, რა იქნებოდა, ყველა ის ავადმყოფი და საქმიანი ხალხიც რომ მოსულიყოო.

დეპეშები მართლაც ბლომად გამოეგზავნათ. ახლა მომავალს მისწვდა მარიას ფიქრები: ერთი ოთახის გაქირავება გადაუწყვეტია, ასე ფულს დავაგროვებო. ოთახის შეკეთებას და ავეჯის გამოცვლასაც აპირებს. ახალი შპალერი უნდა გა-

ვაკრა და ყვითელი ფერისა თუ მოუხდებაო, — შემეკითხა. სულაც არ მგონია, მამა არ ებრალებოდეს. ეს წვრილმანები უბრალოდ გაახსენდა და აქ სასირცხო არაფერია.

— რუბენ, ჩემი არ უნდა გერიდებოდეს. ხომ მართალია? შენ ხომ მამას იცნობდი, მისი მოწაფე იყავი... მხოლოდ შენ გესმოდა მისი. მამა ხომ საოცრად გულჩახვეული და თან კომპეტენციური კაცი იყო. (ზუსტად ასე თქვა — კომპეტენციურიო).

ერთის შეხედვით, გეგონებოდა, არაფრად უჩნდა მამის დამარხვა... მაგრამ არა, მარიას ძალიან უყვარდა მამა.

შიშით და თან ცნობისმოყვარეობით ვუსმენდი მას და ვფიქრობდი, ახლა ამ წუთში, როცა მარია რაღაცეებს ლაპარაკობს, ჩემი მასწავლებელი მიწაშია, ჰო, მიწაში... ხის სახლში!.. ეს ყველა ჩვენთაგანის უკანასკნელი სამკვიდროა... ნიკაპქვეშ ბალიში უდევს, ოღონდ ახლა სულ სხვანაირი. ან იქნებ დამარხვისას აცლიან ბალიშს, რა ვიცი. მაშინ კი ვფიქრობდი ბალიშზე და კიდევ იმაზე, რა გულქვანი, საშინელნი ვართ ადამიანები, შეგვიძლია ასეთი რამ გავიფიქროთ და ხმამაღლა ვთქვათ კიდეც! რატომაც არა, თუკი შეგვიძლია... მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს დოქტორი კარიკი ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი არ ყოფილიყო.

მარია კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა...

უცებ თვალში მომხვდა მისი ლამაზი ფეხები (ცხოვრებაში პირველად!). ლამაზი, თხელი ფეხები. მგლოვიარის შავი წინდები... იმ დროს შავ წინდებს მოდისთვის არ იცვამდნენ. ვნებამორეული მივჩერებოდი მარიას ლამაზ წვივებს... ეს ნიშნავდა, რომ მარია ვიგრძენი მთელის სისავსით! მარია, ქალი...

ღმერთო ჩემო, ბოლოს და ბოლოს, ვინ ეშმაკი ვარ? წასვლა დავაპირე! ვშიშობდი. ამ დასაფლავების დღეს, ამ სამგლოვიარო დღეს, რომ... მაგრამ... მარიას ნაზი სხეული, სათუთი კანი, თეთრი... ჩვენ უკვე ერთად ვიწექით. მარია მკოცნიდა და თან ტიროდა. „უბედური მამა, არც კი იცის, ერთმანეთი რომ გვიყვარს, ის ხომ მკვდარია, მამაჩემი მკვდარია...“

ტირილი არ შემეძლო. მრცხვენოდა და თან გული მტკიოდა... რატომ, რატომ მოხდა ასე? რატომ მაინცდამაინც დღეს? ნუთუ ესაა თანაგრძნობა?

ეს იყო ჩვენი პირველი ღამე. მერე გავიდა დრო. შვილი არ გვეყოლა. მარია ხშირად ტიროდა, უშვილობას საშინლად განიცდიდა. ბოლოს ღაასკვნა: ჩვენმა სიყვარულმა იმიტომაც ვერ იხეირა, რომ ის პირველი ღამე ცოდვისა იყოო, გლოვა ვერ შეეძელით და ღმერთმაც მიტომ დაგვსაჯაო.

ყოველდღე ვსვამდი. მეშინოდა საკუთარი თავისა და ყველასი... და ვსვამდი, ვსვამდი, ვსვამდი... ვინ იცის, რა შემემთხვეოდა, ერთხელ არვო რომ არ გამხსენებოდა. ნევროპათოლოგი არვო: შველა ვთხოვე, მოკლედ — ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვხვდი, იქ მთელი ერთი თვე გავატარე. ოჰ, რა დაუსრულებელი და უსაშველო იყო ის თვე. მახსოვს, დროგამოშვებით რაღაც ნემსს მიშხაპუნებდნენ. მედიცინის დას თავაზიანად ვუღიმოდი. ვიცოდი, ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, თავი რომ არ დამეჭირა, საერთოდ იქ დამტოვებდნენ. ექიმს ვარწმუნებდი უკვე კარგად ვარ, ყველაფერი რიგზეა, თავს შესანიშნავად ვგრძნობმეთქი. ჰოი, რა მოსაწყენი დღეები იყო. საავადმყოფოს ეზო კატებით იყო სავსე. ავადმყოფები ჯერ პურის ნატეხებით უმასპინძლდებოდნენ კატებს, მერე კი ქვებს უშენდნენ და ხარხარებდნენ.

ერთ შაბათ დღეს მარიამ მომაკითხა. მომვლელმა ქალმა ყვავილები გადმომცა და მახარა, ნება დაგრთეს, გახვიდეთ და ყვავილების მომტანი ნახოთო. არ შემიძლია-მეთქი, ვუპასუხე. თავის ტკივილი მოვიმიზეზე. მომვლელი ნაწყენი დამირჩა. თვინიერ პაციენტს გავახარებო, იფიქრა და პირიქით კი გამოუვიდა.

მარიას პატარა ბარათი მივწერე. ვთხოვდი, მეორედ ნუ შეწუხდები, უკვე კარგად ვარ და რამდენიმე დღეში გამომწერენ-მეთქი. მერე ფანჯრიდან ხელი დავუქნიე. ესეც კი გამიძნელდა.

მარიას შავი ბეწვის ქუდი ეხურა. მაღალყელიანი ბოტები ეცვა. მკლავზე შავი ბაფთა ეკეთა, მხრებზე ჩამოშლილი თმა თოვლის ფანტელებით გადაპენტოდა. ფანჯრისკენ რომ მოიწევდა, მუხლამდე თოვლში ჩავარდა. იდგა მარტოსული, საცოდავი. რა მექნა, ახლა მასზე ვფიქრობდი, როგორც რაიმე საგანზე: პალტოს ქვეშ კაბა, კაბის ქვეშ მაქმანიანი პერანგი, მერე თოვლივით ქათქათა მკერდი... და თუ ამ მკერდს ხშირად ვეფერები, ესეც ალბათ უცნაური მოვალეობის ბრალია. მარიამ გამიღიმა, შიშველი ხელი დამიქნია და წავიდა.

წამოვწექი და ზეწარში გავეხვიე: სუპის ქვეყანა... სანაგვე ურნებში მოფუთფუთე კატების სამყარო!.. ღმერთო, რა უაზრობაა; ჩემი მასწავლებელი, მარიას მამა, რა უაზროდ გარდაიცვალა... იმ დღიდან ხომ ჩემშიაც ჩაკვდა რაღაც. უაზრობა იყო ისიც, რაც ჩემსა და მარიას შორის მოხდა. აი, ახლა აქ ვწევარ, მარია კი ნამტირალევი თვალებით თავის ცარიელ ოთახებში დააბიჯებს, როგორც ფერმკრთალი მოჩვენება, როგორც ლანდი...

დოქტორი კარიკი, პატივცემული ესთეტი კუბოში იხრწნება. იხრწნება ყველა ბიოქიმიური კანონის თანახმად. ესეც უაზრობაა? არა! ამაში იქნებ მართლაც იყოს აზრი, რამეთუ აზრი სიკვდილისა ხრწნაა მხოლოდ და მხოლოდ.

საავადმყოფოდან გამოვედი, მაგრამ — უკვე სხვა კაცი. ჩემთვის ახლა სულ ერთი იყო, კატებს ჯერ პურს ესროდნენ თუ ქვას. უკანასკნელ დღეებში ღამის ქოთანსაც არ ვთაკილობდი.

წვეთი ღვინო არ დარჩა. სარკეში ჩავიხედე. ვინ არის ეს კაცი? ჰო, ეს ხომ მე ვარ. მაინც ვინ არის ეს რუბენ პილიმეესი? რატომ სწორედ მე ვარ იგი? პილიმეესი! ხომ ლამაზი გვარია? ალბათ ჩემმა შორეულმა წინაპარმა გადმომილოცა სახელი. მუსიკოსი თუ იყო. ნათლად ვჭვრეტ: მზე ჩადის, ეზოში მთიბავები შეკრებილან და საკრავის სმენა ატკბობთ. ბალახის სურნელება... მიწის სურნელება. ხელმარჯვე პაპაჩემი საკრავს აკვნესებს. კაცებს თავი დაუხრიათ, ჩაფიქრებულან. ქალებს ცრემლები მოსდგომიათ თვალებზე... პაპაჩემი უკრავს დაუსაბამოდ, დრო კი მიდის და მიდის. იბადებიან და კვდებიან ადამიანები. და აი, ჩემი ცხოვრების ჯერიც მომდგარა. გავჩნდი და ვცოცხლობ კიდევ ერთი პილიმეესი. მელანქოლიკი და ქვეყნის განაპირას თავისი სევდის ანაბარა ჩამუხლული პილიმეესი. ოცნება კარტოფილის კანისფერი, ქლოროფილი რომ დაჰკლებია (ასე არ თქვა იმ ყმაწვილმა?).

ახლა ყველაფერს ძილი აჯობებს, მაგრამ არა, არ ძალმიძს. აქ მარტო ვერ დავიძინებ. ზეწარი ალბათ ყინულივითაა. არა, უკეთესია, სამზარეულოში გავიდე და რუბენ პილიმეესი დავანაყრო.

ოჰო! ჯერ 11 საათია? შუაღამე გადასული მეგონა.

ახლა აქ რომ ლინდა მყავდეს, ჰა? „ფაუსტს“ წავუკითხავდი. აჰ, ლინდასთან

ერთად! ეს იქნებოდა საშინელი კონტრასტი. როგორც კი სინათლეს ჩავაქრობდი, იგი აღგზნებული მოჰყვებოდა, როგორ უყვარს ზღვა... გოეთე, დოქტორ კარიკის ოთახი და ლინდა! არა, ეს ხომ სადიზმია. არც ასეთი ცხოველი ვარ, ეს ხომ საძაგელი თამაში იქნებოდა. გაზის მოცახცახე ლურჯ ალს შევყურებდი და უფაქიზესი სენტიმენტალობით ვივსებოდი. სენტიმენტალობა წინათ მეთაკილებოდა, ახლა არა. რისი უნდა მრცხვენოდეს, მე ხომ მელანქოლიკი დავიბადე.

ჯიბიდან სეფერისის ლექსი ამოვიღე. ვკითხულობ და განვიცდი ჩემივ ხელმოცარულობას.

ცისტერნა

იდუმალ წყლების თავშესაფარ ფესვთა კრებული,
ანუ ცისტერნა, ჩვენს ნაბიჯთა ექოს გამოსცემს,
ველარ შეაღწევს მის სიღრმეში სხივი ვარსკვლავთა,
ვერც მირიადი დღენათელი, ყოველცისმარე
რომ გარდამოვა, იხანგრძლივებს და დასრულდება.

მაღლა, ულმობელ ცადაქნილზე, მარად მოძრავი
ჩინობს ვარამი ცვალებადი წუთისოფლისა —
სხვა ბედისწერის მოტკრიალე სხივის თანხლებით.
გაბრწყინდებიან სახეები წამით, რომ კვლავაც
ეკალმუხების შავ ჩრდილებში გაუჩინარდნენ.

ცრემლს გამოელის სიყვარული სამაგიეროდ...
აგრე სულივით დაჭკნებიან თეთრი ვარდები.
ტოკავს ბუნების მწვანე გული ცვრიან ბალახზე...
მიახლოვდება ჩემი მწუხრი მოარულივით,
აი, დაიწყო დიდი ღამეც და სასაფლაო.

იქ კი, მიწაში ფესვგამდგარი თბილი ცისტერნა,
თბილი ცისტერნა, იდუმალი თავშესაფარი...
იქ, გამჭოლ ქარში ბინა უდევს ყოველთა ოხვრას...
არის მარადი გაბრძოლების ჟამთა წინარე,
იქ ვერ შეაღწევს ვარსკვლავთა სხივი და დღეთა სრბოლა.

რკინიგზის სადგურთან რამდენიმე ცარიელი ტაქსი იდგა. მძღოლები თვლემდნენ. მენანებოდა ამ ულაზათო და ძველთაძველი სადგურის შეცვლა მოდერნისტული შენობით. გულს მეფონებოდა კიდეც მისი ულაზათობა. ახლა საცაა დაანგრევენ. საღამოობით რამდენჯერ შემირბენია ყავის დასალევად. მოსაცდელ დარბაზში შევედი. ისევე, როგორც ყველა სადგურში, აქაც ერთადაა შერწყმული თვლემა და ფუსფუსი. კართან მდგარმა მილიციელმა ჯერ კი ორპოფულად გადმომხედა, მაგრამ უმალ დამშვიდდა, ალბათ არც თუ ისე საეჭვო ტიპი ვჩანდი, მილიციელის ზურგსუკან ღრმად ჩაფიქრებული ბრინჯაოს ლენინი იდგა. სადგურში ლენინთან შეხვედრა რაღაცნაირად უხერხულიც კია. მის გვერდით სოფლელი ბებრუხანა იდგა. ბებრუხანას ფეხებთან ძველებური კალათა შევნიშნე, რომლიდგანაც ცნობისმოყვარე ბატს ჰქონდა თავი ამოყოფილი. ყავაზე გრძელი რიგი იდგა. საათს დავხედე. ღამის მატარებლის გასვლას 15 წუთიღა აკლდა. დაც-

და გადავწყვიტე. ჩემს წინ, ძელსკამზე ჯარისკაცებს ეძინათ. ერთი ჯარისკაცი ფხიზლობდა. რაღაცას კითხულობდა. იღიმებოდა, ალბათ წერილი მიიღო. რა ლამაზად იღიმება ადამიანი, როცა მარტოა და თავისთვის იღიმება.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ახალმა ავტომატმა. ამ ავტომატით მატარებელთა განრიგის გაგება შეიძლებოდა. თვალდახუჭულმა თითი დავაჭირე რომელიღაც ღილაკს, თან გავიფიქრე. ახლა ამას ენა რომ მისცა, ადგებოდა და მეტყოდა, ტყუილუბრალოდ რას მაწვალებო. მაგრამ ავტომატს ტვინი და ენა არცა ჰქონია და არც არასოდეს ექნება.

აშრიალდა რკინის ფურცლები. კალინინგრადი. საით? — კალინინგრადი... კენიგსბერგი! ეს ნამდვილია. გარდასული დღეებითღა ვცხოვრობ. ჩემი ფიქრი წარსულს უბრუნდება.

ყელში გაჩხერილი თევზის ძვალი. აგურით ნაშენი სასახლე. ფანჯრიღან ავტომატს გვიშენენ გერმანელები. ფრჩხილებით მიწას ვეფხოკნი, სუნთქვა მიჭირს. გონების სილრმეში ბავშვობის სურათები აფერადდა: ჩვენი ეზო, აგერ, ბოსტანში მიგდებული ვეებერთელა ყვითელი გოგრა. პატარა თეთრი გოშია, თავის კუდს რომ დასდევს...

წითური, გაოფლილი პირისახე. რაული ხარ? — წავიჩურჩულებ და გონს ვკარგავ. თვალი გავახილე. რაული ზურგით მიმათრევდა. მეზიზღები... — ვამბობ და კვლავ ვკარგავ ცნობას. ჰო, რაული იყო, რაული სამალკოპსი. სანიტრებისკენ მიმათრევდა. მსუბუქად ვიყავი დაჭრილი. მხარში, და არა ფილტვებში. ეს გულის წასვლაც სიკვდილის შიში იყო და სხვა არაფერი. სიკვდილი ხომ ჩვენზე ეშმაკია. სანამ ქეჩოში არ გწვდება, ვერას მიხვდები.

ყველაზე დიდი უგუნურობა ის იყო, რომ ჩემს თრევაში რაული მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მე თუ ათი დღე ვიწექი, მის გამოჯანსაღებას კარგა ორი თვე დასჭირდა.

დიახ. ასეთი გმირობა ჩაიდინა ჩემმა სკოლის ამხანაგმა, ჩასუქებულმა რაულ სამალკოპსმა (თუმცთა სრულიად ამაოდ). სიკვდილამდე მისი მადლიერი უნდა ვყოფილიყავი. ფსიქიატრები ალბათ შეეცდებოდნენ დაემტკიცებინათ, სწორედ ამის გამო შეზიზღდაო რაული.

ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს.

რიგი შეთხელდა, ყავა და ფუნთუშა შევუკვეთე. ცხელმა ყავამ სხეულში სასიამოდ დამიარა.

უცებ ძია იაკობი გამახსენდა და მასთან წასვლა გადავწყვიტე. მამაჩემის კარგი მეგობარი იყო. ახლა მშენებლობაზე საწყობის დარაჯად მსახურობს. ბევრჯერ შემიქცევია (ან პირიქით, მას შევუქცევივარ). ხშირად ვსტუმრებივარ, გვისვამს ცხელი ჩაი, იაკობის შვილიშვილს თერმოსით რომ შემოჰქონდა, და თბილ ღუმელთან საუბარში დაგვთენებია.

იაკობთან შეხვედრა ყოველთვის მამშვიდებს და სიმხნეს მმატებს. კი, ახლავე წავალ.

ღამის მატარებლით მიმავალი ხალხი აფუსფუსდა. ბაქნისაკენ მიიჩქაროდნენ. ერთი ნაცნობი შემეფეთა...

თითქმის ერთი ხნისანი ვართ. თუმცა ის უფრო ახალგაზრდად გამოიყურება. მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, ხელში დიდი ჩემოდანი უჭირავს (ალბათ მძიმე იქნება). თავაზიანი ღიმილით წინ გაატარა თანამგზავრი, ახალგაზრდა ქალი. მაშინ იყო, ერთმანეთს რომ შეხვდნენ ჩვენი თვალები. მზერა ამარიდა. ვითომც ვერ შემამჩნია. ლამაზ თანამგზავრს გაუღიმა. იმან კიდევ რაღაც გადაულაპარაკა და ორივენი ბრბოს შეერივნენ.

ახლა ერთი საუბარი გამახსენდა.

— გეყოფა, რუბენ! სწორედ შენ, შენ და არა სხვამ!.. დოქტორ კარიკის უახლოესი კაცი იყავი. მისი ესეების თავმოყრა და შედგენაც შენ უნდა ითავო. აბა როგორ!

რა თქმა უნდა, ღიმილს მგვრის ეს სიტყვები.

„სწორედ შენ და არა სხვამ! დოქტორ კარიკის უახლოესი კაცი იყავი", — გამოვაჯავრე მე. თან მისი ხმის სრულ იმიტაციას შევეცადე. — ტიიტ, კი, მაგრამ შენ არ იყავი, „ლოომინგისათვის" სტატია რომ დამიკვეთე... კოსმოპოლიტიზმი ესტონურ ლიტერატურაში, ჰა?

— კი, მე ვიყავი, მერე? ახლა რა ვქნათ? მით უმეტეს, ამ საკითხზე ჯერ კიდევ მწერალთა კავშირში გამოხვედი...

— მართალი ხარ.

— მეც ასე ვფიქრობ. ჰოდა, შენი შეცდომა შენვე უნდა გამოასწორო!

გზა გავაგრძელე. მან ციყვის ბეწვისაგან შეკერილი ქუდი გაისწორა. ძალზე შვენოდა ეს ქუდი. ან იქნებ არც შვენოდა... ჩვენ ხომ ადამიანები მუდამ ისეთები გვეჩვენებიან, როგორიც გვინდა, რომ იყვნენ.

ტიიტი — ეს ფაქიზი და სოლიდური კაცი, ტიიტი, ყოველთვის ყველაფერს რომ მიხვდება. ტიიტი, რომელიც ბრასდროს ცდება, ხოლო თუ შეცდა, ამ შეცდომას დროულადვე გამოასწორებს.

— შენი თაოსნობით ახლახან, მგონი, მემორიალი გაიხსნა. თუ არ ვცდები, კომელის, არა?

— ჰო, კომელის. მისი სახლის ფასადზე მარმარილოს მემორიალური დაფა დაკიდეთ. შენ ხომ იცი, რუბენ, ამ დაფის გაკვრით რა ტვირთი მოვიცილეთ? მერე რამდენ ხანს ვათრიე ეს ტვირთი...

— ახლა გათავისუფლდი? კიდევ კარგი.

— ჰო, ჩვენი შეცდომები ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ. მეტი წილი შეცდომებისა გამოვისყიდე. ის ხალხი, ოდესღაც რომ... ახლა ისევ მწერალთა კავშირის წევრებად ითვლებიან, პენსიას იღებენ...

— როგორ გგონია, ტუგლასს დიდად ეამებოდა, ჯერ რომ გარიცხეთ, ახლა კი ისევ მიიღეთ კავშირში...

— აი, ასეთი მოშხამული ენა გაქვს,რუბენ! შენი აზრით, რა? შეცდომის გასწორებას არ უნდა ცდილობდე, თუ როგორ? არა, თუ შეგიძლია რაიმე გვირჩიო, — გვირჩიე.

— არ შემიძლია... მართლა არ შემიძლია.

რა მონდომებული ლაპარაკობს, რას ცდილობს! სწორედ იმ მასწავლებელსა ჰგავს, ბავშვთა გამომასწორებელ კოლონიაში ჭკუის დამრიგებლად რომ არის გამწესებული.

— კარიკზე ადრეც მილაპარაკნია. ჰო, მწერალთა კავშირში. მე დავიწყე, შენ კი გააგრძელე: „რაკი მოსწავლეებიც მის წინააღმდეგ გამოდიან, განა ყველაფერი ნათელი არ უნდა იყოს?..“ ასე არ იყო?

— რუბენ, შენთან საუბარი პირდაპირ აუტანელია.

— გეთანხმები.

— ნუთუ სხვანაირად არ შეგიძლია?

— არა, და იცი, რატომ? ტრიბუნაზე ასვლა აქედანვე გულს მირევს, იქნება ტირილიც მომინდეს. არსებობს გამოუსწორებელი შეცდომები. კარიკი მკვდარია, მკვდარი. გესმის? ვინ არის დამნაშავე? შეიძლება კი ამ შეცდომის გამოსწორება? — ხმა ამიკანკალდა, გული არ ამრევია, მაგრამ საცა იყო ავტირდებოდი.

— იცი, რა იქნებოდა უდიდესი საშინელება? ცოცხალი რომ იყოს, ალბათ, საიუბილეო მაგიდასთან მის გვერდით ჯდომა მომიწევდა, თანაც მისგან ხელმარჯვნივ.

— დამშვიდდი, რუბენ! — ტიიტმა მხარზე ხელი დამადო. მოთმინება გამიწყდა. იმიტომ კი არა, რომ იგი ჩემზე მაღალია, უფრო იმიტომ, რომ ტიიტი ზოგიერთ რამეში ნამდვილად მართალია. იგი მუდამ ერთ რაღაცაშია ხოლმე მართალი.

კვლავ მივაბიჯებდით. ტიიტის ხელი ჯერაც მხარზე მედო... ჩემს მორჩილებაში იყო რაღაც მაზოჰისტური, დამამცირებელი და სასიამოვნოც.

— რატომ არ გინდა, იმკურნალო, რუბენ? ბევრსა სვამ... თანაც, ისე გიმკურნალებენ. კაცი ვერ გაიგებს.

ვგრძნობდი, აღარ შემეძლო დუმილი, მზად ვიყავი, ბინძურად, უხეშად, ვულგარულად მეპასუხა... ოღონდაც მისი საოცარი სიმშვიდე და წონასწორობა დამერღვია.

— ტიიტ!

— გისმენ, რუბენ! — მის ხმაში თანაგრძნობა ჭვიოდა. ახლა კი მოვიცილე მხარზე ჩამოდებული ხელი. ფული კი მქონდა, მაგრამ მაინც ღვარძლიანად მივუგდე სიტყვა:

— შენ, იცი. რას გეტყვი, ძმობილო. ამ ლაყბობას ისა სჯობს, ხუთმანეთიანი გადმომიგდო, წარსულის მოსაგონარს მაინც დავლევდი.

ახლა ტიიტი ლამაზ თანამგზავრთან ერთად მიაბიჯებს მოხდენილად. ყოჩაღ! ამ ქალს კარგი გემოვნება ჰქონია! აბა, ჩემგან რა ხეირს უნდა მოელოდეს. მაინც რა ეშმაკი მემართება? ნუთუ სხვაზე მეტად ცოდვილი ვარ? მარტო მე რად უნდა ვიცრემლებოდე, სხვები კი?..

რაული, — ჰმ!, ეს ინფანტილური არსება! გულის ტკივილი რაა, არ იცის. ის ისეთი მირონცხებულია. რომელსაც სწამს, რომ საზიარებო სეფისკვერი ჭეშმარიტად ნაწილია უფლისა, მაგრამ თუ უბრძანეს, თვალებდაუხამხამებლად გადასანსლავს.

ალექსანდრე ხომ ზნედაცემულია, მაგრამ განათლება არა აქვს, და რა ქნას? კარისკაცები კარგ ფულს აკეთებენ!

ცოტა ღვარძლიანად და მოშურნედ მიტომ მიყურებს, რომ ლიტერატურაში ფეხი ვერ შედგა.

ტიიტი? — ტიიტი მაღლა-მაღლა მიიწევს, ჭკვიანი კაცია, შეცდომებს ასწორებს. დამთმენიცაა შეძლებისდაგვარად, ალბათ, უკვე მემუარებსაც წერს. დარწმუნებული ვარ, კარგადაც დაწერს.

მე? — შესაძლებელია ლოთი ვარ და სხვა არაფერი. პარდონ! მხოლოდ ისეთი, ლოთობის ინტელექტუალურ მიზეზს რომ ჩაეძიება. შესაძლებელია, მხოლოდ...

მშენებლობის უბნის ეზოში ბნელა. ფიცრები და ქვებია დახორებული. საწყობის კარი შევაღე. მეორე საგდული ოდნავ მოღიავებულიყო, სინათლის შუქი გამოკრთოდა. ძია იაკობი არ ჩანდა. ღუმელთან მარტოკა იჯდა მისი შვილიშვილი ლეა. უკან გამობრუნება დავაპირე, მაგრამ მიმიზიდა შუქმა და სითბომ. მიმიზიდა და შემაჩერა. გვერდით ყუთები შევნიშნე და ჩამოვჯექი. ცივი ღამეა. ქუჩაში გასვლა არ მინდა. ვზივარ და ლეას შევცქერი. მგონი, გაკვეთილებს ამზადებს. ლამაზი გოგონაა. შევთბი. ლეა წამოდგა, წიგნი გადადო და კარისაკენ გაემართა, მერე უკანვე გამობრუნდა და დაიწყო:

— „გული. გულის აგებულება. გული მდებარეობს გულ-მკერდის ღრუში. მარცხენა მხარეს; გული კონუსური ფორმისაა, გარედან შემოსილია ქსოვილოვანი, მტკიცე გულის პერანგით...“ შევყურებ მის მკვრივ ფეხებს, დაძველებულ ფეხსაცმელებს და ვფიქრობ, ლეასაც ხომ გული აქვს, კონუსისებური გული. ნეტავ, რატომ არ ამბობენ, გული გულსა ჰგავსო. ალბათ, არ შეიძლება. ყველას გვაქვს გული... ჩვენი გულები თავ-თავიანთ საქმეს აკეთებენ ცალ-ცალკე. მერე მოვა ვიღაც ბიჭი, ისიც კონუსური გულის პატრონი, შენს გულს რომ შეიყვარებს, ლეა, და დაგიკოცნის მაგ ტუჩებს, სიცივიდან მოსულ ხანდაზმულ კაცს გულის თაობაზე რომ ეტიტინება...

მეც მაქვს გული, ხნიერი გული! მისი ქსოვილოვანი პერანგი ისე შესქელებულია, ბევრი რამ ვეღარც შეაღწევს. ალაგ-ალაგ კი, პირიქით, ისეა გაცრეცილი, რომ გულის კარს უღებს ათასნაირ ზედმეტობას. ისევ გავთბი და დავმშვიდდი, ძილიც მომერია, მეჩვენა, თითქოს ლეა საწყობს კი არა, მე მდარაჯობს. კარგია, თუ იცი, რომ გდარაჯობენ.

გული... გული გვაცოცხლებს, იგი ჩვენთვის მუშაობს. არც თვალები აქვს, არც გონება, არც უწყის, ვინაა მისი მფლობელი... ერთთავად ფეთქავს, დღენიადაგ ტუმბავს სისხლსა და, როგორც მოეპრიანება, ისე დაარბენინებს ჩვენს სისხლძარღვებში...

გულს არც სინდისი გააჩნია.

გული უგულოა!

ლეა ისევ გაემართა კარისკენ.

— „პულსი. იქ, სადაც მსხვილი არტერიები სხეულის ზედაპირს ერწყმის, მაგალითად, მაჯის შიდა მხარეს, საფეთქლებთან, კისრის ორთავ მხარეს, პულსის ბიძგები მოისინჯება. პულსის ტალღა არტერიებში ვრცელდება წამში ათი მეტრის სიჩქარით... მოძებნეთ პულსი მაჯასა და საფეთქელზე“.

ლეა ჯერ მაჯაზე ეძებს პულსს. ჩემდაუნებურად მეც ვბაძავ. ორი ადამია-

ნი. ორივე გულს უსმენს. ჩვენ ვცოცხლობთ! მე შენზე ადრე წავალ, ლეა. შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო, კიდევ ბევრი კონუსისებური პატარა გული უნდა შობო, ლეა! აამეტყველო ახალი და ახალი სახეები კაცისა, რადგან...

გაბრწყინდებიან სახეები წამით, რომ კვლავაც
ეკალმუხების შავ ჩრდილებში გაუჩინარდნენ.

ახლა მე და ლეა საფეთქელზე ვეძებთ პულსს. გასაკვირიც არაა, თუ მასზე ჩქარა ვპოულობ, მე ხომ ხშირად, ძალიან ხშირად ვმჯდარვარ ხელისგულებში თავჩარგული...

ლეამ ანატომიის სახელმძღვანელო დახურა. ახლა კი იცის გულის ასავალ-დასავალი. საკმარისად, რამდენადაც მოეთხოვება. ყუთზე მოვკალათდი და კედელს მივეყრდენი.

დილის შვიდ საათზე გამეღვიძა. ლეას მაგიდასთან ჩასძინებია. იატაკზე გდია სახელმძღვანელო, შიგ რომ ამდენი რამ წერია გულზე.

უჩუმრად გავედი გარეთ, ღრუბლიანი ამინდია, ქარია. ისევ ცრის, სუსხიანი დილაა. მაღაზიასთან რძის ყვითელი მანქანა ჩერდება. კიდევ ერთი საათი მომიწევს ლოდინი. ლუდი მხოლოდ რვა საათზე იქნება.

საიდანღაც რეპროდუქტორის ხმა ისმის. ომისდროინდელი, ნაცნობი სიმღერაა:

„მომაგონდება ჩემი ქალაქის
ზაფხულის ღამე და სიყვარული...“

ზაფხულის ღამეა. წაბლის ყვავილობა, თივის სურნელი, თეთრი კაბების შრიალი... კიდევ ნახევარი საათი. საზიზღარი ვარ, საზიზღარია ქალაქიც... თქვენ არ იცით, როგორ მიყვარს იგი, ჩემი ქალაქი... რატუშის მოედანი, კულასეპის ქუჩა. „ქიმწმენდის“ სახელოსნოსთან ნაცნობი ახალგაზრდა წამომეწია. ხელში უშველებელი პორტფელი ეჭირა. ინდრეკ ლეჰისი? მგონი შევკრთი. ნეტავი თუ დამინახა? ალბათ, არა. იქვე შევუხვიე. ნუთუ მართლა მეშინია მისი?

დავიღალე. შესაძლოა კი, ამ დაღლილობისაგან რომ განვიკურნო? არ ვიცი. მხოლოდ ეს ვიცი, საცაა ლუდის ბარი გაიღება. რიგში ჩავდგები და შიშნარევი ხმით ვეტყვი ჩასუქებულ ლუდის გამყიდველს:

— ორი ლუდი...



კვერცხები ჩინურად

1.

„დღეს კარგი დღე იყო...“ — ჩავწერე ჩემს ყავისფერყდიან საერთო რვეულში.

დიახ კარგი დღე იყო. ჩემს სანახავად არავინ არ მოსულა... აგნესის სამშობიაროში წაყვანა ნასადილევს შემატყობინეს. თუმცა რაღა შეტყობინება მინდოდა, რაკი სანახავად არ მოვიდა, მიზეზიც ეგ უნდა ყოფილიყო. მშობიარობა უმძიმესი რამაა!.. ამიტომ ორ კვირაზე ადრე ცოლის ნახვა ალბათ არ მომიწევს.

გასულ სამშაბათს აგნესმა თითქმის სამი საათი დაჰყო ჩემთან. ძალიან დიდი მუცელი ჰქონდა. მძიმედ სუნთქავდა. წამდაუწუმ ოფლიანდებოდა. მისი მშვენიერი მუქი თმა, რომელშიც სულ რაღაც სამი მეოთხედი წლის წინ ვნებიანად დავაცურებდი თითებს, ახლა ცხიმმორეული და გაუხეშებული მეჩვენებოდა. პარკში ვისხედით. სწორედ იმ ვერხვის ძირში, რომელიც რაღაცნაირ მომწარო სურნელს აფრქვევდა და ყოველ წუთს ჩემს კიბოს მახსენებდა. ერთთავად საზარდულის ქავილიც რომ ამიტყდა! არადა, მოსეირნე ხალხის თვალწინ ხომ არ დავიწყებდი ქექვას! ყველაზე ძნელი კი მაინც ის იყო, რომ ენაგაუჩერებლად უნდა მელაქლაქა და ისეთი სახეც მქონოდა, ანგესს რომ მოუვიდოდა თვალში.

ბოლო დღეებში აგნესს პირდაპირ დასკდომაზე ჰქონდა ძუძუები. რაც გაოფლილ და დავიწროებულ კოფთაში კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა, როგორც კი მზერა დაიჭირა, თავი მორცხვად დახარა და ხელის ოდნავი მოკერისთანავე მოთეთრო სითხე გადმომდისო, მიჩურჩულა.

— ბიჭის საჭმელი უკვე მზადაა! — ამაყად წარმოთქვა აგნესმა და ახლა იმის გაგებას ლამობდა, რამდენად ნასიამოვნები დავრჩი მე ამ განცხადებით...

უხერხულად შევიშმუშნე, რადგან სწორედ ამ დროს იაანიკამ ჩაგვიარა და ჩვენკენ მოიხედა. ძალიან კარგია-მეთქი, ნირწამხდარი ავლუღლუღდი. რამხელა ბედნიერებაა, რაღაცას მაინც რომ დატოვებ ამ ქვეყანაზე-მეთქი, ესეც დავუმატე. აგნესს ჩემი პასუხი თითქოს მოეწონა. თუმცა იქვე შეეცადა და-

ვერწმუნებინე, რომ სიკვდილზე ფიქრის უფლება საერთოდ არა მაქვს, რომ დღითიდღე უკეთ გამოვიყურები და ა. შ.

მალე შენს სანახავად ორივე ერთად მოვალთო, შემომღიმა აგნესმა მცირე ხნის შემდეგ. უსაზღვრო ბედნიერების მოლოდინი გამოსჭვიოდა მის თვალებში. განსაკუთრებით „ორივეს“ წარმოთქმისას გადაურბინა სახეზე ღვთაებრივმა ნათელმა... და სწორედ მაშინ იყო, გარიყულად რომ წარმოვიდგინე თავი. არადა, როცა ქალები მსგავს სიტყვებს წარმოთქვამენ და თანაც აი ასე შემოგცქერიან, სხვა რაღა დაგრჩენია კაცს, თუ არა ის, რომ თავი მიუსაფრად და ეულად წარმოიდგინო. მართლაცდა, რას უნდა წარმოადგენდეს საბრალო კაცი მადონას თვალთა წინარე! იქნებ ამიტომაცაა, რომ ანტიკვარულ სურათებში მადონას მზერა ყოველთვის შორეულ სივრცეშია მიქცეული... სადღაც იქით, სადაც პარალელური ხაზებიც კი გადაკვეთენ ერთმანეთს... ხოლო მის მწყარალ სახეს მამაკაცის მიმართ გულგრილი უთანაზიარობის ისეთი ბეჭედი აზის, რომ სულიწმინდისაგან დაორსულების შესაძლებლობასაც ადვილად ირწმუნებ კაცი. აგნესიც ასეთი თვალებით შემომცქეროდა, უფრო სწორად, სადღაც შორს, ჩემს თავზემოთ იყურებოდა და ამის გამო იყო, რომ ტანში ცივი ჟრუანტელი მივლიდა.

დღეს ნამდვილად შესანიშნავი დღე იყო. მხოლოდ ერთხელ მქონდა გულისრევა... საღამო ხანს კი სასეირნოდაც განვეწყვე და პარკის ბოლომდე, ანუ საბოსტნე კვლებამდე ჩავედი. აქ, სასუქის გროვაზე წამოკოტრიალებული უზარმაზარი გოგრა მეგულებოდა...

ლურსმნების ძველ ყუთზე ვიჯექი და პარკში ჩამოწოლილ დუმილს ვაყურადებდი. მსუყედ და ნოტიოდ ჩაშავებულ სასუქს ისეთი ტკბილ-მწარე ოხშივარი ასდიოდა, რომელიც არათუ მაღიზიანებდა — პირიქით, სასიამოვნოდაც კი მაბრუებდა. მიწის სურნელი დალოცოს ღმერთმა! კი, რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, კრემაციას რომ ირჩევენ, მაგრამ მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი... ჯერ ერთი, დათანხმდე დაგწვან, ეს იმას ნიშნავს, გვერდი აუარო რაღაც მთავარს!.. ესეც არ იყოს, განა შეურაცხმყოფელი არაა, როდესაც იცი, რომ ფერფლის სრული ინდიფერენტირება შემწვარ-მოხრაკულის ყველა სტადიის გავლით მიიღწევა!

ლურსმნების ყუთზე ჯდომისას თავში ფრიად საინტერესო აზრები მომდიოდა. მაგალითად, სასუქზე მხართეძოზე წამოწოლილ გოგრის თვალთვალში აღმოვაჩინე, რომ გოგრაშიც შეიძლება იყოს მადონასეული ნეტარი სიმშვიდე. ეს დარბაისლურად მოყვითალო და სტოიკური გოგრაც ხომ მთლიანად საკუთარ თავშია დანთქმული... იქვე, სასუქის გროვაზე ბაიას ბუჩქიც იზრდებოდა, მაგრამ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე, რატომღაც მთლიანად დაჩიავებულიყო. ნამდვილად ვირთხების ბრალი იქნებოდა, გემრიელი სასუსნავის ძებნაში თუ გამოუთხარეს ფესვები საბრალო ბაიას! მართალია, მისი ყვავილები გოგრაზე უფრო ყვითლად ღაღანებდნენ, მაგრამ უცნაურიც სწორედ ის იყო, რომ გოგრას უფრო თავდაჯერებულად ყვითელი ფერი ჰქონდა. ბაიას წყალწყალა — ყვითელი ყვავილები კი ნაძალადევად თავსმოხვეულს ჰგავდნენ... და მე სრულიად მოულოდნელად გამახსენდა იმბი! ჩემი ბავშვობის მეგობარი, მოუქნელი, თხუპნია, წვირიანი იმბი, ფრჩხილებს რომ ერთთავად კბილებით იკვნეტდა... საბრალო იმბი ხომ ყოველ კლასში ორჯერ რჩებოდა, ხოლო სასკოლო

ცეკვებზე სულ მუდამ კედელზე იყო აწებებული... სამაგიეროდ, თხუთმეტი წლისაც არ იყო. ლუდხანების ახლომახლო რომ დაიწყო წანწალი... ახლა მგონი იმასაც მივხვდი, რატომ უკავშირებენ ყვითელ ფერს უზნეობას!..

ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ დიდი სიამოვნება მომგვარა... ღმერთო ჩემო, საავადმყოფოში მოხვედრამდე ამისთანა რამეებზე არასოდეს მიფიქრია!

აი, ასე ვიჯექი ლურსმნების ძველ ყუთზე და ბაიას ბიწიერ შეფერილობაზე ვფიქრობდი. ახლა იმასაც ვხვდებოდი, რომ ყველაფერი ეს: ბაია, გოგრა, სასუქი და სხვ. მთლიანობაში ქმნიან ერთ ფერად კომპოზიციას... -- სხვათაშორის, ამ მხატვრულ კომპოზიციაში მშვენივრად იკითხებოდა მაძღრად-წითელი ჩამავალი მზეც, რომელიც ეს წუთია მკრთალად ელაციცებოდა ჩაშაკებული სასუქის გროვას... ყველაფერში სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა იგრძნობოდა.

მაგრამ, აი მზე ჩაესვენა და ბაიამაც მორცხვად დახარა თავი. შორეულმა ხმებმა უფრო გამოკვეთილად შემოაღწიეს ფიცრულ ღობეში. მეგარმონე რომელიღაც რუსულ მელოდიას აჭყლოპინებდა. ეს, რა თქმა უნდა, რკინიგზის მიწაყრილთან მოკალათებული კაცები იყვნენ, რომლებიც საღამოობით ლუდის საწრუპავად იკრიბებოდნენ აქ. საიდანღაც ბურთის ტყაპატყუპი და მოსახვევში ტრამვაის ღრჭიალი მოისმოდა. ახლა ჯაბახანა ტრამვაი და ჩემი თანამოქალაქენიც წარმოვიდგინე. აი, ისინი თავიანთი სახლებისაკენ მიიჩქარიან... ხელჩანთებში რძის ბოთლები და ფარშიანი ხორცი უწყვიათ... საღამოს გაზეთებში თავჩარგულნი მოსახვევში აღრჭიალებულ ტრამვაიში სხედან და მსოფლიოში მომხდარ ამბებს ეცნობიან.

საგრძნობლად აცივდა.

წამოვდექი და საავადმყოფოსაკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. ბილიკი მუხლამდე წამობიბინებულ ჭინჭარში გადიოდა, ამიტომ ფრთხილად უნდა მევლო. სხვებთან შედარებით, ჭინჭარი ყოველთვის მეტისმეტად ცივ მცენარედ მეჩვენებოდა. არადა, რომ გეკითხათ, რატომო — ვერაფერს გიპასუხებდით. ახლა მხოლოდ იმასღა ვცდილობდი, ფეხები არ დამესუსხა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საზიზღარი ჭინჭარი საავადმყოფოს თხელ შარვალშიც გაატანდა.

წამით შევჩერდი. ხეივნის ბოლოში უზარმაზარი, თეთრი სვეტებით დამშვენებული ჩვენი საავადმყოფოს შენობა ჩანდა. რამდენიმე პალატაში უკვე აენთოთ შუქი. სამზარეულოდან ჭურჭლის წკარუნი ისმოდა. ჩვენი საავადმყოფო დღეს უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სწორედ რომ სიზმარში ნანახ ზღაპრულ ნაგებობას ჰგავდა. უკანასკნელ გაჩერებასაც მაგონებდა რაღაცით... დიდხანს ვიდექი და თეთრსვეტებიან საავადმყოფოს შიშნარევი გულაჩუყებით მივჩერებოდი... ეს ვეებერთელა ნაგებობა ახლა ჩემი სახლი იყო.

2.

საავადმყოფოს კიბეზე სწორედ ის კაცი შემეჩეხა, რომელსაც დღემდე ვერ გამიგია, ლეო ჰქვია თუ ლეოპოლდი, თუმცა ჩემთვის, გუნებაში კარგა ხანია ლეოპოლდად მყავს მონათლული. ლეოპოლდს ცალ ხელში სახატავი ქაღალდები, ხოლო მეორეში საღებავების კოლოფი და ცარიელი ქილა ეჭირა.

ლეოპოლდი თვითნასწავლი მხატვარია (რა სულელური გამოთქმაა, არა?) მთელ დღეებს აკვარელით ხატვაში ატარებს. ახლაც ხატვისაგან არაქათგამოცლილი ჩანდა. რაიმე ახალ მოტივს მიაგენით თუ ისევ ძველ ადგილზე ვარჯიშობთ-მეთქი, ვკითხე ლეოპოლდს. ამ კითხვით იმიტომ მივმართე, რათა მის მიერ აკვიატებული საცხედრის ნაცვლად როგორმე სასუქის გროვით დამეინტერესებინა. ხატვის ნიჭი არ დამყვა, თორემ მე თვითონ დავხატავდი... ისევ იქ და იმასვე ვხატავდიო, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა სიტყვა „ვარჯიშით" აშკარად გაღიზიანებულმა ლეოპოლდმა.

საავადმყოფოში, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ არავითარი კიბო ლეოპოლდს არა აქვს. თვითონ კი, მაინც პირიქითაა დარწმუნებული და ალბათ ვერც ვერავინ გადაარწმუნებს. ექიმებს, მაგალითად, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათი ავადმყოფები ოპერაციაზე გაყვანის წინ საათს ინიშნავენ. ვთქვათ, ოპერაციამ გასტანა ერთ, ორ ანდა სულაც სამ საათს, ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმებმა რაღაც გააკეთეს: ე. ი. გამოჯანმრთელების იმედი უნდა ვიქონიოთ. ლეოპოლდის ოპერაცია ორმოცდახუთ წუთზე დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით, რომ ასე სწრაფად მხოლოდ იმ შემთხვევაში მთავრდება ოპერაცია, როცა კიბოს ამოკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელია... ანდა მაშინ, როცა საერთოდ არაა მისი ნასახი ორგანიზმში. სამწუხაროდ, მეორე ვარიანტი თითქმის გამორიცხულია, რადგან ათიდან ცხრა შემთხვევაში ნაირ-ნაირი გასტრო-ცისტო-სკოპიები საკმაოდ ზუსტ პასუხს იძლევიან. მართალია, ლეოპოლდს ბედმა გაუღიმა და უმნიშვნელო შეხორცებების მეტი არაფერი აღმოაჩნდა. თავისაზე მაინც ჯიუტად დგას და საიქიოში წამსვლელთა ნომერ პირველ კანდიდატად წარმოუდგენია თავი.

ის, რომ ლეოპოლდი ყოველდღე საცხედრეს ხატავს, ავადმყოფთა უმრავლესობას კარგა ხანია ბავშვურ ახირებად მიაჩნია და ჩუმჩუმად ქირქილებენ კიდეც ისე, კაცმა რომ თქვას, საინტერესო კია, მართლა რომ გაწყრომოდა ღმერთი და მუცელში კიბო აღმოჩენოდა. ეს ახირება ვითომ ნაკლებ ბალღური იქნებოდა? აგერ, თუნდაც პეეტერის სრულიად საწინააღმდეგო. დამოკიდებულება ავიღოთ საკუთარი სიკვდილის მიმართ — რით აჯობებდა ვითომ სხვებისას! პეეტერი, რომელსაც მე აქ დავუახლოვდი, ერთი თვის წინ გარდაიცვალა. მასზე სხვა დროს მოგიყვებით.

ლეოპოლდის გაბრაზება, რა თქმა უნდა, სულ არ მიფიქრია, ამიტომ ავდექი და, შენს რომელიმე ნამუშევარს ხომ ვერ მაჩუქებდი-მეთქი, ვკითხე. არაო — ცივად მომიგო. ჩემი ნამუშევრები მე თვითონ მჭირდებაო, ღმერთია მოწამე, ლეოპოლდის მტრობა გულში არა მქონია! მისი ნაცოდვილარი კი გახვრეტილ გროშადაც არ მიღირდა, ამიტომ ყველა უფლება მქონდა ამჯერად მე თვითონ გავნაწყენებულიყავი. გადავწყვიტე მეტი არაფერი მეკითხა და ნაბიჯს ავუჩქარე. დერეფნის ბოლოში რომ გავედი, ვერ მოითმინა და დამიძახა. შევჩერდი. აღელვებული ლეოპოლდი მომიახლოვდა და ბავშვივით დარცხვენილმა განმიცხადა, თუკი მართლა მოგწონს ჩემი მხატვრობა, სიამოვნებით გაჩუქებ რომელიც გინდა ნამუშევარსო...

— ვიცი როგორ გიყვართ და გესმით ხელოვნება, — მითხრა მან და მთხოვა მეორე დილითვე ვწვეოდი, რათა ჩემი გემოვნებით შემერჩია ნებისმიერი

ნახატი. ლეოპოლდი ფეხიდან ფეხზე ირწეოდა და თავის შეშუპებელ, უწამწამო თვალებს ახამხამებდა. აუცილებლად გეახლებით-მეთქი, დაკბრიდი.

3.

სამი თვეა ამ საავადმყოფოში ვწევარ. რვეულში ჩაწერა კი სულ ახლახან დავიწყე. ხომ არიან ადამიანები, სამოგზაურო ჩანაწერებზე რომ მუშაობენ მთელი გატაცებით. ბოლოს და ბოლოს, არც ჩემი მოგზაურობა ჩამოუვარდება რომელიღაც შვეიცარიაში, ახლო აღმოსავლეთში თუ ცეცხლოვან მიწაზე მოგზაურობას. ეს მოსაზრება ცოტა არ იყოს ბაქიაობას კი ჰგავს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, არც ჰეშმარიტებისაგან უნდა იდგეს მეტისმეტად შორს.

აი, ახლაც კბილარ და ჩემს დღიურებს ვათვალიერებ. ჩემდა უნებურად რვეულს შუა გვერდებზე ვშლი და იმის გამოცნობას ვცდილობ, რომელი მათგანის შევსება მომიწევს უკანასკნელად! ერთ მშვენიერ დღეს, როცა დღიურების წერის თავი არ მექნება (ასეთი დღე კი აუცილებლად დადგება!), ავდგები და ყველა ჩანაწერს თავიდან ბოლომდე გადავიკითხავ. წინასწარ ვგრძნობ, რა საინტერესოც იქნება! მაშ ასე. — გავიფიქრებ მაშინ მე. — თავიდან (ე. ი. ახლა) არც კი მეგონა, თუ სწორედ ამ გვერდამდე ვიცოცხლებდი, თუ სწორედ ამ გზას გავიარ... მექნებოდა აი ეს შეგრძნებები და ა. შ. ჰეშმარიტად დიდი ბედნიერებაა იმ საქმის დაწყება, რომლის დამთავრებაც აუცილებელი არ არის! თუმცა საკუთარ თავს თუ გამოვუტყდები, გარკვეული დასასრული ალბათ მაინც მოხდება ჩემს ცხოვრებაში...

ჩანაწერების იდეა ყავისფერი რვეულიდან იღებდა სათავეს.

კვირაში ერთხელ, ჩვენს მთავარ დერეფანში სახელდახელო პატარა ჯიხური მუშაობს ხოლმე, აქ ძირითადად საკანცელარიო ნივთებსა და წიგნებს ყიდულობენ ავადმყოფები. წიგნები, რა თქმა უნდა, მე არ მაინტერესებს, რადგან საკუთარიც ბლომადა მაქვს, მაგრამ ის ყავისფერყდიანი საერთო რვეული, რაც მართალია მართალია, თავიდანვე ძალიან მომივიდა თვალში. მეც სწორედ იმ რვეულის ყიდვა გადავწყვიტე. მაგრამ დეიდა ვიქტორიამ მის ნაცვლად მაინცდამაინც ლურჯყდიანი გამომიწოდა.

— არა, არა... ეგ არ მინდა! —.კატეგორიული უარი განვუცხადე მე და თაროზე შემოდებულ იმ ბრინჯაოსფერსა თუ მოყავისფრო რვეულს დავწვდი, რომელიც ამ წუთას ჩემს მაგიდაზე დევს. ადისონის ავადმყოფობას ზოგჯერ ბრინჯაოს ავადმყოფობასაც უწოდებენ. ეს რვეულის ყდა და ჩემი ხელისგულები თითქმის ერთი ფერისაა. ნუთუ მართლა ვერ ამჩნევთ, ყავისფერი უფრო რომ მესადაგება-მეთქი, ვკითხე. .რვეულების შერჩევისას დეიდა ვიქტორიას. ჩემს გადაკრულ ნათქვამს აბა ის რას ჩასწვდებოდა, ამიტომ იძულებული გავხდი პირდაპირი მნიშვნელობით განმემარტა დეიდა ვიქტორიასათვის ფერების საიდუმლო... ჩაბეჭირდა, მაგრამ რა ჩაბეჭირდა ვიქტორია! უფრო სწორად, მისი დიდრონი, წითლად მოღაღაქე ლოყები იცინოდნენ. ლურჯი თვალები და ზომაზე მეტად მოკუმული ვარდისფერი ტუჩების პაწაწინა ელიფსი ბუნჩულა, გორაკებივით ამოზიდულ ლოყებს შორის ყვინთაობდნენ! ვიქტორია გულიანად ხითხითებდა, და მე ვიგრძენი, რა გასაჭირიც ადგათ ამ თონთლოდ დაბერილ სახეზე მის თვალებს. ცოტაც და, თითქოს ეს ორი, ნახევრად დამშრალი ცისფერი ტბა მოძაგძაგე ლოყებში უკვალოდ უნდა ჩაქცეულიყო.

აი, ასე ხმამაღლა, ასე აშკარად დამცინოდა დეიდა ვიქტორია და საავადმყოფოს ეთიკის მიხედვით, თქმა არ უნდა, საექიმო პერსონალის უმკაცრეს სასჯელს იმსახურებდა. მე კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარ სიამოვნებასაც კი მგვრიდა მისი სიცილი... დეიდა ვიქტორია ხომ ჩემს ავადმყოფობას დასცინოდა! უფრო მეტიც! სინამდვილეში იგი ადისონის ავადმყოფობის ყავისფერ მუნდირს შეურაცხყოფდა. კიდევ რამდენიმე თვეც და, როგორც კი ჩემს საბოლოო სამყოფელში, ანუ ლეოპოლდის მუზის ობიექტად ქცეულ აგურით ნაშენებ დაბალ სახლში გადამიტანენ და რამდენიმე ხნით დეიდა ვიქტორიას განკარგულებაში დამტოვებენ (სხვათა შორის, აგნესს სამიდან ხუთ მანეთამდე დაუჯდება ეს სიამოვნება!) იგი უსათუოდ გაიხსენებს ჩემს ენაკვიმატობას... თანაც, მე ხომ ვიცი, რომ იმ დროისათვის, როცა მის წინაშე თუთიის მაგიდაზე დედიშობილას შემომდებენ, ბევრად უფრო გაყავისფერებული ვიქნები...

„დიდი ხუმარა ვინმე კი იყო!..“ — აუცილებლად აღმოხდება დეიდა ვიქტორიას, თუ, რასაკვირველია, ჩემს მაზოხისტურ გამოხტომებს გაიხსენებს და თავისი ზორბა, ქონმორეული ხელებით ჩემს გაპატიოსნებას შეუდგება! „დიდი ხუმარა“! — აი, ერთადერთი წოდება, რომელიც უთუოდ გარკვეულ უპირატესობას მომანიჭებს თუთიის მაგიდაზე შემოწყობილ ჩემს უტყვ მეზობელთა შორის.

საავადმყოფოს მუშაკებს ჰგონიათ, თითქოს ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს დეიდა ვიქტორიას ძირითადი თანამდებობის შესახებ... ავადმყოფებმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცით და არც არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მისი საქმიანობის მიმართ. ამიტომ საკანცელარიო საქონელსაც დიდი სიამოვნებით ვუსაღებთ.

4.

პაწაწინა, საკმაოდ ნაპატივებ კუსმაგვარ ხოჭოებს მუქი სპილენძისფერი ედოთ. ფორმით ისინი საჰაერო ბალიშებზე აწყობილ ავტომობილებსაც ჰგავდნენ. აი, ისეთებს, უცხოურ ჟურნალებში რომ შეხვდებით ხოლმე. ხოჭოები ბაღლინჯოსავით ზანტად დაბობღავდნენ და ყველაზე მეტად ჭარხლის ძირებს ეტანებოდნენ.

ჩვენც ავდექით და ახალი ქიმიური შენაერთით გაჟღენთილი ბამბისა და დოლბანდის ნაჭრები საგანგებო კონუსურ კოლბებში ჩავტენეთ, მერე ეს კოლბები კვლებსა და კვლებს შორის სანახევროდ დავფალით და მათში ჩამონტაჟებული პაწაწინა ნათურები დენის მომწოდებელ მთავარ ბატარეიას მივუერთეთ.

ო, რა სანახავი იყო ჭარხლის კვლებში აციმციმებული ნათურები ღამით! მართლაც რომ გაბოროტებული კატის თვალებივით ელავდნენ! ჩვენი საცდელი ნაკვეთი ქვესკნელში გაჩახჩახებული დარბაზის ალაგ-ალაგ დახვრეტილ, გამჭვირვალე ჭერსა ჰგავდა.

ჭარხლის კვლებში ვიდექით და იმის შიშით, რომ ხოჭოები არ დაგვეფრთხო, ხმას არ ვიღებდით, მერე კი, როცა დავრწმუნდით, ხოჭოების ქარავანს არაფერი აკავებდა, გულზე მოგვეშვა. ისინი ურიცხვ, უწყვეტ კოლონებად მოემართებოდნენ, კვლებსა და კვლებს შორის ჩამარხულ კოლბებში მიძვრებოდ-

ნენ და, რაც მთავარია, ამ საბედისწერო გზაზე წამითაც არ ყოვნდებოდნენ.

ჩემმა თანამშრომლებმა ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრება მომილოცეს და წავიდნენ. მე კი მთელი ღამე საცდელ ნაკვეთზე გავატარე..

დილით თეთრი კოლბა ამოვთხარე და სათბურის ლაბორატორიაში წავიღე. კოლბის ფსკერზე ხსნარი დალექილიყო. ხსნარი ისე გვქონდა შეზავებული, რომ მკვეთრი სუნით კი არ დაგვეფრთხო, პირიქით, მოგვეზიდა კიდეც ხოჭოები. მართალია, მარილმჟავა არც ისე ძვირია, მაგრამ მის ეკონომიურ ხარჯვას მაინც თავიდანვე ვითვალისწინებდით: ჩვენ მიერ გამოგონებული ფერომონის დაგეგმილ მასშტაბებში გამოყენება საკმაოდ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა.

მაკიკარში გადანახული მენზურიდან წყალში გახსნილი ცოტაოდენი სპირტი ჩამოვისხი და გადავკარი. საცდელ კოლბაზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მარილმჟავას კონცენტრატი სწორი დოზით მქონდა შერჩეული: კოლბაში სულ პირველად მოხვედრილი ხოჭოები უკვე მწვანე მასად ქცეულიყო, დანარჩენები კი კოლბის კედლებზე დაბობღავდნენ და მარილმჟავას ორთქლით თავბრუდასხმულნი ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდნენ.

მაშინ, მაშინ იყო ჯიშის გაგრძელების ინსტინქტზე რომ დავფიქრდი. იმ უძლიერეს ინსტინქტზე, რომელიც სპილენძისფერ ხოჭოებს ამ კოლბისაკენ მოერეკებოდა. დიახ!, მაშინ დავრწმუნდი, რომ გამრავლების ინსტინქტი ჭეშმარიტად ბრმა და ყოვლისშემძლეა... ვინ იცის, ეს ხოჭოები იქნებ მარილმჟავას მომაკვდინებელ ცხარე სუნს კი გრძნობდნენ, მაგრამ რა ექნათ, თუ განსხვავებული, უცხო სუნის ძახილი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავშეკავება აღარ შეეძლოთ! აკი სწორედ ეს მძაფრი სუნი იყო, ბრმად რომ აყენებდა მათ საბედისწერო მწკრივში. მაშ, გამოდის, რომ მთელი ეს წელიწად-ნახევარი ჩვენი ლაბორატორია ამაოდ არ გარჯილა — ხოჭოების სასქესო გამაღიზიანებლის სტრუქტურული ფორმულა აღმოჩენილია!

დახოცილი ხოჭოების თვალთვალში მოულოდნელად იმასაც ჩავხვდი, რომ ამ Cassida nebulos-ების გაგებით მე ნამდვილი ბოროტი სული ვიყავი. ვაითუ განკითხვის დღესაც ასევე მოიყარონ თავი ატრაქტანტის საამო სურნელით კოლბაში შეტყუებულმა ხოჭოებმა და შურისძიების ნიშნად ჭარხლის ფესვებივით გამომხრახნ!.. ამ აზრმა ერთგვარი ხალისიც კი მომგვარა. მენზურაში დარჩენილი სპირტი გადავკარი და მკვდარი ხოჭოებით სავსე კოლბას ონკანში მოშვებული წყალი გამოვავლე. დანარჩენი კოლბები ჭარხლის კვლებშია დაფლული!..

წყალში გახსნილი მარილმჟავა ხელსაბანის რკინის სალტეზე აშიშინდა და იმოდენა ბუშტულები მოიყენა, იძულებული გავხდი ცოტაოდენი სოდა მომეპნია, მერე ხელები დავიბანე და სინათლე გამოვრთე.

უკვე თენდებოდა. მომწვანო ცას მკრთალი ნათელი გადაჰკრავდა. პირველი საგარეუბნო მატარებლის ჩამოსვლას წუთებიღა აკლდა.

კოლბებში დატანებული პაწაწინა ნათურები გამოვრთე და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქვესკნელში გაჩახჩახებული დარბაზის ალაგ-ალაგ დახკრეტილი ჭერიც ჩაქრა... ცვარნამით დათქორილმა ჭარხლის ყლორტებმა წინდები დამისველა.

ასე და ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენმა ექსპერიმენტმა იმედები გაგვიმართლა.

ღღეს დილით გავიგე, რომ ჩვენი განყოფილების ახალ გამგეს რეგისტრატურაში პერფოკარტის სისტემა შემოუღია. მოწყალების დებს ეს სიახლე სულაც არ [illegible]ნიკათ, რადგან ახალი წესების თანახმად ჩვენი სამედიცინო მონაცემები ყ[illegible]ველდღიურად უნდა გადაეტანათ პერფოკარტებზე! ეს მოსაბეზრებელი საქმიანობა კი ძირითადად იმათ კისერზე გადავიდოდა, ვისაც ღამით უნდა ემორიგეა. წინათ, მორიგეობის საათებში, ღამის ქოთნების ჩამოტარებისა და ნემსების გაკეთების შემდეგ მუშამბაგადაკრულ ტახტზე წამოწოლილი მოწყალების დები ცოტა ხნით მაინც ახერხებდნენ თვალის მოტყუებას. განა ყოველ ღამე ჰყავდათ მომაკვდავები! ესეც არ იყოს, უიმედოების მოვლა ჩვეულებრივად მარგიტს ევალებოდა.

პერფოკარტის სისტემა რომ გამაცნეს, წამით ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს კაკანათივით პირდაღებულ კართოტეკის ყუთში შემკუჭეს. აი, ახლა ეს ყუთი სადღაც თავისთვის დევს და მასში უამრავი ციფრობრივი მონაცემებით გამოთვლილი ჩემი პერსონაა გამომწყვდეული. ეს ის კაკანათია, რომელსაც ვერცერთი ჩვენთაგანი თავს ვერ დააღწევს. აქ ყველანი, ასე ვთქვათ, ერთ ჩხირზე ვართ ჩამოცმულნი.

წინათ ამგვარ რამეებზე არასოდეს არ მიფიქრია, ახლა კი იმდენი დრო მაქვს, საამისოდაც კი მოვიცალე. ვცდილობ, რაც შეიძლება გულგრილი დამოკიდებულება გამოვიმუშავო ყოველგვარი მიწიერი ამბების მიმართ. მართალია, ხანდახან გაზეთებს ვათვალიერებ, მაგრამ რა — გუშინ, მაგალითად, სრულიადაც არ ავუღელვებივარ რომელღაც ქვეყნის პატრიოტების დახვრეტის ცნობას, არადა, წინათ სულ სხვანაირი ვიყავი, გუშინდელ დღესავით მახსოვს ბერძენი პატრიოტების დასაცავად გამართულ მიტინგზე რომ გამოვდიოდით. მე პირადად, მაღლა-მაღლა წვეისაგან დაბუჟებულ ხელში, თუ არ ვცდები, მანოლის გლეზოსის პორტრეტი მეჭირა, საშინლად ცხელი დღე იყო, მზისაგან თავი მისკდებოდა. ოფლად ვიღვრებოდი და თვალებში მოთეთრო ლაქები მიხტოდნენ. მიტინგზე გამომსვლელთა გრძელსა და მოსაწყენ სიტყვებს ბოლო არ უჩანდა, მე კი, მიუხედვად ამისა, გაწამებული ბერძენი პატრიოტები მართლა გულით მეცოდებოდნენ და მაღლა შემართულ ჩემს გლეზოსს არავის ვუთმობდი. ახლა კი, ახლა ოდნავადაც არ შემიძლია ვუთანაგრძნო იმ განრისხებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც ზურგსუკან ხელებს უგრეხენ და ვირის აბანოში მიერეკებიან. ახლა მე ფუნთუშეულის პუდინგით მიმასპინძლდებიან და თუ მოვისურვებ, ღამის ქოთანზეც დამასკუპებენ. ერთი სიტყვით, ყველაფრის უფლება მაქვს... გარდა საკუთარი ბედის ამორჩევისა. ხომ შეიძლება ახლა რომელიმე სიკვდილისჯილი პატრიოტი დახვრეტის მოლოდინში იყოს, მაგრამ მშვენივრად იცოდეს თუ რისთვის კვდება, რა მიზანს სწირავს თავს... და მე მშურს მისი, რამეთუ ჩემი სიკვდილი, მარტოდენ უაზრობის დასასრულია ამიტომაცაა, მიწიერ ფიქრებს რომ გავურბივარ. განა ამ ყოვლად უსარგებლო ტვინის ჭყლეტას თავშესაქცევ პერფოკარტებზე ან საკუთარ თავზე ფიქრი არ ჯობია?!

პერფოკარტის ჩხირებზე ჩვენი სამედიცინო მონაცემების ჩამოცმა განა მარტო მე მგვრიდა ზიზღს. დღისით შეზლონგებში ჩამსხდარი სხვა ავადმყოფე-

ბიც სწორედ ამ ახალ სისტემაზე კამათით ირთობდნენ თავს. ყველაზე მეტად ერთი აწოწილი ახალგაზრდა აქტიურობდა. მე მისი სახელიც არ ვიცი, მაგრამ, თუ არ ვცდები, ფილტვების ტიპი უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ეს ფრჩხილებგადაღებილი ტიპი ყოველდღე პეპელასებური ბაფთითაა ყელდაშვენებული.

— იქნებ აწი არც ჰქონდეს აზრი ამ აბების ყლაპვას. ქალბატონო დაიკო? — შეეკითხა იგი ერთხელ მარგიტს და აბრეშუმის ფერად ცხვირსახოცში ჩააფურთხა. — სულერთია, ჩვენი ხსნა მხოლოდ ყოველისშემძლე სადგისშია. მთავარია, კარგად შეგვირჭოთ.

მას ავადმყოფურად შეფაკლული ლოყები ჰქონდა. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ სადგისის იდეა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. რატომღაც სულ მეჩვენებოდა, რომ მამათმავალი უნდა ყოფილიყო.

მარგიტი ყოველდღე იმის მტკიცებაში იყო, რომ ჩხირებზე ჩამოცმულ ამ ბარათებს მხოლოდ სარგებლობა მოაქვთ ავადმყოფებისათვის. ერთხელ სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფილ კართოტეკაზეც გვიამბო რაღაც-რაღაცები, რომელიც თურმე დიდ დახმარებას უწევს ექიმებს, მაშინ იყო პერფოკარტის ყუთთან მოფუსფუსე ჩვენი ექიმები რომ წარმოვიდგინე. ერთი!!! — და ჯადოსნური კოლოფიდან ერთად შეკრულ რამდენიმე ავადმყოფს მარცხენა თირკმლით დაითრევენ. ორი!!! — და მაგიდაზე ჩამწკრივდება ჭლექიანების მთელი ფრაქცია. ამ რკინის ყუთიდან წარმოუდგენლად მრავალფეროვანი დაჯგუფებების გამოხმობა შეიძლება, თანაც ელვისებური სისწრაფით. სულო და გულო, რაც კი მოგეპრიანება... გამოხრული კბილების მიხედვით გინდათ? ინებეთ, ბატონო! შარდში ცილების რაოდენობის მიხედვით? ახლავე, ბატონო! ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მეც იმ ჩხირზე წამომაგონ, რომელზეც ლეოპოლდი. ან ეს საეკვოდ მინაზებული ბიჭი და, ღმერთო დამიფარე, ის აუტანელი ი. ანდრესკოოკია № 2 პალატიდან. დიახ, ამ რკინის ყუთში ყველა მათგანს შეუძლია შენ მეზობლად აღმოჩნდეს... და იქნები მერე დღე და ღამე მათ შორის ჩაჭედილი. თუ ყუთში მეზობლობა ასე გარდუვალია, მაშინ მე ჩემდა თავად იაანიკას გვერდით ყოფნას ვირჩევდი... სხვათა შორის, აგნესსა და იაანიკას შორის არჩევანის უფლება რომ მოეცათ, მაშინაც კი!

აგნესზე საკმაოდ ხშირად ვფიქრობ. ყოველ შემთხვევაში იმაზე უფრო ხშირად, ვიდრე მინდა... ამ ბოლო ხანებში რატომღაც ისეთი სიტუაციები და საოცრად უმნიშვნელო წვრილმანებიც მახსენდება, კარგა ხნის დავიწყებული რომ მეგონა.

6.

დილით ლეოპოლდს ვესტუმრე. იგი იმ იეორელ მოხუცთან ერთად ცხოვრობს, რომელიც ყოველდღე სიკვდილს ელოდება. ვინ მოთვლის, ამ უთვისტომო კაცს რამდენჯერ დაუპირეს საავადმყოფოდან გაწერა და მარტოხელა მოხუცთა სახლში გადაყვანა, მაგრამ რა! ყოველთვის ისეთ ალიაქოთს ასტეხს, ვერაფერს უბედავენ. თანაც ერთთავად თავისი მოსკოველი ძმისშვილით, ანუ „დიდი კაცით" ემუქრება ყველას. „ის თქვენ გიჩვენებთ სეირსო", სულ ეს აკერია პირზე. მოსკოველი ძმისშვილი ნამდვილია თუ გამოგონებული, კაცი-

შვილმა არ იცის, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ყოველი აყალმაყალის შემდეგ მოხუცს სიცხე უწევს და სისხლს ახველებინებს. ჰოდა, მაშინ აბა ვინ გაბედავს მის გაწყრომას. სხვა მხრივ, ლეოპოლდის თქმით, საკმაოდ უწყინარი მოხუცია და არავის არაფერს უშავებს. მხოლოდ ერთხელ, შუაღამისას წამოუწყია ხმადაბალი სიმღერა რუსულ-ფინურ კილოზე. ლეოპოლდს უფიქრია, ახლა კი მიაქვს წერილიო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მეორე დილით საღსალამათი წამომდგარა.

როგორც შევამჩნიე, ლეოპოლდს დროულად დაეჭირა თადარიგი. ჯერ იყო და პალატაში ჩაით სავსე პატარა ქვაბი მოაცუქცუქა, მერე კი კვლიავის მარილიანი ნამცხვრითაც გამიმასპინძლდა, ნამცხვარს ოდეკოლონის გემო დაჰკრავდა. მთელ პალატაში ლეოპოლდის ნახატები და აკვარელი იყო გამოფენილი — სკამებზე, საწოლზე, ფანჯრის რაფაზე, იატაკზეც კი მისი ნამუშევრები ეწყო. მხოლოდ ერთი სკამი იყო ცარიელი, ალბათ ჩემთვის.

— რომ შეგაგვიანდათ, ვიფიქრე, აწი არ მოვა, ალბათ დაავიწყდა-მეთქი, — შემომღიმა ჩემი სტუმრობით აშკარად გახარებულმა ლეოპოლდმა.

რა უნდა მეთქვა. წუხელის ცუდად მეძინა და ნასაუზმევს ცოტა დავისვენე-მეთქი, ვიცრუე მე. მეც ცუდად მეძინაო, შემომჩივლა თავის მხრივ ლეოპოლდმა. გუშინ მოხუცი ბაღში მოპარული ალუბლით გასკდა და მთელი ღამე ხვნეშოდაო.

— იმდენი ალუბალი ჩახეთქა, მთელი ღამე არ დამაძინა, მოვიდეს ერთი მთავარი ექიმი! — გაყვითლებული საჩვენებელი თითით დაემუქრა ლეოპოლდი მოხუცს. მერე ჩემკენ გადმოიხარა და დელიკატურად მიჩურჩულა, ალუბლით გამძღარ მოხუცს მთელი ღამე გაზები აწუხებდაო.

იყორელს წარბიც არ შეუხრია. იწვა თავისთვის და ეშმაკურად იღიმებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევამჩნიე როგორ დაეცა თეთრ ზეწარზე მისი მოკუმული ტუჩებიდან გამოპურჭყეტული ალუბლის წითელი კურკა. მოხუცი ისევ ეშმაკურად იღიმებოდა.

ლეოპოლდის ნამუშევრებს წელზე ხელებდაწყობილი ვათვალიერებდი და ვიწრო პალატაში ისე დავაბიჯებდი, თითქოს ნამდვილ გალერეაში ვყოფილიყავი. ეს იყო ალბათ გამოფენა, რომელსაც მე უკანასკნელად ვათვალიერებდი!

სანამ ნახატებს ვაკვირდებოდი, ლეოპოლდი ერთადერთ ცარიელ სკამზე იჯდა და ისეთი მედიდური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სურათის გადასაღებად ემზადებაო.

ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ლეოპოლდის სურათები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს: თანაც ყველა ერთი წერტილიდან იყო დახატული... ეს იყო საცხედრე, უფრო სწორად, საცხედრის ფასადი. ყოველ შემთხვევაში, დანარჩენი კედლები არც ერთ ნახატში არ ჩანდა. ამის გამო თუ იყო, რომ მისი ნამუშევრების უმრავლესობა ბავშვის დახატულ სახლებს ჰგავდა. ოღონდ საკვამურები აკლდა, ეს იყო და ეს. სხვათა შორის, მინდოდა კიდეც ამის აღნიშვნა, მაგრამ ლეოპოლდი ისეთ პოზაში იჯდა, მისი შეწუხება ნამდვილად საცოდაობა იყო. თუმცა არა, კაცმა რომ თქვას, ყველა ნახატი მაინც არ ჰგავდა ერთმანეთს. მაგალითად, ცა ყველგან სხვადასხვანაირად იყო გამოსახული. ერთ ნახატში თუ საცხედრის თავზე შავი ღრუბლები გადადიოდნენ, მეორეში ლურჯი ცა კამკამებდა. მე, რატომღაც მოწმენდილციანი ნახატები

უფრო მომწონდა. განსაკუთრებით აი, ის, რომელზედაც წარმოსახვითი საკვამურის ადგილზე ლიმონისფერი მზე იყო მიდღაბნილი. სწორედ ამ ნამუშევრის წინ შევჩერდი ყველაზე დიდხანს. ლეოპოლდმაც არ დააყოვნა და უმალ დახვეწილი მხატვრული გემოვნება შემიქო.

— მიხარია, რომ ხელოვნებისადმი მარტივი დამოკიდებულება არ გქონიათ, — მითხრა მან, — სხვა, თქვენს ადგილზე, მაინცდამაინც შავი ღრუბლებით შესულდრულ საცხედრეს ამოირჩევდა.

რა გაეწყობოდა. ავდექი და სწორედ ის უღრუბლო ნახატი ამოვირჩიე საჩუქრად. ლეოპოლდიც, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დამთანხმდა.

— ხედავთ? აი, აქ, ხის ტოტზე ჩიტი ზის, — ისევ შემომღიმა ლეოპოლდმა. დავაკვირდი. ერთ-ერთ ტოტზე მართლაც კარგა მოზრდილი ყვითელი ფრინველი წამოსკუპულიყო.

— ეს, ასე ვთქვათ, მხატვრული გამონაგონია. სხვათა შორის, ეს ნამუშევარი მეც ძალიან მომწონს, — გაიბადრა ლეოპოლდი, — მაგრამ თქვენ დიდი სიამოვნებით გაჩუქებთ.

ლეოპოლდმა ჩემ მიერ მოწონებული ნახატი აიღო და იჟორელი მოხუცის მუცელზე გადაფარებულ ნაცრისფერ საბანზე დადო.

— ცივ ფონზე უკეთ ჩანს, არა?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ამასობაში, მგონი, იჟორელმა მოხუცმაც კი გამოავლინა ცნობისმოყვარეობის ნიშნები, მაგრამ საკუთარ მუცელზე დადებული ნახატი რომ შეათვალიერა, გულგრილობის ნიშნად მხარი იცვალა და ჭერისაკენ თვალმიქცეულმა თეთრ ზეწარზე ისევ ალუბლის წითელი კურკა გადმოაპურჭყა. მერე მხრის შეუმჩნეველი მოძრაობით შეეცადა კურკა მუცელზე დადებული ნახატისაკენ დაეცურებია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან კურკა საბნის ნაკეცში გაეჩხირა. ამ დროს კედელსა და საწოლს შორის მოხუცის მიერ პარკით გადამალული ალუბალი შევნიშნე. პარკის ფსკერზე ალუბლის წითელი წვენი ჩაწრეტილიყო.

ლეოპოლდმა თავისი ნახატი აიღო და „მე შენ გიჩვენებ სეირსო!" ისევ დაემუქრა მოხუცს. იჟორელი კი ამ მუქარასაც დუმილით შეხვდა. თუმცა ამჯერად არც გაღიმებია. გულჩათხრობილი და ბრაზიანი გამომეტყველება ჰქონდა. ეტყობა, არც ერთი კბილი არ შერჩენოდა, ამიტომ ალუბლის წვენით შეწითლებული პირის ჭრილი თითქმის ცხვირამდე აღწევდა, რის გამოც ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ლეოპოლდს დიდი მადლობა გადავუხადე საჩუქრისათვის, რის შემდეგაც ორ-ორი ფინჯანი ჩაი დავლიეთ.

წამოვდექი. წასასვლელად მოვემზადე. ლეოპოლდიც წამოდგა და ხელი ჩამომართვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩემი მხრის გასწვრივ რაღაც მნიშვნელოვანს მოჰკრა თვალი და მაშინვე ფანჯარას მიაწყდა.

— ერთი ამ საიქიოდან მობრუნებულს დამიხედეთ! — აღშფოთებით წამოიძახა მან, — ოპერაციას ძლივს გადაურჩა და აჰა, უკვე ბუჩქებში დაწანწალებს!

ფანჯრიდან რომ გადავიხედე, თავდაპირველად საცხედრისა და იასამნის ბუჩქების მეტი ვერაფერი დავინახე. მერე კარგად დავაკვირდი და ბუჩქებიდან ფრთხილად გამომძვრალი იაანიკა შევნიშნე. ქერათმიანი, ჩასუქებული,

ბავშვურად პირმრგვალი იაანიკა საავადმყოფოსაკენ მოლასლასებდა და თავისი ფლოსტებით წვრილი სილით მოკირწყლულ ბილიკზე მსუბუქ ნაკვალევს ტოვებდა.

— არა, ნეტავ რას დაწანწალებენ! — ბოროტად გამოსცრა ლეოპოლდმა და ვიგრძენი, როგორ აღიზიანებდნენ მას საცხედრის ახლომახლო მოსეირნე ადამიანები. — დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს... ესეც რომ სხვებს აჰყოლია!..

ცოტა ხნის შემდეგ იასამნის ბუჩქებიდან ი. ანდრესკოოკი გამოძვრა და ისიც საავადმყოფოსაკენ გაეშურა. ხელში განუყრელი ხელჯოხი ეჭირა, რომლითაც ჩვეულებისამებრ ბაბუაწვერებს აწყვეტდა თავებს. ო, როგორ ვერ ვიტან ამ ანდრესკოოკს, ვერ ვიტან მის ხელჯოხს, მის ცრუ მნათეს სიფათს, მის წითლად აღაჟღაჟებულ ლოყებს!

ამასობაში ლეოპოლდმა კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი და დაჟინებით მთხოვა ხშირ-ხშირად ვწვეოდი.

— მეწვიეთ, როცა გაგიხარდებათ! მობრძანდით და ვისაუბროთ ხელოვნებაზე...

ამ დღეებში აუცილებლად შემოგივლით-მეთქი. მერე მის ზურგს უკან ვაკაპარე თვალი და კარგად დავინახე, როგორ მოახვედრა პირიდან გამოსროლილი ალუბლის კურკა ლეოპოლდის ერთ-ერთ ნახატს საწოლიდან ჩუმად წამომდგარმა იეორელმა მოხუცმა.

7.

ღამდება. საღამოს დასალევ პრედნიზოლონის აბებს ერთმანეთის მიყოლებით ვყლაპავ და პალატის განიავების შემდეგ ისევ იმ წიგნებს ვფურცლავ, რომელთა მიმართაც ჯერაც არ დამიკარგავს ინტერესი. ესენია: ანატომიური ატლასები, სამედიცინო ენციკლოპედიები, სახელმძღვანელოები ფიზიოლოგიაში... მართალია, გამოჯანმრთელების იმედით დიდი ხანია უკვე არ ვიტყუებ თავს, მაგრამ არც ისე სულელურად მინდა მოვკვდე, რომ ადამიანის არსებობის შესახებ ელემენტარული წარმოდგენაც არ მქონდეს.

ოთახი ღამის ჰაერით ივსება. დღეს თითქოს განსაკუთრებით სუფთაა ჰაერი.

ჩვენი სართულის ამ პატარა პალატაში, მე ჯერ კიდევ მარტო ვცხოვრობ. ე. ი. ჩემს პატარა ფანჯარასაც. როცა მინდა მაშინ ვაღებ და ვკეტავ, თითქოს სასტუმროში ვიყო! შემიძლია მთელი ღამე ვიკითხო, ანდა სულაც დღიურები ვწერო. ექიმებს, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე, მე რომ სამედიცინო ლიტერატურას ჩავკირკიტებ. მაგრამ რას იზამ. მე პირადად, მიუხედავად იმისა, რომ ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახლავართ, სრულებით არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუკი ვიღაც-ვიღაცები ჩემი პროფესიის საცნობარო ლიტერატურით დაინტერესდებიან. ექიმები საერთოდ თავისებური ხალხია. როგორც ცნობილია, მედიცინას თავის დროზე მონასტრებში ჩაეყარა საფუძველი. იქნებ ამიტომაცაა, რომ ექიმებს რამდენადმე ბერმონაზონთა ახირებულობანი ახასიათებთ... საქმე იქამდე მივიდა, ერთი პირობა წიგნების ჩამორთმევაც კი დამიპირეს, მაგრამ ეს „მშვიდი“ პაციენტი ისეთი ყვირილითა და უწმაწური გინებით დავუხვდი, ბოლოს და ბოლოს თავი დამა-

ნებეს. ახლა, თირკმელზედა ჯირკვლის შესახებ. იქ, სადაც ჩემი კიბოსა ფესვგადგმული, მე თითქმის ყველაფერი ვიცი. ყოველ შემთხვევაში დღეს უკვე ოთხმოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტითა ვარ დარწმუნებული, რომ ადისონის ავადმყოფობა თირკმლის კიბოსაგან ავიკიდე. სხვათა შორის, საკმარისია, ზუსტად გამოიცნო, რომელი ავადმყოფობა გკლავს და ერთბაშად გულზეც მოგეშვება. ეტყობა, ჩემი კიბოს მეტასტაზები თირკმელზედა ჯირკვალსაც გასცდა, თორემ მარცხენა ჯირკვალის ამოკვეთაზეც არ შეიკავებდნენ თავს. მაშასადამე, გამოდის, რომ ოპერაცია დაგვიანებულია!

სამედიცინო ლიტერატურის კითხვისას რას არ გადააწყდები კაცი! ასე მაგალითად, ვინმე შიმკევიჩი თავის ერთ-ერთ სტატიაში თავს ესხმის თირკმელზედა ჯირკვლის საყოველთაოდ მიღებულ ლათინურ სახელწოდებას და თავისებურებით აცხადებს, რომ მას glandulae suprarenales-ი კი არა, glandulae adrenales-ი უნდა ერქვას. მის მიერ შემოთავაზებული ლათინური გამოთქმის სახედვით ჯირკვალი თირკმლის თავზე კი არა, მის გვერდითაა მოთავსებული. სხვათა შორის, ეს მართლაც ასეა. მხოლოდ ადამიანებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს აქვთ იგი თირკმლის თავზე და ისიც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ევოლუციური განვითარების ერთ მშვენიერ დღეს მათ ნება იბოძეს და უკანა ფეხებზე წამოდგნენ. ყოველ შემთხვევაში, დანარჩენ primat-ებს, რომლებიც ჰორიზონტალურ მდგომარეობაშიც მშვენივრად ახერხებენ გადაადგილებას, ჯირკვალი თირკმლის გვერდით აქვთ მოთავსებული, ისევე როგორც ჩვენ, ოთხზე რომ დავმდგარიყავით. მაგრამ, როდესაც შენ დაავადებული ჯირკვალი გკლავს და არა მისი ლათინური სახელწოდება, ალბათ დამეთანხმებით, მსგავსი სტატიები ბრაზისა და ღიმილის მომგვრელია ერთდროულად. თუ კარგია, თვითონ შიმკოვიჩმა სცადოს ოთხზე დაშვება! ვინ იცის, იქნებ მხიარულ გუნებაზეც კი დადგეს — აკი მას სწორედ ასეთ პოზაში ექნება glandulae adrenales-ი... მსგავსი ემოციები გეუფლება მაშინაც, როდესაც გაიგებ, რომ თირკმელზედა ჯირკვლების ფილოგენეზის კლასიკურ გამოკვლევებში საცდელ ობიექტებად თურმე ნიანგები და სტვენიები ჰყოლიათ!.. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ასეთი სტატიები ერთგვარი ინტერესით იკითხება. შეიძლება შიმკოვიჩის შრომებიც კი მოეწონოს კაცს... და თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ამგვარი სტატიების კითხვისას შეიძლება დაგეუფლოს ოლიმპიური გულგრილობა ადამიანის ხორციელი ტკივილების მიმართ. მე სულაც არ მინდა პეეტერისნაირად მოკვდე! იგი თოჯინების მხატვარი იყო. თოჯინების მხატვრადვე დარჩა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მე და პეეტერი, ასე ვთქვათ, ერთმანეთის შეტოქენი ვიყავით. სამწუხაროდ, ახლაც ვერ გეტყვით, ვინ დარჩა გამარჯვებული ჩვენ შორის. მართალია, ფიხიშთან მან მიმასწრო, მაგრამ მე რომ მასზე დიდხანს გავძელი?..ეს თავსატეხი ჯანმრთელ კაცს უსათუოდ კამათის გუნებაზე დააყენებდა — საკითხის ფილოსოფიურ ასპექტში გადაწყვეტას მოანდომებინებდა... მით უმეტეს, დანიის პრინცზე თუ წაუკითხავს რამე, იმ ყოველმხრივ ჯანმრთელ პრინცზე, რომელიც დალაგებული ნერვული სისტემით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. რიტორიკული შეკითხვები, როგორც ცნობილია, ჯანმრთელთაგან უფრო მოსალოდნელი, თორემ თირკმელში კიბოგამჯდარებს ნეტა რა ერიტორიკებათ! ჩემი აზრით, სიკვდილში არავითარი ფილოსოფია არ არსებობს. სიკვდილი ყველა-

ზე საშინელი უსამართლობაა მზისქვეშეთში. დიახ, ეს ის საძაგლობაა, რომელსაც თავისი გარდაუვალობაც კი ვერ ამართლებს!

პეეტერი ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, საკუთარი სიკვდილი ოდნავ მაინც შეელამაზებინა. უფრო მეტიც — ყველაფერს აკეთებდა, რათა თავისი განსაცვიფრებელი თავდაჭერილობით სიკვდილი გმირობის დონეზეც კი აეყვანა. ასეა თუ ისე, მიუხედავად ამ იდიოტური მცდელობისა, ბოლოს და ბოლოს მაინც შემაყვარა თავი. პეეტერს მოკლე ხელები, ინტელიგენტურად ფაფუკი თითები, ხვეული ქერა ომა. ლურჯი თვალები და სწორნაწლავის კიბო ჰქონდა. იგი, როგორც ადრე გითხარით, თოჯინების თეატრში მუშაობდა მხატვრად. ჩვენს თოჯინების თეატრში კი, მოგეხსენებათ, ისეთ ამაღლებულ რაღაც-რაღაცებს დგამენ, როგორიცაა, მაგალითად, ანდერსენის „თავგადასავალი კალის მამაცი ჯარისკაცისა.“

ან კი რა საჭიროა სიკვდილის შელამაზება! სუნამოს თუ მოასხამ კიდევ ჰო, არა უშავს რა, თუმცა სულერთია, რაც არ უნდა ეცადო, კიბოიანი ავადმყოფის ოთახში მაინც ისეთი სუნი დადგება, როგორიც წესით და კანონით უნდა იდგეს. მორჩა და გათავდა! — ვერაკითარი სუნამო საქმეს ვერ უშველის და ამ დროს არც ისე ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა დამამცირებელი იქნებოდა სიკვდილის წინაშე პეეტერის თვალთმაქცობა. არადა, ის ხომ ძალასა და ღონეს არ იშურებდა იმის დასამტკიცებლად, თითქოს ხელოვნებით, პოლიტიკითა და ჭადრაკით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩებოდა გატაცებული... ვის-ვის და, მე ხომ ნამდვილად არ მესწავლებოდა მისი ახირებანი. ვინ მოთვლის რამდენი პარტია გვითამაშია ჭადრაკში და სულ იმას ვთითლიბაზობდი, თითქოს ერთობ ღირსეულ მოწინააღმდეგედ მიმაჩნდა და ეს არც ისე იოლი საქმე გახლდათ. პეეტერი ხომ წარმოუდგენლად სუსტად თამაშობდა. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ არც საავადმყოფოში მოხვედრამდე იქნებოდა დიდი ბედოვლათი. ისევე როგორც ცხოვრებაში, იგი ჭადრაკშიც ერთთავად მეფის გამბიტსა და შეწირვებს მიმართავდა. თანაც ისეთ მედიდურსა და უაზრო შეწირვებს ეტანებოდა, რომლებიც უკანასკნელ სვლებზე კიდევ უფრო გრანდიოზულად გამოიყურებოდნენ. აი, ასე უმიზნოდ ხარჯავდა იგი მთელ თავის ძალასა და ღონეს! სიკვდილი საზიზღრობაა! სიკვდილი თითოეული ჩვენთაგანის წაგებული ენდშპილია!.. და რატომ უნდა ითვალთმაქცო, თითქოს შენ მასზე მაღლა დგახარ, თითქოს ფეხებზე გკიდია!. სიკვდილზე მაღლა ჯერაც არავინ დამდგარა. სიკვდილი გაცნობიერებული გარდაუვალობაა. რა ვუყოთ მერე, თავისუფლებასაც თუ ზუსტად იგივე სიტყვებით განსაზღვრავენ!

გმირობანას თამაში არავის არ უხდება. ასეთების მიმართ დიდი-დიდი ადამიანური თანაგრძნობით განეწყო... ხოლო ის, ვინც საიქიოსაკენ მიმავალ გზას დაუფარავი, ყოვლად უწმაწური გინებით დაადგება, ცოცხალთა შორის უმალ ბუნებრივ ზიზღს გამოიწვევს. რაკი სიკვდილი საზიზღრობაა, მომაკვდავიც საზიზღარი უნდა იყოს! ანტიპათიური მომაკვდავი უფრო ბუნებრივია, რამეთუ პირველ რიგში სწორედ ის ამძაფრებს ჩვენს მარადიულ სიძულვილს სიცოცხლის საპირისპირო ცნებისადმი. აი, ნახავთ, როგორც კი ჩემი ფეხების გაჭიმვის დრო დადგება, ზუსტად იმდენ ხანს ვიღრიალებ, რამდენსაც ჩავთვლი საჭიროდ... სიკვდილთან პოზიორობა არ გამიგია მე!

პეეტერი მაისის პირველ კვირას გარდაიცვალა, გაზაფხულის არაჩვეულებრივად თბილსა და ნათელ დღეს. უნდა ითქვას, რომ ინსცენირების ეს ნაწილი პეეტერს მართლაც დიდებულად გამოუვიდა! მახსოვს, იმ დღეს აგნესმა გაზაფხულის ყვავილები მომიტანა. ჯერ კიდევ მიმზიდველად გამოიყურებოდა აგნესი. ყველაფერი უხდებოდა: კოხტად შემრგვალებული მუცელი, თხლად გადაღებილი ტუჩები, ლამაზად დავარცხნილი თმა... პარკში ვსეირნობდით. ვკოცნიდი, ვეხვეოდი, ვეალერსებოდი. ჯანმრთელი კაცის სურვილები მეძალებოდა. დილა იყო და აგნესის თმასაც კვირა დილის სურნელი ასდიოდა. ჩემი ავადმყოფობის შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით ყველაფერი, ჩემს თირკმელში კი, რა თქმა უნდა, იმ დილიდანვე კიბო ცოცხლობდა. ოღონდ მაშინ ჯერ კიდევ მქონდა ცოტაოდენი შანსი ამ უბედურებისათვის ეკვის თვალით შემეხედა.

პარკის ბილიკზე დახაზულ „კლასობანას“ სათამაშო უჯრებში დავაბიჯებდით. აგნესმა ბავშვების დატოვებულ ბრტყელ ქვას ფეხსაცმლის წვერი წამოჰკრა და „კლასებზე“ ასკინკილით გადარბენა მოისურვილა, მაგრამ იქვე შედგა, „ო, ახლა ჩემთვის ალბათ არ შეიძლება!“ — წამოიძახა შეცბუნებულმა და ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა. ვინ იცის, მაშინ იქნება მართლაც მაისის პლაკატივით დაშაქრულსა ჰგავდა ყველაფერი (მე, რა თქმა უნდა, ლურჯად გამქვირვალე გაზაფხულის კამკამა ცა და მწვანედ ხასხასა ფოთლები მაქვს მხედველობაში), მაგრამ აგნესის მოულოდნელი შეცბუნება მაინც ამაღელვებლად და გულის ამაჩუყებლად გამოიყურებოდა. აი, სწორედ ამ დროს იყო, მარგიტმა რომ მოირბინა და მითხრა, პეეტერი სასწრაფოდ ჭადრაკის სათამაშოდ გიხმობსო, ეს „სასწრაფო“ გამოძახება, რასაკვირველია, ავის მომასწავებლად მენიშნა და დაუყოვნებლივ მისკენ გავეშურე.

ჩემი აჩქარებით ოდნავ განაწყენებული აგნესი პარკში დავტოვე და ვთხოვე საღამოს ისევ მოსულიყო. „იცი, აქ ერთი მძიმე ავადმყოფი გვყავს... ნერვიული...“ — ავლუღლუღდი მე, მაგრამ სანამ სათქმელს თავს მოვუყრიდი, აგნესი წავიდა. წავიდა კვირა დღის ქალაქში, ჯანმრთელ ხალხთან, კაცებთან, რომლებიც უკვე სახელოდაკაპიწებულ თეთრ ხალათებში დასეირნობენ, უპიჯაკოდ...

პეეტერის სასთუმალთან პუშკინის ლექსების კრებული იდო.

— ღვთაებრივი ლექსებია! ეს წუთია გადავიკითხე, — მიჩურჩულა პეეტერმა. წიგნი მართლაც ერთ-ერთ გვერდზე იყო გადაშლილი, მაგრამ მაინც ვიგრძენი რომ ცრუობდა.

...გავფრინდეთ ზღვისკენ და ლაჟვარდის ფერებთან,
სად მე და ნიავი ვსეირნობთ ერთად...*

დიახ, ეს იყო სტრიქონები პუშკინის „ტუსაღიდან“... და ჩემს ხსოვნაში მოულოდნელად ბავშვობისდროინდელი მოგონება ამოტივტივდა: ჩაბნელებული აივანი, ტანვარჯიშის ბინძური ლეიბების ტკბილ-მწარე სუნი და ცრემლე-

---

* თარგმანი პაოლო იაშვილისა.

ბის გემო. თუმცა დღეს ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— ხედავ, რა ყოჩაღად მიჰირავს თავი?. ახლა ნემსს გამიკეთებენ და მერე ჰადრაკსაც ვითამაშებთ... — ტკივილებისაგან გაწამებული პეეტერი მარცხენა ხელისგულს ფრჩხილებით ჩაფრენოდა და თითქოს დასასტვენად ემზადებაო, ნახევრად მოკუმული ტუჩებით ჰაერის შესუნთქვას ცდილობდა.

მარგიტმა შპრიცი მოიმარჯვა და იმ უკანასკნელი მოწყალებით გაავსო, რომლითაც ერთ ადამიანს შეუძლია შვება მოუტანოს მეორეს. მოულოდნელად შევამჩნიე, რომ მოწყალების დას პანტოპონის ნაცვლად ხელში მორფის ამპულა ეჭირა.

— ეს ვიტამინების ხსნარია, — ისევ მიჩურჩულა პეეტერმა. დაჟინებულ მზერას არ მაცილებდა. ნახევრად მოკუმული ტუჩებით ჰაერს ხარბად ისრუტავდა და მუხლების კრუნჩხვაგარეული მოძრაობით ზეწარს ისე ქაჩავდა, თითქოს ფრთხილობდა, ისიც სადმე არ გაუჩინარებულიყო. პეეტერი ტკივილებისაგან იკლაკნებოდა... და მე კიდევ ერთხელ მივხვდი, რა საძაგლობაა სიკვდილი. დიახ, სიკვდილი ისეთი საძაგლობაა, რომელიც საბრალო პეეტერმაც კი ვერ შენიღბა.

— ვიტამინი ც, ბ... გლუკოზა... — ბუტბუტებდა პეეტერი.

მახსოვს, თავიდან როგორი წინააღმდეგი იყო ნარკოტიკების მიღებისა. ამასაც, რასაკვირველია, საკუთარი თავის გმირად წარმოსაჩენად სჩადიოდა. არადა, დარწმუნებული ვარ, თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ამ ბოლო ხანებში სწორედ ნარკოტიკების წყალობით ედგა სული, მაგრამ საკუთარი თავისადმი ერთგულებას მაინც ბოლომდე ინარჩუნებდა. დიახ, პეეტერი შეიძლება მართლაც გმირი იყო, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი ლამაზი სიკვდილი გახლდათ ყველაზე უშნო და ამაზრზენი იმ სიკვდილთა შორის, რასაც მე შევსწრებივარ.

საშხაპეში შევედი. სიბნელეში დანესტიანებულ ძელსკამს მივაგენი და ჩუმად ჩამოვჯექი. ცხვირში ქლორის მძაფრი სუნი მიღიტინებდა. მოშლილი ონკანიდან წყალი მოწვეთავდა.

პეეტერი მეორე დღეს გარდაიცვალა.

8.

ის, რაც გუშინწინ ჩავწერე, სრული სიმართლეა. ბოლო ხანებში აგნესთან დაკავშირებით მართლა ისეთი უმნიშვნელო წვრილმანები მაგონდება, დიდი ხნის დავიწყებული რომ მეგონა.

აი, ახლაც, ლეოპოლდის ნახატს რომ ვათვალიერებ (იმ აკვარელს ვგულისხმობ, რაზეც მხატვრული გამონაგონის ნიშნად ყვითელი ჩიტია ტოტზე წამოსკუპული) მაინცადამაინც ის მაგონდება, თუ როგორ იზუთხავდა აგნესი შუაღამისას ხელოვნების ისტორიას ლოგინში...

მართალია, ჩვენ ცალ-ცალკეც საკმაოდ ხშირად ვწოლილვართ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გამოცდების წინა ღამეს ერთად წოლა, აგნესისათვის უფრო სასარგებლო იყო. მე მას უცხოური სახელების წარმოთქმაში ვეხმარებოდი. ღამის ნათურა დილამდე კი ენთო, მაგრამ აგნესის მონოტონური ბუტბუტი „თავგანწირვის“ გრძნობას მიმძაფრებდა და, რაც მთავარია, იავნანასავით ჩა-

მესმოდა, მით უმეტეს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩემი „თავგანწირვა“ აგნესს ძალზედ სიამოვნებდა.

იმ ღამეს სამ საათზე გამეღვიძა და ვერაფრით ვერ დავიძინე. ხან ღამის ნათურა მიჭყიტებდა თვალებში, ხანაც აგნესის ბუტბუტი მიშლიდა ნერვებს. ახლა უკვე ისიც მაღიზიანებდა, ეს გათხოვილი ქალი ასჯერ გადაღეჭილ მასალას გამოცდებით დაფეთებულ მოსწავლესავით რომ იზუთხავდა.

— „...სიცოცხლის უკანასკნელიწლებივინსენტვანგოგმამაარლისახლოსგაატარა“ — ხმადაბლა ბუტბუტებდა ჩემი ბეჯითი ცოლი, — მისშემოქმედებაში სამუდამოდდამკვიდრდაათასრვაასოთხმოცდაექვსწელსპარიზშიარჩეულიხატვისმანერარაციისახაკიდემციმსმრავალრიცხოვანპეიზაჟებსადანატიურმორტებშისულუფრონერვიულიდადაძაბულიხდებავინსტვანგოგისმონასმირაცთავისმხრივარავითარიკავშირშიარუნდიყოსმისფსიქიურდაავადებასთანრისგანაცათასრვაას.“.

გადახდილი ზეწრიდან აგნესს მარცხენა ფეხის თითები მოუჩანს. მეორე თითი ოდნავ მოღრეცილია. ვიწრო ფეხსაცმელმა იცის ასე...

— დაგრეხილი ფეხებიც იმავე წელს გაუსწორდა?

— შენ რა, არ გძინავს? დაგრეხილი ფეხები ვან-გოგს კი არა, ტულუზ-ლოტრეკს ჰქონდა, რომელიც... რომელიც (აგნესი რაღაცას იხსენებდა), რომელიც ჯერ კიდევ უმაწვილკაცობაში დაეცა სასახლეში და სამუდამოდ დაიზიანა ხერხემალი, — მოსწავლესავით ჩამიკაკლა აგნესმა.

— აბა თუ მეტყვი, სად იყო ეს სასახლე? — გამომცდელად ვკითხე მე.

— სასახლე. სასახლე... ახლავე ვნახავ...

— როგორ თუ ნახავ! ეს ხომ ყველა ნორმალურმა ადამიანმა უნდა იცოდეს!

— ალბათ ძალიან გიშლი ხელს, არა? — მზრუნველ დედასავით მკითხა აგნესმა.

— რა ერქვა იმ ფეხმორღვეულ კაცს, სასახლეში რომ დაეცა? — მკაცრად ვკითხე მე.

— არაფერიც! სანამ დაეცემოდა სრულიად სწორი ფეხები ჰქონდა. ყველაფერი წაქცევის შემდეგ მოხდა, — ალერსიანად განმიმარტა აგნესმა, — ეტყობა, გეძინება და ამიტოს აურია ყველაფერი.

— რა ერქვა-მეთქი იმ კაცს! მიპასუხე, რომ გეკითხები!

— რა ერქვა და, რა თქმა უნდა, იმ კაცს ერქვა, იმ კაცს ერქვა ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი.

— მერე განა მისი სახელი არ გეუბნება სადაურიც უნდა ყოფილიყო? შენისთანა სტუდენტს არასოდეს ნიშანს არ ვაღირსებდი.

— შენ თუ ასე შემიშალე ხელი, მეტს არც უნდა ველოდე.

განაწყენებულმა აგნესმა ისევ თავის კონსპექტებში დაიწყო ქექვა. მე არ ვეშვებოდი. გვარით უნდა გამოგეცნო-მეთქი, ჩავჩიჩინებდი. ეს ხომ ყველაზე ჩამორჩენილმა ინტელიგენტმა იცის-მეთქი... — როგორ გეკადრებათო, ტულუზში კი არა, ზემო-გარონის მახლობლად დაიბადაო, ხაზგასმული თავაზიანობით მიხსნიდა აგნესი.

— ასე რომ, შენ მე ვერ ჩამჭრი! — შესძახა ბოლოს თავდაჯერებით.

— კარგი. აბა იმას თუ მეტყვი, რატომ მოაჭრა ანრიმ ყური თავის მეგო-

ბარ გოგენს? — ვკითხე მე, თუმცა ვიცოდი რომ ვტყუოდი.

— ე, რას ამბობ, ყური ხომ თვითონ ვან-გოგმა მოათალა...

— რაო, რაო?! ე. ი. ვან-გოგმა მოათალა ყური ლოტრეკს? გადასარევია! მეტისმეტად მოსაწონი საქციელია, ღმერთმანი. ეს ადგილი ისე უნდა დაიზუთხო, ძილშიც რომ გკითხონ, არ უნდა შეგეშალოს, — თანდათან გავმხიარულდი მე.

— არა, ლოტრეკს კი არა... ვან-გოგი რა შუაშია... თუმცა ვან-გოგი იმ შუაშია, რომ ლოტრეკს კი არ მოაჭრა, თვითონ მოითალა საკუთარი ყური...

— ოო, ახლა უკვე არა უშავს. და საერთოდ, რომ იცოდე, როგორ მიხარია, ჩემი ცოლი რომ ასეთ საინტერესო რამე-რუმეებს სწავლობს.

აქ კი მართლა ძალიან გაცეცხლდა აგნესი. ბალიშებზე წამოჯდა. მეორე საწოლზე გადავწვებიო, დამემუქრა. ყოჩაღ-მეთქი შევაქე, შენ რომ არ დაგესწრო, მე თვითონ უნდა გადავწოლილიყავი-მეთქი. თუმცა მაშინვე შემეცოდა. იაპონურ ღამის პერანგში გამოწყობილი ქალი რომ მხოლოდ იმისთვის გაიტეხავს ძილს, რაც შეიძლება კარგად დაიზუთხოს, ვის და რატომ მოუნდა საკუთარი ყურის ჩამოთლა, სასაცილოა აბა რა! საბრალო ვინსენტ ვან-გოგს რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდა, მის ყურთან დაკავშირებულ ამბავს ოთხმოცი წლის შემდეგ ცოლქმრულ საწოლში თუ განსჯიდნენ... მაგალითად, როგორ მიართვა მან პაპიროსის ქაღალდში გახვეული ყური თავის საყვარელს საროსკიპოში და ა. შ.

კითხვისა და უძილობისაგან აგნესს თვალები ჩასწითლებოდა. თმაში ჩაწნული წვრილი ბაფთებით სწორედ რომ მძინარე გოგონას მაგონებდა.

— გეყოფა, აგნეს. ხომ ხედავ, ისედაც ყველაფერი იცი, დავიძინოთ — დანაშაულის გამოსყიდვა ვცადე მე.

— წავალ, დივანზე გადავწვები! მერე რა, რომ გაციებული ვარ! მერე რა, რომ იქ ბნელა!.. — ტანკის ქვეშ შემხტომი კაცის შეუპოვრობით განმიცხადა მან.

წუთიც და ის უკვე ოთახის მეორე კუთხეში იწვა. ღამის ნათურიდან მოლუ სინათლე იღვრებოდა. აგნესმა ფეხები ფოსტლებში წაჰყო და ის იყო ჩაის მოსადუღებლად სამზარეულოსაკენ უნდა წასულიყო, რომ სწორედ ამ მომენტში, დეგას რომელიღაც ბალერინა გამახსენდა. გასაკვირიც არაა, გამოცდების პერიოდში ხომ მთელი ოთახი მხატვრული ფოტოებით იყო აჭრელებული.

— კარგი რა, აგნეს! თუ ასეა, ამიერიდან კბილს კბილზე დავაჭერ და საერთოდ ხმას არ ამოვიღებ... მოიცა, მოიცა, აბა თუ მიხვდები, ახლა ვის მაგონებ? აი, ახლა, ასე რომ დგახარ... — ათასი ბოდიშის მომხდელი ხმით ვკითხე მე.

მართალია, აგნესი დიდი მონდომებით კი დუმდა, მაგრამ გვარიანად შეცივებული რომ ჩემთან დაბრუნებას აპირებდა, არც ეს იყო ძნელი მისახვედრი.

— კეთილი, მე თვითონ გაგახსენებ. იცი, დეგას აქვს ერთი ასეთი... ო, ო, ახლა უკვე არა! აი, ზურგით რომ იდექი, იმ პოზაზე გეუბნები, აბა თუ გაიხსენებ, რა ჰქვია იმ ნახატს? კი, კი შენ ეს იცი...

აგნესი ჩაფიქრდა. ახლა მას მართლაც ბავშვური სახე ჰქონდა.

— მერე ის განა დეგასია! იქ ხომ აყვავებული ალუბალიცაა, მარცხნივ... აი, აგერ არ არის! გოგენი — „ტაიტელი ქალები ზღვის სანაპიროზე". დეგა და გოგენი აგერია, ჩემო კარგო, ერთმანეთში...

ამის თქმა და ჩემს ზეწარქვეშ აგნესის შემოცურება ერთი იყო. დიახ, აგნესმა ტაიტელ ქალებთან მსგავსება არჩია და ამით კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, რომ იგი საკუთარ თავს ჩემგან განსხვავებულად აღიქვამდა. მართალია, აგნესსაც გრძელი და მუქი თმა აქვს, მაგრამ მის სახის კანს არაფრით ყვითელი არ ეთქმის!..

— „..სულუფრონერვიულიდადაძაბულიხდებავინსტენვანგოგისმონასმირაცთავისმხრივარავითარკავშირშიარუნდაიყოსმისფსიქიურადდაავადებასთანრისგანაცათასრვაას..."

საოცრად მსუბუქ სიზმარში ვიძირებოდი. ჩაბნელებულ ქუჩაზე ნიკაპდაგრძელებული კაცი გადადიოდა... ხელში ვარდისფერი მარციპანის უზარმაზარი ყური ეჭირა. ბოლოს ის კაცი ცაში აფრინდა.

9.

ისევ საღამოა. მე ისევ სასუქის გროვასთან მიგდებული ლუფსმნების ცარიელ ყუთზე ვზივარ. ახლაც რკინიგზის მიწაყრილთან შეჯგუფული კაცების სიმღერა და მოსახვევში აღრჭიალებული ტრამვაის ხმა მოისმის ყოველ შვიდ წუთში. ყველაფერი ჩვეულებრივადაა ირგვლივ...

აგნესი კი მწერდა, აწი ყველაფერი შეიცვლებაო... უკვე მამა გახდიო...

სხვათა შორის, „უკვე მამა გახდი" მეტისმეტად მაღალფარდოვნად ეღერს! მე უფრო უბრალოდ ვიტყოდი. თუნდაც აი ასე — „მე შემეძინა ბიჭი." ამ ორ გამოთქმას შორის კი, რა თქმა უნდა, დიდი სხვაობაა. ვინ უნდა გავხდე ამიერიდან მე?! აწი მე არავინაც არ გავხდები! მხოლოდ და მხოლოდ იმად ვიქცევი, რასაც ყოველდღე ვუახლოვდები...

დიახ, ბიჭი შემეძინა! ბიჭი და მერე როგორი ბიჭი! პერანგში, ბატონო, პერანგში! როგორც მთავარმა ექიმმა ამიხსნა, ეს თურმე მედიცინის ენაზე ნაყოფის გარსთან ერთად დაბადებას ნიშნავს. აი, ხალხში რომ ქუდბედიანს ეძახიან. ერთხელ კვიცის დაბადებას შევესწარი, ასე რომ, ამისთანა რაღაცეებზე ცოტაოდენი წარმოდგენა მეცა მაქვს.

აგნესმა ისიც კი მომწერა, მოხუცი ბებიაქალი „პერანგის" გაშრობას და შენახვას დამპირდაო... სწორედ ეს „პერანგი" მოუტანს ჩვენს შვილს დიდ ბედნიერებასო... ჩვენი ბიჭის ყველაზე დიდი ბედნიერება კი მამიკოს ჯანმრთელობა იქნებაო და ა. შ. მისი წერილიდან გამომდინარე დღეიდანვე ჩემი ბიჭის მადლიერი უნდა ვყოფილიყავი.

ღმერთო ჩემო, როგორ დამეჩლუნგდა აღტაცების გრძნობა! იმის მაგივრად, რომ სიხარულით ცას ვეწიო, თავი შავბნელი აზრებით მევსება... ამის გამო თუა, რომ ოდნავ შესამჩნევი შიში მეუფლება ხოლმე. ეს არის და ეს. არადა, სწორედ ეს „ოდნავაა" რომ მაწუხებს... და კიდევ ის, წარამარა კვიცის დაბადება რომ მახსენდება.

შვილის გამოსაყვანად მიმავალი მამების უმრავლესობა გადაკრულშია. ბიჭის მამას ყვავილებთან ერთად ლურჯი საბანი უჭირავს ხელში, გოგოს მამას — ვარდისფერი. წესი წესია. სამშობიაროს წინ მანქანა დგას. შედარებით კეთილშობილი ტაქსის მძღოლები ანტენის წვერზე თეთრი აბრეშუმის ბაფთას აბნევენ.

ლურსმნების ცარიელ ყუთზე ვზივარ, საცაა მოსახვევში ტრამვაი აღრჭიალდება.

ისევ ჭინჭრებს შორის მივაბიჯებ. ისევ ცივად მეჩვენება ეს მსუსხავი მცენარე... საავადმყოფოს ყველა ფანჯარა გაჩახჩახებულია და მე ვიცი, რომ ერთ-ერთ პალატაში ახლა კვდება ბიჭი! აი, ის, ფრჩხილებგადაღებილი, მე რომ სულ მამათმავალი მეგონა. კაზაკურად ულვაშებგადაგრეხილმა ჩვენმა მეეზოვემ ამ დილით მის პალატაში ჟანგბადის რამდენიმე ბალონი შეაგორა და, ნეტავ კიდევ რამდენი დაგვჭირდებაო, ჰკითხა მარგიტს. მარგიტმა რაღაც უპასუხა, მეეზოვე ჭირვეულად აბუტბუტდა... მე კი ბიჭი შემეძინა! ბიჭი და მერე როგორი ბიჭი — ქუდბედიანი! ნეტავ აგნესმა რა სახელი შეურჩია?

მომაკვდავი ბიჭის პალატის წინ ჟანგბადის ბალონს მტვერს აცლიან... საავადმყოფოში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე უნდა სუფევდეს. სამშობიაროშიც უსათუოდ ასევე იქნება. ჟანგბადის ბალონები იქაც ექნებათ... ჩვილებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. სამშობიაროში, რამდენადაც ვიცი, ძირითადად ტრავმები და ანთებითი პროცესებია გახშირებული. იმედია, ჩემს ქუდბედიან ბიჭს არაფერს გაუჭირვებენ.

ჩაბნელებულ ხეივანში კაცის ჭაჭანება აღარაა. „იმედია, ჩემს ბიჭს არაფერი გაუჭირდება... ჩემს ქუდბედიან ბიჭს არაფერი გაუჭირდება...“ — ვბუტბუტებ უკაცრიელ ხეივანში და აგნესზე ფიქრი არ მცილდება. ვინ იცის, ახლა იქნებ მარცხენა ფეხზე ზეწარი დაუცურდა და ვიწრო ფეხსაცმლისაგან მოკაკული მეორე თითი გამოუჩნდა!..

ძელსკამზე ვჯდები. მაშ ასე, მე უკვე ბიჭი მყავს. ღმერთო ჩემო, რა შორსაა ეს სიახლე ჩემგან! კი, მე თითქოს ყველაფერს ნათლად, ზედმიწევნით ნათლად ვხედავ, ოღონდ... ოღონდ, როგორც უკუღმა გადაბრუნებულ საველე დურბინდში...

და სრულიად მოულოდნელად მახსენდება, რომ სამშობიაროში ერთხელაც არ დამირეკავს! ერთხელაც!

ძელსკამს ცივი საზურგე აქვს. ცივი და რაღაცნაირად უკარება... რა მოხდა მერე, რკინა რის რკინაა, ცივი თუ არ იქნა-მეთქი, ვიმშვიდებ თავს. სიცივე ხომ თვით რკინის გულშია ჩაბუდებული-მეთქი და ა. შ. ახლა ამ უთავბოლო ფრაზებს ვჩურჩულებ და საავადმყოფოსაკენ მივემართები. მაშ ასე, დღეიდან მე მამა ვარ!..

ფილტვის კიბოთი დაავადებული ბიჭის პალატასთან უკვე ცარიელი ბალონი დგას.

ჩემს ოთახში შევდივარ. ჩვეულებისამებრ ფანჯარას ვაღებ, მაგრამ სიცივე მაწუხებს და უმალ ვკეტავ. იდაყვებით ფანჯრის რაფას ვეყრდნობი და თვალშეუდგამ სიბნელეს ვაშტერდები.

როგორც იქნა, გამახსენდა! აი, თურმე რატომ მეჩვენება ჭინჭარი ცივ მცენარედ!..

მახსოვს, ერთხელ ბავშვობაში მე და ერთი სოფლელი ბიჭი კიბორჩხალების დასაჭერად წავედით. დავანთეთ კოცონი და საქმეს შევუდექით, ის ღამე სამუდამოდ დამამახსოვრდა... მდინარეს ორთქლი ასდიოდა, წყალში ჩამდგარი ბიჭი სორო-ღრუებიდან კიბორჩხალებს ეჭაჩებოდა... ბოლოს კიბორჩხალებიანი ტომარა საბძლის წინ დავდგით და შიგ ახალდაკრეფილი ჭინჭარი ჩავტენეთ. თურმე კიბორჩხალები ჭინჭარში გრილადაც არიან, და საკმაოდ დიდხანაც ცოცხლობენ, დილით, სათივედან რომ გამოვძვერი, გავიხედე და რას ვხედავ -- ამ ჩვენს კიბორჩხალებით სავსე ტომარას სულ ხრაშახრუში არ გაუდის! მახსოვს, ირგვლივ სქელი ნისლი იწვა. მე საბძლის უკან ღამის შარდისაგან თქრიალ-თქრიალით ვთავისუფლდებოდი და თან იმის წარმოდგენას ვცდილობდი, რა გრილად, რა კარგად, რა გადასარევად გრძნობდნენ თავს ჭინჭარში შეხვეული ჩვენი კიბორჩხალები. მერე რა, რომ მეორე დღესვე შევწვით და შევახრამუნეთ, სამაგიეროდ, მთელი ღამე ქორფა ჭინჭარში ნებივრობდნენ.

ისევ ფანჯარასთან ვდგავარ. დიახ, ახლა მეც კიბორჩხალებით სავსე ტომარა ვარ... ვინ იცის, იქნებ ცოტ-ცოტას ვხრაშუნობ კიდეც... ოღონდ, განა მეც ხვალვე შემწვავენ და შემახრამუნებენ!

ჟინჟღლავს ფანჯრის მინას წვიმის წვრილი წვეთები ასხდებიან. ღმერთო ჩემო, რამდენი წელია არ მიტირია!.. და ახლა არც კი ვიცი რა ვუწოდო ამ ცრემლებს... ბედნიერების? მწუხარების!.. არადა, დღეს ხომ ჩემი ბიჭი მოევლინა ქვეყნიერებას, ჩემი ქუდბედიანი ბიჭი!

გულში ვლოცულობ და ვცდილობ მხოლოდ ღმერთზე ვიფიქრო... ღმერთი შორსაა და, ეტყობა, მე მასაც გადაბრუნებული დურბინდით ვხედავ... მაგრამ, რაც მთავარია, ვხედავ!

ღამეა. წვიმს. ახლა უკვე ფანჯრის მინაზე მსხვილ-მსხვილი წვეთები იღვრება და მე და ფანჯარა ერთად ვქვითინებთ.

10

ორგანულ შენადნობთა სპეციალური ლაბორატორია, რომლის შექმნასაც მთელი ორი წელი მოვანდომე, გასაუქმებლადაა განწირული. მხოლოდ ერთადერთი სექტორი დარჩება და ისიც მეფიქალეთა განმგებლობაში. ეს ამბავი დღეს ჩემმა ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა გენადიმ გამაგებინა. გენადის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, ვუსმინე, ვუსმინე და ისე შემეცოდა, კინაღამ წამომცდა, ეს ყველაფერი კარგა ხანია სულ ფეხებზე მკიდია-მეთქი. თუმცა დიდი ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, თავს მოვერიე და კრინტი არ დამიძრავს.

საავადმყოფოს პარკში ვისხედით. ის თავისას მიერეკებოდა, მე ჩემს გაცივებულ წვნიანზე ვფიქრობდი. მერედა, რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარს გაცივებულ რძის წვნიანზე მოყენებული ცხიმი! განა არ ვიცი, რომ ეს ნაღები, რძეში არსებული ყოვლად უწყინარი ნივთიერებისაგან, პარაფინისაგან წარმოიშობა, მაგრამ მაინც მეზიზღება და რა ვქნა. გენადისთან, რასაკვირველია, არც ამის გამო დამიძრავს სიტყვა. თვითონ კი თავის რუსულ-ესტონურ ენაზე იმდენი იქაქანა, იმდენი, სანამ მოტვლეპილი თავის კინკრიხოც არ გაუოფლიანდა. სასაცილო სანახავი იყო: დააძრობდა გენადი ჯიბიდან ლურჯ ცხვირსა-

ხოცს, გადაისვამდა ოფლით დაცვარულ თავზე, მაგრამ რად გინდა, ოფლი ისევ და ისევ მოეონავდა. მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, უნებლიეთ ფიზიკის იმ კანონს ვიხსენებდი, რის თანახმადაც თბილ ოთახში გაყვანილი ცივი წყლის მილებიც გენადის თავივით ნესტიანდება ხოლმე.

გენადის დაშოშმინება შეუძლებელი იყო, ამ თავფქვილა ხალხთან ყოფნას სოფელში წასვლა და ჩვენს საწარმოო საამქროში დაბალხელფასიან მუშად მუშაობა მირჩევნიაო, განმიცხადა, მუშად წასვლა რამ გაფიქრებინა-მეთქი, შევეკამათე მე. თუ მაინცდამაინც სოფელში გამგზავრება გაქვს გადაწყვეტილი, იქ ხომ ჩვენს ახალ საწარმოო ბაზას აგებენ და უკეთეს ადგილს გამონახავ-მეთქი. ვაითუ იქაური მშენებლობაც შეწყვიტონო, ეჭვი გამოთქვა გენადიმ, აჰ, არამც და არამც ეს არ მოხდება-მეთქი, შევაგულიანე მე. იქ ხომ ჰერბიციდების უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რისთვისაც ახლახან დამატებითი სახსრებიც კი გამოჰყვეს და ადვილი შესაძლებელია, იქაც მთავარ ინჟინრობას გამოჰკრა ხელი-მეთქი, რაც შემეძლო დავაიმედე გენადი, მაგრამ ის მაინც თავისაზე იდგა. ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც უბრალო მუშად წავალ და მაგ უსინდისოებს ასე გადავუხდი სამაგიეროსო...

ვინ იცის, ავად რომ არ გავმხდარიყავი, იქნებ მეც რაიონში წავსულიყავი სამუშაოდ. ქვას გავხეთქავდი და ჩემს ლაბორატორიასაც იქ გადავიტანდი. სხვა თუ არაფერი, ამით ვარგამიელ ინდრეკს* მაინც მივბაძავდი. ეს კომპლექსი ხომ სწორედ იმ დაბაში შენდება, სადაც მე დავიბადე. რას იზამ, დღეს უკვე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ახლა ჩემს სოფელში, ჩემ მაგივრად გენადი და მისი ცოლი ზოია ჩასახლდებიან თავის სამ შვილთან ერთად. ყველაზე მეტად სწორედ ამ სურათის წარმოდგენა მზარავდა!.. ჩემი სოფელი, ჩემი სკოლა, ჩემი მდინარე, ჩემი ნასახლარი... თფუ! ეშმაკმა დალახვროს, მაინც რას უგავს კბილები ამ გენადის! ნუთუ ასე ძნელია მათი წესრიგში მოყვანა!

დავიღალე-მეთქი, გამოვუტყდი. ბოლოს და ბოლოს გენადის. თუ საჭიროა, თუ კიდევ გამოვა რამე, თუ ღირს დავიდარაბად, სამინისტროში მივწერ-მეთქი და ა. შ. გენადი გაოცებით შემომაჩერდა და ერთბაშად მომჩვარულმა ბოდიშიც კი მომიხადა, დიდი დრო წაგართვიო, თან პამიდორებით სავსე ცელოფანის პარკი შემომაჩეჩა ღიმილით ჩემი ზოიას მოწეულიაო. ყვითელ-მწვანე პამიდორებმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ერთადერთი პამიდორი ჩანდა წითელი და ისიც გაჭყლეტილიყო ჩანთაში.

გენადის რომ გამოვემშვიდობე, მართლაც გვარიანად დაღლილი ვიყავი. იგი საავადმყოფოს ჭიშკართან შედგა, უკან მოიხედა, რაღაცის თქმაც უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა და ისე უხერხულად დაიხარა, თითქოს ფეხსაცმლის ზონარს იბნევდა.

საღამოს ისევ გამოვედი ეზოში. ისევ ვერხვის ძირში ჩამოვჯექი. გენადის მიმართ გამოჩენილ გულგრილობას ვნანობდი. კარგი იქნებოდა, ცოტა უფრო გულთბილად და ყურადღებით მოვპყრობოდი, მაგრამ ხანდახან ადამიანს ამის თავიც აღარა აქვს...

თავდაპირველად, ჩემი თანამშრომლები სხვადასხვა საფინანსო ანგარიშებსაც კი მიგზავნიდნენ საავადმყოფოში, მაგრამ გამოხდა ხანი და საფინანსო ანგარიშები სამედიცინო ლიტერატურაში აირივნენ... დიახ, მე უკვე „საგარეო

---

* ესტონელი კლასიკოსის ა. ტამსაარეს რომანის („სიმართლე და სამართლიანობა“) პერსონაჟი.

პოლიტიკა“ აღარ მაინტერესებდა! (ამ ბოლო ხანებში „საგარეო პოლიტიკას“ ვეძახი ყველაფერს, რაც ჩემს ავადმყოფობასთან არ არის დაკავშირებული) ახლა, ასე ვთქვათ, მთლიანად „საშინაო პოლიტიკაში“ ვარ ჩაფლული. ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცისათვის ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

საოცარია პირდაპირ! — ჩვენი ლაბორატორიის გაუქმება და სექტორად დაქუცმაცება, მგონი, სასიამოვნოდაც კი მიღიტინებს... ნუთუ ეს შეგრძნება სასტიკი იმპერატორის იმ ბოლო სიხარულსა ჰგავს, ბრძანებას რომ გასცემს, ჩემს ქვეშევრდომებს თავები წააწყვიტეთ და საფლავში ჩამატანეთო?! არა მგონია. არც უხამსი ყოყლოჩინობის ბრალი უნდა იყოს — აი, ხომ ხედავთ, უჩემოდ საქმეს თავი ვერ გაართვით. აბა როგორ გეგონათ-მეთქი, ნიშნისმოგებით რომ მეფიქრა... მაშ, რაღა უნდა ყოფილიყო ამ სასიამოვნო შეღიტინების მიზეზი?! დიდი ფიქრისა და თავის მტვრევის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივედი: კი, თავიდან ამ ცუდმა ამბავმა, რა თქმა უნდა, მეც დამამწუხრა, მაგრამ ბოლოს იმაშიც დავრწმუნდი, რომ სიცოცხლის მიწურულს თურმე ყველაზე სანუკვარ საქმეებში ხელის მოცარვამაც არ უნდა წაგახდინოს კაცი. მით უმეტეს, სწორედ ამნაირი შთაგონებით ეზიარები მომაკვდავისათვის სასურველ იმ ერთადერთ თავისუფლებას, რომლის წყალობითაც „მგონი“ იმ ქვეყანაში გადაბარგებაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც შემზარავი. ეს დანამდვილებით ასეა თუ არა, კაციშვილმა არ იცის, მაგრამ ამით არაფერი იცვლება...

აქეთ ვერხვის მომწარო სურნელი იფრქვევა, იქით ბუზები ბზუიან... „აქეთ საცხედრე, იქით ვერხვები... ბუზის ბზუილში დაირეხვები!“ რა, ცუდი რითმაა თუ? რითმა იქით იყოს და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ აბეზარ ბუზებს გამოფუღუროებული, ნახევრად გამხმარი ვერხვი უფრო აინტერესებთ, ვიდრე მე... ჯერჯერობით!

ეჰ, გენადი, გენადი! ჩემო კარგო, ჩვენ უკვე რაღა დაგიმალო და ფეხებზე გვკიდია შენი გასაჭირი... ჩვენ უკვე თანდათან ვხმებით... ხომ ხედავ, გვერდგამომპალ ვერხვს უკვე კანიც ძვრება!

გამოფუღუროებული ვერხვის აქა-იქ ახლეჩილ კანქვეშ მწერებისა და ჭიაღუების საოცარი სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. ვაკვირდები და გული მწყდება, რომ მწერების შესახებ ასე ცოტა რამ ვიცი. ჭარხლის ძირების მჭამელ ხოჭოებს მე ერთხელ უკვე მოვეელინე საშინელ დემონად. სხვათა შორის, თუ სადმე სამართალია, არც მცენარეთა ტილებმა უნდა მომიგონონ მაინცდამაინც დიდი სიყვარულით. მართალია, ჩვენ მიერ შექმნილმა მათმა გასანადგურებელმა პრეპარატმა იმედები ვერ გაგვიმართლა, მაგრამ მაინც, და მიუხედავად ამისა, მწერების საკითხში წმინდაწყლის დილეტანტი ვარ. მწერების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ლაბორატორიაში ორ ბიოლოგს ჰქონდა დავალებული. აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმდენი თავისუფალი დროც დამრჩებოდა, ბუჭყების ცხოვრებაშიც გავთვითცნობიერდებოდი და ისიც აქ, ჩვენი საავადმყოფოს ბაზაზე! რასაკვირველია, ამ ერთ ციდა, მოუსვენარ მწერსაც თავისი არისტოკრატულ-ლათინური სახელი ექნება, (რომლის შესახებ, იმედი უნდა ვიქონიოთ, საბრალო ბუჭყას წარმოდგენაც არა აქვს), ესეც აუცილებლად რომელიღაც სახეობას, ჯგუფსა და ოჯახს განეკუთვნება. ხოლო მათი კიდევ უფრო უმწეო წინაპრები სადღაც შორს ზღვებისა და ოკეანეების ტალღებში წარმოიშვნენ უსათუოდ. მილიონი წლის წინათ

ალბათ ისინიც ასევე მოუსვენრად დაფარფატებდნენ, თავდაუზოგავად შრომობდნენ, ყოველწამს სარჩოს ეძებდნენ და მათზე ბევრად პაწაწინა ქინქლებით პირს იტკბარუნებდნენ... იმ საბრალო ქინქლებისათვის კი ესენი ალბათ ისეთივე სულთამხუთავი დემონები იყვნენ, როგორც მე ჭარხლის ძირიჭამია ხოჭოებისათვის. სხვათა შორის, მწერი, რომელსაც ახლა ვაკვირდები, დიდი ნერვიული ვინმე ჩანს. გამუდმებით დახტის. ცახცახებს, თავს არ იზოგავს, ერთი სიტყვით, ტიპიური სანგვინიკია. თავისი მოუსვენარი მოძრაობით მართლაც რომ მინიატურულ სირაქლემას ჰგავს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პაწაწინა ბუჭყასაც თავისი პაწაწკინტელა გული და ტვინი აქვს. ის კი არა, იქნებ თირკმელზედა ჯირკვლებიც კი ჰქონდეს და თეორიულადაც სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩვენი სანგვინიკური ტემპერამენტის მწერიც სწორედ თირკმელზედა ჯირკვლების მსხვერპლი გახდეს.

ო, რა სიმპათიურია ეს ბუჭყა! ჩემს ავადმყოფ „მე"-ს უსათუოდ დიდი სიამაყის გრძნობა დაეუფლებოდა, თუკი ამგვარი ქინქლების შესახებ ყავისფერ ყდაში ჩასმულ სოლიდურ მონოგრაფიას დაწერდი... თანაც, ყველაზე უფრო ის გამახარებდა, რომ ამ მონოგრაფიას ორ-სამ კაცზე მეტი არ წაიკითხავდა... სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში სწორედ ისეთი რაღაცეებითა ვარ დაინტერესებული, რომელთაც არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნიათ. ცდას არ დავაკლებ, რათა ამგვარ მოსაზრებათა განხილვას, რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს ჩემს დღიურებში.

11.

იმ დღეს მარგიტმა პუშკინის ლექსების კრებული მომიტანა. თურმე, ნუ იტყვით და, ეს კრებული აწ განსვენებულ პეეტერს სიკვდილის წინ თავისი მეგობრისათვის, ე. ი. ჩემთვის უანდერძებია. მე ალბათ ამნაირი უკანასკნელი სურვილები არაფრით არ მექნებოდა. ღმერთო, შენ დამიფარე ყოველგვარი უკანასკნელი სურვილისაგან!

მგონი, ზემოთ ვთქვი კიდეც, „ტუსაღზე" გადაშლილმა პუშკინმა ჩაბნელებული დერეფანი, ცრემლების გემო და ტანვარჯიშის ბინძური ლეიბების სუნი გამახსენა-მეთქი. არადა, ახლა, როცა თავზესაყრელი თავისუფალი დრო მაქვს, მოგონებებში ჩაღრმავების მეტი რაღა დამრჩენია. მით უმეტეს, ამ დღეებში სწორედ იმ მოგონებათა თავის მოყრას შევუდექი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან არიან დაკავშირებული, ერთი სიტყვით, ე. წ. „შიდაპოლიტიკური" მემუარების დაწერა მაქვს განზრახული.

საერთო რვეულის ბოლო გვერდზე უკვე კარგა მოზრდილი ქვესათაურები მაქვს ჩამოწერილი. ეს ქვესათაურები მერე და მერე ჩემი მემუარების მთავარ ორიენტირად იქცევიან. აი ისინიც:

საკუჭნაო — ობობა — მჟავე რძე — ფროიდის წაკითხვა პირველად.

ლინდა — ვარსკვლავები სხვენის სარკმელში — მე ვხდები კაცი — ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი — აზრები საყოველთაო ხოცვა-ჟლეტაზე.

ნავსადგური — ალტი რუსული აქცენტით — თევზის პირი — ოთახის დაგვა — ფერდინანდი — საწამლავი — ნახვრეტი წინდის საქუსლეში.

კიდევ ერთხელ ვკითხულობ ჩანაწერებს, რომელთა დაფარული აზრი მხო-

ლოდ და მხოლოდ მე მესმის დედამიწის ზურგზე. ამის გამო იქნებ იმ ქვაწვიასაც ვგავდე, რომელიც ყოველგვარ სიხარულს მარტოოდენ დალოცვილ პირად საკუთრებაში ხედავს... და საკმარისია არ გავშიფრო ამ სიტყვებში დაფარული აზრი, რომ მათი საიდუმლოც ჩემთან ერთად დაიმარხოს. დიახ, ვინ მოთვლის, რამდენი სიტყვის საიდუმლოა ახლა ჩემს ხელში!..რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ყველაფერი ერთგვარ სიამოვნებასაც კი მგვრის.

ჩვენ შესახებ მხოლოდ ჩვენ თვითონ ვიცით რაღაც-რაღაცები და ისიც საკმაოდ ბუნდოვნად. საკუთარ მოგონებებს არ ვუფრთხილდებით, ყველაფრის დავიწყებას ვეგუებით და იმიტომ!

დღეს საავადმყოფოს პარკში სეირნობისას იაანიკას მოვკარი თვალი. იგი ქვაზე იჯდა და მოხარშულ კვერცხს შეექცეოდა. მერე რა, რომ ნაჭუჭებს მიწაში მარხავდა. ამაში თითქოს არც არაფერი იყო განსაკუთრებული, მაგრამ ეს სურათი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ჩემს არსებაში მინავლული მოგონების შესაფრთხიალებლად. კვერცხის ნაჭუჭები რაღაც შორეულსა და მნიშვნელოვანს უკავშირდებოდა. მაგრამ რას? რას? რას? აი, რის გახსენებას ვცდილობდი მთელი არსებით. რვეულის ბოლო გვერდზე ახალი ჩანაწერი ჩნდება: „იაანიკა — კვერცხის ნაჭუჭები — მიწა". ვნახოთ, იქნებ მერე გამახსენდეს...

დღეს კი სულ სხვა მოგონების ჯერია. ვიწერ:

„გეტრები „ტუსაღი" — მე თქვენ მეზიზღებით! — „დონა კლარა" — ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!" მაშ, დავიწყოთ!

ათი წლისა ვარ, სკოლაში საზეიმო საღამოა. დედამ თმა შუაზე გადამიყო და თეთრი პომპონებიანი გეტრების ჩაცმა მიბრძანა. ამჯერად ენის შეუბრუნებლად ვასრულებ ბრძანებას. დედა გაოცებულია. მან მშვენივრად იცის, როგორ მეზიზღება ფეხების ეს თეთრი ფუტლარი... მაგრამ დღეს ხმას არ ვიღებ. ჩემს დღევანდელ მორჩილებას თავისი მკაცრი ლოგიკა აქვს. განა არ ვიცი, რომ თეთრპომპონებიანი გეტრები „დედიკოს ბიჭების" უნიფორმის ძირითადი ატრიბუტია, ვიცი და სხვა დროს არაფრით არ ჩავიცვამდი, მაგრამ დღეს კვირაა! დღეს საზეიმო საღამოა... დაე დღეს ყველას სანიმუშო — სამაგალითო ბავშვად მოვეჩვენო! სამაგიეროდ, კაციშვილმა არ იცის. რა ხდება ჩემს სულში! „შეხედეთ, რა კარგი ბიჭუნაა, რა თავაზიანი, რა ზრდილობიანი!.." — უაზრო, მაამებლური ღიმილით იტყვიან ჩემზე. მე კი ამ დროს კბილებს გავაღრჭიალებ და ოთხად მოკეცილი, მოჩვენებითი მოწიწებით მივესალმები მათ. აი, რა წესიერი ბიჭუნა ვარ!.. არადა, ამ დროს ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა საცოდავად გამოიყურება ეს თეთრპომპონებიანი ბიჭი! ბიჭი კი არა, ტიკინა, უფრო სწორედ, ბიჭის კარიკატურა. განა ადვილია ენის შეუბრუნებლად აჰყვე უფროსების ..ხირებას... მაგრამ დღეს მე ამას შევძლებ! თუ ძალიან მოვინდომებ, შევძლებ... ამ დაძაბულ მცდელობას იქნებ გემოც კი ჩავატანო! ცოტაც დამაცადეთ! სულ მალე ისეთი ვიღაცა გავხდები, ისეთი, რომ... (მართალია, ამ წუთში დანამდვილებით ვერც მე გეტყვით, რა გავხდები ამისთანა, მაგრამ იმდენს კი მოვახერხებ, გაოცებისაგან ყველას პირი დავაღებინო!) წაიშინონ მერე თავში მუშტები და იკაკანონ. „ამას რას ხედავს ჩვენი თვალები, ნუთუ ეს იმ თეთრპომპონებიანმა ბიჭმა ჩაიდინა". დიახ, რა კაცი გავხდები, ჯერჯერობით არავინ იცის, მაგრამ პატივისცემით და სიყვარულით რომ მომეპყრობიან, ორი აზრი არ არსებობს. „თქვენო ბრწყინვალებავ",

„თქვენო უდიდებულესობავ!“.. აი, დაახლოებით ამ სიტყვებით თუ მოახერხებენ ჩემთან ურთიერთობას, და მიუხედავად ყველაფრისა, მე მათ მოვეპყრობი ბევრად უკეთ, ვიდრე ისინი ამას იმსახურებენ! ვეცდები, ვიყო სულგრძელი და მიმტევებელი... ნუ გეშინიათ, მე მუდამ თქვენი მწყალობელი ვიქნები!

გუშინდელი დღესავით მახსოვს რა ხდებოდა მაშინ ჩემს არსებაში. უფროსები უბრალოდ ვერც კი ამჩნევენ, რა იმპერატორული ენებათაღელვანი ბობოქრობენ ბიჭებში მაშინ, როცა ისინი თხემლის ჯოხით ეკლიან ბირკავებს აწყვეტენ ხოლმე თავებს. თანაც, რაც უფრო გრძელია გეტრები, მით უფრო დაუოკებელია სიშმაგე... სხვათა შორის, ბირკავას თავებს ისინი არა მარტო უფროსების თავებად წარმოიდგენენ! ხშირ შემთხვევაში ჯოხის ერთი მოქნევით ბილიკზე სწორედ იმ ღარიბი თანაკლასელის თავს გააგორებენ, რომელიც სულაც არ არის ვალდებული ჩაიცვას გეტრები, გოლფი — შარვალი, მაქმანიანი პერანგი... თანაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამეები მათ საერთოდ არ გააჩნიათ.

დღევანდელ საზეიმო საღამოზე პუშკინის „ტუსაღი“ უნდა წავიკითხო. თავდაპირველად ამ ამბავმა წყეული გეტრების ჩაცმასავით გამაღიზიანა. დიახ, დეკლამატორობაც დამცირების ერთ-ერთ მეთოდად აღვიქვი და საგულდაგულოდ შენიღბული შურისძიების გრძნობებით გულგასივებული ყოველგვარი ხალისის გარეშე ვაპირებდი ამ დავალების შესრულებას, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, როგორც კი სცენაზე გავედი, ყველაფერი შეიცვალა.

„ალექსანდრ სერგისძე პუშკინი — „ტუსაღი!“ გამოვაცხადე ჩემი წვრილი ხმით. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მოზრდილთა უმრავლესობა მოლოდინით აღსავსე თვალებით შემომაჩერდა, ჩვენთვის, ე. ი. მეოთხე კლასის მოსწავლეებისათვის, ვინც მაღალ კლასებში სწავლობს, ყველა მოზრდილია... ჩემკენ მოქცეულ არც თუ ისე სულელურ სახეებს კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი და დავრწმუნდი, რომ ყველანი კეთილგანწყობილი გულისყურით მისმენდნენ. უცებ შევკთრი... რა იქნება, ესენიც ჩემსავით ჩაწვდნენ ამ ლექსის შინაარსს-მეთქი, გამიელვა თავში. ხშირ-ხშირად და ხმამაღლა კითხვისაგან ეს ლექსი ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. ანკი რა გასაკვირია — დილეგში გამომწყვდეული არწივიც ხომ ჩემსავით თავისუფლებისაკენ ისწრაფვის!.. როგორ მინდოდა ამ ლექსის დედააზრი ყველასათვის მიმეწვდინა! მაშინ ხომ ესენიც ბევრად უკეთესნი გახდებოდნენ, უფრო ღრმად ჩაუფიქრდებოდნენ ცხოვრებას... ყველა მე მომჩერებოდა! ყველა სულგანაბული მისმენდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ცოტაც და, მე მათ ახალ სარწმუნოებაზე მოვაქცევ! უნიათო ყოფის ამაოებით შევაძრწუნებ...

დიახ, დილეგში გამომწყვდეული არწივის საცოდაობამ თავით ფეხამდე შესძრა მთელი დარბაზი! ახლა მე ამას მთელი არსებით ვგრძნობდი. ჩემი ხმაც სულ უფრო და უფრო გამყინავი ხდებოდა... და მაშინ, როცა მთელი დარბაზი შორეული ლაჟვარდებისაკენ მყავდა თვალმიქცეული, უკიდურესი დაძაბულობისაგან აკანკალებული სოპრანოთი შევძახე:

გავფრინდეთ ზღვისკენ და ლაჟვარდის ფერებთან,
სად მე და ნიავი...

დადგა წამი, როცა ჩემთვის მართლაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ამ გულაჩუყებული მსმენელების უსასრულო სივრცეებში გადასროლა. ყველანი მონუსხულებივით მომჩერებოდნენ: წინა რიგში მოკალათებული აბიტურიენტები, მოხუცი კაცი, თავისი ლურჯი ცხვირსახოცით წარამარა ცრემლებს რომ იწმენდდა და თვით ესტონური ლიტერატურის მასწავლებელიც კი, რომელიც ხან თავისი ჰობიოს ტემბრიანი ხმით მაგიჟებდა და ხან ზედა ტუჩზე ამოზრდილი მეჭეჭით, მაგრამ მე უკვე საოცარი დიდსულოვნებითა და ყოვლის მიმტევებლური გრძნობებით ვიყავი შეპყრობილი. იმ წუთში ჩემი საზიზღარი გეტრები და შუაზე გადასლეპილი თმაც აღარ მაღიზიანებდა. სულო ცოდვილო, იმასაც კი ვნატრობდი, ნეტავ ამ ბრბოს სათავეში დამაყენა და ყველანი სადმე შორს, უსასრულოდ შორს წამაყვანინა-მეთქი... „ზღვისკენ და ლაქვარდის ფერებთან, სად მე და ნიავი...“

და ჰოი საოცრებავ! უეცრად მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. ეს იყო ენით გამოუთქმელი საშინელება, კოშმარი... ზუსტად იმ წამს, როცა ხმა იმ განსაცვიფრებელსა და გენიალურ formato-ზე გაიყინა, რომელიც ბოლო სიტყვების („ვსეირნობთ ერთად!“) ერთგვარ პროლოგად უნდა ქცეულიყო, კარი გაიღო და ყურადღებადქცეულ დარბაზში შეზარხოშებული მეათეკლასელი შემობარბაცდა. ამ აყლაყუდამ ერთი კი მიიხედ-მოიხედა, მერე თავისუფალი სკამებისაკენ წალასლასდა და სწორედ იმ დროს, როცა ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე უნდა დამჯდარიყო, ფეხი დაუცურდა და იატაკზე გაიშხლართა... მორჩა, ჩემი წინასწარმეტყველური პაუზა ჩაფლავებული იყო! უფრო მეტიც — სწორედ იმ ღვთაებრივი დუმილით ამაღლებულ, ურწმუნოთა მოსაქცევად გარინდებულ წამში, როდესაც წარმოსახვაში განთავისუფლებულ არწივს უძირო სილურჯეში უნდა ეფარფატა, ეს აყლაყუდა ვირიშვილი, დიახ, დიახ — ეს გალეშილი ვირიშვილი თავის სკამიანად გადაყირავდა!!! მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი. უზომოდ შეურაცხყოფილმა და დაბოლმილმა ფეხქვეშ გათელილი ბოლო სიტყვები („ვსეირნობთ ერთად“) ჩუმად წარმოვთქვი და სცენიდან გავვარდი. თუმცა ჩემთვის უკვე არავის სცხელოდა. ეს ტაში და მხიარული შეძახილები, რაღა თქმა უნდა, ამ ნაძირალას, მაიმუნსა და აყლაყუდას ეკუთვნოდა. მხოლოდ ცრემლმორეულმა მოხუცმა და ესტონური ენის მასწავლებელმა გამომაყოლეს ნაღვლიანი მზერა. წინა რიგში გამოჯგიმულ აბიტურიენტებს თავიანთი გამოყეყეჩებული თავები უკან მიექციათ და სიცილისაგან იგუდებოდნენ.

ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი ბალაგანია! თავის მოკვრაა... მუხანათური ღალატია!

როგორი საქმეა, ჰა? ვდგავარ აგერ მათ წინაშე მე თეთრპომპონებიანი პატარ მესია... ესენი კი ვიღაც დოყლაპიას მაიმუნობაზე სიცილისაგან ბჟირდებიან! ისე გამოდის, თითქოს ლაწირაკის იატაკზე გაშხლართვა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ლაქვარდი, ვიდრე ღვთაებრივი დუმილით ამაღლებული წამი, რომელშიც თავისუფალი არწივი ფარფატებს!.. ვიდრე პუშკინი და მე, ბოლოს და ბოლოს..

სცენიდან კისრისტეხით გავრბივარ, რათა რაც შეიძლება სწრაფად გავეცალო ამ პლებეების თვალებს, საცირკო სანახაობათა მოყვარულ ამ ბრბოს.

სცენის სიღრმეში შეჯგუფული ჩემი ამხანაგები თავიანთი გამოსვლის რიგს ელოდებიან და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ტაში მე დავიმსახურე...

ყავისფრად გალაქულ კარს ვეყრდნობი... ტანში ცივი და ცხელი ჟრუანტელი ერთდროულად მივლის. თითქოს კიდევ რაღაცას ველოდები. მაინც რას? აი, მე მათ მოფიქრებისა და თავიანთი საქციელის აწონ-დაწონვის დროს ვაძლევ. ბოლოს და ბოლოს, ნუთუ ვერ უნდა მიხვდნენ, რაც ჩაიდინეს. ალბათ ცოტაც და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება... მერე პირველი გაუბედავი ტაში... კიდევ ცოტაც და ტაშის გრიალი მატულობს... ოვაციას საზღვარი არა აქვს! ბის! ბის! ბის! გაისმის ყოველი მხრიდან. ყველა მე მიხმობს, ყველა მე მეძახის, მაგრამ , არა, მე უარს ვაცხადებ. ბოლოს შემომესევიან და ხელში ამიტაცებენ... მათი ბინძური ხელების შეხებას მოთმინებიდან გამოვყავარ და ისევ კულისებისაკენ გავრბივარ. გახურებულ შუბლს ყავისფრად გალაქულ კარზე ვიგრილებ და მოფიქრების ვადას თავიდან ვხსნი. ისევ ველოდები, ველოდები, ველოდები... ბოლოს კი, როცა როიალზე მექსიკური ცეკვის შესავალი აკორდები აჟღერდება, კულისებიდან გამოვდივარ და უკანა კარისაკენ ფეხაკრეფით მივიპარები.

ტუალეტში საშინელი ბოლი დგას. ეს ჩვენი აბიტურიენტები უკვე იმდენს სვამენ და ეწევიან, არავითარი სიკეთე მაგათგან არაა მოსალოდნელი!

თავისუფალ კაბინაში შევდივარ. კარს საგულდაგულოდ ვკეტავ. მერე გამოვდივარ და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ, ხომ არავინ დამინახა-მეთქი. არა, არავისაც არ დავუნახივარ. ეს წუთია, კედელზე უზარმაზარი ასოებით გამოვიყვანე:„მე თქვენ მეზიზღებით!" ეს ის წარწერაა, რომელიც ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც მოგხვდება თვალში.

ხმაურიან დერეფანში მივაბიჯებ. მხატვრული ნაწილი დასასრულს უახლოვდება. წესით უკვე სახლში უნდა მივდიოდე, მით უმეტეს ცეკვებზე დარჩენა მეხუთე კლასამდე აკრძალულია...: არადა, იმის შემდეგ, რაც ტუალეტის კედელზე ჩემოდენა ასოებით მივაწერე, ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვსილი უნდა ვეცლებოდე აქაურობას. მაგრამ რა უნდა გააწყო იმ უხილავი ძალის წინააღმდეგ, რომელიც უკან გექაჩება და არ გიშვებს... არა, ნუთუ მართლა იმის იმედი მაქვს სულ მალე მომძებნიან, დამიყვავებენ და ბოდიშს მომიხდიან-მეთქი?! ეს ხომ გამორიცხულია! ამ უფერულ ბრბოს ასე ადვილად რას შეაგნებინებ ჩადენილ დანაშაულს: და მიუხედავად ყველაფრისა, სრულიად მოულოდნელად გადასარევ გუნებაზე ვდგები. ახლა უკვე ისიც არ მაინტერესებს შეიგნებენ თუ არა ეს ბედოვლათები თავიანთ დანაშაულს... არ შეიგნებენ და მით უკეთესი! — ჩვენ ხომ სწორედ შეგნებით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. ახლა ისიც კი შემიძლია დავიჯერო, როგორ მიხდება ეს თეთრპომპონებიანი გეტრები. აკი სწორედ მათი წყალობით გამოვირჩევი ამ დოყლაპიებისაგან... დამცინით ხომ? იცინეთ, ბატონო, იცინეთ!.. არც კი იცით საკუთარ თავს რომ დასცინით, თქვე საწყლებო...

აი, საზეიმო საღამოს მხატვრული ნაწილიც დასრულდა. ასხრიალებულ დერეფანში დავეხეტები და ცეკვების მოლოდინში შეჯგუფულ მოსწავლეებს ხაზგასმული ქედმაღლობით ვაკვირდები. კედლის სარკესთან მივდივარ. ჯერ შუაზე გადავარცხნილ თმას ვისწორებ, მერე კი გეტრებზე ჩამოკონწიალებულ თეთრ პომპონებს. ხომ ხედავთ, თქვენმა უზრდელობამ ვერც ჩემს შუაზე

გადავარცხნილ ქოჩორს დააკლო ვერაფერი და ვერც ფაფუკ პომპონებს! უფრომ მეტიც — ახლა არც ერთ თქვენგანს არ შეუძლია წარმოიდგინოს, რა ხდება ჩემს სულში!

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო კარგ გუნებაზე ვდგები.

ცეკვების მოლოდინში აცეტებული უფროსკლასელები ოხუნჯობენ, უშნოდ იგრიხებიან და გოგოების გასაგონად ისეთ რამე-რუმეებს გაიძახიან, რასაც უფროსები ჩვეულებრივად ორაზროვანს უწოდებენ ხოლმე. არადა, კაცმა რომ თქვას, რა შუაშია აქ ორაზროვნება, როდესაც ყოველ მათ შეძახილში ერთადერთი და საკმაოდ ნათელი აზრია ჩაქსოვილი. მაინც რა აზრი? სხვათა შორის, ჩემთვის ესეც ცნობილია.... ჩვენცა გვაქვს სახლში „ჯანმრთელობის ცნობარი", „ბუნებრივი მკურნალობის მეთოდები" და სხვ. არა, განა ყველაფერი მესმის, რაც ამ წიგნებში წერია, მაგრამ იმას ხომ ვხედავ, მაინცდამაინც ბიჭების თავშეუკავებელ შეძახილებზე რომ აუტყდებათ ხოლმე ჩვენს ახუნტრუცებულ გოგოებს ქირქილი და წინდების სწორება... ო, როგორ . მიყვარს ამისთანა თვალთმაქცობა! თანაც ისეთი შეშლილი სახეები აქვთ, თი - ქოს იმ წიგნებში ამოკითხული მაიმუნობების ჩასადენადაც იყვნენ მზად!.. კი მაგრამ, სად არიან ამ დროს მასწავლებლები! სად იქნებიან? აქვე არიან, ჩვენ გვერდით, ოღონდ მთელი გულისყური მოჩვენებითი წესრიგისაკენ აქვთ მ - ცეული. მერედა, როგორ თვალთმაქცობენ. ისეთი სახეები აქვთ, თითქოს ს ე - ლაც ვერ ხვდებოდნენ, რა ფიქრები უტრიალებთ თავში მათ მოსწავლეებს. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი შეთქმულებაა! შეთქმულება, რომელშიც მასწავლებლებიც მონაწილეობენ. სადაცაა ცეკვები დაიწყება. აი, მაშინ იქნება, რაც იქნება! მიესევიან ბიჭები ამ ჩვენს გოგოებს და დაუწყებენ უშნოდ ხელების ფათურს. განსაკუთრებით პერანგის შიგნით იდუმალად გადახლართულ წვრილ-წვრილ თასმებს და ღვედებს ეტანებიან ხოლმე. სწორედ იმ თასმებს, რომელზე ხელის შეხებასაც სხვა დროს არცერთი გოგო არცერთ ბიჭს არ დაანებებდა. შეთქმულთა ბანდა! მე სულელი კი მათ ლექსებს ვუკითხავდი!..

უკვე ცხრა საათია, რახანია შინ უნდა ვიყო... და ამ დროს რატომღაც მახსენდება, რომ ჯიბეში აივანზე გასასვლელი საკლასო ოთახის გასაღები მიდევს. თუმცა რაღა აივანი იმას ეთქმის — რახანია ძველმანი ხარახურის საკუჭნაოდაა ქცეული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს საკუჭნაო ზედ საცეკვაო დარბაზის თავზეა მოთავსებული.... იქიდან კი გაგიხარია, ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს!

ჯერ გასახდელისაკენ მივეშურები: მორიგე მასწავლებელს ვუხვევ თვალს, თითქოს შინისაკენ მივიჩქარი, მაგრამ მართლა შინ კი არ მივდივარ, არამედ სწორედ საკუჭნაოსკენ მიმავალი კიბისაკენ მივიპარები.

მოულოდნელად, ჩაბნელებულ კიბეზე მაინცდამაინც იმ მოზვერივით დაბღვერილმა მეათეკლასელმა ჩამავლო ხელი, რომელიც ჩვენი სკოლის ჩემპიონია კრივში. პირი დააღო თუ არა, მაშინვე მივხვდი, ნაყლაპი იყო. „აი, პატარა ბიჭუკელა... კარგი ბიჭუკელა... ხედავ შენ, გულის ჯიბეში ქათქათა ცხვირსახოცი უდევს, ცხვირიდან კი გრძელ-გრძელი მაკარონები გადმოსდის..."

„ვითომ ეს რა ლაპარაკია!" — ბრაზიანად ვეუბნები მე.

„ოოო... არ გამლახო ლა?!" — უშნოდ იღრიჭება ჩემპიონი და, აქაოდა, შიშით აღარა ვარო, პიჯაკზე ხელს მიშვებს. სწორედ ამ დროს ვიღაცამ ალერ-

სიანად გადამისვა თავზე ხელი. გვერდზე მივიხედე. ეს უკვე სახეალეწილი უფროსკლასელი გოგო იყო... თავზე ხელის გადასმამ სულ გამაცოფა. გოგოს ხელი უშნოდ მოვიცილე და ზევით მოვკურცხლე.

სადაცაა ცეკვები დაიწყება. საკლასო ოთახში შევდივარ და კარს შიგნიდან ვკეტავ.

აივანზე ბნელა. აქ ვერავინ დამინახავს, ქვევით კი ყველაფერი მშვენივრად ჩანს. უკეთეს თავშესაფარს ვერ ინატრებ. ტანვარჯიშის ბინძურ ლეიბზე ვჯდები და საცეკვაო დარბაზს ვათვალიერებ. ბიჭები საცეკვაოდ ემზადებიან და გოგოებისაკენ აცეცებენ თვალებს. გოგოები კი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ძელსკამებზე სხედან და ისეთი სახეები აქვთ, თითქოს მთელი ეს საცეკვაო გაწამაწია მათ ოდნავადაც არ ეხებოდეთ.

აივანზე მტვრისა და ნახერხის სუნი დგას. მგონი, სულაც ამ სუნის გამო მოვიწყინე. აივანზე, რა თქმა უნდა, ყველაზე მაღლა ვარ... ეს კი შეიძლება სიმბოლურიც იყოს. მაგრამ აკი სწორედ სხვებზე მაღლა დგომაა რაღაც-რაღაცებს რომ გიკრძალავს... იცით რა? თითოეულ თქვენგანზე მაღლა დგომა, გაგიხარიათ, ჩემთვის სასიამოვნო იყოს, მაგრამ ვაითუ პატარ-პატარა და აუცილებელმა სიხარულებმა ამ სიმაღლეზე ვერც ამოაღწიონ!.. საცეკვაო დარბაზის ერთ კედელზე უზარმაზარი პორტრეტი ჰკიდია. ახლა მე და იოსებ ბესარიონის ძე თითქმის ერთ სიმაღლეზე ვიმყოფებით... მთელ ამ საცეკვაო აურზაურს ისიც ჩემსავით ზემოდან დაჰყურებს... ხელში ჩიბუხი უჭირავს, ჩექმები უპრიალებს... ზურგსუკან კრემლის კედლის ალისფერი სილუეტი ბრწყინავს.

წამით არწივის მარტოსულობაზე ვფიქრდები.

უცებ ჯიბეში ხელი რაღაცაზე მიხვდება. ეს ხომ ოქროსფერ ქაღალდში შეხვეული შოკოლადის ნატეხია, დედამ რომ გამომატანა... შოკოლადს ქაღალდს ვაცლი და პირს ვიტკბარუნებ. ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს, რამდენად ესადაგებიან ერთმანეთს ეს შოკოლადი და ჩემი წელიანდელი ფიქრები პორტრეტზე... მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის გასამართლებელი საბუთის პოვნა არც გამჭირვებია — მე ხომ ჯერ კიდევ ათი წლისა ვარ!

„ო, დონა კლარა!“ — ღრიალებს ორკესტრის შავსათვალიანი ბარიტონი. ნუთუ მეც უნდა დავკარგო რამე ცხოვრებაში? არამც და არამც! მე ხომ არავინაც არ მჭირდება, გარდა საკუთარი თავისა...

პუშკინის მეორე ლექსი მახსენდება. უცნაურსათაურიანი ლამაზი ლექსი — „არიონი“. პირიდან შოკოლადს ვაგდებ და ჩურჩულით ვიწყებ:

„...მე — მომღერალი ღონემიხდილი —
ზღვამ გამომაგდო ნაპირზე ობლად.
იმავ სიმღერებს კვლავ გავიძახი,
და სოველ სამოსს, ანთებულ სახით,
მე ვაშრობ მზეზე ტინის მახლობლად“.*

მაინც რა საოცრად ჟღერს „მე — მომღერალი ღონემიხდილი...“ სხვა ყველაფერთან ერთად, ამ ლექსში, მგონი, უზენაეს სამართლიანობაზეცაა მინიშნებული. მართალია, დღეს მე სამართლიანობის ნასახიც არ მიგრძვნია, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის. სამართლიანობა მაინც არსებობს ქვეყანაზე. გარდა

* თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა.

ამისა, ამ ლექსში ის აზრიცაა გატარებული, თუ რა ბრძნულად შეუძლიათ გაერკვნენ სტიქიასა და ბედისწერას ცალკეულ პიროვნებებში. თავად განსაჯეთ — ყველა დაიხრჩო, ყველა დაიღუპა... მხოლოდ ერთი გამოიყვანა ტალღამ ნაპირზე! დიახ, როცა უბრალო მოკვდავნი ბრმავდებიან, მაშინვე ზებუნებრივი ძალები აიტაცებენ ხოლმე ღირსეულს და კლდის ძირში მშვიდობიანად დასვამენ... ამიტომაც არ ვგრძნობ თავს უბედურად. დაე, იტლინკაონ ჩემ ქვემოთ ამ ლაწირაკებმა! გაერთონ, როგორც ენებოთ... მაგრამ მოულოდნელად იმასაც ვგრძნობ, რომ დაბლა მყოფთა არსებობაც აუცილებელია რაღაცისათვის... ჩვენ ხომ ისე ვართ ერთმანეთში შერწყმულნი, ცალ-ცალკე არც ვივარგებთ... მხოლოდ და მხოლოდ ერთად აღებულნი წარმოვადგენთ ერთსა და მთლიანს. ეს მოკუნტრუშე ახალგაზრდები კი საუკუნოდ ჩემი მადლობელნი უნდა იყვნენ! ნეტავ რა ფასი ექნებოდა მათ ტლინკაობასა და დონაკლარობას, თუკი ზემოდან თეთრპომპონებიანი ბიჭი არ გადმოიხედავდა! ბიჭი, რომელიც სიბნელეში პუშკინის ლექსებს ჩურჩულებდა...

წამიც და მე უკვე დანამდვილებით ვიცი, ვინაა ამათი არსებობის გამამართლებელი. დიახ, ეს მე ვარ, მე, ამათი მწყალობელი!

ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. ჩემს სულს უკვე აშკარად აღარ ჰყოფნის წონით ოცდათხუთმეტკილოგრამიანი და სიგრძით მეტრნახევრიანი სხეული. ახლა მთელი ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი განგებით ნაწინასწარმეტყველებ ჩემივე ბედისწერის ირგვლივ იყრის თავს და მე უკვე არაფრის შიში აღარა მაქვს. ყველას ხელაპყრობით ვლოცავ, ვტირი, ცრემლი ღაპაღუპით ჩამომდის... ცრემლს მარილის გემო აქვს... ჰეი, თქვენ, მანდ! ამიერიდან ყველაფერი მიპატიებია, ყველაფერი! ან კი სად გაგონილა, ყრუს ბგერის გაგონება უბრძანონ და უსინათლოს საგნის ხილვა! ყველაფერი მოგიტევეთ! მშვიდობა თქვენდა!

მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ტანვარჯიშის ლეიბზე პირქვე ვემხობი და ახლა უკვე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისაგან ვტირი. ცრემლით დამბალ ლეიბის ბრეზენტს კი ისეთი მშობლიური, ისეთი მომლაშო-მოტკბო სუნი ასდის, თითქოს თაკარა მზით გავარვარებულ უდაბნოს შუაგულში აღმართულ კლდის ქიმზე ღონემიხდილი მომღერალი გადმომდგარიყოს და სველ სამოსს აშრობდეს!

12.

დღეს პირდაპირი მნიშვნელობით არ ამიტყდა ენის ქავილი!!! სულ თეთრთეთრი ხუწუწები გამომაყარა...

„ენა პირის ღრუში მოთავსებული კუნთოვანი ორგანოა, რომელზეც ლორწოვანი აპკია გადაკრული. ენის ზედაპირი პაწაწინა წანაზარდებითაა დაფარული. წანაზარდები სამი სახისაა: ძაფისებურნი, სოკოსმაგვარნი და ღარისმაგვარნი. ამათგან ორ უკანასკნელს გემოვნების ბოლქვებსაც უწოდებენ“, — ვკითხულობ ერთ წიგნში.

„ენის ჯირკვლები განსაკუთრებით წყალხმელეთა ცხოველებსა და ფრინველებს აქვთ განვითარებული. ძუძუმწოვრებს კი გარდა ლორწოვანი ჯირკვლებისა, სეროზული სითხეც აქვთ. სეროზული ჯირკვლები თავიანთ საღინარებს აღებენ და ღარისმაგვარ წანაზარდებში მოხვედრილი საჭმლის ნამცე-

ცები გემოვნების ბოლქვებს აღიზიანებენ“, — წერია მეორე წიგნში.

„ენის ზედაპირის გაღიზიანება ჯანმრთელ ადამიანებშიც შეინიშნება. მომეტებული გარქოვანების შემთხვევაში თეთრ ხუწუწებს წითელიც ემატება, რის გამოც ენის ზედაპირი გეოგრაფიულ რუკას ემსგავსება ხოლმე. აქედანაა გამოთქმაც გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ენა. ძლიერი გარქოვანების შემთხვევაში ძაფისებური წანაზარდები სულ უფრო და უფრო იზრდებიან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შუა ენაზე თმა იყოს ამოსული. ამდაგვარად სახეცვლილ ენას ბალნიანს ან შავს უწოდებენ. ენის ასეთი სახეცვლილება არავითარ ტკივილს არ იწვევს და არც მკურნალობას საჭიროებს“, — რეგისტრირებულია მესამე ცნობარში.

სარკეში საკუთარ ენას ვათვალიერებ და ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილი გეოგრაფიული ენაა, ხოლო თეთრ ხუწუწებს კიბოსთან არავითარი კავშირი არა აქვთ... აი, როგორ ვჭკვიანდები, ყოველდღიურად სარკის წინ პირდაღებული ვზივარ და ჩემს გეოგრაფიულ ენას გულდასმით ვსწავლობ.

კარგად მახსოვს იაანის ღამის დღესასწაული, მე და აგნესი კოცონს კარგა მანძილზე გავცილდით და გეზი დაცვარული გვიმრალისაკენ ავიღეთ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაცნობილები ვიყავით. აი, სწორედ იმ გვიმრალში იყო, პირველად რომ ვაკოცე... მახსოვს, როგორ დახუჭა თვალები აგნესმა, გრძელი, ლამაზი წამწამები ჰქონდა. ცისკიდურს ჯერ კიდევ ჟოლოსფერი გადაჰკრავდა. კოცონის მხრიდან კისკისი და სიმღერები ისმოდა... დიდხანს, ძალიან დიდხანს ვკოცნიდით ერთმანეთს... მაშინ იყო სწორედ, აგნესის ენის აღმგზნები გემო რომ ვიგრძენი მოულოდნელად. ეს, უსათუოდ ენის ზედაპირზე განლაგებული გემოვნების ბოლქვების გემო იყო...

ისევ ჩემს გრძელსა და ხორკლიან ენას ვათვალიერებ. ღმერთო ჩემო, როდემდე უნდა მქონდეს გამომწყვდეული პირში ეს ხუწუწებიანი ორგანო, როდემდე! ნუთუ მთელი ცხოვრება? — დიახ. და სიკვდილის შემდეგაც!

18.

დღესაც მშვენიერი დღეა. შედარებით მშვიდად ვარ. დილიდან შუადღემდე საკარცხულში ვიჯექი და მზეს ვეფიცხებოდი. სამზარეულოდან ჯამ-ჭურჭლის ჟღარუნი მოისმოდა. ყავის არომატული სუნიც იქიდან მოდიოდა. ქათქათა ღრუბლის პატარ-პატარა ფთილები ცხვრის ფარასავით გადადიოდნენ მოწმენდილ ცაზე. მარადისობის უსაზღვრო სიმშვიდე იგრძნობოდა ამ სურათში... იქნებ ამიტომაც იყო, რომ სიკვდილი ყველაზე უფრო ბუნებრივ მოვლენად წარმომიდგა... იწვალებ, იჯახირებ, შემოუვლი შენს წილ წრეხაზს და გახვალ ამ წუთისოფლიდან! ეს არის და ეს. სიცოცხლე კი გრძელდება. მოვლენ სხვა ბიჭები, წაიკითხავენ ლექსებს, დაიმორცხვებენ თეთრპომპონებიანი გეტრების გამო, ბიესევიან მეცნიერებას... მერე კი, ისინიც თავიანთ აგნესებზე დაქორწინდებიან, რათა შვილები გააჩინონ და უმემკვიდროდ არ გადაეგონ... სამყაროში ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება. თუმცა დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, რამდენად საბოლოოდ შეიძლება ჩაითვალოს ესა თუ ის დასასრული... მაინც მარადიული გარდაცვალება, ანუ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა გინდა ირწმუნო კაცმა. ბაბუაჩემის

საფლავის ქვაზე, მაგალითად, ასეთი სიტყვებია ამოკვეთილი: „მამისეული სახლი უთვალავი ბინადარის სავანეა.“ ვინ იცის იქნებ მართლაც ასეა.

დიახ, ჩემი ტივიც უახლოვდება საბედისწერო ზღვარს! აი, უკვე — მესმის წამლეკავი ტალღის ამაზრზენი ღრიალი... მალე ხახადაღებული უფსკრულიც გამოჩნდება... ვითომ, მართლა ასე საშინელია ეს მორევი? პირიქით, მე მგონი. მასშიც უნდა იყოს რაღაც მიმზიდველი, მხსნელი... მდინარე რომ მდინარეა, ისიც კი მშვიდი და აუმღვრეველი ხდება მასთან შეხვედრის წინ... მყუდრო სანაპიროს მზის სხივები ელაციცებიან, ყველაფერი გარინდებული და მომხიბლავია ირგვლივ... შენი უკანასკნელი მზერაც ამ მშვენიერ სურათს ეალერსება, იმახსოვრებს, ემშვიდობება... განსაცვიფრებელი იდუმალება უძღვის წინ უსასრულობაში ჩაქცევას! მაგრამ აი, მდინარე თანდათანობით იძაბება, ყალყზე დგება, ღმუის... შენ კი მაინც პირდაპირ მიაქანებ ტივს და მთელი არსებით ცდილობ, ნაპირის ახლომახლო საცოდავად მოფარფატე დანარჩენი ნავები უკან მოიტოვო. აი, ყურთასმენას სულ უფრო და უფრო ნათლად წვდება მომნუსხველი ძახილი. ძახილი, რომელიც გიზიდავს, გიტყუებს, თავისკენ გიხმობს. და აი, შენ უკვე მთელი სისწრაფით მიექანები მორევისაკენ, სახეზე ცივი შხეფები გესხმება. ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა, ამ უკანასკნელ წამს, როცა ბობოქარმა ტალღამ შეტორტმანებული ტივი თავის ქაფმორეულ ფაფარზე მოიგდო და ზეატყორცნა, შენ თვალწინ უკანასკნელად გადაიშალა მომაჯადოებელი სილამაზე შორეული ნაპირისა... უკანასკნელი წამი უფსკრულის წინაშე! სახეზე შხეფებშემოქცეულმა იქნებ ზღაპრულ ცისარტყელასაც კი ჰკიდე თვალი! მამისეული სახლი უთვალავი ბინადარის სავანეა...

ნაბიჯების ხმაზე თვალი გავახილე. ბილიჯზე ჩვენი მოწყალების და მარგიტი მოაბიჯებდა. ხელში ასტრების თაიგული ეჭირა. თავაზიანად მომესალმა და გამიღიმა. მარგიტის თაფლისფერი თვალები, როგორც ყოველთვის, ახლაც საოცარ სიმშვიდესა და სიკეთეს ასხივებდნენ. ასეთი თვალების პატრონი ალბათ ყველაფერს გაგიგებს. მარგიტმა ერთი ყვავილი დამიტოვა და გზა გააგრძელა. თვალი გავაყოლე. ამ ქალიშვილთან შეხვედრა რატომღაც ყოველთვის მაკრთობს, გასაკვირიც არაა — აკი სწორედ მარგიტს ევალება იმედგადაწურულ მომაკვდავთა მოვლა... სწორედ ისაა ჩვენი უკანასკნელი მოგზაურობის სანდომიანი გამცილებელი...

მარგიტს ფერფლისფერი თმა აქვს. საოცრად მშვიდი და ზრდილობიანი ქალიშვილია. თუ აუცილებლობამ არ მოითხოვა, მთელი დღე ხმას არ გაიღებს, თუ ჰკითხავ რამეს, თავაზიანად გიპასუხებს, თუ არადა, არის თავისთვის.

მომაკვდავებთან, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირი იქნება. ადვილად წარმომიდგენია, რა დამამშვიდებლად იმოქმედებს მათზე მარგიტის გულში ჩამწვდომი, საამო ხმა. იქნებ ვცდებოდე კიდეც, მაგრამ ასე მგონია, მომაკვდავებთან საუბრისას მის ისედაც ტკბილ ხმაში ოდნავ კეკლუცი, შთამაგონებელი, მტრედივით ღუღუნა ნოტები გამოერევა... მარგიტის ხმა ჩაბნელებული სარდაფის კიბიდან ამოძახილსა ჰგავს. იგი შეიძლება წყვდიადიდან გამოწვდილ ხელსაც შევადაროთ, იმ მზრუნველ ხელს, რომელსაც ქვესკნელში ჩამავალ კიბეზე ფრთხილად ჩაჰყავხარ... ყველა მას უხმობს, ყველა მომაკვდავს სურს, რომ მის საწოლთან აუცილებლად მარგიტი იდგეს...

ხმაც რომ არ ამოიღოს, თვით მისი არც თუ ისე ლამაზი, მაგრამ ძალზედ

სათნო სახე ამშვიდებს მომაკვდავს. მის მზერაშიც მუდამ თანალმობა გამოსჭვივის. ხანდახან მეჩვენება, თითქოს მარგიტი აქ მოხვედრამდეც მინახავს. იქნებ სულაც რომელიმე გამოფენაზე... საექსპოზიციო დარბაზში, ოდნავ დაბინდულ კუთხეში მოციმციმე სახე...

დარწმუნებული ვარ, მარტო მე არ ვფიქრობ ასე მოწიწებით მარგიტზე. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მახსოვს, ჩვენი კაცებიდან ერთს მაინც გაებედოს მასთან ღლაბუცი. არავის, გარდა გამოჩერჩეტებული ი. ანდერსკოოკისა, რომელიც ისე უპრაწავს და უეუეუნებს საწყალ გოგოს თვალებს, თითქოს მარგიტი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყოს... ერთ საღამოს ლოგინში ჩათბუნებული მეც დიდხანს ვფიქრობდი მარგიტზე, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ხმისა და სათნო სახის გარდა არაფერი გამხსენებია. მართალია, მარგიტი თვალში საცემად ქალური და ნაზია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორღაც მაინც უსქესოს შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, იმ საღამოსაც, მაგალითად, ვინმეს რომ ეკითხა, მაღალი მკერდი აქვს თუ დაბალი, ვერაფერს ვერ ვუპასუხებდი. სხვათა შორის, მეორე დღეს ამ კუთხითაც დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ სხეულის აგებულებით მარგიტი აგნესს ჩამოჰგავდა. მგონი, მკერდის სიმაღლითაც!.. როგორც კი თავი ამდაგვარ ფიქრებსა და შედარებებში დავიჭირე, უმალ შევცბი და თვალები ისე მორცხვად დავხარე, თითქოს უნებლიეთ დედის ან დის ბანაობისათვის შემესწროს თვალი.

აი, ასეთია ჩვენი მარგიტი. ჩვენი სანდომიანი მოწყალების და, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად და ახლოს ხედავს ხოლმე სიკვდილს... ე. ი. მისი ხელები საკმაოდ ხშირად ეხებიან იმ სამშენებლო მასალას, რომელიც ადამიანის კონსტრუქციის რღვევისთანავე წყალდება... როცა ცუდად გავხდები, მეც მინდა, რომ ჩემს სასთუმალთან მარგიტი იდგეს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩემი ტივიც თავბრუდამხვევ მორევში აყირავდება... იმ წამში, როცა წყვდიადში ჩამავალ კიბეზე მზრუნველი ხელის გარეშე ჩასვლა თავზარდამცემია... ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ მარგიტის სათნოება შეისრუტავს ჩემი აკივლებული ხორცის საპროტესტო წინააღმდეგობასა და გაფიცხებას... და მაშინ, როცა იმ ქვეყანაში გადასასვლელად საკუთარი ნიჟარიდან ლოკოკინასავით დამითრევენ, სწორედ მარგიტი შეძლებს ჩემი უკანასკნელი ტკივილებისა და გაბრძოლების შთანთქმას! სწორედ მისი მტრედივით ღუღუნა ხმის ტალღა იქნება, თავის ფერფლისფერ ფაფარზე რომ მომიგდებს და საშინელ კოშმარს განმარიდებს!

კი ეს ყველაფერი ახლა იქნებ მაღალფარდოვნად და არაბუნებრივადაც ჟღერდეს, მაგრამ მე ხომ მართლაც ამგვარი ფიქრები მიტრიალებდნენ თავში, როცა ხელში მარგიტის ნაჩუქარ ყვავილს ვაცოდვილებდი, ხოლო თვალები უსასრულოდ ლურჯი ცისაკენ მქონდა მიპყრობილი.

14.

არა, განა ვეკვიანობ! (ან კი რა ეკვიანობას შეიძლება ველოდოთ იმ კაცისაგან, რომელიც ღვიძლი შვილის დაბადებასაც ვერ აღიქვამს სრული სერიოზულობით და თავის საყვარელ ცოლსაც კი უცხო კაცის თვალით უყურებს!).

არა, ეჭვიანობა აქ, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. მაგრამ მაინც წონასწორობას მაკარგვინებს ის ფაქტი, რომ იაანიკა და ი. ანდრესკოოკი აგერ უკვე საათნახევარია სწორედ ჩემი ფანჯრების ქვემოთ დაწანწალებენ. არა მგონია, ეს ანდრესკოოკი მარტო მისი სულელური გვარის გამო შემეძულებინოს (სახელი არც კი ვიცი. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და „ი"-დ მოვნათლე). ღმერთო ჩემო, ვერ გამიგია რა უნდა ჰქონდეთ ამდენი ხნის სალაპარაკო ორ სრულიად განსხვავებულ ადამიანს?!

მართალია, მთელი ამ ხნის განმავლობაში ანდრესკოოკი ლაქლაქებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვაზე შემომჯდარი სქელი იაანიკაც დიდი ყურადღებით უსმენს. თანაც ისეთი გულუბრყვილო სახე აქვს, ხიფათის მოახლოებასაც ვერ იგრძნობს, ისე გაეხვევა ამ ვაუბატონის აბდაუბდით ნაქსოვ აბლაბუდაში.

ი. ანდრესკოოკს ბრჭყვიალა პენსნე და საგანგებოდ ნალოლიავები, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერი აქვს. იქნებ ზედმიწევნით სუფთა კაციც იყოს, მაგრამ ჩემზე მაინც ტურტლიანისა და უწმინდურის შთაბეჭდილებას ტოვებს... არა, მე მართლაც არაფრით არ შემიძლია იმ ძლიერი ანტიპათიის დასაბუთება, რასაც მის მიმართ განვიცდი. რა დასამალია და, ჩემს წარმოდგენაში იგი ყოვლად საშინელ ცოდვებზე აწერს ხელს! მაშინაც კი, როცა დილდილაობით საავადმყოფოს ბაღში დასეირნობს, თავის განუყრელ ხელჯოხს უდარდელად მიაქანავებს და ამა თუ იმ ოპერეტიდან ამოჩემებულ არიას უსტვენს, ასე მგონია, მთელი ეს სცენა რაღაც მზაკვრული ჩანაფიქრის შესანიღბავად სჭირდება-მეთქი. ღმერთო შეგცოდე, ხანდახან იმ მნათესაც კი მაგონებს, რომელიც მრევლის ფულს ისე დაამღერებს, რომ კაციშვილი ვერ გაუგებს. ბევრიც რომ ამოწმონ, სულერთია, მაინც არაფერი გამოუვაფ. იგი ყველას თავისი ბრჭყვიალა პენსნეთი, ღაჟღაჟა ლოყებით, საგულდაგულოდ დავარცხნილი წვერითა და დაშაქრული ღიმილით დაუხვდება. ერთი სიტყვით, საიდანაც არ უნდა მიუდგეთ, ყოველი მხრიდან დიდად პატივცემულ პიროვნებად მოგაჩვენებთ თავს.

ეტყობა, ეს ჩვენი იაანიკაც ყურებითა ჰყავს დაბმული, თორემ ყოველდღიურად ორ-სამ საათს ვერ იუკეკუკებდნენ. ერთხელ ვერ მოვითმინე და, მაინც რა საქმის ქალია ეს ჩვენი იაანიკა-მეთქი, ვკითხე ი-ს. როგორ თუ რა საქმისაო! ფრანგული ენის ფილოლოგია — და უბრალო ვინმეც არ გეგონოს — საპატენტო სამსახურის მთარგმნელიაო, გაიბღინძა ი. თანაც „ფრანგულითა" და „საპატენტოთი" ჩაიტკბარუნა პირი.

მერე თქვენ რა-მეთქი, — მივახალე მე.

არაფერი... თქვენ რას გულისხმობთო, — უშნოდ გაიკრიჭა ი. და უცოდველი კრავის ნიღბით გამცილდა.

ეჰ, იაანიკა, იაანიკა! ჩათქვირებულო და თეთრო იაანიკა. ასე მძინარა და მიამიტი რომ ხარ, ამიტომაც გაები მახეში. თუმცა შენისთანა აპათიურმა ტიპებმა შიში არც კი იციან, რა არის. კი, მართალია, დანამდვილებით ვერც მე აგიხსნი რისი უნდა გეშინოდეს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი! სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ხომ გაგიგონია.

იაანიკას მარცხენა ლოყაზე დიდი, ყავისფერი ხალი აქვს. პაწაწინა თეთრი ბუსუსებით დაფარული ხალი... რაც მართალია, მართალია — ხალები არ მიყვარს! მით უმეტეს, ბუსუსებიანი, მაგრამ ბუნების ეს კაპრიზი იაანიკას თით-

ქოს უხდება კიდეც, მხოლოდ ასეთ მქრქალსა და ნაზ სახეზეა დასაშვები მსგავსი სამკაულები, როგორც მიკა ვალტარი წერს თავის „სინუჰე"-ში, თურმე წინათ ეგვიპტელი ქალები პარიკის ქვეშ ძალზე მოკლე, სულ რაღაც ორიოდ მილიმეტრი სიგრძის ლამაზ თმას ატარებდნენ. ვალტარის მტკიცებით ქალები ზოგჯერ პარიკს იხდიდნენ და თავიანთ საყვარლებს საქოჩრეზე მოფერების უფლებას აძლევდნენ, რითაც ეს უკანასკნელნი თურმე ენით აუწერელ ექსტაზში ვარდებოდნენ. ვინ იცის, იქნებ იაანიკა თავის ბუსუსებიან ხალზე მოფერების უფლებას აძლევს ანდრესკოოკს!.. იქნებ ასეთი ფიქრები არც მეკადრებოდეს, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძალიან მინდა რაღაცები დავალეწო თავზე ჩემი ფანჯრების ქვეშ განმარტოებულ იაანიკას და ი-ს.

ფანჯარას ვაღებ. ვაყურადებ. ნეტავ რაზე ლაყბობენ? მხოლოდ ცალკეული სიტყვები აღწევს ჩემ ყურამდე. ხომ შეიძლება ეს ვაებატონი ახლა შოპენჰაუერის იმ მოსაზრებაზე ყბედობდეს, რომლის თანახმადაც ადამიანისათვის ნაბოძები სიცოცხლე უდიდესი დანაშაულია!.. თვალებმილულული იაანიკა კი მორჩილად უსმენს და ამთქნარებს...

ამ სურათის შემხედვარე კარგ გუნებაზე ხომ არ დავდგებოდი!

15.

ამ ბოლო ხანებში ყველა გამირბის. გასულ კვირას გენადი გაიქცა, დღეს აგნესი და ბავშვი... თანაც რა თავქუდმოგლეჯილი გარბიან ეს დალოცვილები! გარბიან და გაიქცნენ! მით უკეთესი!

აგნესი რომ ბავშვს მომიყვანდა, ჯერ კიდევ გუშინ შემატყობინეს. მთელი ღამე არ მეძინა. ისე ვბორგავდი, თითქოს მეორე დღეს რომელიმე დიდმნიშვნელოვანი საკრებულოს წინაშე უნდა წარვმდგარიყავი. ისედაც სულ იმის ცდაში ვარ, როგორმე აგნესისათვის სასურველი ოპტიმისტური გარეგნობა შევინარჩუნო და ახლა მით უმეტეს, ორმაგად რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი. ჯერ ერთი, ბავშვის აყვანა მომიწევს ხელში! არც ისაა გამორიცხული, რომ ჩასვრილი საცვლების გამოცვლაში მომიწიოს მონაწილეობის მიღება... და რაც მთავარია, უსაზღვროდ ბედნიერი მამის მადლიერებით აღსავსე ღიმილი უნდა დამთამაშებდეს სახეზე გამუდმებით. ოპტიმისტური ღიმილი...

ბიჭს ჭარხალივით წითელი სახე ჰქონდა, რატომღაც შუბლშეკმუხნული ჩანდა. მისმა წითლად მოღაღაქე ლოყებმა ანდრესკოოკი გამახსენა. ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიკავეო! — სად იყო, სად არა, მოულოდნელად ი-არ ამეტუზა წინ!

—აღუ — აღუ — აღუ... — მოიჩლიქა ენა და თავისი მოკაკული ყვითელი საჩვენებელი თითი ბავშვს ცხვირწინ აუთამაშა. — ზედგამოჭრილი მამამისია! ოო, ამას ისეთი ჭკვიანური ნაოჭები აზის შუბლზე, ნამდვილად მეცნიერი გამოვა, მეცნიერი! — დაასკვნა ბოლოს ი-მ და აგნესს მიუბრუნდა. არც აცია და არც აცხელა, რძე თუ გყოფნითო, ჰკითხა (კინაღამ ჭკუიდან ავიწიე!). არადა, ისე გულითადად იკითხა, ისეთი უცოდველი კრავის სიფათი მიიღო, რომ აგნესს არათუ ჩემი გაღიზიანება არ შეუმჩნევია, მყოფნის კი არა,

იმდენი მაქვს, მეზობლის ბავშვსაც ვაკმევო, ჩაუკაკლა გულუბრყვილოდ. ოჰ-ჰო-ჰო, ბევრ რძეს რა სჯობსო, ხელები გაასავსავა ი-მ და ახლა მე გადმომკრა თვალი ეშმაკურად. მერე კიდევ ერთხელ მოუჩლიქა ბავშვს ენა და გაგვცილდა. აი, მიდის ახლა ეს ქვებუდანი და იცის, რომ ჩემს ცოლს ორი ბავშვის სამყოფი რძე აქვს...

როგორც მოსალოდნელი იყო, აგნესმა ლურჯ ზეწარში შეხვეული ბავშვი კალთაში ჩამისვა. უმალ ბედნიერი მამის ღიმილი აღვიბეჭდე სახეზე. კარგა ხანს ვიჯექი სარგადაყლაპულივით, შორიდან ალბათ ცვილისაგან გაკეთებულ ყავისფერ თოჯინას ვგავდი. უაზროდ კბილებდაკრეჭილ თოჯინას! აგნესი გაბრწყინებული თვალებით შემოგვცქეროდა. მაინც როგორ მოუმატია წონაში! ახლაც ფეხმძიმე გეგონება. სახეც რომ მთვარესავით დამრგვალებია... უცებ დაიხარა და ბავშვის კეფაზე ამოდებული ხელი შემისწორა. სწორედ ამ დროს მეცა რძის სუნი...

— ჯერ ყიფლიბანდიც არ გამაგრებია!

— რა, რა?

აგნესმა ფრთხილად მოუშიშვლა ბავშვს თავი და პაწაწინა საქოჩრეზე მიმითითა. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდა გამაგრებულიყო ამ სათუთ თავზე! აქა-იქ წამოზრდილი თმის ბუსუსები ოფლს დაეცვარა... სრულიად მოულოდნელად გენადის გაოფლილი თავი დამიდგა თვალწინ! მაშინ, მგონი, ფიზიკის რომელიღაც კანონზე და დანესტიანებულ მილებზე ვფიქრობდი... ბავშვის თავს უფრო ყურადღებით დავაკვირდი. ამ წარბშეკრული უმწეო არსების სათუთ საქოჩრეზე მართლაც ფეთქავდა რაღაც.

— ყიფლიბანდი ახალშობილთა თავის ქალაზე მდებარეობს. იგი დაბადებიდან ორი-სამი თვის შემდეგ მაგრდება. ცნობილია დიდი და პატარა ყიფლიბანდი... — აგნესი კიდევ კარგა ხანს მიხსნიდა რაღაც-რაღაცებს. ესეც წიგნიდან გაზეპირებული ფრაზები იყო, ოღონდ ამჯერად სულ სხვა ინტონაციით... ახლა უფრო თავდაჯერებით და, ცოტა არ იყოს, დამრიგებლური ტონით ლაპარაკობდა. საოცარია პირდაპირ, ამასწინანდელი „ვინსენტვანგოგისმონასმი...“ თითქმის უკვალოდ გამქრალიყო... და მოულოდნელად ჩემს თავში ამოტივტივდა საკმაოდ სულელური აზრი: „ეჰ, აგნეს, აგნეს! ამიერიდან ხომ შენი სიქალწულეც წარსულს ჩაბარდა!“

ბავშვმა წამოიტირა თუ არა, მაშინვე აგნესს გადაეცი და ცოტაოდენი შვება ვიგრძენი. თქვენ წარმოიდგინეთ, მოუშუშებელი ყიფლიფანდის შიშიც მქონდა... ბიჭი სულ უფრო და უფრო გამყინავი ხმით გაკკიოდა. აგნესი ბავშვს მტრედივით დაჰლუღუნებდა და ხელში სათუთად არწევდა. ღმერთო ჩემო, მაინც როგორ შეცვლილა ჩემი ცოლი! ჩემი ანჩხლი ბიჭი კი ტირილის შეწყვეტას არც აპირებდა. ვუყურებდი და მიკვირდა, ამ თითის სიგრძე არსებას, ამხელა პირი როგორ გამოჰყვა-მეთქი. პატარა იაანს გაზები აწუხებს... ასე არაა, ჩემო თვალისჩინო? — დაუყვავა ბავშვს აგნესმა.

იაანსო? მაშასადამე, ბიჭისათვის უკვე ჩემი სახელი დაურქმევია... ე. ი. აგნესი საბოლოოდ შერიგებია იმ აზრს, რომ მე... ან კი რა გასაკვირია? კარგი და კეთილი, მაგრამ ამდენ ხანს რად თვალთმაქცობდა?!

აგნესმა ბავშვს ფეხები მოუღუნა და მუცელზე ფრთხილად დააწვა. პაწაწინა, მოწითალო ფეხები კიდევ უფრო პატარა მომეჩვენა პირთან შედარებით.

ეს რა მოკაკვული ფეხები აქვს-მეთქი, გავიფიქრე ერთი გაფიქრება, მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რომ ახალშობილებს ჩვეულებრივად ასეთი ფეხები აქვთ. ხუმრობა ხომ არაა, ცხრა თვე საშოში მოკუნტულმა გაატარო!.. სასწაულია პირდაპირ, როგორ უძლებს ასეთი უმწეო არსება ამ პოზაში თვეობით ყოფნას!

მუცელზე დაწოლილი სავარჯიშოების არსს მაშინღა ჩავწვდი, როცა ზუსტად ისეთი ჭუჭუყი შემომესმა, როგორსაც, ჩვეულებრივ, პლუშის სათამაშო დათუნია გამოსცემს ხოლმე.

— მე ჯერ პატარა ვარ... დედიკოსავით და მამიკოსავით კი არ შემიძლია გაჭინთვა...

ამ საზიზღარმა ფრაზამ გული კინაღამ ამირია!

ბავშვმა ერთი-ორჯერ კიდევ დაიკრუსუნა და როცა საბოლოოდ ჩაწყნარდა, აგნესმა ახალთახალ ლურჯ საბავშვო ეტლში ჩააწვინა. მერე მე მომიბრუნდა და როგორ მოგწონს ჩვენი ეტლიო, მკითხა. ახლა ასეთებია მოდაშიო... რა უნდა მეთქვა, ძალიან მომწონს-მეთქი, წავილუღლუღე. ბავშვის ჩაძინების შემდეგ თითქოს უფრო ავაწყვეთ საუბარი. ახლა ბევრად უკეთ გამოიყურებიო, დამიყვავა აგნესმა. ქათინაურებს სხვა დროს მაკლებდა-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ დღეს, მგონი, უფრო ბუნებრივად გამოუვიდა. ეტყობა, ბევრად უარესად ვყავდი წარმოდგენილი!.. სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში მე თვითონ მიკვირს, ისე კარგად ვარ. თავს ვერ მოვიტყუებ! ვიცი, განა არ ვიცი, რომ ყოველდღიურად ვეშვები მთიდან. — ვეშვები, მაგრამ კისრისტეხით ხომ არ მივექანები!... ვაითუ სწორედ ეს მონაკვეთი იყოს უკანასკნელი დამრეცი!.. რა დავარქვათ ბიჭსო, სხვათა შორის მკითხა აგნესმა. ეტყობა, არც კი ახსოვდა, სულ რაღაც ორიოდე წუთის წინ ჩემივე თანდასწრებით რომ დაარქვა იაანი. რა ვიცი, ჩემთვის სულერთია-მეთქი, წამომცდა და მაშინვე ენაზე ვიკბინე. არაფრით ასე არ უნდა მეთქვა! ჩემი იღბალი, რომ მთელი ყურადღებით არ მისმენდა. მე, მაგალითად, იაანს დავარქმევდიო, გამომიტყდა აგნესი, ოღონდ ჯერჯერობით თავს ვიკავებ... აი, საბოლოოდ რომ გამოკეთდები, მერეო... ისე არ გამოვიდეს, თითქოს... თითქოს... აი, აქ შეჩერდა. დაუწყო ძებნა შესაფერის სიტყვებს. ან კი რა ჰქონდა აქ საძებარი ერთი სული მქონდა, „ვადაზე ადრე ჩამოწერა“, მეკარნახა, მაგრამ...

— ჰოდა, ამიტომაც არ ვჩქარობ ჯერჯერობით სახელის დარქმევას, — თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნოო, შემომღიმა აგნესმა. ახლა ის დრო იყო, კიდევ უფრო გულსაკლავი კითხვა-პასუხისაგან დამეძვრინა თავი. სხვა რაღა დამრჩენოდა, დავიხარე და ისედაც კოხტად შებნეული ფეხსაცმლის ზონრებს თავიდან დავუწყე გადაბნევა-გადმობნევა.

ცოტა ხნის შემდეგ ისიც გავიგე, რომ ბავშვის ჭიპს „ზელიონკით“ წმენდენ... რომ ჩვენს ბიჭს მხოლოდ მეათე დღეს მოწყდა ჭიპლარი და ა. შ.

ამ რამდენიმე დღეში აგნესი საოცრად გაუცხოებულიყო! ღმერთო ჩემო, ახლა მას სულ სხვა იაანი ჰყავს!... ამაზე დიდი ბედნიერება კი რაღა უნდა იყოს. დიახ, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა! ძალიან დიდი ბედნიერება! —აი, რა მინდოდა ჩამეგონებინა საკუთარი თავისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი ისევ ატირდა. ასე ხანდახან თუ წამოიტირებს, თორემ საერთოდ იშვიათი ზნის ბავშვიაო, დამამშვიდა აგნესმა და საათზე

დაიხედა. საათის სამაჯურზე კიდევ ერთი ნახვრეტი დაემატებინა!.. ე. ი. ამ ცოტა ხანში მაჯებიც კი დამსხვილებია საგრძნობლად.

— ჭამის დრომ მოუწია და იმიტომ ტირის, — აფუსფუსდა აგნესი და აქეთ-იქით მიმოიხედა. ერთი პირობა საავამყოფოს უკან გადაბარგება დავაპირე, მაგრამ მაშინვე გაცხარებული ლეოპოლდი წარმოვიდგინე და გადავიფიქრე. ო, როგორ ვერ იტანდა საცხედრეს ახლომახლო მოსეირნე ხალხს ლეოპოლდი! ესეც არ იყოს, საცხედრეს გვერდით ძუძუთა ბავშვის დანაყრებაც ვერაა მთლად მიზანშეწონილი.

— მოდი, იქით წავიყვანოთ, პარკის ბოლოს...

აგნესმა სწორედ იქ დააყენა ეტლი, სადაც მუხლამდე წამოსული ჭინჭარი ბიბინებდა. კაბის საკინძე შეიხსნა. მეც იქვე ჩამოვჯექი,. ლურსმნების ძველ ყუთზე. ო, რა ხარბად, რა მონდომებით წუწნიდა ჩემი ბიჭი დედის რძეს. ვუყურებდი და მიხაროდა ამქვეყნად არსებულ ათასობით ძუძუთაგან მაინცადამაინც ეს რომ შევურჩიე ჩემს მემკვიდრეს. მიდი, მიდი, მოქაჩე, ჩემო ბიჭუნა! რძე მაინცა გაქვს თავზესაყრელად! მართალია, ჩემი ბიჭის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ უკვე გუმანით ვგრძნობდი, რომ მე და ის ამიერიდან მოკავშირეები თუ რაღაც ამგვარი ვიყავით...

ჩემგან ხელმარჯვნივ უზარმაზარი გოგრა იდო. სწორედ ის გოგრა, რომელიც თავისი იდუმალი შეფერილობით მადონასაც კი მაგონებდა. მარცხნივ აგნესი იჯდა და რაღაცნაირი სიამაყით აწოვებდა ბავშვს ძუძუს. გოგრასა და აგნესს შორის მე ვიჯექი.

— შენ რა, ჩუმ-ჩუმად იცინი?

— არაფერი... ისე...

ბიჭი, როგორც იქნა, გაძღა. ახლა მე მომიწია ეტლის გაგორება. რაც შეიძლება ჩქარა მივაგორებდი. თითქოს რაღაცის მრცხვენოდა. იქნებ იმისა, საავადმყოფოს ტანსაცმელში რომ ვიყავი გამოწყობილი. ასე იყო თუ ისე, ავადმყოფი კაცის პირობაზე იმდენად ჩქარა ვიარე, რომ როგორც კი შევჩერდი და ეტლი აგნესს გადავეცი, ბავშვმა მაშინვე ტირილი მორთო.

— ჩვენი მამიკო ძლიერია... დედიკოს ასე ჩქარა არ შეუძლია!

ღმერთო ჩემო, ესეც თუ ქათინაურია და არ ყოფილა საშველი! ჩემი ცოლ-შვილი უკვე წასასვლელად ემზადება. ბიჭი ტირილს უმატებს, აგნესი იძულებულია რაც შეიძლება ჩქარა იაროს... მათი წასვლა გაქცევას უფრო ჰგავს! მალე ისევ გესტუმრებითო, მიბარებს აგნესი. მარტო მოდი, ბავშვი დედაშენთან დატოვე-მეთქი, სიტყვას ვაწევ მე. მართალია, კიბო გადამდები არ არის, მაგრამ რა გვეშარება, სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი...

ამ ბოლო ფრაზამ აგნესი ისე დააფრთხო, რომ ტრადიციული შეგონებები სულაც არ გახსენებია: სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, არავითარი კიბო შენ არ გეპირსო და ა. შ. ჰო, კარგი, კარგი, რაღაცას მოვიფიქრებო, ესღა მომაძახა და ნაბიჯს აუჩქარა.

16.

ჩემს ყავისფერყდიან რვეულში ყოველდღე ახალ-ახალ სიტყვა-სიმბოლოებს ვინიშნავ ხოლმე. არადა, ახლა უკვე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ

ყველა მათგანის გაშიფვრას ვერაფრით ვერ მოვასწრებ. ეს კი მართლაც ფრიად სამწუხაროა. აკი პუშკინის „ტუსაღითა“ და აივანზე განცდილის მოგონებებით მთელი ორი საღამო ვირთობდი თავს. კი, ცოტა-ცოტას იქნებ ვაჭარბებდი (უფრო სწორად — ვალამაზებდი) კიდეც, მაგრამ აბა რას წარმოვიდგენდი, რომ საკუთარი თავის მოტყუებას ასეთი სიამოვნების მოტანა შეეძლო. მომავალში, ჭეშმარიტების ხათრით, რასაკვირველია, სიამოვნებით ჩავასწორებდი ჩემს მოგონებებს. ოღონდ არამც და არამც არ შევამცირებდი... ახლა კი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მგვრის თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემს კიბოიან რვეულში ყოვლად უცნაური, სრულიად უკიბოო ჩანაწერებიც არსებობს. და ეს იქნებ თავისებური პროტესტიც იყოს.

დღეს სულ სხვა საფიქრალით ვარ დაკავებული. დიახ, დღეს პატივი მაქვს საკუთარ თავს მოვახსენო, რომ ჩემი ცხოვრების უმთავრეს აზრს მივაგენი.

ვიცი, განა არ ვიცი, რომ ამისთანა რამეების წამოყრანტალება მტკნარი სისულელეა, მაგრამ რას იზამ, თუკი ყველა მოკვდავი სწორედ მას დაეძებს დღენიადაგ! მას, ე. ი. ცხოვრების უმთავრეს აზრს. მერედა, რა თავგამოდებით დაეძებენ! — თითქოს ეს წუთია არსებობდა! არსებობდა და თვალდახელშუა გაქრა...

თავდაპირველად მე თვითონ დავცინოდი ჩემს მოსაზრებებს, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, რაც უფრო მეტს ვქირქილებ, მით უფრო სერიოზულად აღვიქვამ ხოლმე საკუთარ იდეებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემ მიერ აღმოჩენილი იდეა იმითაცაა მომხიბლავი, რომ მისი სრული განხორციელება ძალზედ მარტივად, თითის გაუნძრეველადაც შეიძლება. მე ხომ მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომაში გავატარე. არც ცხადში მქონია მოსვენება და არც სიზმარში! ახლა კი აგერ, საავადმყოფოშიც არ ვიშლი ჩემსას... ამ ფიქრებში ისევ კარგ გუნებაზე ვდგები, ისე ვხალისდები, რომ არც კი ვიცი საიდან მივუდგე ჩემს ჩანაწერებს. ჭიქას ვიღებ. წყალს ნელ-ნელა ვწრუპავ... ვდგები. მაგიდას ვცილდები და ოთახში ბოლთას ვცემ. მერე ისევ ვჯდები. ისევ ვსვამ წყალს და ფანქარს წვერს ვუთლი...

ისევ იმ ვერხვის ძირში მოხდა ყველაფერი.

პაწაწინა სანგვინიკი მწერები, რომელთა თირკმელზედა ჯირკვლებზეც მე საკმაოდ დიდხანს მიფიქრია, არსად არ ჩანდნენ. სამაგიეროდ, დღეს ბევრად უფრო დიდი და საშინელი ინდივიდი დასკუპდა ვერხვზე. უცნაურად ვიწრო, ოდნავ წაგრძელებული, წიოელი ზოლებით აჭრელებული მუცელი ჰქონდა, რითაც ერთობ ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ცხვირთან გამოშვერილი პაწაწინა ნემსი, რომელიც თავიდან ნესტარი მეგონა, მაგრამ როგორც გულდასმით დაკვირვების შემდეგ აღმოვაჩინე, ამ ნემსს იგი უფრო ეშმაკურად იყენებდა. ეს უცნაური ინდივიდი ერთთავად აღმა-დაღმა დაცოცავდა და დახეთქილი ვერხვის კანზე თავის ბასრ ნემსს უცაცუნებდა. ზოგჯერ კი მოულოდნელად შეჩერდებოდა, თითქოს რაღაცას უყურებსო... როგორც გამიგია, არიან თურმე ადამიანები, რომელთაც ჯადოსნური წნელის საშუალებით არა მარტო ჭის გასათხრელი ადგილის, არამედ ძვირფასი წიაღისეულის მიგნებაც შეუძლიათ. ესეც ასევე დაეძებს რაღაცას. წამით შეჩერდება, მიაყურადებს, მერე კი, თითქოს კვალს მიაგნო,

თავის პაწაწინა ნემსს ააცმაცუნებს და ბურღვით სამუშაოებს იწყებს. საოცარია პირდაპირ, როგორ ახერხებს ამ თმასავით წვრილი ანტენით ხის ქერქში შეღწევას. ან რისი პოვნის იმედი აქვს იქ?

მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. აი, ქერქიდან ცვილისფერი, კარგად ნაპატივები მატლი მობობღვნს. ღმერთო ჩემო, რა შტერია ეს მატლი! დახეთ ერთი როგორ მიიწევს უცილობელი აღსასრულისაკენ თავისი ნებით!.. საშინელი სანახაობაა, თუმცა თვალს მაინც არ ვაცილებ. საინტერესოა, როგორ დამთავრდება ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი.

ცოტაც და ეს ჩვენი ანტენამომარჯვებული ინდივიდი მხედარივით არ მოახტა ცვილისფერ მატლს! ახლა კი იკადრა თავის დაძვრენა. მატლმა, ზამბარასავით შეიკუმშა, დაიძაბა, მთელი სხეული ტალღისებურად აამოძრავა... ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, ეს აპათიური არსება თუ ასე ენერგიულად იმოძრავებდა. ახლა მის პაწაწინა თვალებს ვაკვირდები. ორთაბრძოლა გრძელდება: მატლი თავგანწირვით იკლაკნება და ისე ტალღისებურად მოძრაობს, უნებლიეთ ქარიშხალში აბობოქრებული ზღვა გაგახსენდება. რას არ ცდილობს, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებს თავზე წამოსკუპული ამ აბეზარი მეიალქნის გადაყირავებას. კრაზანას მაგვარი ინდივიდი ნაპატივებ მატლს მთელი არსებით ჩაფრენია და თავისი წითელზოლებიანი მუცლითა და ელვარე ფრთებით სწორედ რომ კოსმოსიდან მოვლენილ სუპერმენს ჰგავს. ბურღვითი სამუშაოები გრძელდება.

მატლი ქერქს წყდება და ბალახებში ეცემა. არც ეს ეშმაკობა შველის. ის სასტიკი მხედარიც მასთან ერთად ეცემა. არაფერი არ იცვლება. ტრაგედია გრძელდება. ოღონდ ახლა უკვე მწვანე დეკორაციის ფონზე. ნეტავ რატომ აწამებს ეს სადისტი ამ მატლს? არადა, ისეთი პირი უჩანს, შეკმასაც არ უნდა უპირებდეს. დროდადრო თავის ნემსს შეურჭობს ხოლმე. ეს არის და ეს. შეურჭობს და გამოაძრობს! შეურჭობს და გამოაძრობს... და არის რაღაც უწმაწური მის საქციელში! მართალია გვიან, მაგრამ მაინც მიჩნდება სურვილი ამ მსუქანი მატლის გადარჩენისა. მოულოდნელად რომელიღაც ანატომიურ ატლასში ნანახი სურათი მახსენდება. ღმერთო, როგორ ჰგავს ეს მატლი თავისი ფორმით თირკმელზედა ჯირკვალს, ამიტომაცაა, რომ ამ სადისტის ნემსს მტკივნეულად განვიცდი. აი, უკვე ჩალის ღერს ვიმარჯვებ, რათა მატლის გამამწარებელი დავაფრთხო, მაგრამ ამაოდ... ის უკვე ჩემი ჩარევის გარეშეც ჰკარგავს ყოველგვარ ინტერესს თავისი მსხვერპლის მიმართ, ფრთებს შლის და რაკეტასავით მიფრინავს. ეს რა უბნეო, რა ხელიდან წასული დონ ჟუანი იხილეს ჩემმა თვალებმა!

რა ეშველება ახლა ამ მატლს? თუმცაღა რაღა რა ეშველება, სასწაული თუ გინდა სწორედ ეს არის. მხოლოდ ორიოდე წამით გაირინდა მელანქოლიურად და ხელად არ გამოკეთდა?! მერე ისევ ვერხვს დაუბრუნდა და ქერქქვეშ შეიყუჟა. მაშ რა იყო ეს, რა?!

სწორედ ამ დროს მახსენდება, რომ ოდესღაც, დიდი ხნის წინ, „ბავშვების სიხარულში“ ამოვიკითხე რომელიღაც კრაზანაზე, რომელიც თურმე ცოცხალ მატლებში ყრის თავის კვერცხებს. ე. ი. რა გამოდის? მატლები მატლეში — აი, რა! მახსოვს როგორ შემაძრწუნა მაშინ ამ უცნაურმა ამბავმა. მაშ გამოდის, რომ ის წითელმუცელა ინდივიდი, მამრი კი არა, პირიქით, ქალ-

ბატონი ბრძანებულა და ყველაფერი, რაც ჩაიდინა დედობრივი მზრუნველობით თუ რაღაც ამგვარი გრძნობებით ჩაუდენია! მართალია, ის მატლი ახლა ვერხვის ქერქის ქვეშაა შეყუჟული და თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ უკვე კვერცხებითაა გატენილი, იმ კვერცხებით, რომლებისგანაც აუცილებლად მოკვდება!.. ახლა კი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, უდარდელად დაბობღავს და ვერხვის ქერქს მადიანად შეუქცევა. პაწაწკინტელა თვალების უკან მოთავსებული მისი ტვინი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს რა უბედურება დაატყდა თავს. მართალია, ერთხანს მინიატურული საწყობივით იქნება გამოკეტილი, მაგრამ ბოლოს ისევ და ისევ საკუთარი გარსი ექცევა კუბოდ. ისევ იმ კვერცხებიდან გამოჩეკილი პაწაწკინტელა მატლები გამოსჭამენ გულ-მუცელს... იმ წამიდან მოკიდებული, როდესაც სადისტმა მხედარმა თავისი ნემსი შეურჭო, დრო და ჟამი მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. დრო ამწიფებს კვერცხებს... ამწიფებს კვერცხებს... მოიცა, მოიცა!..

აი, თურმე რა გამახსენა იაანიკამ მაშინ! როცა კვერცხს შეექცეოდა... ნაჭუჭებს რომ მარხავდა მიწაში...

გამახსენდა! მეც რომ დავმარხე ოდესღაც ხუთი კვერცხი!

ძველთაძველი გერმანული წიგნის მოტკბო სურნელი მაგონდება. ეს იყო წიგნი ჩინური სამზარეულოს შესახებ. უძველესი ჩინური გრავიურებით მოხატულ ამ წიგნში მრავალი უცნაური კერძის დამზადების რეცეპტი იყო წარმოდგენილი. მათ შორის დელიკატური კერძები მედუზისაგან, ლოკოკინისაგან და ა. შ. ერთ გრავიურაზე გამოსახული ჩინელები ათასგვარ საშინელებას კმაზავდნენ, ხოლო მეორეზე მზა კერძებით იტკბარუნებდნენ პირს. მჭამელებად ძირითადად ის დიდებულები იყვნენ გამოსახულნი, რომელთაც ხელში მომცრო ჯოხები მოემარჯვებინათ და სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავდნენ. მახსოვს, როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რაღაც მკაცრად აკრძალულს ვაკეთებდი. აი, სწორედ ამ წიგნში ეწერა კვერცხების შესახებ. ერთ-ერთ ბალადაში ისეთი რეცეპტი იყო აღწერილი, რომელსაც მეც საკმაოდ ადვილად მოვამზადებდი.

ხელებში თავჩარგული ვიჯექი და ფეხები რატომღაც ბუდასავით მქონდა მორთხმული. გრავიურაზე გამოსახული ჩინელი დიდებულივით თვალმოჭუტული ახლა იმ ძველთაძველ წიგნში ჩაწერილ სტრიქონებს ვიხსენებდი.

FÜNF EIER

Fünf Jahre war ich alt —
fünf weisse Eier grub ich ein
in die Erde unter dem Baum.

Zehn Jahre war ich alt —
gern hätt' ich nach ihnen geschaut,
den Eiern unter dem Baum.

Als ich dann fünfzehn war,
da hatt' ich sie vergessen in der Fremde,
die Eier unter dem Baum.

Zwanzig war ich, zurück in der Heimat,
und als ich Hochzeit hielt, gedacht' ich
die Eier unter dem Baum.

Ich zählte fünfudzwanzig,
mein ältester Sohn fünf.
sein Bruder um zwei weniger,
als die Schwester geboren ward...

Da hob ich sie aus der Erde,
die fünf Eier unter dem Baum —
sie hatten sich verwandelt
zu köstlichem Gericht.

Und ich sann nach
über des Eies Verwandlung
und den Wandel des Lebens...

ხუთი კვერცხი*

ვიყავი ოდეს ხუთიოდ წლისა,
ხის ქვეშ დავმარხე უთეთრესი
ხუთიოდ კვერცხი.

ხოლო როდესაც გავხდი ათი წლის,
ძალზედ მომინდა დამეხედა
ხის ქვეშ დაფლული კვერცხებისათვის.

და მაშინ, როცა შემისრულდა თხუთმეტი წელი,
მე, გადახვეწილს უცხო მხარეში,
გადამავიწყდა ის კვერცხები ხის ქვეშ დაფლული.

ოცი წლის ისევ დავუბრუნდი მშობელ ქვეყანას
და იმ დღეს, როცა ქორწინების სუფრას ვუჯექი,
კვლავ გამახსენდა ის ხუთი კვერცხი.
იმ წელს მე გავხდი ოცდახუთისა,
უფროსი ვაჟი ხუთისა, ხოლო

* თარგმანი ა. კალაძისა

იმის მომდევნო სამიოდ წლისა,
როცა ქვეყანას მოევლინა იმათი დაი...

მეც სწორედ მაშინ ამოვთხარე
ხის ქვეშ დაფლული ის ხუთი კვერცხი —
აწ დამატკბობელ
სასუსნავად გადაქცეული.

დავალ მას შემდეგ უსაშველოდ გაოცებული
კვერცხებისა და
წუთისოფლის ცვალებადობით...

თუ არ ვცდები, ეს იყო კვირა დილით. უთენია ავდექი. ექვსი საათიც არ იქნებოდა. ბუდიდან კვერცხები მოვიპარე და უბეში ჩავიწყე. ერთი კვერცხი ჯერ კიდევ თბილი იყო.

მხარზე ბარი გავიდე და მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. ვინმე რომ შემხვედროდა, ჭიაყელების მოსაგროვებლად მივდივარ-მეთქი, მოვატყუებდი. რაც შეიძლება ფრთხილად მივაბიჯებდი, რადგან არავითარ შემთხვევაში ჩემი წაბორძიკება არ შეიძლებოდა...

საოცრად წყნარი დილა იდგა. ახალამოწვერილი მზის სხივები სოფლის ეკლესიის თუნუქის სახურავს ელაციცებოდნენ. მტრედისფერ ცაზე ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჩანდა. უსათუოდ ცხელი დღე იყო მოსალოდნელი. სოფლის მდინარეს მსუბუქი ბოლი ასდიოდა. ხავერდივით რბილი დილა უცნაური იდუმალებით ავსებულიყო... ახლაც ვერ გამიგია, რამ ამომიგდო მეხსიერებიდან ის კვერცხები! სამაგიეროდ, მხარზე ბარგადებული ბიჭი, ეკლესიის სახურავზე მოციმციმე მზის სხივები და რაღაცის მოლოდინში სულგანაბული ის დილა, ახლაც მთელი სიცხადით მიდგას თვალწინ. უფრო მეტიც — ყოველთვის, როცა გრიგის „დილას“ ვისმენ, მაინცდამაინც ის სისხამი განთიადი მაგონდება. ახლა, მგონი, იმასაც ვხვდები, რატომ მეჩვენება პასტორალის დასაწყისი ფეხის წვერებზე შეუმჩნევლად მოახლოებულ იდუმალებად... მე ხომ უბეში სათუთი კვერცხები მეწყო და არავითარი უფლება არ მქონდა წაფორხილებისა!

ჩემი არჩევანი ყველასაგან განცალკევებით მდგარ მტირალა არყის ხეზე შეჩერდა. ეს ადგილი ყოველმხრივ ადვილი დასამახსოვრებელი იყო. ასეთ ტანკენარ არყის ხეს ვერსად ვერ ნახავდით ახლომახლო. იდგა თავისთვის და მიწამდე დაშვებულ გრძელ-გრძელ ტოტებს მშვიდად არხევდა. სწორედ მის ძირში, ოთხკუთხად მოჭრილ შავ ორმოში დავმარხე ის კვერცხები. ერთი ისევ თბილი იყო... ბოლოს, ჯიბის დანით ხის ტანზე საგანგებო ნიშანი ამოვჭერი. ამ ნიშნით ყოველთვის ადვილად მივაგნებდი ორმოში დაფლულ კვერცხებს. კვერცხების სამალავი ხიდან თორმეტი ტერფის დაშორებით მდებარეობდა. მეც თორმეტი წლისა ვიყავი. ამიტომაც არ დამავიწყდებოდა არასოდეს ეს დილა.

საქმეს რომ მოვრჩი, ირგვლივ მიმოვიხედე. არა, ნამდვილად არავის არ დავუნახივარ. სოფელში ჯერ კიდევ ეძინათ. ირგვლივ მდუმარება გამეფებულიყო. მხოლოდ მამლები ყიოდნენ აქა-იქ. მათი ყივილი რატომღაც მრავალ-

მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა. ჩემი ფიქრი ჯერ კიდევ იმ თბილ კვერცხს დასტრიალებდა, კვერცხს, რომლისგანაც აწი არც მამალი გამოიჩეკებოდა და არ დედალი. ერთი პირობა საკუთარ თავს გულში ცოდვილიც კი ვუწოდე, მაგრამ როგორც კი იმ გრავიურებზე გამოსახული ეშმაკურად მომღიმარი, ვიწროთვალებიანი ჩინელები წარმოვიდგინე, რატომღაც გულზე მომეშვა. ამიერიდან მეც მქონდა ჩემი საიდუმლო. საიდუმლო, რომლის შესახებაც არავინ არაფერი არ იცოდა დედამიწის გულზე. დიახ, მე ყველას თვალთაგან უხილავ ცოდვილი — ღორმუცელა ვიყავი!

მახსოვს, იმ დილით საიდუმლო სამალავს ცეკვა-ცეკვითაც კი შემოვ არე... ეს ველური ცეკვა ისე უეცრად მომესურვილა, ჩემმა ხელებმა და ფ ხებმაც ისე მოულოდნელად დაიწყეს უცნაური ილეთების გამოყვანა, რ თავისუფლად შეგვეძლო ამ ცეკვისათვის ცოდვილ-ღორმუცელათა ცეკვა დაგ ვერქმია.

სინათლის ჩართვის დრო მოსულა. თავს დაბლა-დაბლა ვხრი. ჩანა წერების კითხვა სულ უფრო ჭირს. ჩემს ბიჭზე ვფიქრობ. ჩემს პატარა ბიჭზ რომელსაც ახლა ალბათ აგნესი გაზებისაგან წამოტკივებულ მუცელზე აწვებ („მე ხომ ჯერ პატარა ვარ... დედიკოსავით და მამიკოსავით არ შემიძლია გა ჭინთვა!...“), ვფიქრობ გენადიზე, ჩემს ლაბორატორიაზე... იმ დღვილისმდნობე ლებმა ალბათ უკვე მოახრიგინეს თავიანთი ჯაბახანები! მოულოდნელად, სულ რაღაც ერთ წამში, გამიელვა თვალწინ მთელმა ჩემმა წარსულმა: სკოლამ ინსტიტუტმა, ცოლის შერთვამ, თაფლობის თვემ... იმ დღემ და საათმა, როცა აქ, ამ საავადმყოფოში მომათავსეს და... მორჩა! აქ უნდა შევწყვიტო!

ცოტა არ იყოს, მეუხერხულება კიდეც. ჩემი ავადმყოფობის პატრონი კვერცხებზე რომ ვფიქრობ და ვწერ, მაგრამ ზოგჯერ გული იმისთანა რამეებსაც მიგრძნობს, ყოველგვარი უხერხულობისაგან ვთავისუფლდები. მართლაც და, კაცმა რომ თქვას, კვერცხებთან დაკავშირებული ამბები განა უბრალო თამაშია!.. არა, აქ უფრო მნიშვნელოვანი რამ იგულისხმება. დიახ, სწორედ ამ ვითომ თამაშშია შეკრული გორდიუსის კვანძი. კვანძი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მე უნდა გავხსნა! ბრაზმორეული ვდგები. ჩემს გაშმაგებას საზღვარი არა აქვს. დიდი მადლობა მომიხსენებია, ბატონებო! ნეტავ რა თავში ვიხლი ამ ყალბ სიმორცხვესა და თავის მოტყუებას. მე ხომ სრულიად ბრმა, უცაბედმა, სულელურმა შემთხვევითობამ მარგუნა ცოლი, სამსახური, შვილი, ბოლოს და ბოლოს! ახლა კი ასეთივე დაუნდობელი გულგრილობით მართმევს ყველაფერს, ყველაფერს!.. სწორედ მან შემყარა კიბო! მან დამასნეულა! ამ საავადმყოფოშიც მან მიკრა თავი! სენტიმენტებისაგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ... მისუსტებულმა სულმაც რა უნდა მიშველოს უსულგულობისა და სისასტიკის უკიდეგანო ოკეანეში! მე ხომ სწორედ აქ, ამ საავადმყოფოში მივეჩვიე სისასტიკესა და გულგრილობას... მთელი არსებით ვცდილობდი რაც შეიძლება გულგრილი გავმხდარიყავი ცოლისადმი, შვილისადმი, მთელი სამყაროსადმი! ნეტავ მთელი ცხოვრება მამყოფა იმ როლში, რომელსაც ეს თამაში ითხოვს! ო, როგორ მინდა ყველა ჩემი საფიქრალი და საზრუნავი იმ ხუთი კვერცხის იქით არ მიდიოდეს!.. „fünf Eier unter dem Baum“. დიახ, ახლა-

ვე შევსანსლავდი იმ ხუთ კვერცხს, ახლავე და დიდი სიამოვნებით! ოღონდ ეს ოცნება ამასრულებინა და საბედისწერო თამაშს ყაიმით დასრულებულად ჩავთვლიდი. უფრო მეტიც — მაშინ ხომ თვით ყოვლისშემძლე დროსაც გავაპამპულავებდი იმ დროს, რომელიც თავისი ჭკუით ჩემზე გამარჯვებას კი ზეიმობდა, მაგრამ ის ალარ უწყოდა, იმავდროულად საკმაოდ პროზაულ სამუშაოს ანუ ჩემი პირადი მზარეულის მოვალეობასაც თუ ასრულებდა! დიახ, ყოველ წამს ჩემთვის ირჯებოდა და დამარხული კვერცხებისაგან ჩინურ სასუსნავს მიმზადებდა! დრო... დრო ყოველთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მის წინაშე ყველანი იმ მატლსა ვგავართ, რომელიც ამ წუთას ვერხვის ქერქს შეექცევა და აზრზე არაა, რომ კარგა ხანია სხვისთვის ფაფხურობს. მართალია, დრო და კიბო ამ წუთას მეც ერთად მიღრღნიან თირკმელს, მაგრამ განა იგივე დრო არ მიმზადებს ხის ქვეშ დაფლული კვერცხების კერძსაც? ესაა, რომ მამშვიდებს და მახალისებს. მოდი და ნუ გაოცდები — თურმე მაშინაც კი, როცა ყველაზე დიდ სისულელეებს ჩავდიოდი, დროს მაინც ჩემს სასარგებლოდ დავაჭენებდი. ასეა თუ ისე, დაუნდობელი დროც კი მთელი ოცი წლის მანძილზე შესაშური კეთილსინდისიერებით მემსახურებოდა. აქ, რა თქმა უნდა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თორმეტი წლის ბიჭუკელა ოცდათორმეტი წლის კაცად მაქცია! გადაწყდა! ქვას გავხეთქავ და იმ კვერცხებს შევჭამ! რადაც არ უნდა დამიჯდეს, საავადმყოფოდან გაპარვაც რომ დამჭირდეს, მაინც შევჭამ!

დიახ, დიახ, დროსაც ჩემს ჭკუაზე დავაჭენებდი! და ეს ძალიან მეამაყება...

მაინც რა ჭკვიანი ხალხი ყოფილან ის ჩინელები, მიწაში დაფლულ კვერცხებს რომ შეექცეოდნენ და ისედაც ვიწრო თვალებს სიამოვნებისაგან კიდევ უფრო ჭუტავდნენ. ისინი ხომ თვით მძლეთამძლე დროით იტკბარუნებდნენ პირს!

ო, რა სიამოვნებით ჩამოვუვლიდი ახლა იმ ველურ ცეკვას! გამარჯვებულ-ცოდვილ-ღორმუცელათა ცეკვას! მერე რა, რომ ახლა უკვე დიდი ტომარა ვარ... კიბორჩხალებით გატენილი ტომარა. ტომარა, რომელსაც ხრაშახრუში გაუდის! თამაში გრძელდება.

17.

აი, გადაყრუებული მეფე, რომელიც მოოქროვილ ბალდახინზე დაუსვენებიათ. ერთგული შინამოსამსახურენი ტკბილსურნელოვან სასაკმევლეებს ახრჩოლებენ... უკანასკნელი იმედიც გადაწურულიაო, ეჩურჩულება სამეფო კარის ფერმკრთალი დასტაქარი პირველ მინისტრს. უკვე ვეფხის ზურგის ტვინისაგან დამზადებული მალამოებიც მოვსინჯეთ, გზაჯვარედინზე ჩამოხრჩობილი ყაჩაღის თავის ქალას ფხვნილიც, სამკურნალო ბალახები და მაგიური ცხელსაფენებიც, მაგრამ არაფერმა გასჭრაო. ისღა დაგვრჩენია, მომაკვდავ მეფეს დღვილის ნახარში დავალევინოთ, ოღონდ მთლად მისი სასწაულმოქმედების იმედითაც ნუ დავრჩებით, ყოველ შემთხვევისათვის მღვდელმსახურიც მზად გვყავდესო.

მოხუც მეფეს ბალიშქვეშ სასმენი მილი აქვს დამალული და ჩუმ-ჩუმად

ყველაფერს ისმენს. მერე თავს ძალას დაატანს, ბალიშებზე წამოჯდება და სამეფო ბეჭდის მცველს უხმობს. და აი, მომაკვდავი მეფის ოქრო-ვერცხლით მოჭედილ სარეცელთან წარმოჩინებული მოხელე იხრება. მეფის ნაჩურჩულევს მოწიწებით მოისმენს, მერე კი სწრაფად გადის და წითელი ხის ზარდახშას შემოარბენინებს.

„გახსენ ზარდახშა და ამოიღე **რუკა იგი!**"

დღის სინათლეზე ამოაქვთ გაცრეცილ-გაყვითლებული პერგამენტი, რომელზეც მრავალრიცხოვანი ისრები, წყვეტილი ხაზები და წითელი წრით აღნიშნული სამალავის ადგილსამყოფელია გამოსახული.

„ახლა კი ჩემი სარეცლის ქვეშ შეძვერი, ოღონდ ფრთხილად, ღამის ქოთანი არ გადამიბრუნო! მანდ მოოქროვილ ნიჩაბს ნახავ. აიღე იგი. შეარჩიე ორი ერთგული ყმა და წადი! თუ სად და რატომ, შენ უკვე იცი."

წარჩინებული მოხელე მეფის წინაშე ოთხად იკეცება და წასასვლელად ემზადება.

„იცოდე, გზადაგზა რამე არ გადაყლურწო, თორემ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე! ვინ-ვინ და, შენ მაინც მყავხარ იმისი მოწმე, თუ რა კეთილი და გულმოწყალე ვიყავი მთელი ცხოვრების მანძილზე. ვერც „ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას" დამწამებს ვინმე... მაგრამ, ო, მაგრამ საკმარისია, შენ, ძველო წუწკო, თავი ვერ შეიკავო და პირში რაიმე გადაიცდინო, რომ ჩემს განრისხებას საზღვარი არ ექნება! იცოდე, მაშინვე ჩვენი კანონმდებლობის ყველაზე მივიწყებულ მუხლს მოგაკერებს! და, რაც მთავარია, შენი ჰონორეა და ფიზიკური სასჯელი არ დაგავიწყდეს, mon ami! ახლა კი გასწი და ვაი შენ, მამლების მესამე ყივილზე თუ არ დაბრუნებულხარ!"

მოხელე მართლაც მამლების მესამე ყივილზე ბრუნდება, მეფესთან შედის და რაღაცას გადასცემს. ეს რაღაცა ხორკლიანია და აყალო მიწითაა გათხვრილი.

„მუსიკა, ბატონებო, მუსიკა!" — გაისმის მეფის ბრძანება.

სამეფო კარის კაპელაც ბრძანებისთანავე იწყებს დაკვრას.

„უფრო ცოცხლად, ბატონებო! უფრო მხიარულად Oboe d'amore ნეტავ რას კნავი ასე საცოდავად! Viola da gamba ეს შენიშვნა შენც გეხება, ძვირფასო! Piú mosso! Meno mosso! Allegro molto e giocoso*. ბატონებო!

...და ჰქუხს მუსიკა, სრიალებენ თხემები. oboe d'amor-ს მთელი მონდომებით გამოჰყავს one-step-ი იმ მონადირეებზე, რომლებმაც დათვის ტყავი ნაკუწ-ნაკუწ დაინაწილეს, ხალხის ფული კი დასტა-დასტად.

მომაკვდავი მეფე ზეწრის ბოლოთი კვერცხებს მიწას აცლის. მსახურებს გონდაკარგული კარის დასტაქარი გაჰყავთ...

„ჩემს გამო დამწუხრებულო ძვირფასო მგლოვიარენო! მე ხომ ყველაფრის წარმატებით დასრულება მიყვარდა! ამჯერადაც ასეა... და ეს პირველ რიგში ეხება კვერცხებს! დიახ, კვერცხებს! აი, ამ კვერცხებს!.."

მეფე ხუთივე კვერცხს ერთად იტენის პირში. „Fünf Eier unter dem Baum"... ძლივსგასაგონად ჩურჩულებს და ბოლო ლუკმის ჩაყლაპისთანავე სულს განუტევებს.

---

* უფრო ცოცხლად! ნაკლებ მხიარულად! უფრო ჩქარა და მხიარულად! (იტალ.).

ოთახს მაგიდის ნათურა მინათებს. კარის საკლიტეც კი საგულდაგულოდ მაქვს დაგმანული, რათა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში მთვლემარე მორიგე ექთანებმა ჭუკრუტანიდან გამომკრთალი სინათლე არ დალანდონ. ღამის ორი საათია. კაცაშვილმა არ იცის, რომ მე ისევ მაგიდას ვუზივარ და ვწერ.

მაგიდაზე სუვენირების მაღაზიაში ნაყიდი ორი ასგრამიანი ჭიქა მიდგას. კონიაკის საწრუპავად უკეთესს ვერც ინატრებ. მეც იმ მონადირეებზე შეთხზულ პოპულარულ One-Step-ს ვუსტვენ ხმადაბლა. ჩემს ტყავსაც დანაკუწება ელის... ოღონდ ჯერ არა. ჯერ მეც იმ დამარხულ კვერცხებით უნდა ჩავიტკბარუნო პირი! აგნესს ვთხოვ და აუცილებლად მომიტანს... იმ ადგილსაც ისე ზუსტად დავუხატავ, თვალდახუჭულმა რომ მიაგნოს––...

მაშ, ასე. ახლა კი სხვაგვარი ვარიაციის შეთხზვაც შეიძლება...

...იგი გამოუსწორებელი არამზადაა. მთელი ცხოვრება ზრდილობიან მაიმუნობაში გაატარა. ისეთი ფუმფულა თითები აქვს, მაშინვე მიხვდები, თავის დღეში რომ არაფერი გაუთეთრებია. არადა, თვალები აქვს მეოცნებე ბავშვივით სუფთა, ღიღილოსფერი... საოცნებოდ კი, გაგიხარიათ, მუდამ თავზე საყრელი დრო ჰქონდა.

ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩვენი მეოცნებე არამზადა მიქელ-გაბრიელის მოახლოებას იგრძნობს და მაშინვე თავის მეგობრებს მოუხმობს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მასავით ჯიბიდან გავარდნილი თითლიბაზები არიან. ამათაც მეოცნებე, ღიღილოსფერი თვალები აქვთ და თავიანთი ძვირფასი სიცოცხლე არასოდეს დაუხარჯავთ ისეთ წვრილმანებში, როგორიცაა ორმოების თხრა, სახლების შენება, ხვნა-თესვა და ამისთანანი... ჭარხლისჭამია ხოჭოების მომაკვდინებელ საწამლავებზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია! აი, ასე უზრუნველად გაატარეს მთელი ცხოვრება— ლუმპაპურის საშოვნელადაც არ უხდებოდათ შორს წასვლა, იქვე, ახლობლებში ჩამოიმათხოვრებდნენ ხოლმე. ზოგჯერ კი არც იმის აწაპვნაზე იხევდნენ უკან, რაც თავის ადგილზე არ იდო. მეტწილად: რასაკვირველია, გაზულუქებულ მდიდრებსა და ხარბებს ძარცვავდნენ. ზოგჯერ კი პატარა ნავში მოკალათებულნი დენატურატს ყლურწავდნენ და საიდუმლოებით მოცულ სამყაროზე ფიქრობდნენ.

„ძვირფასო მეგობრებო! დღეს მე ჩემი უმთავრესი ნაღვაწი უნდა წარმოგიდგინოთ!“ –– აცხადებს საიქიოს გზაზე დამდგარი თაღლითი მეოცნებე.

„ო, ჩვენ ხომ ისედაც კარგად ვიცით შენი ნამოღვაწარი! ან კი რა დაგვავიწყებს შენს ქადაგებას ცასა და მიწაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე... ყვავილებისა და პეპლების სიყვარულიც შენ ჩაგვინერგე! ნუთუ ყველაფერი თავიდან უნდა გვიქადაგო, ჩვენო მოძღვარო? ეს ხომ შეუძლებელია!“ — ერთხმად აბუტბუტდა ოთხივე მეგობარი.

„ჩემო კეთილო მეგობრებო! ათას მადლობას გწირავთ ამ ლამაზი სიტყვებისათვის. თქვენი ამაღლებული სულის წარმომჩენი მსჯელობისათვის. ო, რომ იცოდეთ, რა შვებასა და იმედს მგვრით, მეგობრებო! მიხარია, რომ აბსოლუტის შესახებ ჩემს მჭევრმეტყველებას უკვალოდ არ ჩაუვლია!.. –– პასუხობს საიქიოს გზაზე დამდგარი ჩვენი მეოცნებე. –– მაგრამ ახლა ისიც უნდა გაუწყოთ, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მე მხოლოდ თქვენთვის ვირჯე-

ბოდი. ეს გარჯა კი ჩემგან უკიდურეს შეუპოვრობასა და ხასიათის სიმტკიცეს მოითხოვდა... ძმანო და მოყვასნო ჩემნო! ყველას ნადიმზე გეპატიჟებით! ნადიმზე, რომლის მსგავსიც ამ ჩვენს მშვენიერ ქალაქში ბევრს არ დაესიზმრება მაშ, გავსწიოთ ქალაქგარეთ! ყველამ ჩვენს საყვარელ მდელოზე მოვიყაროთ თავი. ეს ხომ ნამდვილი საიდუმლო სერობა იქნება! დიახ, დიახ, საიდუმლო სერობა! თანაც, ჩვენდა საბედნიეროდ, იუდას გარეშე... აჰა, თქვენ ხუთი ბოთლი ლილისფერი სითხე, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ალკოჰოლურ სასმელს ეძახიან. მაშ ნუ ვაყოვნებთ, ძმებო, Carpe diem!*

ქალაქგარეთ, ერთ-ერთი ხის ძირას იგი თავის მეგობრებს დასვამს. თვითონ კი ორმოს თხრას შეუდგება.

„მანდ რას აკეთებ, დიდო მოძღვარო?“ — ერთხმად ეკითხება ოთხივე მეგობარი.

„აკი თქვენც ხედავთ, ძმანო ჩემნო, რასაც ვაკეთებ —
დრომ, ანუ ჩემმა მზარეულმა უერთგულესმა
აქ, ამ ორმოში მომიმზადა კვერცხების კერძი
არცერთ მეფეს რომ არასოდეს არ ეღირსება!
მაშ ვადღეგრძელოთ ნახელავი უკვდავებისა
და დავაყოლოთ ზედ ხუთი კვერცხი...“

და აი, ყველანი ორმოდან ამოღებულ კვერცხებს შეექცევიან. ყველას ყოვლისშემძლე დროის მიერ შემზადებული თითო ხორკლიანი კვერცხი უჭირავს ხელში. მეოცნებე, ლილილოსფერი თვალები ცისაკენ მიუპყრიათ...

„მე ხომ ყველაფრის წარმატებით დასრულება მიყვარდა!“ — ჩურჩულით წარმოთქვამს ნადიმის თამადა, მერე ხელებს გულზე დაიწყობს, ერთს ამოიხავლებს და საიქიოსაკენ გაეშურება.

18.

თერმომეტრი რომ მომიტანეს, ჯერ კიდევ ძილბურანში ვიყავი. ის იყო დამძიმებული ქუთუთოები წამოვწიე, რომ მაშინვე მორიგე ექთანს ვკიდე თვალი. ამ ქალის სახე დღეს რატომღაც თაბაშირისაგან გამოქანდაკებულს ჰგავდა. ნეტავ ეს ცივად გამოთეთრებული სახე არ დამენახა-მეთქი, გავიფიქრე და თვალები დავხუჭე, მაგრამ არაფერი გამოვიდა — თაბაშირისაგან გამოქანდაკებული სახის ცივი ოფლი ისე მკვეთრად აღმებეჭდა თვალის ბადურაზე, რომ ქუთუთოების დახურვის შემდეგაც ვერ მოვიცილე. ამასობაში ჩემმა წამწამებმა ერთადერთი, წამიერი მოძრაობით თაბაშირის ნიღაბზე განივად გამკრთალი ვარდისფერი მონასმის, ანუ მოკუმული პირის აღბეჭდვაც მოასწრეს.

ცივი თერმომეტრი ნესტარივით მიღიტინებდა... ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს წითელმუცლიან ხოჭო-მხედარს ჩემს იღლიაში ვერცხლის ლაპ-

---

* „წაჰგლიჯე დღეს!“, ანუ იცხოვრე დღევანდელით, მოასწარ ახლავე! (იტალ.).

ლაპა კვერცხები დაეყაროს... წარმოვიდგინე როგორ გაღივდება თესლი ჩემს თბილ ორგანიზმში, როგორ აიყრის ტანს ძაფივით წვრილ კაპილარებში, მერე კი მის სათუთ ღეროებზე პაწაწინა კოკრებიც გაიშლებიან და ვერცხლის ულამაზესი ყვავილები წამიერი ცივი ნათებით გამობრწყინდებიან. სწორედ ამ თვალისმომჭრელ სინათლეში გაკრთება თაბაშირის თეთრი ნიღაბი და ზედ გადასერილი მოვარდისფრო პირის ჭრილი... თვალი გავახილე. შემზარავ ხილვებს თავი დავაღწიე და რეალურ სამყაროს დავუბრუნდი.

ოთახში ციოდა. ფანჯარასთან მივლასლასდი. მართალია, მოძრაობა ჯერ კიდევ შემეძლო, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ბამბის ფეხებზე ვიდექი და ფრთხილად თუ არ ვივლიდი, ადგილზე ჩავიკმუჭნებოდი.

ირგვლივ ყველაფერი ცივად გამოიყურებოდა და თავისებური კონტრასტული შეფერილობით გადასაყვან სურათებს მაგონებდა. აი, ისეთს, ბავშვებს რომ გადააქვთ ხოლმე რვეულის ყდაზე. წუხელის ქარიც მომძლავრებულა. სახურავზე აგლეჯილი თუნუქის ნაჭერი გულისგამაწვრილებლად ღრჭიალებდა...

ასეთ საზიზღარ ამინდში გარეთ გასვლა ნამდვილად არ ღირდა.

საცხედრესთან ლურჯკაპოტიანი სატვირთო მანქანა იდგა. მანქანის ირგვლივ შავებში გამოწობილი ხალხი ფუსფუსებდა.

ისევ წამოვწექი. ექთანმა თერმომეტრი გამომართვა: დაბალი სიცხე გაქვსო, მითხრა. თვალები დავხუჭე. სიბნელესაც კი თავისებური სითბო ახლავს-მეთქი, გავიფიქრე და კვლავ ძილბურანში ჩავიძირე. ძილის უძირო ჭაც თბილი და ნოტიო იყო.

კარზე დაკაკუნებამ გამომაღვიძა. ხმა არ გამიღია. ისევ დააკაკუნეს. ცოტა ხნის შემდეგ სახელურის ჩხაკუნი შემომესმა და ფრთხილად შემოღებულ კარებში ლეოპოლდის ფართო სახე გამოჩნდა.

— ოჰ, მგონი გაგაღვიძეთ!.. არა, არა ნუ ადგებით გეთაყვა... მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე.

ლეოპოლდი ჩემს პასუხს არც დალოდებია, ოთახში შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. ხელში სახატავი ალბომი ეჭირა. „ახალი ნამუშევარი უნდა მაჩუქოს!“ — გამიელვა თავში. რატომღაც იეორელი მოხუცი გამახსენდა... თუმცა, აბა მე სად მქონდა ალუბალი, კურკები რომ გამომეპურჭყებინა! წამოდგომა დავაპირე.

— მგონი დიდხანს მეძინა... რომელი საათია? ალბათ უკვე ათი იქნება, არა?

ლოგინზე წამოვჯექი.

— ათი კი არა, თორმეტის ნახევარია, თორმეტის! — რატომღაც რიხიანად მიპასუხა ლეოპოლდმა და ჩემი ყავისფერყდიანი რვეული გადაშალა.

— ეჰ, ნეტავ მეც დამყოლოდა წერის ნიჭი! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ლეოპოლდმა და რვეული გვერდზე გადადო, — პოეტურ მუზას ჩემი აკვნის სიახლოვესაც არ ჩაუვლია... მაგრამ არა უშავს, ამით ქვეყანა კი არ დაქცეულა.

ფეხებში სისუსტე ვიგრძენი. მკერდშიც ისევ ის უცნაური სიცარიელე ამითრთოლდა... ის იყო შიშველი ფეხი საწოლქვეშ შევაცურე, რათა ოთახის

სანდლები მომეძებნა. რომ ავისმომასწავებლად გასივებულ-გაყვითლებულმა საკუთარმა ტერფებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება. ღმერთო ჩემო, ისინი უკვე ჩემგან განცალკევებით არსებობდნენ და თავის პატრონის ნება-სურვილს თითქოს არც ემორჩილებოდნენ... მიუხედავად ამისა, სანდლები მაინც მოვიწიე და გაყვითლებულ ფეხებზე წამოვიცვი.

ლეოპოლდი ისევ პოეტური მუზის უქონლობას მისტიროდა, ოღონდ მთელი ყურადღება ჩემი გასივებული ფეხებისაკენ ჰქონდა გადმოტანილი.

— რა ყვითელია, არა? — რაღაცნაირ შემწყნარებლურ კილოზე წარმოთქვა ლეოპოლდმა, — იცით, აი ეს ახალი ნამუშევრები მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა...

ალბომიდან ორი ნახატი ამოიღო და საწოლზე დამიწყო.

— რას იტყვით?

რა უნდა მეთქვა, ახალ ნახატებს მთელი გულისყურით ვათვალიერებდი და ვერაფრით ვერ გამეგო, რითი განსხვავდებოდნენ ისინი ძველისაგან. იგივე საცხედრე, იგივე ხეები, არც ცაზე შეცვლილა რამე... ბოლოს საცხედრის გვერდით ტანაშოლტილი ხეებიც სულ ფოთოლ-ფოთოლ გადაქექე. იქნებ უცხო ფრინველი მაინც იყოს-მეთქი სადმე შეყუჟული, მაგრამ შენც არ მომიკვდე!..

— წინასწარ ვიცოდი რომ მოგეწონებოდათ! — წამოიძახა ლეოპოლდმა, თუმცა ჯერ ერთი სიტყვაც არ მქონდა დაძრული.

— ალბათ თქვენც ამ კარებში ხედავთ ყველაზე დიდ სიახლეს, არა? იქნებ, ერთგვარ ქვეტექსტსაც, როგორც მხატვართა წრეებში იტყვიან ხოლმე...

მოულოდნელად ლეოპოლდი სკამიდან წამოხტა და ფეხის წვერებზე შემდგარი გაემართა კარისაკენ.

-- ამ ნახატებს თქვენ გჩუქნით! დიახ, თქვენ...ახლა კი წავედი... არ მინდა მათ აღქმაში შეგიშალოთ ხელი...

ლეოპოლდი ფრთხილად გავიდა. კარიც მისთვის ჩვეული მოწიწებით გაიხურა. ერთხანს ნაბიჯების ხმა ვერ გავიგონე, ხომ არ მაყურადებს-მეთქი, გავიფიქრე.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! როგორც იქნა, მივხვდი, რით განსხვავდებიან ეს ახალი ნახატები ძველისაგან! ჩვენს ლეოპოლდს ხომ ამჯერად საცხედრის კარი დაუხატავს ღიად! თუნუქით შეკედილი საცხედრის კარი შავი ფრინველის ჩამოკრილ ფრთას მაგონებდა!

19.

თავი ამტკივდა. ღმერთო ჩემო, რა სისულელეა ყველაფერი ეს: აქეთ ლეოპოლდის საცხედრე, იქით ხუთი კვერცხი, ანუ იგივე ხუთი კოზირი, რომლითაც წუხელის საკუთარი ბედისწერის დამარცხებასაც კი ვლამობდი... ეს ხომ ნამდვილი კლოუნადაა და მეტი არაფერი!

თუმცა რა მოხდა მერე, იყოს ბატონო კლოუნადა! მე ხომ ჯერ კიდევ არ დამიყრია ფარ-ხმალი... ისევ ჩემს მაგიდას ვუბრუნდები... ღვთის წყალობით ძალაგამოცლილ ფეხებსაც ვიმორჩილებ ჯერჯერობით.

მაშ ასე. თამაში გრძელდება! სხვა გზა არც არის.

გუშინ მე და ჩემი პატივცემული კიბო კონიაკს მივეძალეთ და კარგა ლაზათიანად გამოვთვერით, არადა, რა ხანია ჩვენს გემოზე არ გვიქეიფია! ერთი ბოთლით ჩემი სადღეგრძელო დავლიეთ, მეორეთი — მისი. სულ ალავერდებს გადავდიოდით ერთმანეთთან!..

„ბატონებო! მაშ წაუწმინდეთ კალამს წვერი და გალექსეთ ვარდი!“ — თუ არ ვცდები, ასე მიმართავდა პუშკინის სიტყვიერების მასწავლებელი თავის მოწაფეებს ცარსკოე სელოში. ნეტავ მეც შემეძლოს ჩემი კიბოს აღწერა! მით უმეტეს, დღეს აშკარად უქეიფოდ გრძნობს თავს... გასაკვირიც არაა, ის ხომ სრულიად მიუჩვეველია ალკოჰოლურ სასმელებს... აბა მე, პირიქით, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დავამყარე ახლო ურთიერთობა ალკოჰოლთან... ხოლო რაკი იმ წლებში ჩემი კიბო საერთოდ არ არსებობდა ამ ქვეყანაზე, გამოდის, რომ მას უმაღლესი განათლებაც არ ჰქონია მიღებული! ეს კი, სხვათა შორის, ჩვენს მკვეთრად განსხვავებულ ინტელიგენტურობაშიც ვლინდება, რის გამოც, ღმერთია მოწამე, არასოდეს ცხვირი არ ამიწევია...

ანატომიურ ატლასში გამოყენებული ფერები რამდენად სარწმუნოა არ ვიცი (ავტორი: ვირცბურგელი მედ. მეცნ. დოქტ. ი. სობოტა), მაგრამ ერთობ ლამაზი რომაა, აქ ორი აზრი არ არსებობს. ასე მაგალითად, შუაზე გადახსნილი მუცლის ღრუ ბატონ სობოტას მიერ ისე თვალწარმტაცადაა წარმოდგენილი, რომ ერთი შეხედვით ლამაზად გაფორმებული ტკბილეულის კოლოფი გეგონება. დახედავ ამ ხასხასა, წითელ-ყვითლად გაბრწყინებულ ფერებს და ერთი პირობა იქნებ ტორტის მოსართავ კრემადაც კი ინატრო.

სხვისა სხვამ იცოდეს, მე კი მაინც რაფაელის ყვითელ ფერს ამოვირჩევდი და მიუხედავად იმისა, რომ ეს თირკმელზედა ჯირკვლები ანუ glandulae suprarenalis-ები ნახევარმთვარეზე უფრო მეტად დაჩუტულ-დაჭმუჭნულ ბუშტებს მოგვაგონებენ, ტილოს ზედა კუთხეში მაინც ორ ნამგალა მთვარეს მივახატავდი. კი, ვიცი, რომ ამჯერად მხოლოდ ერთი glandula მივარგა, ვიცი და მაინც ორს დავხატავდი. ასე უფრო ლამაზი გამოვიდოდა. ისიც ვიცი, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით შუქჩრდილი უნდა დამემუშავებინა — თირკმელზედა ჯირკვლის ფაქტურა ხომ საკმაოდ ხორკლიანიცაა. ნეტავ ერთი ჯირკვალი ჭრილშიაც დამახატვინა! ო, ქერქიანი შრის zona retikularis-ი, ანუ ბადისებრი ზონა ხომ მართლაც ვირტუოზული ოსტატობის გამოსავლენადაა ზედგამოჭრილი. ამ მრავალრიცხოვანი ძარღვების, უწვრილესი ნერვებისა და სხვადასხვა ზომის კუნთოვანი ქსოვილების გადმოხატვაც ხომ ძალზედ ეფექტური იქნებოდა... სულ ბოლოს კი, ყველაფერი ეს გეომეტრიულად ზუსტსა და თვალგასახარ ნაქარგს დაემსგავსებოდა.

ჰო, მერე და მერე, ე. ი. რაფინირებული ტონების შემდეგ, საკმაოდ ხარბ, არაორაზროვნად მუქ წითელ ფერებზე გადასვლაც შეიძლება. განსაკუთრებით მაშინაა ეს სასურველი, როცა Substantia medullaris-ის ტვინის შრეებს მივუახლოვდები... ამ ინტენსიურსა და მყვირალა წითელ ფერს მე პირადად უფრო მეტ ძალმოსილებას, უფრო მეტ მომხიბვლელობას მივანიჭებდი. ასე და ამრიგად, უკვე ტვინის შრეებიც არ წარმოადგენს ჩემთვის არავითარ სიძნელეს. სხვათა შორის, არც ეს წითელი ნივთიერებაა დიდი გამოცანა: მასში გამომუშავებული პროდუქტების შეძენა ხომ ნებისმიერ აფთიაქშია

შესაძლებელი ადრენალინის სახით... მთავარი კი ისაა, რომ მაშინ, როდესაც წყვდიადში ჩასასვლელ კიბეზე მარგიტის მზრუნველი ხელი წამეხმარება (რის შესახებაც მე ერთხელ უკვე საკმაოდ დამაჯერებლად და ხატოვნად ვწერდი!), ტვინის შრეები საერთოდ არაფერ შუაში არ იქნება!

ახლა კი დროა თვით თირკმლებზეც გადავიდეთ. აქ, ჩემი აზრით, ყველაზე უპრიანი მაინც ყავისფერი იქნებოდა. დიახ, ერთი შეხედვით თითქოს უბრალო, მაგრამ საოცრად კეთილსინდისიერი, თანაც ყოველგვარი ზედმეტი მინარევების გარეშე. ასეთი ფერი არა მარტო თირკმლების უშნო ფორმისათვის იქნებოდა ზედგამოჭრილი, არამედ მათი ბუნებრივი დანიშნულებისთვისაც... წარმოიდგინეთ თირკმლის არტერიებში ჩამჯდარი ორი მოგრძო პამიდორი, რომელიც სისხლის გაფილტვრასაც ასწრებს და შარდის წვეთწვეთად გატარებასაც, თანაც მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით... თირკმლების ღალატი და ფეხის გაჯიმვა ერთია. და მაინც, მიუხედავად ამისა, თირკმელებს არ გააჩნიათ ის იდუმალება, ის ფლუიდები და ა. შ. რითაც ასე უხვადაა შემკობილი თირკმელზედა ჯირკვლები. თავად განსაჯეთ, საკმარისი იყო თირკმელზედა ჯირკვალს თავისი ფუნქციების შესრულებისას ოდნავ წაეორიგინალებინა, რომ მშვენიერ მონა-ლიზას ნიკაპზე ჩვეულებრივი ბეკეკას წვერი წამოეზრდებოდა.

ახლა კი ამ მოზეიმე ფერების თამადასაც, ანუ ჩემს კიბოსაც ხომ უნდა მოენახოს თავისი კუთვნილი ადგილი? კი, მართალია ჩემი კიბო ჩემშივე აღმოცენდა და განვითარდა, უფრო მეტიც, მე და ის სრულიად განუყოფელი ერთარსი ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გარე სამყაროდან მოვლენილ ბოროტ სულად დავხატავდი მას. სამწუხარო ´მხოლოდ ისაა, რომ ამ წუთში წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ გამოიყურება გარეგნულად ეს ბოროტი სული. ი. სობოტას ანატომიურ ატლასში ხომ მაინცდამაინც იმათი მუცლებია გამოფატრული, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ისეთი არქიტექტურული ზედმეტობა, როგორიც კიბოა, ე. ი. არც მისი დახატვა ყოფილა აუცილებელი. მით უმეტეს, რაც კი რამ ფატალურია, ერთობ ბანალურადაც გამოიყურება.

წარმოსახვაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი უკეთ გამოიყურება. ჩემს კიბოსაც ამ ჭრელაჭრელა სურათის სიღრმეში დაუდევს ბინა, თუმცა რაღა ბინა — საკურთხეველი, სადაც ყოველ წამს თავის წარმართულ რიტუალს ასრულებს. დიახ, წარმართულს, რადგან საკუთარი თავის პატივისმცემელი ვერც ერთი რწმენა ვერ ჰგუობს ზედმეტობას... თუმცა ამ შერეკილმა მოგვმა „ეტყობა „უფრო გრანდიოზული მიზნები დაისახა — შეუუქეცა თავის ფარულ თავშესაფარში და ჩემს საბრალო უჯრედებს ყოვლად უაზრო და სასტიკ ბრძანებებს გადასცემს. საერთოდ კი ყველაფერს სჩადის იმისათვის, რათა პანიკაში ჩავარდნილმა უჯრედებმა თავიანთ პირდაპირ დანიშნულებაზე აიღონ ხელი, მერე კი უთავბოლოდ გადიდდნენ, გაიზარდონ, გადაგვარდნენ... მოკლედ, კიბოს ერთი სული აქვს როდის დააჯილდოვებს თავის პატრონს გულზეშემოსაყრელი სიდიდეებით... ცდილობს ჩვეულებრივი თირკმელი აქციოს გიგანტურ თირკმლად! ელენთა — ბუმბერაზ ელენთად! სწორი ნაწლავი — ვეებერთელა სწორ ნაწლავად! ოღონდ კი რამე გაამსხვილოს, ოღონდ კი რამე გაფართოვოს... კვლავ გულისგამაწვრილებელ წინააღმდეგობაში ვვარდები: — თუ მე და ჩემი კიბო მართლა ერთი და განუყოფელი ვართ, მაშ გარეშე ძალე-

ბიც არაფერ შუაში ყოფილან!.. ჩემი ღრმა რწმენით, არც ბაქტერიებისა და ვირუსების მსუბუქ არტილერიას მიუღია რაიმე მონაწილეობა მათ წარმოქმნაში. ყველაფერი ჩემს არსებაში ხდება, ჩემს არსებაში და ჩემივე თანხმობით... ე. წ. ტვინი და გონება კი სრულიად უძლურნი არიან სხეულის ამა თუ იმ უგუნურ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, რაში მარგია ეს ტვინი, რაში?! ნუთუ მარტოოდენ დღიურებში დაშიფრული წვრილმანი ცოდვების გასახსენებლად და აღსანუსხავად?!

სწრაფად ვდგები. ვცდილობ გრაფინს მივწვდე, მაგრამ... ესეც შენ! უკვე ფეხები აღარ მემორჩილება. მუხლები მიცახცახებს... ჯერ ერთ ფეხში მეცლება ძალა, მერე მეორეში... მეტი აღარ შემიძლია. საწოლზე პირქვე ვემხობი და მოულოდნელად ყველაფერი სულერთი ხდება, უკლებლივ ყველაფერი...

არა, ასე არ შეიძლება, ცოტას კიდევ დავისვენებ და წამოვდგები. ძალას მოვიკრებ და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, წამოვდგები... აი, უკვე არა მიშავს, ვდგები. ფანჯარასთან მივდივარ. სუფთა ჰაერი... ჰაერი!

ყველაფერი ტორტმანებს. მგონი, მთელი სამყარო ამოვარდა ფოკუსიდან... სახლის სახურავები, ხეები და ქუჩები მოყვითალო-მოიისფრო ჩარჩოშია ჩასმული... ჩემს ყელში გაჩხერილი ხორკლიანი ბურთიც მოყვითალოა... თანდათან იზრდება... აი, უკვე ჩემი თავის ხელაა, სადაცაა დამახრჩობს!

გონზე მოვდივარ. ნეტავ რამდენ ხანს ვიყავი ამ ფანჯარასთან რაფაზე მკერდმიბჯენილი? ყველაფერს თავისი ფერი უბრუნდება... მოყვითალო-მოიისფრო ყვავილწნულებიც გაუჩინარდნენ. აი, საავადმყოფოს ბაღი, ბილიჯზე მარგიტი მოაბიჯებს. წამით ჩერდება, ჩემი ფანჯრისაკენ იცქირება. მართალია, ამ სიშორეზე ჩემს სახეს ვერ დაინახავს, მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ იგი ნამდვილად ჩემი ფანჯრისაკენ იხედება. როგორ მინდა ხელი დავუქნიო, როგორ მინდა, მაგრამ... ისევ მეცლება ძალა... ღმერთმა დალახვროს!

20.

ნასადილევს შოკში ჩავვარდი.

არასოდეს დამავიწყდება თანაგრძნობით აღსავსე მარგიტის თვალები. მთელი საღამო ლოგინში ვიწექი და სულგანაბული ველოდებოდი როდის გავიგონებდი მის საამო, გულში ჩამწვდომ ხმას. მარგიტი კი დუმდა, ე. ი. ხელიდან წასულთა სიაში ჯერ კიდევ არ ვეწერე... საინტერესოა, რას ფიქრობენ ამდენ ხანს ჩემი ექიმები? ჩამიდგამენ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ხელოვნურ თირკმელს?.. ხელოვნური თირკმელი იქით იყოს და ის, რაც ერთ მშვენიერ დღეს საბრალო პეეტერში აღმოვაჩინე, ამ ბოლო დღეებში მე თვითონ მომეძალა — ღმერთო ჩემო, რა ძნელი ყოფილა სულთან გაყრა! რა თავგამეტებით ვებღაუჭები სიცოცხლეს! კბილებით, ტუჩებით, თვალებით... მთელი არსებით! თავის წაწყვეტამდე... თურმე, ნუ იტყვით და, კეფაზე დასმულ სამედიცინო წურბელებსაც თავები აწყდებათ, დროზე ადრე თუ მოაცილეს ნუგბარ საწუწნავს.

ეტყობა, ცელმომარჯვებული მიქელ-გაბრიელი ნამეტანი ახლოს დაძვრება ჩემს სახლთან. ვინ იცის, იქნებ ახლაც სადმე აქვე იყოს ჩასაფრებული! აი, თუნდაც იმ ვერხვის ძირში, რომლის ქერქშიაც საბრალო მატლი ცოდვილობს. ადვილი წარმოსადგენია სულაც სასუქის გროვასთან მიგდებული ლურსმნების ძველ ყუთზე იყოს წამოსკუპული! ადრე თუ გვიან იგი ამ პალატაშიც შემოიძურწება... ფეხაკრებით ამოუყვება ღამის ნათურით განათებულ კიდეს... დერეფანში დაგებული მწვანე ხალიჩა მთლიანად შთანთქავს მისი ნაბიჯების ხმას... წამოვა, წამოვა, წამოვა! კაცშვილი ვერ შენიშნავს, ისე უხმოდ ჩაუვლის მთვლემარე ექთანის მაგიდას, მოხერხებულად გასრიალდება ელექტრონის სხივსა და მასტიკის სუნს შორის... ადამიანისაკენ! იმ ადამიანისაკენ, რომელსაც თირკმლის კიბო აქვს!

მორიგე ექთანი თვლემს. ვერაფერს ვერ ამჩნევს. ალბათ, ისევ კედლის საათი თუ იგრძნობს რამეს! ასეთ შემთხვევაში ზოგი საათი თურმე საერთოდ ჩერდება... ადვილი შესაძლებელია ჩაბნელებულ ოთახში ფანჯარაც კი გაიღოს თავისით! დიახ, სიკვდილის მოახლოებას მხოლოდ საათი, ფანჯარა და მარგიტი თუ იგრძნობენ... ხმატკბილი მარგიტის გამოსამშვიდობებელი სიმღერა მუდამ თავის დროზე გაისმის მომაკვდავის სასთუმალთან... აბა რისი გეშინიათ — ღუღუნებს მისი ხმა, ხმა კი არა, ინტონაცია — ცოტაც და ტკივილი თავისით გაივლის... ცოტაც მოვითმინოთ, სულ ცოტა...

სიკვდილის წინ ყველა ბავშვივით იქცევა. ვინ იცის, იქნებ მეც წავიფარო თავზე ზეწარი, მუხლები ნიკაპამდე მოვკაკვო და ასე სასაცილოდ მოკრუნჩხულმა ვცადო დავემალო სიკვდილს... მახსოვს, ბალღობაში, როცა რამეს დავაშავებდი, დედაჩემი დამემუქრებოდა, მოვა მამაშენი და ის გიჩვენებს სეირსო... მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, მოსაღამოვდებოდა თუ არა, მაშინვე ლოგინში შევძვრებოდი და თავს მოვიმძინარებდი. არ მახსოვს, მამაჩემს ერთხელ მაინც გავეღვიძებინე.

მაინც რა იყო, რა ოფლი ვღვარე დღეს! ვერ წარმოვიდგენდი ადამიანს თუ ამდენი ოფლის გამოყოფა შეეძლო. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წყლით გაბერილი ბუშტი ვიყავი და საკმარისი იყო ჩემს საწოლთან დახრილ ექიმებს თითი დაეკარებინათ, რომ უმალ შადრევანივით ამოვიფრქვეოდი. ახლა რა მიშავს, კარგად ვარ. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. არსად არაფერი არ მტკივა. ღმერთო ჩემო, რამხელა ბედნიერებაა, როცა უზრუნველად წევხარ და არსად არაფერი არ გტკივა! თითქოს მთელი სხეული ზეიმობს... რა დასანანია, რომ წინათ საერთოდ ვერ ვახერხებდი ამ ბედნიერებით ტკბობას. არადა, ვინ მოთვლის რამდენი დღე და საათი მქონდა ცხოვრებაში ამის შესაძლებლობა! რა საოცარი შეგრძნება მეუფლება — ცოტა ხნის წინათ ოფლი მასკდებოდა, ახლა მუსიკად ვიღვრები... ღვთაებრივ მუსიკად!.. მაგარი გული გქონიაო, მითხრეს ექიმებმა. მორჩა! ახლა წაძინებაც არ მაწყენს...

21.

ღამის პირველი საათია. მაშასადამე, მთელი ექვსი საათი მძინებია. წამოდგომისთანავე ვგრძნობ, რომ ბევრად უკეთ ვარ. ფეხზედაც მაგრად ვდგავარ. გული ისევ ფანჯრისაკენ მიმიწევს. ეს ფანჯარა პირდაპირ მაგნიტივით მიზიდავს.

ნისლიანი ღამეა. ცივა, ნეონით განათებულ ჩემს ქალაქს ეკლის გვირგვინივით ადგას თავზე შარავანდედი... ღმერთო ჩემო, რამდენი რამე არ არსებობს ახლა ჩემთვის ამ დაფიონის ქვეშ! — თეატრები, რესტორნები, კინოთეატრები, კაფეები... არ არსებობს და ნუ არსებობს! სამაგიეროდ ვარსებობ მე თვითონ! აი, ახლა ამ წუთში, ამ განუმეორებელ წამში! რომელშიაც ყველანი ერთად და ერთდროულად ვარსებობთ. ახლა, როცა მარტოდმარტო ვარ და გახურებულ შუბლს ფანჯრის ცივ მინაზე ვიგრილებ, განსაკუთრებით მძაფრად შევიგრძნობ ხოლმე ჩემს ამწამიერ არსებობას მთელ კაცობრიობასთან ერთად... რა საოცარი, რა ამაღლებული, რა ბედნიერი განცდაა — მე ვარსებობ! მე ვცოცხლობ! მეც ნაწილი ვარ ყოფიერებისა! რატომღაც ჩვენი სკოლის ის საზეიმო საღამო მახსენდება: აი, მე ისევ ჩაბნელებულ აივანზე ვდგავარ და „დონა კლარას" ჰანგებით ვტკბები... მოულოდნელად ენით გამოუთქმელი აღტყინება მეუფლება, ხელებს ვშლი და ძველმოდურ ტანგოზე ატროკებულ უფროსკლასელებს ვლოცავ... მაშინაც ყველასაგან განცალკევებით ვიდექი! ახლაც მარტო ვარ... **ახლა!** — რა ჯადოქრული ძალაა ამ სიტყვაში! არადა, ის ხომ მხოლოდ ერთ წამში ინთება და იფერფლება, იფერფლება და გადადის წარსულში, იმ წარსულში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს. ქრებიან და ინთებიან წამები, იფერფლებიან და ისევ ინთებიან...

სადღაც კი, იქვე საავადმყოფოდან არც თუ ისე შორს, სწორედ ამ წუთში გრიალებენ რესტორნები, ოფლად იღვრებიან არაქათგამოცლილი მოცეკვავეები... თვალებმინაბულ ქალებს ვნებიანად მოქანავე თეძოებზე აბრეშუმის კაბები ეწებებათ... იღვრება შუშხუნა შამპანური... გუგუნებს მუსიკა... რესტორნის უკანა ეზოში კი, ზედ ბათქაშგაცვენილ კედელთან მიდგმულ სანაგვე ურნაზე სიცივისაგან გათოშილი კატა მობუზულა... ახლა იქნებ მარტოსული პილიმეესიც კვნესის სადმე... სადღაც ურცხვად შიშვლდება ქალიშვილი, რომელსაც ნაზი, ქოქოსის რძისფერი კანი აქვს...ოპოდელდოკის საცხის სუნით აქოთებულ ოთახში ბარძაყებში ფესვგადგმული რევმატიზმით გულგაწვრილებული დედაბერი კვნესის... ყვითელი კანი აქვს, პაპირუსის ქაღალდივით დაჭმუჭნული... ჩემს ყოფილ ლაბორატორიაში ძველებური კედლის საათი წიკწიკებს, ჟღრიალებს. ითვლის წამებს, წუთებს... ბიურეტებიდან მოწვეთავს ხსნარი, კოლბებში დაცულია მუდმივი ტემპერატურა, კაბელებში მიედინება ელექტრონი... საკანალიზაციო ლიუკებში ათასგვარი უწმინდურობა გროვდება და მარად მღელვარე ზღვებისაკენ მიბუყბუყებს... მარადისობა თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა უთვალავი „ახლა"... სხვათა შორის, ერთი ასეთი „ახლა" სრულიად საკმარისია, რათა რომელიმე შოშიამ პაწაწინა სიზმარი ნახოს... და ყველაფერს ადგას თავზე ცივი ზეცა! ცივი ზეცა და სავარსკვლავეთის მირიადი „ახლა"...

მაინც რა უკიდეგანოა ეს „ახლა"! თვალშეუდგამი სიდიდე ყოველთვის გაეჭვებს თავის არსებობაში. ანკი როგორღა უნდა არსებობდეს, როცა განუწყვეტლივ ქრება და იშლება... სასიკვდილოდ დაჭრილი ჩიტი უსულოდ ენარცხება დედამიწაზე... მორჩა, გათავდა — იგი უკვე აღარ არსებობს. მასთან ერთად ქრება ერთი უზარმაზარი „ახლაც"... და აი, სისხლით მოთხვრილ ბალახებში აწ უკვე მკვდარ ჩიტთან ერთად იბადება ახალი „ახლა", მაგრამ

ეს უკვე სულ სხვა „ახლაა“, სრულიად სხვა! და მოვა წამი უჩემოდ... წამი, რომელშიც მე არ ვიქნები!

საკუთარ სხეულს ვათვალიერებ. ეს ყველაფერი ჩემი „ახლაა“, საკუთარი „ახლა“... მე ვარსებობ. მე ვგრძნობ საკუთარი ოფლის სუნს. ჩემი თირკმელზედა ცეპელინები როგორღაც კიდევ ჯახირობენ და ავად თუ კარგად თავის მოვალეობას დაახლოებით მაინც ასრულებენ. რაც მართალი მართალია, ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად გავხდი! თეძოები რომ თეძოებია, ისიც ოპოდელდოკის საცხის სუნით აქოთებულ დედაბერივითა მაქვს ჩაყვითლებული... კი ბატონო, ერთი შეხედვით იქნებ მუმიასაც ეგავდე, მაგრამ ნამდვილ მუმიობამდე ჯერ მაინც შორსაა. აკი ვფიქრობ, ვმოძრაობ, ვაკვირდები საკუთარ თავს, შემიძლია დავძაბო ესა თუ ის კუნთი და... უნებლიეთ ჩემი მზერა სხეულის იმ ნაწილზე ჩერდება, რომლის წყალობითაც ცოტა რამ მგონი მეც მოვახერხე სამომავლოდ... ხომ მოევლინა ქვეყნიერებას ჩემი ქუდბედიანი ბიჭი! ერთ ქალს მაინც ხომ ჩავუყენე სამყოფზე მეტი რძე ძუძუებში!..

უსაზღვრო სინანულით ვივსები. გული მწყდება, რომ უფრო მნიშვნელოვან კვალს ვერ ვტოვებ ამ გაუტანელ წუთისოფელში. მერე რა, რომ ყველაფერი წარმავალია! ჩემი აზრით, მართლაც დიდზე-დიდი, ჰეშმარიტად ბრძნული აზრი უნდა იდოს იმ ცნებაში, რომელიც საყოველთაო გამრავლებისაკენ მოგვიწოდებს. კიდევ? კიდევ. რა აზრი აქვს? რა და, აი, თუნდაც უთვალავ „ახლათა“ მარადიულობა... სხვა რომ არაფერი, განა ეს საკმარისი არ არის? კი, მართალია, მე არ ვიცი როგორ დაიწყო ეს ყველაფერი... არ ვიცი და არც ? ნდა ვიცოდე! რაც მთავარია, კარუსელი ტრიალებს, მანქანა მომართულია, გაოფლილ თეძოებს აბრეშუმის ქსოვილი ეკვრება... დაცვარულ ბალახში ეცემა ჩიტი, სასუქის გროვაზე მწიფდება გოგრა... კიდევ რა? რა და, ადვილი შესაძლებელია ყველაფერი ამის უკან იდუმალი ძალებიც იდგნენ, მაგრამ პრინციპში ეს არაფერსაც არ ცვლის (ხანდახან მე ისიც კი მჯერა, რომ სადღაც შორს, ძალიან შორს, ცხრა ზღვისა და მთის გადაღმა, მართლა დგას პატარა ქოხი, გამტვერილ ფანჯრის რაფაზე დგას ქოთანი, ქოთანში ყვავის გერანი, გერანის ფოთლებში დედაბრის მოწყენილი სახე ილანდება... მისი ყოვლისშემწყნარებელი თვალები უსასრულო სივრცეებისკენაა მიქცეული). ამწამიერის ერჟოლას ყველანი ერთნაირად განვიცდით... და ეს უსაზღვროდ დიდი ბედნიერებაა!

ისევ ჩემს გაძვალტყავებულ სხეულს ვათვალიერებ. როგორ ჰგავს იგი ხეზე ჩამოტეხილ ფოთლებშემკვნარ ტოტს! დავყურებ ხელებს, ფეხებს, მუცელს... მერე ისევ ციკი ქალაქის თავზე გადმომდგარი ვარდისფერი შარავანდედისაკენ გამირბის თვალი.

ეჰ, იაანიკა, იაანიკა!... მეც ხომ მჭირდება თანამგზავრი დასაფერფლად განწირულ ამწამიერში. ღმერთო, ნუ გადამრევ. ეს რა მემართება! ნუთუ ისევ ძველებური ძალ-ღონითა და სურვილებით ივსება ჩემი სხეული... იაანიკა!

ხალათს ვიცვამ, ფანჯრიდან მივძვრები და საავადმყოფოს ბაღისაკენ მიმავალ ბილიკზე ვეშვები.

— იაანიკა!

მკრთალად განათებულ ფანჯარაზე წამით თეთრი ოვალი ჩნდება. ეს ხომ მთვარის ცივ ნათელში სხივმოფენილი იაანიკას სახეა. აი, უკვე ფანჯარაში

ვიკაიტები და ნათლად ვხედავ მის თვალებს, უსაზღვრო გაოცებისაგან გაფართოებულ თვალებს.

-- მე ვარ, იაანიკა, მე...

ფანჯარა ფრთხილად იღება. წამით ფარდებში ვიბლანდები. დაბნეული იაანიკა კარისაკენ ზურგშექცეული დგას და ისე მომჩერებია, თითქოს ეს წუთია მის ფანჯარაში მე კი არა, მოჩვენება გადამძვრალიყოს.

— როგორ მატკინე!.. — ჩურჩულებს იაანიკა.

იაანიკას ჩამოშლილი თმა სახეზე მელამუნება. იატაკზე ზეწარი აგდია...

— შენ რა, მარტოობის შეგეშინდა?

ხმადაბლა ვსაუბრობთ, გრძელ-გრძელი პაუზებით. ერთი „ახლა“ ქრება, მეორე ინთება, ქრება და ინთება, ქრება და ინთება...

— ჰო, ალბათ მარტო ყოფნაც არ მინდოდა...

— მერე შენ მაინცდამაინც ჩემსკენ გამოგიწია გულმა, თუ?... — გამომცდელად მეკითხება იაანიკა და, მართალია, ამ სიბნელეში მის სახეს ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ იღიმება.

არაფერს არ ვპასუხობ.

— ეს შიში ჩემთვისაც ნაცნობია... დამერწმუნე, მსგავსი რამ მეც არაერთხელ გამომიცდია...

იაანიკა იატაკზე დაცურებულ ზეწარს იღებს და ტანზე მახურავს.

— შენ მგონი კიდევ ვერ მოითქვი სული... მაინც რა გამხდარი ხარ... ტკივილით კი მაინც მატკინე...

ზედმიწევნით სწორად იქცევა იაანიკა სიბნელეში. განსაკუთრებით იმის შემდეგ... პოულობს ზუსტ კილოს, სვამს ბუნებრივ ინტონაციებს... ღმერთმა დამიფაროს და ხომ შეიძლებოდა, მაგალითად, ასეთი ბანალური ფრაზა წამოსცდენოდა: „რას შვები, ჩემო გიჟო, განა ასე უნდა ატკინო შენს იაანიკას...“ ამის თქმა და ყველაფრის გაფუჭება ხომ ერთი იქნებოდა... ამგვარი სიყალბის ფონზე დუმილი რომ დუმილია, ისიც კი არ იქნებოდა სრულფასოვანი. სხვათა შორის, აგნესი ზუსტად ასე იტყოდა! იაანიკა კი სულ სხვა ქალია. ჩემთვისაც ნაცნობია ეს შიშიო, მეც გამომიცდია მსგავსი რამეებიო...

— რა იყო ვითომ წეღან ხალზე რომ მეფერებოდი? — მეკითხება იაანიკა, — გიყვარს ხალები? ზოგს სულ არ მოსწონს...

— იცი, ზუსტად ასეთი ხალი ჰქონდა ერთ ქალს... მე მაშინ ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი ვიყავი. ის ქალი თევზეულით ვაჭრობდა... — და მე უკიდურესი გულახდილობით ვუყვები იაანიკას, რა ურთიერთობა მქონდა თევზის გამყიდველ ქალთან. „თევზის ბაზარი“ — აი, ამ ორად-ორი სიტყვითაა დაშიფრული ეს ამბავი ჩემს ყავისფერყდიან რვეულში.

იაანიკა ყურადღებით მისმენს და, რა თქმა უნდა, სულაც არ ეჭვიანობს, რადგან ეს გრძნობა ახლა ჩვენთვის საერთოდ არ არსებობს. ის, ვინც ასეთ ღამეს განიცდის, არასოდეს არ იეჭვიანებს!

— ეს ჩვენი უკანასკნელი სიგიჟე იყო... აწი ვერასოდეს ვერ შევძლებ... — ვჩურჩულებ მე.

იაანიკა დუმს. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა დუმილია. ეტყობა, რაღაც ვერ ვთქვი სწორად... კიდევ წამი და შიშველ მხარზე იაანიკას ცრემლი მეცემა.

— მერე რა თუ ვერ შეეძლებ... ამით ქვეყანა კი არ დაიქცევა... ყველაზე დიდი დანაშაული ადამიანის გაჩენაა, უთქვამს ერთ ფილოსოფოსს, — გაუბედავად ვდუდუნებ მე, — კარგი რა, ნუ ტირი!

იაანიკა სულ უფრო და უფრო იძაბება.

— რაღა მე და რაღა გამხმარი ჯირკვი! — სლუკუნებს იაანიკა, — მე ხომ ნანგრევი ვარ, ერთი საცოდავი ნანგრევი და მეტი არაფერი! რამ მოგიყვანა ჩემთან, რამ?!

— ჩემი სულელი გოგო! — უკვე ჩემს ხმაშიც ერევა სიყალბე.

იაანიკა სწრაფად დგება. ო, რა ქათქათაა მისი სხეული! ქათქათა და ვეება...

— წადი!

— კარგი რა... რა გემართება?

— მომწყდი თავიდან.

ხმას არ ვიღებ. ანკი რა უნდა ვთქვა. იაანიკა საწოლიდან მაგდებს. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა. არც დაყვავებით გამოდის რამე.

— გამცილდი, გამცილდი! ახლავე გამცილდი! შენ რა, კიდევ ვერ გაიგე ვინა ვარ მე? ნანგრევი! ჯირკვი! ლეში!

იაანიკა მღელვარებისაგან ცახცახებს. მთელი ძალით მანჯღრევს. მისი ფრჩხილები სულ უფრო და უფრო მტკივნეულად მესობიან მხრებში.

— გაეთრიე! გაეთრიე!

ახლა კი ვკადრულობ წამოდგომას. ხალათს ვიცვამ. იაანიკა საწოლის კიდეზე ჯდება და სახეზე ხელებს იფარებს. მე უკვე ვერ ვხედავ მის ტუჩებს, რომლებიც სულ უფრო გულსაკლავად ბუტბუტებენ.

— ჩემი სხეული ნანგრევებია... უკანასკნელი ღამე იყოო, დაგიჩემებია... მე კი, მე ლეში ვარ! ჯირკვი! ო, როგორ მეზიზღება საკუთარი თავი. როგორ მეზიზღება, როგორ მეზიზღება!

ისევ ჩემი პალატისაკენ მივიძურწები. თენდება. აღმოსავლეთის ცაზე მომწვანო-მოვარდისფრო ფერები ლღვებიან. ტალინის თავზე გადმომდგარი ნეონის შარავანდედი სულ უფრო მეტად იცრიცება და მკრთალდება.

22.

საბანზე ვწევარ. თვალები ჭერზე მაქვს მიშტერებული. ჩვენი საავადმყოფო ჯერ კიდევ ღრმა ძილშია. სადაცაა გათენდება. ჩაბნელებულ ფანჯრებს დილის რიჟრაჟი ელაციცება. ახლა აუტანელი ტკივილებით განაწამები კიბოიანთა სხეულებიც კი გრძნობენ განთიადის გარდუვალობას. კოშმარულ სიზმრებში ძილგამკრთალი ავადმყოფები ლოგინში წრიალებენ და გაოფლილი ფეხები დაჭმუჭნულ ზეწარში ებლანდებათ.

თენდება. დილას ვერავინ დაემალება!

მაგიდის კიდეზე საერთო რვეული დევს. მისი ფერის გარჩევა ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ საკმარისია მზის სხივებმა ჩემი ფანჯარაც მოძებნონ, რომ ამ საერთო რვეულსაც ჩემი სატკივარივით ყავისფერი დაედება.

როცა ამ რვეულს ვფურცლავ, თვითონ მეცინება ხოლმე საკუთარ თავზე. აქ, სადღაც, ორიოდე სიტყვით, ისიც მაქვს განმარტებული, როგორ არ უყვარს სიკვდილს პოზიორობა. ამას რომ ვწერდი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პეეტერი მყავდა მხედველობაში. აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, ასეთსავე პოზიორობაში საკუთარ თავსაც თუ გამოვიჭერდი. აქეთ ახალშობილის ყიფლიბანდი და ბაიას ბიწიერი შეფერილობა, იქით აგნესის ძუძუებში ჩამდგარი რძე და თირკმელზედა ჯირკვლების საკონდიტრო პეიზაჟი... ყველაზე კომიკური კი მაინც „Iiinf Eier unter dem Baum"-ია. ეშმაკმა დალახვროს, ყველაფერი ეს ხომ წმინდა წყლის ოინბაზობაა! თანაც ისეთი ოინბაზობა, რომელსაც როკფორული ყველის სუნი უდის... მაგრამ ღმერთია მოწამე, არც ერთი ცოდვა არ ჩამდენია შეგნებულად! ვინ მოთვლის, რამდენი მომაკვდავი მინახავს. ყველამ თავისებურად განუტევა სული... მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდნენ ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით — ყველაზე ქედუხრელნიც კი მასხარად გადაიქცნენ უკანასკნელ წამს. სენტიმენტალურად გულაჩუყებულ და ამავე დროს უკიდურესად გაბოროტებულ მასხარად! ღმერთო ჩემო, როგორ ებღაუჭებიან მომაკვდავები სიცოცხლეს! რა თავგანწირვით... არა, ეს სანახაობა ნამდვილად ზიზღის მომგვრელია! ჩემი მეგობარი პეეტერი მართლაც რომ მიტოვებული პატარძალივით იქცეოდა. არცერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა ისე, თავისი ჯანმრთელობა რომ არ დაეკვეხნა. სულ იმის ცდაში იყო, ყველაფრის მიმართ გამოეჩინა გადაჭარბებული ყურადღება და ინტერესი. ამის გამო თუ იყო, რომ ზოგჯერ იმ შინაბერას მოგაგონებდათ, რომელიც თავის დანაოჭებულ სახეს ათასნაირ ფერუმარილით ინიღბავს და ენაგაუჩერებლად ლაქლაქებს. რათა დაუშრეტელი ენერგიის პატრონად მოგვაჩვენოს თავი. ო, როგორ არ მინდოდა მეც ამგვარი თითლიბაზობისათვის მიმემართა! უფრო ვაჟკაცურად დავუხვდები იმ სულთამხუთავს-მეთქი, ვფიქრობდი. გამწირავს წუთისოფელი? მიმუხთლებს? კი ბატონო, მიმუხთლოს! ასეთი გულქვა წუთისოფლისათვის არც მე დავიწყვეტ დიდად გულს... აი, ასე საგულდაგულოდ ვემზადებოდი და ბოლოს რა? — რა და, მეც პოზიორობისაკენ გადავიხარე!

ახლა რა ექნა? რა გზას დავადგე: იქნებ ისევ იმის დაჯერება სჯობდეს, რომ სიკვდილი მარადიული სასუფევლისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა, ბუნებრივი დასასრულია, უდრტვინველად მისაღები გარდაუვალობაა და ა. შ. მაგრამ ესეც ხომ წმინდა წყლის ფარსია?! ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე, როდესაც ბავშვობაში პირველი კატაფალკი ვნახე: შავი ცხენები... კუდზე და ფაფარში ჩაწნული შავი ბაფთები... მაღალ ბორბლებზე შედგმული შავი კარეტა და ვერცხლით მოჭედილი თვალსაფარი... ქუდმოხდილი მოქალაქენი... ღმერთო ჩემო, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. სასაცილოდ და ფარისეველურად! მოულოდნელად საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულმა ერთმა ცხენმა შავი ბაფთებით გადახვეული კუდი მაღლა აპრიხა და სავსებით ბუნებრივ მოთხოვნილებათა მოსტუმრებას შეუდგა. პროცესია შედგა. დამწუხრებულმა ჭირისუფლებმა თავი გვერდზე მიაბრუნეს, მე კი სიცილისაგან კინაღამ გავიგუდე. ჩემი უტაქტო საქციელის გამო ნირწამხდარი დედაჩემი, რა თქმა უნდა, უხერხულად შეიშმუშნა და მე უკვე წინასწარ ვიცოდი, რა მწარე წამალიც გამომეწერებოდა შინ. აბა მაშინ საიდან უნდა მცოდნოდა უხერ-

ხულ მდგომარეობაში მოხვედრილი ადამიანები სასაცილო ნიღაბსაც თუ არ თა-კილობდნენ. შავ ყუთში იწვა ადამიანი, რომელსაც მიწაში დასამარხავად მიას-ვენებდნენ. ერთ დროს, ალბათ ისიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, სვამდა, როშავდა ათასგვარ სისულელეს, წვებოდა ფეხდაუბანელი... იქნებ ასან-თის კოლოფის ეტიკეტებსაც აგროვებდა და ა. შ. ახლა კი აგერ ამ გრძელ ყუთში ჩასვენებული სრულიად მოულოდნელად იმდენად საპატივცემულო პი-როვნებად იქცა, რომ უცნობებიც კი ქუდს იხდიან და მისი თანდასწრებით უადგილო ადგილის მოფხანვისაგანაც კი იკავებენ თავს. ამაზე უფრო ზრდი-ლობიანი პირობითობა გაგონილა? ვინ მოთვლის ყველაფერ ამაზე რამდენი სიმღერა გამოუთქვამთ ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ბრძენკაცებს! რამდე-ნი ფრიად სერიოზული შეგონება ჩამოუყალიბებიათ... დიახ, რაკი ვერ ვწვდე-ბით სიცოცხლის არსს, დაე სიკვდილმა შეიმეცნოს იგი! რა, ცუდი პირობითობაა, თუ? მით უმეტეს იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორ ეძრწით და ეკანკა-ლებთ ყველანი სიკვდილის წინაშე. ერთადერთი ხსნა სიკვდილშია! დავასკვე-ნით ოდესღაც ჩვენ და ამაზე უფრო ნუგეშისმომცემი რაღა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე, კი სიკვდილი იქნებ დიდი ღორობა იყოს, მაგრამ განა მარადიუ-ლი სიცოცხლე იგივე არ იქნებოდა?

რვეული გვერდზე გადავდე. მასში ქექვამ ახლა რატომღაც უფრო მეტი სიამოვნება მომანიჭა.

საავადმყოფოს ეზოში პირველი სატვირთო მანქანა შემოგრუხუნდა. აი, ის უკვე სამზარეულოსთან უხვევს და ჩერდება. ეტყობა, სურსათ-სანოვაგე მოიტანეს. მალე სხვა მანქანებიც მოგრუხუნდებიან. მოზიდავენ წამლებს, თეთ-რეულს, ჟანგბადის ბალონებს. აბა როგორ! — აქ ყველაფერი სამყოფად უნდა იყოს.

მალე ჩვენი პალატები და საპროცედურო კაბინეტები მზის სხივებით აივ-სებიან. შუშით შემინულ რკინის კარადებში სხვადასხვა ზომის სკალპელები, კათეტერები, ცისტოსკოპები და სტერილიზატორები დაიწყებენ ბზინვას. უხ-სენებელივით დახვეული რეზინის მილები ჩვენს კუჭში ჩასაშვებ მოწითალო ზონდებად იქცევიან... მთელი ეს უმდიდრესი არსენალი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. სიკვდილის მოშიშარმა კაცობრიობამ ხომ ეს ყველაფერი თა-ვისი მეტისმეტად გასათუთებული და ბალანგაცვენილი სხეულის დასაცავად გამოიგონა. იმ სწრაფმავალ ნამლევას დასაცავად — რასაც სიცოცხლე ეწო-დება! საცხედრეში ჩამწკრივებულ თუთიის მაგიდებს სოდიანი ხსნარით აქათ-ქათებენ. ყველგან წესრიგი და სისუფთავე უნდა იყოს, წესრიგი და სისუფ-თავე!

დღეს შეიძლება აგნესი მოვიდეს ჩემს სანახავად. არავითარ შემთხვევაში იმ კვერცხებს არ ვახსენებ! დაე დარჩნენ ისინი საუკუნოდ მიწაში... იქ, მტი-რალა არყის ხის ძირში!

ვაი რომ, ძალა არ შემწევს და გაბედულებაც მღალატობს, თორემ ახლავე მოვუსვამდი აქედან. ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემი მხრივ ეს იქნე-ბოდა ყოვლად უსარგებლო ნაბიჯი. უფრო მეტიც — იმ გომბეშოს დავემგვა-ნებოდი, ძალად რომ გაიბერა, ერთიც ვნახოთ, იქნებ ხარისოდენა გავხდეო.

მაგრამ გვაქვს კი ჩვენ საერთოდ უფრო მეტი ვაჟკაცობის თავი? ო, რა სიამოვნებით მივიდოდი ახლა იმ შრიალა არყის ხესთან. გულათრთოლებული მოვიგონებდი იმ შორეულ დილას, მამლების ყივილს, ლაჟვარდით შეფერილ ზეცას... გავიხსენებდი ბიჭუკელას, რომელსაც უბეში კვერცხები უწყვია და დაცვარულ მდელოზე ფრთხილად მიაბიჯებს... ო, რა შორსაა ახლა ის ბიჭი! ისე შორს, რომ უკვე ყოველგვარი სენტიმენტალურობის გარეშეც შეიძლება ყველაფრის მოგონება...

und ich sann nach
über des Eies Verwandlung
und den Wandel des Lebens...

23.

— წინმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი!

ეს ტრანზისტორის ხმაა. იგი ჩემს საწერ მაგიდაზე დევს. ეს წუთია დაიწყო საწარმოო ტანვარჯიში. დიქტორს ძლიერი ხმა აქვს. ძლიერი და დათაფლული.

— წინმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი!

თვალწინ წარმომიდგება ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მაღალ მკერდზე შემოტმასნილი თხელი სვიტერი აცვია. ამ ხმას უსათუოდ ბიჭურად შეკრეჭილი შავი თმა და ზედა ტუჩზე ოდნავ შესამჩნევი ღინღლი მოუხდებოდა.

ფანჯრის მინაზე უზარმაზარი ბუზი ბზუის.

სამზარეულოდან გადამდნარი ქონის სუნი მცემს. ტაფაზე კვერცხები შიშინებენ. აგნესი ერბო-კვერცხს მიმზადებს.

იაანიკასთან გატარებული ღამის შემდეგ, რისი დაფარვაც, რა თქმა უნდა, არ მოხერხდა (ი. ანდრესკოოკი!!!), საკმაოდ დელიკატურად განმიცხადეს, რომ ჩემი ოინები უკვე ყელში ამოუვიდათ. რომ მე, პირველ რიგში, ნერვები მაქვს სამკურნალო და ა. შ. ასე რომ, მთელი ორი კვირა პალდისკის ქუჩაზე გამატარებინეს, ფსიქიატრიულში. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მეც დავრწმუნდი, რომ თირკმლების ბოჭკოვან შემაერთებელ ქსოვილში უბრალო fibromyoma renis-ი, ანუ პაწაწკინტელა კეთილთვისებიანი სიმსივნე მქონია და მეტი არაფერი. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ამგვარი სიმსივნეები თირკმელში მეტად იშვიათი მოვლენა ყოფილა.

მეორე სამკურნალო დაწესებულებაში კიდევ ერთი ახალი დიაგნოზი დამისვეს: ფსიქოსტენია.

სამედიცინო ლიტერატურის ზედმეტი ქექვის გამო აკვიატებული აზრები!

მაინც რა საზიზღარი სუნი უდის ამ ქონს! გეგონება, პირის დაკარებისთანავე გულს აგირევსო, მაგრამ ორგანიზმისათვის საჭირო ცილების მცირე ულუფის მიღებისთანავე დარწმუნდები; რომ არც ისე გულისამრევია.

ფსიქიატრიულიდან გამოწერის დღეს მისაღებში დამსვეს და გასაწერი ქაღალდების მოლოდინში მთელი დღე მაყურყუტეს. საავადმყოფოს ტანსაც-

მელს მიჩვეულ ტანს პიჯაკი და შარვალი ეხამუშებოდა. განსაკუთრებით ფეხები მექავებოდა და მიოფლიანდებოდა წარამარა. ჩემს მკურნალ ექიმს კურდღლისებრი ტუჩი საგანგებოდ მოშვებული ულვაშით ჰქონდა შენიღბული. მუშამბაგადაკრულ ტახტზე ვიჯექი და მის სიტყვებს ვაანალიზებდი. მგონი, ყველაფერი მართალი მითხრა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა დავიჯერო. ამისთანა ჩანაწერების პატრონი ასი წელი იცოცხლებსო, მსუბუქი ფსიქოპათია, ავადმყოფობა კი არა, ნერვული სისტემის ერთ-ერთი ტიპიაო, ასეთი ადამიანები ცოტა უცნაურად იქცევიანო... ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მეც მოვითხოვო ზამთარში ნესვი! ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემს ერთგულ ცოლს სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები წავუყენო და იმავე წუთში ახალთახალი ჰალსტუხი ავიჩემო... ხოლო სიკვდილი... სიკვდილი, რა თქმა უნდა, მოულოდნელად მოვა!

„უკვე საკუთარი სიკვდილიც გავაუფასურე!“ — გავიფიქრე მუშამბაგადაკრულ დივანზე ჩამომჯდარმა.

მწვანემუცლიანი ბუზი ფანჯრის ჩარჩოზე მიცოცავს.

მალე ვისაუზმებ.

გადამდნარ ქონში შემწვარი ერბო-კვერცხი. მზრუნველი ცოლი. მალე სამსახურში გავალ და გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებ...

აქეთ მე ვიღიმები, იქით მონიკლულ ჩაიდანზე არეკლილი ჩემი ორეული იღრიჭება. ეს სასაცილოდ დაგრძელებული სახე სულაც არ მეხატება გულზე...

ახლა კი ყველაფერი დავიწყოთ თავიდან! — გაჰყვირის ტრანზისტორი.

შინაარსი

I. მონუმენტი . . . 9
II. პილიმეესი 76
III. კვერცხები ჩინურად . . 119

რედაქტორი დ. იუკურიძე

გამომც. რედაქტორები: ნ. ფავლენიშვილი, ქ. ჯიმშელაძე
მხატვრული რედაქტორი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. ასათიანი
უფრ. კორექტორი მ. კებულაძე
კორექტორი ჯ. ცაგურია
გამომშვები ლ. დავითური

ИБ № 3532 Литературно-художественное издание

გადაეცა ასაწყობად 4.02.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.III.88. ქაღალდის ზომა 60×88 1/16. საბეჭდი ქაღალდი ოფსეტის. გარნიტურა ვენა, ბეჭდვის ხერხი ოფსეტური. ნაბეჭდი თაბახი 11,5, პირ. ნაბეჭდი თაბახი 11,27. პირ. საღებავგატარება 11,52. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,44, ტირაჟი 80.000 შეკვ. № 524

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

1988

ტექსტი აწყობილია ფოტოწყობის მანქანაზე
Текст набран на фотонаборных машинах

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისისწიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7

Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7